



ღიწღა მალაღი ჰანთი

ნიუ-იორკ თანიგის ბასტსაღარი

შაბანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

2015

ს ა რ ჩ ე ვ ი

თავი 1. ისევ უსიამოვნება.....	4
თავი 2. ყვითელი ბარათი	10
თავი 3. ჩემზე არ არის დამოკიდებული.....	15
თავი 4. ჩიტი გალიაში.....	19
თავი 5. ვერცხლის დოლარები და ხის ხუთცენტიაწები	27
თავი 6. მონეტა, რომელსაც სამი მხარე აქვს	32
თავი 7. აქ ბაბუები არ არიან.....	37
თავი 8. ნამდვილი უსიამოვნება.....	40
თავი 9. არაფრით სავსე ჩანთა.....	44
თავი 10. დაპირება	54
თავი 11. ერბოკვერცხი	59
თავი 12. რა გაწუხებს, ალბერტ?	65
თავი 13. ყვავილები	70
თავი 14. ყუთში და ყუთის გარეთ.....	74
თავი 15. დაუზეთავი მექანიზმი.....	80
თავი 16. ჩემი გეგმა	86
თავი 17. დეფექტური სათამაშოების ლანჩი.....	89
თავი 18. სიმართლე და სიცრუე	93
თავი 19. არცთუ ისე სასიამოვნო საიდუმლო.....	98
თავი 20. მერე ეს კარგია?.....	105
თავი 21. პეპლისთვის ჩათქმული ნატვრა.....	110
თავი 22. დედოფალს ასე არ ექცევიათ.....	114
თავი 23. სიტყვები, რომლებიც სუნთქავენ.....	117
თავი 24. წარმოსახული გმირი.....	119
თავი 25. დღესასწაული თუ განადგურება?.....	126

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

თავი 26. დამალვა.....	130
თავი 27. ნახევრად გამომცხვარი შუადღე.....	133
თავი 28. ყველაზე მნიშვნელოვანი შეთანხმება	137
თავი 29. თევზი ხეზე.....	141
თავი 30. საბრალო მეფე.....	151
თავი 31. სახლისკენ ბევრი გზა მიდის.....	154
თავი 32. ეკრანიდან.....	158
თავი 33. შესაძლებლობები.....	163
თავი 34. ვარსკვლავის დაბადება.....	166
თავი 35. გამოსახულება უთვალავ სიტყვას უდრის.....	173
თავი 36. ცხოვრება თამაშს ჰგავს	177
თავი 37. წიწილა, მგელი და თავსატეხი.....	180
თავი 38. ხელმოცარული – პრეზიდენტად	185
თავი 39. შეის.....	188
თავი 40. სხვადასხვანაირი ცრემლები	195
თავი 41. არც თუ ისე საიდუმლო წერილი.....	196
თავი 42. ბოდიშის მოხდის ნიჭი, სკოჩი და ანტიბიოტიკები	202
თავი 43. სამყაროს ცეცხლი შევუნთეთ.....	207
თავი 44. არაჩვეულებრივი მეექვსეკლასელის ამბავი.....	209
თავი 45. ჩემი ძმის შეკითხვა.....	212
თავი 46. მფრინავი ვეფხვები და პატარა სპილოები.....	215
თავი 47. დიადი გონების ადამიანები ერთნაირად არ ფიქრობენ.....	218
თავი 48. ოლივერი მიიჩნევს, რომ გამიმართლა.....	226
თავი 49. სინათლეს ვხედავ	231
თავი 50. გმირობა	233
თავი 51. გამბედავი გენიოსი	239

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ლინდა მალალი ჰანტი

თეზი ხეზე

თავი 1. ისევ უსიამოვნება



უსიამოვნება სულ ჩემთანაა, როგორც მიწა ფეხქვეშ.

– ელი, წერ თუ არა? – მეკითხება მისის ჰოლი.

მისის ჰოლი მკაცრი რომ იყოს, ასე არ გამიჭირდებოდა.

– კარგი, რა, – მეუბნება ის, – შენ ხომ შეგიძლია.

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– რომ გითხრათ, ხეზე კბილებით აძრომას ვაპირებ-მეთქი, მაშინაც მეტყვიტ, შეძლებო?

ოლივერი იცინის და მერხს ისე ეხუტება, გეგონება, ფეხბურთის ბურთი ჩაიგდო ხელში.

შეი ბუზღუნებს:

– არ შეიძლება, ერთხელ მაინც მოიქცე ნორმალურად?

შეის გვერდით ალბერტი, ზორბა ბიჭი, რომელსაც გაუხდელად ერთი მუქი მაისური აცვია, წარწერით ფლინტი, ისეთი სახით იმართება წელში, თითქოს ფეიერვერკის დაწყებას ელოდება.

მისის ჰოლი ოხრავს:

– კარგი, რა, მხოლოდ ერთგვერდიანი დახასიათების დაწერას გთხოვ.

ვერ წარმომიდგენია, რა უნდა იყოს საკუთარი თავის დახასიათებაზე უარესი. მირჩევნია, უფრო სახალისო რამეზე დავწერო. მაგალითად, როგორ ამერია გული ჩემს დაბადების დღეზე.

– ეს იმისთვისაა საჭირო, რომ ახალმა მასწავლებელმა გაგიცნოთ.

ვიცი და სწორედ ამიტომ არ მინდა დაწერა. მასწავლებლები იმ აპარატივით არიან, 25-ცენტიაან რომ ჩააგდებ და ფერად ბურთებს გიგდებ. იცი, რასაც მიიღებ, მაგრამ თან არ იცი.

– და, – აგრძელებს ის, – ამდენ ხანს რომ არ გეხატა, სამუშაო ალბათ უკვე დამთავრებული გექნებოდა. თუ შეიძლება, სახატავი გვერდზე გადადე.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

შერცხვენილი, ჩემს ნახატს დავალების ცარიელი ფურცლის ქვეშ ვაცურებ. ნახატზე ქვემეხიდან ჭურვს მესვრიან, რაც, დარწმუნებული ვარ, სკოლაში სიარულზე ადვილიც იქნებოდა და ნაკლებად მტკივნეულიც.

- მიდი, – მეუბნება მასწავლებელი და ფურცელს ჩემკენ აცურებს,
- უბრალოდ, მოინდომე.

ბოლო შვიდ წელიწადში შვიდი სკოლა გამოვიცვალე და ყველგან ერთი და იგივე ხდება. დავალების შესრულებას მთელ ჩემს ენერგიას ვახმარ, ისინი კი მეუბნებიან, რომ საკმარისად არ ვინდომებ – ჩემი ნაწერი ძალიან არეულია, სიტყვების მართლწერაში ბევრი შეცდომაა. მასწავლებლები ბრაზდებიან, როცა ზოგჯერ ერთსა და იმავე სიტყვას ერთ გვერდზე სხვადასხვანაირად ვწერ. მე კი თავს მატკივებს თეთრ ფურცელზე მუქი ასოების სიმკვეთრის დიდხანს ყურება.

მისის ჰოლის ჩახველება მაფხიზლებს.

კლასელებს ისევ თავი მოვაბეზრე. სკამების მოძრაობის ხმა ისმის, აქა-იქ ხმამაღლა ოხრავენ. ალბათ ჰგონიათ, მათი სიტყვები ჩემამდე არ აღწევს: ჭირვეული. სულელი. უიღბლო.

ნეტავ შემეშვას მისის ჰოლი და ალბერტს დაადგეს თავზე. ალბერტი მოსიარულე „გუგლია“. დავალების ფურცლით ცხვირი რომ მოიწმინდოს, მაინც ჩემზე უკეთეს ნიშანს მიიღებს.

კისერი მიხურს.

ვერ ვხვდები, რა ხდება. მისის ჰოლი, როგორც წესი, ასეთი დავა-

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ლებების თავიდან არიდების საშუალებას მაძლევს ხოლმე. თუმცა, ეს თემა ახალი მასწავლებლისთვისაა და ალბათ მნიშვნელოვანია, ყველამ დაწეროს.

მის გაბერილ მუცელს ვაშტერდები.

– ბავშვის სახელი შეარჩიეთ? – წინა კვირას სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე მთელი საათი სახელებზე ვილაპარაკეთ.

– კარგი, რა, ელი. დროს ნუ წელავ.

არ ვპასუხობ.

– სერიოზულად ვამბობ, – სიმკაცრე ერევა ხმაში.

გონებაში ფილმის სცენას ვხედავ: მასწავლებელს პოლიციელის ფორმა აცვია, მე კი პატიმრის ტანსაცმელი, შავ-თეთრი ზოლებით. ზემოთ კამკამა ცაა. მასწავლებელს დიდი ჯოხი უჭირავს და ჩვენ შორის მიწაზე ხაზს ავლებს. ასე ხშირად ხდება – სცენებს ვხედავ, რომლებსაც ძალიან ცხადად შევიგრძნობ და მთლიანად მითრევს. ეს სცენები ჩემთვის ნამდვილი ცხოვრებისგან ამოსუნთქვის საშუალებაა.

თავს ვაიძულებ, ის გავაკეთო, რის გაკეთებაც არ მინდა, ოღონდ

თავი დავაღწიო მასწავლებელს, რომელიც არ მეშვება.

ფანქარს ვიღებ და ვგრძნობ, მისი სხეულის დაძაბულობა იკლებს,

ალბათ ჰგონია, დავნებდი.

მაგრამ უცებ ფანქარს ჩავბლუჯავ და მერხზე ჯღაბნას ვიწყებ, რადგან ვიცი, ძალიან უყვარს სუფთა მერხები.

– ელი! – სწრაფად დგამს ნაბიჯს წინ, – რას აკეთებ?

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

წრებს ვხატავ, ზემოთ – მოზრდილებს, ქვემოთ კი – პატარებს. ტორნადოს ჰგავს. ნეტა ჩემი შინაგანი სამყაროს დახატვა ხომ არ მინდა? მასწავლებელს ავყურებ:

– მე არ დამიხატავს, აქ დამხვდა.

ვიღაცები იცინიან, თუმცა, იმიტომ არა, რომ ჩემი სიტყვები სასაცილოდ ეჩვენებათ.

– როგორც ჩანს, განაწყენებული ხარ, ელი, – მეუბნება მისის ჰოლი.

ესე იგი, ამას ისე ვერ ვმალავ, როგორც საჭიროა.

– რა არანორმალურია! – ჩურჩულებს შეი ყველას გასაგონად.

ოლივერი უკვე მერხზე აკაკუნებს.

– საკმარისია! – ბოლოს და ბოლოს, ბრაზდება მისის ჰოლი, – დირექტორთან! ახლავე!

ამ სიტყვებს ველოდი, მაგრამ ახლა უკვე წასვლა აღარ მინდა.

– ელი.

– ჰა?

ბავშვები ისევ იცინიან. მასწავლებელი ხელის აწევით აცხადებს:

– ვინც იხმაურებს, არ დაისვენებს!

ყველა ჩუმდება.

– ელი, დირექტორთან!

უცებ ვგრძნობ, რომ ჩვენი დირექტორის, მისის სილვერის, ნახვა აღარ შემძლია. იმდენად ხშირად ვხვდები მის კაბინეტში, ალბათ მა-

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ლე ბანერს ჩამოკიდებენ წარწერით: „კეთილი იყოს შენი მობრძანება, ელი ნიკერსონ!“

– ძალიან ვწუხვარ, – ვეუბნები გულწრფელად, – დავწერ, პირობას გაძლევთ.

– კარგი, ელი, – ოხრავს მისის ჰოლი, – მაგრამ იცოდე, როგორც კი წერას შეწყვეტ, დირექტორთან წახვალ.

მსვამს საკითხავ მაგიდასთან, მაღლიერების დღის პოსტერის გვერდით, რომელიც გვახსენებს, რომ მუდამ მაღლიერნი უნდა ვიყოთ. მისის ჰოლი ჩემს მერხს საწმენდ სითხეს ასხამს. თან ისე მიყურებს, თითქოს ჩემი გაწმენდაც უნდა, ალბათ სიჩლუნგე რომ მომაშოროს. თვალეებს ვჭუტავ, იქნებ ასე თავი ნაკლებად მეტკინოს. ვცდილობ, ფანქარი, როგორც საჭიროა, ისე დავიჭირო, და არა ისე, როგორც ჩემს ხელს უნდა – უცნაურად.

ერთი ხელით ვწერ, მეორეს კი ნაწერს ვაფარებ. ვიცი, ჯობია, ვწერო, ამიტომ პირველი სტრიქონიდან გვერდის ბოლომდე ბევრჯერ ვწერ ერთადერთ სიტყვას „რატომ“.

ჯერ ერთი, ვიცი, ეს სიტყვა როგორ იწერება და, მეორეც, იმედი მაქვს, ვინმე, ბოლოს და ბოლოს, გამცემს პასუხს.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

თავი 2. ყვითელი ბარათი

მისის ჰოლის მუცელში მყოფი ბავშვის პატივსაცემად წვეულებას ვმართავთ. ჯესიკამ უზარმაზარი თაიგული მოიტანა მამამისის ყვავილების მაღაზიიდან. თაიგული იმხელაა, თითქოს ვიღაცამ მთელი ბუჩქი ამოთხარა და ფოლგაში შეფუთა.

მერე რა, მე რა მენაღვლება. მაღაზიაში ღია ფერის ბარათი ვიყიდე, რომელზეც ყვითელი ვარდები ხატია. დახატული ყვავილები ერთ კვირაში არ გახმება. ასე თითქოს ბოდიშს ვუხდი მისის ჰოლის, რომ ხშირად ვაწვალებდი.

მაქსი თავის საჩუქარს უწვდის. სანამ მასწავლებელი საჩუქარს ხსნის, მაქსი სკამის საზურგეს ეყრდნობა და ხელები კეფაზე აქვს შემოჭდობილი. პამპერსები მოუტანია. ალბათ იმედი ჰქონდა, სხვა რეაქციას დაინახავდა, მაგრამ შეცდა – მისის ჰოლი გახარებულია.

მაქსს ყურადღება უყვარს. წვეულებებიც უყვარს. თითქმის ყოველდღე სთხოვდა მისის ჰოლის წვეულების გამართვას და, აი, დღეს, როგორც იქნა, წვეულებაზეა.

ბოლოს და ბოლოს, მისის ჰოლი ჩემს ბარათს იღებს კონვერტიდან.

სხვების ბარათებისაგან განსხვავებით, ხმამაღლა არ კითხულობს, ყოყმანობს. ჩემი აზრით, ძალიან მოსწონს. სიამაყეს ვგრძნობ, რაც ხშირად არ ხდება.

ჩვენი დირექტორი, მისის სილვერი, ბარათისკენ იხრება. ახლა ალბათ, როგორც იქნა, შემაქებს, თუმცა, ამის ნაცვლად წარბებს კრავს

მისამართი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

და კარისკენ მანიშნებს.

ბარათის წასაკითხად წამომდგარი შეი სიცილით ამბობს:

– ელი ნიკერსონი რომ არ არსებობდეს, ამქვეყნად ამდენი სიღებო-
ლე არ იქნებოდა.

– შეი, დაჯექი, – საყვედურობს მისის ჰოლი, მაგრამ უკვე გვიანია.

თავს ვერ აიძულებ, არ გაიგონო შენს გასაგონად ნათქვამი. თითქოს
შეგუებულნი უნდა ვიყო დაცინვას, მაგრამ არ გამომდის.

შეი და ჯესიკა იცინიან, მე კი მახსენდება, წინა კვირას, ჰელოუინი-
სთვის ჩვენი საყვარელი წიგნის გამირებივით რომ გამოვეწყვეთ. მე
ელისი ვიყავი საოცრებათა ქვეყნიდან, ამ წიგნს ბაბუაჩემი ხშირად მი-
კითხავდა. შეი და მისი აჩრდილი ჯესიკა კი – „ელისი აბდაუბდა ქვეყ-
ნიდანო“, მეძახდნენ.

კეიშა შეის უახლოვდება:

– არ შეგიძლია, ერთხელ მაინც არ ჩაერიო სხვის საქმეში?

მომწონს კეიშა. უშიშარია. მე მხდალი ვარ.

შეი ისეთი სახით უბრუნდება, თითქოს ბუზი უნდა მოკლას.

– ეს არც შენი საქმეა!

– მართალი ხარ, სხვის საქმეში არც ერთმა არ უნდა ჩავყოთ ცხვი-
რი!

შეი განცვიფრებულია:

– მორჩი, რა, ენის ტარტარს!

– მორჩი, რა, თავხედობას! – არ ეპუება კეიშა.

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

მაქსი გულხელს იკრეფს, წინ იხრება და ასკვნის:

– არის! ჩხუბი იწყება!

– არ იქნება ჩხუბი, – პასუხობს მისის ჰოლი.

სუკის პატარა ხის კუბი უჭირავს. ასეთი კუბების კოლექცია აქვს, ყუთში უწყვია და მაშინ იღებს ხოლმე, როცა რამეზე ნერვიულობს. ახლაც ნერვიულობს.

შეი კეიშას თვალებს უბრიალებს. კეიშა ჩვენს კლასში წელს გადმოვიდა და მიკვირს, ხმა რომ ამოიღო.

ყველა აღგზნებულია და ვერ ვხვდები, რატომ.

მისის ჰოლი მოჩხუბრებს ამშვიდებს, მაქსს კი საყვედურობს. ამ დროს მისის სილვერი ისევ კარისკენ მანიშნებს. რა ჯანდაბა ხდება? დერეფანში გამოსული, მისის სილვერის სახის გამომეტყველებით ვხვდები, რომ კიდევ ერთხელ მომიწევს ბოდიშის მოხდა და ახსნა, თუ რატომ მოვიქეცი ასე. ნამდვილად ვერ ვიგებ, ამჯერად რა დავაშავე. ხელებს ჯიბეებში ვიტენი, რათა რამე ისეთი არ გავაკეთო, რასაც მერე ვინანებ. ნეტა შემეძლოს, პირიც ჯიბეში შევინახო.

– უბრალოდ, ვერ ვიგებ, ელი. შეუფერებლად ბევრჯერ მოქცეულხარ, მაგრამ ეს... მეტისმეტია. შენს საქციელს არ ჰგავს.

ნელ-ნელა ვხვდები, რაღაც კარგი გავაკეთე და მეუბნებიან, რომ ეს ჩემს საქციელს არ ჰგავს. არ მესმის, ბარათის ყიდვა რატომ არის ცუდი საქციელი.

– ელი, – აგრძელებს მისის სილვერი, – თუ ყურადღების მიქცევას

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ცდილობ, ეს არასწორი გზაა.

ცდება. ყურადღება ისე მჭირდება, როგორც თევზს სასუნთქი მილაკი.

კარი ფართოდ იღება და ოთახიდან ოლივერი გამორბის.

– ელი, ჩემი აზრით, ის ბარათი იმიტომ მიეცი, რომ წუხხარ, ჩვენგან ვიღაც სულელი ბავშვის გამო რომ მიდის. ალბათ ძალიან სევდიანია. მეც მეცოდება.

მისი ნათქვამიდან ვერაფერს ვიგებ.

– ოლივერ, – მისის სილვერი ხმას იმაღლებს, – კლასიდან რატომ გამოხვედი?

– ისა... ტუალეტში მივდიოდი. დიახ, იქ მივდიოდი, – ბრუნდება და გარბის.

– შეიძლება, წავიდე? – ვკნავი და ვგრძნობ, რომ იქ ერთ წამსაც ვედარ გავჩერდები.

თავს ოდნავ იქნევს, თან ლაპარაკს აგრძელებს.

– ვერ ვხვდები, რატომ მიუტანე ორსულ ქალს სამძიმრის ბარათი.

სამძიმრის ბარათი? დამაბული ვფიქრობ და ბოლოს მახსენდება:

დედა ასეთ ბარათებს მას უგზავნის ხოლმე, ვისაც საყვარელი ადამიანი მოუკვდა. გულ-მუცელი მიტრიალდება. ნეტა რას იფიქრებდა მისის ჰოლი.

– ხომ იცი, სამძიმრის ბარათი რასაც ნიშნავს, ელი?

ჯობია, ვთქვა, რომ არ ვიცი, მაგრამ ამის ნაცვლად, თანხმობის ნი-

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

შნად თავს ვუქნევ. არ მინდა, მოვისმინო მისის სილვერის განმარტება. თანაც, იმაზე სულელი ვეგონები, ვიდრე ვარ. თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია.

– ამიხსენი, ასე რატომ მოიქეცი?

გაუნძრევლად ვდგავარ, მაგრამ შიგნით ყველაფერი მეკუმშება.

თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ. მეზობლის ძაღლის სიკვდილი როგორ განვიცადე და ბავშვი რომ მომკვდარიყო, რა დამემართებოდა?! რა ვიცოდი, ასეთი სევდიანი ბარათი თუ იყო. მე მხოლოდ ლამაზ ყვითელ ყვავილებს ვხედავდი და იმაზე ვფიქრობდი, როგორ გავახარებდი მისის ჰოლის.

მაგრამ უამრავი მიზეზი არსებობს, რატომ ვერ ვიტყვი სრულ სიმართლეს.

ყოველ შემთხვევაში, დირექტორს ნამდვილად ვერ ვეტყვი.

ვერავის ვერ ვეტყვი. საერთოდ ვერავის.

როგორ არ ვეცადე. ვილოცე, ბევრი ვიწვალე, იმედი მქონდა, მაგრამ კითხვა ჩემთვის ისევე რთულია, ასოებისგან გაკეთებული წვნიანი რომ დამისხან თეფშზე და სიტყვების წაკითხვა მთხოვონ. ვერაფრით ვხვდები, ამას სხვები როგორ ახერხებენ.

თავი 3. ჩემზე არ არის დამოკიდებული

დერეფანში კედელს ვეყუდები და ხმას არ ვიღებ. პირის გაღების მეშინია, რადგან ზოგჯერ ჩემივე სიტყვები მირთულეს საქმეს. როგორც იქნა, მისის სილვერი თავის კაბინეტში შესვლას მთავაზობს.

დირექტორის კაბინეტში ვზივარ და ფანჯრიდან ვიყურები. ჩუმი ვარ. მაინტერესებს, როგორ ვიგრძნობდი თავს, სკოლაში უდარდელად ყოფნა რომ შემემძლოს და მუდმივად არ ვღელავდე ყველაფერზე. ნეტავ ჩემი დაუჯერებელი რამეების რვეული მაინც წამომელო. ეს ერთადერთი რამაა, რაც მაგრძნობინებს, რომ ფუჭი არ არის ჩემი არსებობა. მიყვარს, როცა ვაკვირდები, როგორ გადმოდის ნახატი გონებიდან და ბლოკნოტში ცოცხლდება... ბოლო დროს ხშირად ვხატავ თოვლის კაცს, რომელიც ღუმლების ქარხანაში მუშაობს. ყველაზე გიჟური, უცნაური და დაუჯერებელი თვითონ ჩემი თავის დახატვა იქნება, ოღონდ ისე, რაღაცას სწორად რომ ვაკეთებდე.

მისის სილვერის ამოხვრა მაფხიზლებს.

– შარშან გადმოხვედი. სულ ხუთი თვეა, რაც ჩვენთან ხარ, ელი, და ამ კაბინეტში მეტისმეტად ბევრი დრო გაქვს გატარებული. რაღაცის შეცვლაა საჭირო.

ხმაგაკმენდილი ვზივარ.

– ყველაფერი შენზეა დამოკიდებული.

ჩემზე არ არის დამოკიდებული. არც არასდროს ყოფილა ჩემზე და-

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

მოკიდებული.

მისის სილვერის ლაპარაკი შორიდან მესმის. თითქოს მანქანაში რადიოა ჩართული.

ვერ ავუხსნი. შეცდომა მომივიდა. მრცხვენია და არავითარი სურვილი არ მაქვს, ეს მას გავანდო.

– გეგონა, სასაცილო იქნებოდა?

უარყოფის ნიშნად თავს ვიქნევ.

– მისი ჰოლის წყენინება გინდოდა?

თავს სწრაფად ვწევ მაღლა:

– არა! არასდროს ვაწყენინებდი. მე, უბრალოდ...

დავფიქრდი. ამაზე არაერთხელ დავფიქრებულვარ. იქნებ პირდაპირ ვუთხრა? ჩემი სკამი თითქოს პატარა ლუკის თავზე დგას და ღილაკიც აქვს, რომელსაც თითოს თუ დავაჭერ, ქვესკნელში ჩავვარდები. მიწა ვუთხრა, მაგრამ მეშინია. დირექტორი ისევ იმედგაცრუებული შემომყურებს და ვხვდები, რომ აზრი არ აქვს. ჩემ გამო თავსატეხი ისედაც არ აკლია, პრობლემების სიას სიჩლუნგეც დავუმატო? მაინც ვერაფრით დამეხმარებიან. როგორ უნდა განკურნო სიჩლუნგე?!

ამიტომ ისევ ფანჯრიდან ვიყურები და თავს ვახსენებ: ხმა არ უნდა ამოვიღო.

შვიდ სხვადასხვა სკოლაში სიარულმა მასწავლა, რომ გაჩუმება ჯობია.

ჯობია, არავის შევედავო, თუ იძულებული არ გავხდები.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ორივე მტევანი მუშტებად მაქვს შეკრული და მისის სილვერი ამას ხედავს.

გვერდით სავარძელში ჯდება.

– ელი, ზოგჯერ მეჩვენება, რომ თავად გასურს უსიამოვნებაში გახვევა. მართალი ვარ?

უარყოფის ნიშნად თავს ვიქნევ.

– ელი, მითხარი, რა ხდება. მომეცი უფლება, დაგეხმარო.

წამიერად ვაპარებ მისკენ მზერას. მერე ჩუმად ვბუზღუნებ:

– ვერავინ დამეხმარება.

– არ არის ასე. ნება მომეცი, ვცადო, – კედელზე გაკრულ პოსტერზე მანიშნებს, – თუ შეიძლება, ხმამაღლა წამიკითხე.

პოსტერზე ერთმანეთისკენ გაწვდილი ორი ხელია გამოსახული.

დიდი ამბავი. ალბათ რაიმე სულელური ფრაზაა მეგობრებზე, რომლებიც სულ ერთად არიან. მე არ მყავს მეგობრები.

– მიდი, ელი. წაიკითხე, თუ შეიძლება.

პოსტერის შავი ასოები ხოჭოებს ჰგვანან, რომლებიც კედელზე ერთმანეთის მიყოლებით სადღაც მიდიან. მათი უმეტესობის წაკითხვას ალბათ შევძლებ, მაგრამ ბევრი დრო დამჭირდება. თანაც, როცა ვნერვიულობ, ყველაფერი მავიწყდება. ჩემი გონება ცარიელდება, თითქოს დაფაზე რაღაც ეწერა და წაშალეს, ის უკვე ნაცრისფერი და სუფთაა.

– რა წერია? – ისევ მეკითხება.

– არ მჭირდება წაკითხვა, ისედაც მესმის, – ვცრუობ და თან თვალ-

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ებში ვუყურებ, – დამიჯერეთ.

– არ ვარ დარწმუნებული. ჩემი აზრით, კიდევ გჭირდება მუშაობა.

ახლა უკვე მართლა მინდა ვიცოდე, რა წერია პოსტერზე, მაგრამ არ ვუყურებ. რომ შევხედო, ამ თემაზე გააგრძელებს საუბარს.

ზარი ირეკება.

მისის სილვერი თმას ისწორებს.

– ელი, არ ვიცი, გეგონა, ბარათი სასაცილო იქნებოდა, განიცდი, მისის ჰოლი ჩვენგან რომ მიდის, თუ რამე სხვა ხდება. მაგრამ ზღვარს ნამდვილად გადახვედი.

წარმოვიდგენ, როგორ ვკვეთ ფინიშის ხაზს და წითელ ლენტს ვწყვეტ. ხალხი მამხნეებს, ჰაერში გირლანდები ტრიალებს. თუმცა, ვიცი, დირექტორი ამას არ გულისხმობდა.

– ორშაბათიდან თქვენი ახალი მასწავლებელი მისტერ დენიელსი იქნება. მოდი, შევეცადოთ, უსიამოვნებები ავიცილოთ, კარგი? ვიცი, უსიამოვნებას ისევე ვერ ავიცილებ, როგორც ცა ვერ აიცილებს წვიმას.

ხელით კარისკენ მანიშნებს. გასვლამდე ისევ იმ პოსტერს ვავლებ თვალს. ნეტავ ვიცოდე, რის თქმა სურდა ჩემთვის ამ პოსტერით. მისის სილვერი ოხრავს. ვგრძნობ, თავი მოვაბეზრე.

საკუთარი თავი მეც მომბეზრდა.

დერეფანი ბავშვებითაა სავსე. საკლასო ოთახში ვბრუნდები, რომ მისის ჰოლის ბოდიში მოვუხადო, სანამ სკოლის ავტობუსები გავა. ვუ-

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ახლოვდები და მხარზე ვადებ ხელს.

ტრიალდება და მიყურებს. სახეზე წამით სევდა გადაურბენს. ვდგავარ და ვფიქრობ, როგორ ვწუხვარ. იმედი მაქვს, არ ჰგონია, რომ მისთვის ან მისი ბავშვისთვის ცუდი მსურს.

მაგრამ სიტყვებს ვერ ვპოულობ. თავში ისევ სიცარიელე მაქვს.

– რა იყო, ელი? – მეკითხება ბოლოს. ხელს გაბერილ მუცელზე იდეებს, თითქოს მისი დაცვა სურს.

ოთახიდან უსიტყვოდ გავრბივარ. დერეფანს მივუყვები და გარეთ გავდივარ. ჩემი ავტობუსი წასული მხვდება. მაგრამ არ მიკვირს. ალბათ ღირსი ვარ.

მთელი გზა ფეხით უნდა გავიარო. მარტოდმარტომ.

თავი 4. ჩიტი გალიაში

როგორც იქნა, პარკ როუდს ვაღწევ და „ა. ს. პეტერსენის ფერმაში“ შევდივარ. უცნაური სახელია რესტორნისათვის. რესტორანში შიგნითაც და გარეთაც ძროხების ნახატებია გაკრული. ამ გადატვირთულ ქუჩაზე უამრავი მაღაზიაა. ნეტა თუ არსებობს რესტორანი უკაცრიელ ადგილას, რომელსაც „ხმაურიანი ქალაქი“ ჰქვია?

დედა მეგებება.

– სად იყავი? ძალიან მანერვიულე, – მეუბნება და ხელებს წინსაფარზე იწმენდს.

– ავტობუსმა გამომასწრო და ფეხით მოვედი.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

თავს უკმაყოფილოდ იქნევს და თავით დახლზე მანიშნებს:

– აი, აქ დაჯექი და საშინაო დავალებების კეთება დაიწყე.

ყოველთვის ამ ადგილას ვზივარ. დედა მეუბნება, რომ აქ ადვილია ჩემთვის თვალის დევნება.

– ჩემთვის რამე ხომ არ გაქვს სათქმელი? – დაღლილი მეჩვენება.

– დაგირეკეს, ხომ?

– ჰო. არ ვიცი, ასე რატომ მოიქეცი, ელი, – უფრო სევდიანი ხმა აქვს, ვიდრე გაბრაზებული, რაც, ჩემი აზრით, უარესია.

ხელში ფერადი ნაყინებით სავსე ლანგარი უჭირავს: მარწყვის, ფსტის, მაყვლის. ვარდისფერი, მწვანე და იასამნისფერი. მომწონს ამ ფერების შეხამება და ვფიქრობ, რა დაუჯერებელი რამ შემიძლია დავხატო ნაყინზე. იქნებ გამდნარი ნაყინის მდინარეები? ან კაცი კონუსისებური თავით, რომელიც ბანანის ფორმის თეფშზე ზის და კოვზს ნიჩბად იყენებს.

– ელი! მისმენ?

– მაპატიე, – ვბურღუნებ და ფეხს იატაკს ვკრავ, რომ ჩემი მრგვალი სკამი დაბზრიალდეს.

– აღარ ვიცი, რა ვიფიქრო.

დედაჩემის უფროსი სათვალის ზემოდან გვიყურებს.

დედა ჩურჩულზე გადადის:

– მიდი, დავალება დაწერე. სახლში ვილაპარაკებთ. თუ შეიძლება, მაგ სკამს ნუ აბზრიალებ.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– ძალიან ვწუხვარ, მართლა. მეგონა, მისის ჰოლის ბარათი მოეწონებოდა.

– როგორ უნდა მოსწონებოდა?! – დედა ნაყინით სავსე ლანგარს იღებს და მიდის.

მე წიგნს ვშლი, მაგრამ ასოები ხტიან და ცეკვავენ. რანაირად ახერხებენ ნეტა სხვები ამ მოძრავი ასოების კითხვას?

ამიტომ კითხვის მაგივრად ვაკვირდები, როგორ ჩაედინება ყავადანში წვეთ-წვეთად ორთქლი. ვფიქრობ ბოლადენილ ვულკანებზე და მათ გარშემო მოსიარულე დინოზავრებზე, რომლებიც ყავას სვამენ, თან ჰაერში მოტრიალე გიგანტურ მეტეორს შეჰყურებენ და მის სილამაზეზე საუბრობენ. როგორ გაუმართლათ დინოზავრებს, რომ სკოლაში სიარული არ უწევდათ. ხელსახოცს ვიღებ და ამ სცენის ხატვას ვიწყებ დაუჯერებელი რამეების რვეულისათვის.

მალე დედას ყავისფერი და თეთრი კუბოკრული წინსაფარი ისევ ჩემ წინაა.

თავს მალლა ვწევ:

– გეფიცები, არ ვიცოდი, რომ სამმ... სამმ... მკვდრების ბარათი იყო.

– ეს თანაგრძნობის ბარათია. იმ ადამიანებისთვისაა, რომლებსაც გარდაცვლილი ადამიანი ენატრებათ. მკვდრების ბარათი არ არის.

– მერე, არ გგონია, რომ გარდაცვლილი ყველაზე მეტად იმსახურებს ბარათს?

ეცინება. ცალი იდაყვით დახლს ეყრდნობა, მეორე ხელს კი ჩემკენ

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

იწვდენს და სახეზე მადებს. თბილი ხელი აქვს და გულზე მეშვება, რომ აღარ ბრაზობს.

– ზოგჯერ ძალიან სასაცილო ვინმე ხარ, – მერე ხელსახოცს იღებს, რომელზეც დინოზავრები დავხატე. დინოზავრებს ყავის ჭიქები უჭირავთ.

– ეს რა არის?

– უბრალოდ, იდეაა, დაუჯერებელი რამეების რვეულისთვის. აკვირდება.

– ბაბუამ იცოდა, რა ნიჭიერი ხარ და ძალიან იამაყებდა შენი ნახატებით. ისიც ძალიან მოეწონებოდა, შენს ბლოკნოტს ასეთი სახელი რომ დაარქვი. უხაროდა შენთან ერთად „ელისის თავგადასავალის“ კითხვა, ამ წიგნს მეც მიკითხავდა პატარაობაში.

„ელისის თავგადასავალი საოცრებათა ქვეყანაში“ – წიგნი იმ სამყაროს შესახებ, სადაც ყველაფერი აბსურდულია, ჩემთვის სრულიად გასაგებია.

– ბაბუა მენატრება, – ვამბობ, მაგრამ სიტყვები ჩემს სევდას ვერ გადმოსცემს.

– მეც მენატრება, საყვარელო.

– მიხაროდა, ჩვენთან ერთად რომ ცხოვრობდა, ყოველთვის, როცა მამას ახალ ადგილას გაამწესებდნენ, ისიც ჩვენთან ერთად გადმოდიოდა. რა უცნაურია, არა, ახლა არც კი იცის, რომ ისევ გადავედით.

ცხვირზე თითს მადებს:

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– ალბათ იცის, საყვარელო.

ამ დროს ნაცნობი ხმები მესმის. შუშის კარიდან შეი და ჯესიკა შემოდინ.

ვტრიალდები თუ არა, შეი ამბობს:

– ნახე, აქ ვინ ყოფილა – ელი ნიკერსონი!

იცინ, დედა ამ რესტორანში რომ მუშაობს და აქ ადრეც ვუნახივარ.

შემთხვევით არ მოვიდოდნენ.

– ელი, – მეუბნება შეი, – კლასში რომ აღარ დაბრუნდი, ვინერვიულეთ.

რა სასაცილოა! ისევ ვტრიალდები, ისინი კი ჩურჩულებენ. მერე ჯესიკა მეკითხება:

– იქნებ ჩვენთან დაჯდე? – მისი ხმა შოკოლადის ფილაში დამალული ჭიკარტივითაა.

დედა თავით მანიშნებს, რომ გადავჯდე.

– მიდი, საყვარელო, შეგიძლია ცოტა შეისვენო.

დედას თვალებით ვთხოვ, გაჩუმდეს, შეი კი დათაფლული ხმით იმეორებს:

– საყვარელო.

დედა ვერ მიმიხვდა, ისევ მეჩურჩულება:

– ახალი მეგობრები კარგია, ელი. ცუდი არ იქნება, შანსი მაინც მისცე.

გოგონებს ოფიციალტი უახლოვდება და მაგიდასთან დაჯდომას სთ-

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ავაზობს, მაგრამ შეი ეკითხება:

– შეიძლება, დახლოვან დავესხედეთ?

ესღა მაკლდა.

სხდებიან, ჩვენ შორის ბარის სამი სკამია.

დედა ჩემკენ იხრება და ჩურჩულებს:

– მათთან გადაჯექი. მეგობრობის ხელს გიწვდიან.

არა. საწამლავიან ბოთლს მიწვდიან.

ჩვენი ძველი ბინა მახსენდება, რომლის პატრონსაც სახლის უკან, მინდორში, ლამები ჰყავდა. მე ძალიან მომწონდა ლამები, მაგრამ დედა ამბობდა, საშინელი სუნი ასდითო.

ჩურჩულითვე ვპასუხობ:

– შენ უფრო მიყიდი ლამას, ვიდრე მე მაგათთან გადავჯდები.

დედა ცალკებად მიღიმის:

– რა დავარქვათ ლამას?

თვალეებს ვჭუტავ და თავს ვაქნევ.

ოხრავს.

– რა ჯიუტი ხარ.

შეი და ჯესიკა ისე გვაკვირდებიან, თითქოს გალიაში დამწყვდეული ჩიტები ვიყოთ.

დედა მენიუს იღებს და მათთან მიდის.

– გამარჯობა, გოგოებო, რა მოგართვათ?

ჯესიკა მარწყვის ნაყინს უკვეთავს, მაგრამ შეის შოკოლადის უნდა

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

და ჯესიკაც უცებ იცვლის აზრს.

– აჰ, კარგია. მეც შოკოლადისას შევჭამ.

რა გასაკვირია, ის ხომ ყოველთვის ასე იქცევა.

როგორც კი დედა გადის, შვი მიემახის:

– ელი! მისის ჰოლის ის ბარათი რატომ მიეცი? ძალიან ცუდად მოიქეცი.

რადგან არ ვიცი, რა ვუპასუხო, წიგნის ფურცელს ვაშტერდები. არ მივაქცევ ყურადღებას. ადრეც დაუცინიათ ჩემთვის.

– ელი, დედაშენი ყოველთვის ოფიციალტი იყო? – მეკითხება ჯესიკა.

– არა, ადრე ასტრონავტი იყო.

სიცილს იწყებენ და დედა სამზარეულოში იღიმის. ჰგონია, რომ ურთიერთობა ავაწყვეთ.

– მამაჩემს, – იწყებს ჯესიკა, – ყვავილების ბიზნესი აქვს და ამბობს...

შვი აწყვეტინებს:

– ელი, იქნებ შენც ოფიციალტი გამოხვიდე, როცა გაიზრდები. შეგიძლია, ნაყინის სახელები წამიკითხო? კარგად ვერ ვხედავ, – ხელით ჭერში ჩამოკიდებულ კუბს მაჩვენებს, რომელიც ნელა ტრიალებს. კუბის ყველა გვერდზე სხვადასხვანაირი ნაყინი ხატია. ტრიალის გამო ჩვეულებრივზე მეტად მიჭირს წაკითხვა.

სახე მიხურს. საიდან იციან, რომ ვერ ვკითხულობ?

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

იცინიან, მე კი მახსენდება, მათ სკოლაში შარშან პირველად მისულს როგორ დამავალეს ხმამაღლა წაკითხვა. აჯობებდა, უარი მეთქვა, მაგრამ ხანდახან გონების სულელი ხმა მარწმუნებს, ამჯერად ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა და მეც ვცდილობ, მაგრამ – წარუმატებლად. იმ დღეს წავიკითხე, რომ ლიმონს საათში ოცი მილის გაცურვა შეუძლია. თურმე ლამანტინზე იყო ლაპარაკი. კლასელებს გაეცინათ, მასწავლებელსაც გაეცინა, მე კი თავი მოვიკატუნე, თითქოს სპეციალურად წავიკითხე შეცდომით.

ვდგები, გოგოებს ზურგიდან ვუვლი და საკუჭნაოში გავდივარ. იქ, წესით, არ უნდა შევდიოდე, მაგრამ ეს ერთადერთი ადგილია, სადაც არ გამომყვებიან. ლითონის მაღალ თაროებზე მწნილების და კეტჩუპის ქილები აწყვია. მეღიმება, ქილები ჩემს თავზე დიდია. ზურგით კედელს ვეყრდნობი. ჩემ გარშემო ყველაფერზე სიტყვები წერია – ყუთებზე, თუნუქის ქილებსა და უზარმაზარ პლასტმასის ბოთლებზე.

სიტყვები. მათ თავს ვერასდროს დავაღწევ.

ის დრო მახსენდება, მეორე კლასში მასწავლებელმა ასოები რომ დაწერა და წაკითხვა მთხოვა. წარმოდგენა არ მქონდა, რა ეწერა. მაგრამ ამას მიჩვეული ვიყავი.

– აქ შენი სახელი წერია, ელი, ელი ნიკერსონი.

ნეტავ თუ იციან, რომ მეორე კლასელმაც შეიძლება თავი დამცირებულად იგრძნოს?!

ცრემლები მადგება, მაგრამ თავს ვიკავებ, რადგან ვიცი, მალე მი-

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

პოვიან. ვლელავ, რომ ადრე თუ გვიან ჩემი საიდუმლო გამჟღავნდება.

ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მუცელში ჩამარტყეს.

– ელი, – შემოდის დედა, – შენი მეგობრები წავიდნენ. აქ რას აკეთებ?

ვერ ვეტყვი. ფიქრი, რომ მეგობრები მყავს, ძალიან აბედნიერებს.

– მითხარი, საყვარელო.

– კეტჩუპის ინგრედიენტებს ვამოწმებდი.

წარბებს კრავს. ხვდება, რაღაც ხდება, მაგრამ სანამ სხვა შეკითხვას დამისვამს, რესტორნის დარბაზში ვბრუნდები. ისიც მომყვება. შეისა და ჯესიკას ერთნაირ, ცარიელ ფიალებს დავყურებ. თითქოს ეს ფიალები რაღაცას მეუბნებიან. იქნებ იმას, რომ სხვებისთვის მე ვარ ასე, ცარიელი ფიალებივით, ან მანიშნებენ, რომ ეს წელიწადი ყველაზე ცუდი იქნება. ალბათ მართლაც ასეა...

თავი 5. ვერცხლის დოლარები და ხის ხუთცენტები

შემოსასვლელი კარი ბოლომდე იღება და ჩემი ძმა, თრევისი შემოდის. ზეთის სუნი ასდის. ისე გამოიყურება, თითქოს ზეთში იგორავა. მემისი დანახვისთანავე უკეთ ვგრძნობ თავს.

– როგორ არის ჩემი უსაყვარლესი ფავორიტი დაიკო?

– მე შენი ერთადერთი და ვარ.

– მაგას არ აქვს მნიშვნელობა. მაინც ჩემი ფავორიტი იქნებოდი, – იღიმის, – შენს საყვარელ უფროს ძმას დღეს ვერცხლის დოლარის

მისამართი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

დღე ჰქონდა.

ბაბუა და მამა მახსენდება – ხშირად მეკითხებოდნენ ხოლმე, ვერცხლის დოლარის დღე მქონდა თუ ხის ხუთცენტის.

თრევისი ამასობაში ჰაერში თითებს იქნევს და ჩვეულ შეკითხვას მისვამს:

– ეს რა არის?

გაიზარდა და უფრო მეტად დაემსგავსა მამას, რომელიც მაღლიერების დღის წინ გაიწვიეს შარშან. მას შემდეგ, რაც გაემგზავრა, თავს არც ისე მაღლიერად ვგრძნობ, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ბაბუა მის წასვლამდე სამი თვით ადრე გარდაიცვალა.

– გენიოსის ხელები? – ვეკითხები.

– კორექტო-მუნდო!

– მოდიხარ სახლში და მთხოვ, კომპლიმენტი გითხრა. ამჩნევ, რომ ყოველდღე ასე ხდება?

– არაფერიც, – მაცივრის კარს აღებს, – უბრალოდ, ფაქტის აღნიშვნას გთხოვ.

– აჰა, გასაგებია!

– დიახ, ზუსტად! – მეუბნება და ხელს ჩემკენ იშვერს, – გამოიცანი, რა გავაკეთე! „კოკა-კოლის“ ლამის 70 წლის აპარატი შევაკეთე, – გაზიანი სასმელის ქილას ხსნის, – ეგეთი აპარატები ბლომად ფული ღირს, – თუნუქის ქილას მაღლა სწევს, – შეხედე, იმ ძველ, მწვანე ბოთლებთან შედარებით, რა უსახურია.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

თრევისი, როგორც ჩანს, ბედნიერია. რაც უფრო ბედნიერია, მით მეტს ლაპარაკობს.

– თანაც, ძველი გამბოლის აპარატის შეკეთებაც დავიწყე. პენსი რომ უნდა ჩააგდო, ისეთის. ათჯერ უფრო ძვირად გავყიდი, ვიდრე ვიყიდე, – ხმას უწევს და სასმელს წრუპავს, – თუმცა, თავიდან ფულიც დასჭირდება და ხელის გასვრაც.

ახლოს მოდის, ალბათ თმის აჩეჩას მიპირებს, მაგრამ მე მის ჭუჭყიან ხელებს ვირიდე.

– არავითარ შემთხვევაში! არ მომეკარო!

– კარგი, რა, ელი. გადასარევი დღე მქონდა და იცი, რა? თითქმის საკმარისი ფული მაქვს ხელსაწყოების საყიდლად. ერთ დღესაც დიდი ნეონის აბრა მექნება, – ხელებს იმხელაზე შლის, თითქოს მაღალ მთებს მაჩვენებს, – „ნიკერსონის სახელოსნო“. ჩემი სახელი, ჩვენი სახელი ერთ დღესაც განათდება, ელი, მაგრამ... – ხმადაბლა აგრძელებს:

– ...სკოლას თავი უნდა დავაღწიო. ხომ იცი, ისე ვერ ვეგუები სკოლას, როგორც წყალი და ზეთი არ ერევა ერთმანეთს. ნეტა დედა უფლებას მომცემდეს, თავი დავანებო.

– მოგკლავს.

– კი, მამაც. სიკვდილი არ იქნება მომგებიანი ჩემი ბიზნესისათვის,

– იცინის, – თუმცა, დიდი დრო აღარ დარჩა. სახელოსნოში უამრავი რამ ვისწავლე. უფროსი ბევრი სხვადასხვანაირი საქმის გაკეთების უფლებას მაძლევს.

ვუღიმი.

– მალე კლასიკურ მანქანას ვიყიდი. სულ ცოტა ექვსცილინდრიანს. თრევისი ოთახიდან გადის და მისი გასვლის შემდეგაც ვგრძნობ ზეთის სუნს.

მიხარია, ვერცხლის დოლარის დღე რომ ჰქონდა.

როცა დედა, ბოლოს და ბოლოს, შინ ბრუნდება, უკვე ნასადილევი ვარ და ტელევიზორს ვუყურებ, თან მოშინაურებულ ლამას ვხატავ, რომელსაც „ბუჩ კესიდის“ ვარქმევ. ასეთი სახელის პატრონს აუცილებლად სჭირდება კოვბოის ქუდი, ბენდენა და პისტოლეტის ბუდე ქამარზე. მაგრამ პისტოლეტის ბუდეში სიმინდის ტაროს ჩავუდებ.

დედა ტელევიზორს მირთავს. ვხვდები, რაღაცის თქმას აპირებს.

– როდის უნდა ვილაპარაკოთ დღევანდელზე?

– ჩემს ოთხმოცდამეთხუთმეტე დაბადების დღეზე.

– რა სასაცილოა, – ფეხს ინაცვლებს, – ვცდილობ, ამ ყველაფერს მოთმინებით მოვეკიდო. მართლა ვცდილობ. მაგრამ დღეს ხომ წვეულება იყო, როგორ მოახერხე წვეულებაზე უსიამოვნებაში გახვევა?

– არაფრის გაკეთება არ მჭირდება. ისედაც ყველას ვძულვარ, – აღმომხდება პასუხად.

– ეჭვი მეპარება. ვერ ხვდები, რომ დაიღალნენ შენი მუდმივად აღმაშფოთებელი საქციელით და იმ სიტყვებით, რომლებსაც სხვების გასაცინებლად ამბობ.

ვერაფერს ხვდება. სხვების გაცინება მაშინ, როცა ამის გაკეთება არ

გინდა, საშინელებაა. საკუთარი თავის დაცინვა ძალიან დამამცირებელია.

– ოჰ, ელი, შენ საკმაოდ ჭკვიანი ხარ. სკოლა სახუმარო არაა, მეტი სერიოზულობა გმართებს. არ მინდა, ჩემსავით მთელ დღეს ფეხზე იდგე ცოტაოდენი დამატებითი გასამრჯელოს მისაღებად. მინდა, უკეთესი ცხოვრება გქონდეს. შენ ხომ ძალიან გონიერი ხარ. მათემატიკას კარგად სწავლობ. მშვენივრად ხატავ. არ გგონია, რომ დროა, მასხარაობას შეეშვა?

– არ ვარ გონიერი. შენ კი მეუბნები, მაგრამ ჭკვიანი სულაც არ ვარ.

– ყველამ ვიცით, რომ ეგრე არ არის. თუმცა, შეგიძლია, უფრო მეტი იმეცადინო.

დავიღალე ლაპარაკით. ასჯერ მაინც გვისაუბრია ამ თემაზე. მესამე კლასში მასწავლებელმა დედას ჩემზე უთხრა, სხვებთან შედარებით ყველაფერს ნელა სწავლობს და მისგან ბევრს არ უნდა ელოდოთო.

მაშინ დედას თვალეები გაუფართოვდა და აუწყლიანდა, მე კი სევდა და სირცხვილი ვიგრძენი იმის გამო, რომ იძულებულია, დედაჩემი იყოს.

დედამ არ დაიჯერა მასწავლებლის ნათქვამი. ხანდახან ვნატრობ, დაეჯერებინა, მაგრამ უფრო ხშირად მადლობელი ვარ, რომ არ დაიჯერა.

ჩემკენ იხრება და თვალეებში მიყურებს:

– ვიცი, ერთი ადგილიდან მეორეზე ბევრჯერ გადასვლა შენთვის რთული იყო. ისიც ვიცი, რომ სულ ვმუშაობ და შენს საშინაო დავალებ-

ბებს ვერ ვადევნებ თვალს. ამის გამო გაგიჭირდა რამდენიმე საგნის სწავლა. მაგრამ მეტად უნდა მოინდომო, ელი. ის, რაც ღირებულია, დიდი შრომით მოიპოვება.

– გამოვასწორებ, – ადრე მართლა მჯეროდა ჩემი გამოსწორების, ახლა კი ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მორიგ ზღაპარს ვიგონებ.

სევდიანი ღიმილით მიყურებს და თავზე მკოცნის:

– მაშ, კარგი..

– შეიძლება, ტელევიზორი ისევ ჩავრთო?

წინსაფარს იხსნის და თვალს არ მაშორებს.

– უკვე იბანავე?

– არა, – ვოხრავე.

ისეთი დაღლილი ხმა აქვს, ვხვდები, კამათს აზრი არ აქვს. დერეფნისკენ ფეხათრევით მივდივარ.

– სხვათა შორის, აღარ მინდა გავიგო, რომ ვინმეს სძულხარ. როგორ შეიძლება, შენ ვინმეს სძულდე?

როგორ მინდა, ჩემი ესმოდეს. მაგრამ ეს ხომ ისევე წარმოუდგენელია, როგორც ვეშაპს ავუხსნა, რას ნიშნავს ტყეში ცხოვრება.

თავი 6. მონეტა, რომელსაც სამი მხარე აქვს

მე და თრევისი ანტიკვარული ნივთების მაღაზიის წინ ვდგავართ.

თრევისი კარს მიღებს და წინ მატარებს. კარზე ჩამოკიდებული ზარი

შიგნით მყოფებს ჩვენს შესვლას ატყობინებს. მაღაზიაში გამჯდარი მტ-

ვრის სუნი სასიამოვნო მოგონებებს აღმიძრავს; ბედნიერ დროს მახსენებს, ერთად ყოფნის დროს, როცა მამას და ბაბუას მე და თრევისი მონეტების საყიდლად დავყავდით. რიცხვებსა და ფულში მე და თრევისი კარგად ვერკვევით, ამიტომ ეს საქმე მალე ავითვისეთ.

ბაბუას ყველაზე მტვრიანი მაღაზიები უყვარდა. ასეთ მაღაზიებში დაუზიანებელი მონეტების ნაკრები ჰქონდათ ხოლმე სეიფებში შენახული. მონეტებს ახალ ფულზე ვცვლიდით და მოგვიანებით სახლში ვათვალთვლებდით. ხანდახან ძველ ხუთცენტისს, ათცენტისს ან ინდიელის გამოსახულებიან ერთცენტისს ვპოულობდით. ეს ყველაფერი ცოტათი შობას მახსენებდა. ახლა აქ ყოფნა უკან, იმ დროში დაბრუნებას მანდომებს.

დახლსუკან მდგომი კაცი არ გვესალმება. პირში კბილების საჩიჩქნი უღევს და ენით აქეთ-იქით ატრიალებს. ეს თან შთამბეჭდავია, თან ერთ-ერთი ყველაზე ამაზრზენი რამეა, რაც მინახავს.

თრევისი შუშის დახლზე იხრება და მონეტებით სავსე კოლოფებს აკვირდება.

– რამე გჭირდება? – კაცი ისე ეკითხება, კლიენტს რომ არ უნდა მამართო. ეს დედასგან ვიცი.

– მონეტების ყიდვა მინდა, – პასუხობს თრევისი.

– ჰოო?!

– ჰო, – თრევისი ნიკაპს ისრესს. ასე იქცევა, როცა ნერვიულობს.

კაცი კბილის საჩიჩქნს პირიდან იღებს და თრევისისკენ იშვერს:

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– ფულს გადაიხდი თუ, უბრალოდ, გრძელი ენა გაქვს?

თრევისი იმას აკეთებს, რაზეც მამამ გვითხრა, არასოდეს გააკეთოთ: ფულს უჩვენებს. თანაც საფულიდან კი არ იღებს, როგორც ყველა, თასმით აქვს შეკრული.

კაცს თვალები უფართოვდება.

– რამე განსაკუთრებულს ეძებ?

– თავისუფლების მონეტები მინდა. გაქვთ?

გამყიდველი რამდენიმე მონეტას იღებს და გვაჩვენებს. ერთ-ერთი მერკურის გამოსახულებიანი ათცენტია, მერკურის ყურების ადგილას ფრთები აქვს.

– ეს მახსოვს! – ვამბობ მე, – ასეთი მამას უდევს საფულეში.

თრევისი მონეტას ხელში ატრიალებს:

– რაიმე უფრო უჩვეულო გაქვთ?

კაცს თვალები გაოცებისგან შუბლზე ასდის. მერე უჯრას ხსნის:

– ეს არის უჩვეულო, მაგრამ ძვირი დაგიჯდება.

– განსაკუთრებულში ფული არ დამენანება.

– კარგი, აი, განსაკუთრებული.

დახლზე პენსს დებს.

თრევისი იღებს და სახეზე გაოცება ეხატება:

– ეს სხვა პენსებზე პატარაა.

კაცი თავს უქნევს:

– იშვიათი მონეტაა.

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

თრევისი მე მიყურებს, მერე გამყიდველს მიმართავს:

– რა ღირს?

– თუ მონეტებში ერკვევი, გეცოდინება, რომ, ნაკლი როცა აქვს, უფრო ძვირია.

ნაკლი აქვს და უფრო ძვირია?!

– მოკლედ, რა ღირს? – ეკითხება თრევისი.

კაცი თავს ოდნავ გვერდზე ხრის და პასუხობს:

– სხვა შემთხვევაში 80 დოლარს მოვითხოვდი, მაგრამ, მოდი, ვთქვათ 75.

თრევისი იღიმის. მახსენდება, მამამ გვითხრა, არ გაიღიმოთ, როცა თანხა მოგეწონებათო. საუკეთესო ფასიც რომ გითხრან, მაშინაც კიო.

თრევისი კი ისე იცინის, თითქოს ლატარია მოიგო. მე ორივეს მაგივრად ვცდილობ, სერიოზული ვიყო.

– ძალიან გულუხვი საქციელია თქვენი მხრიდან. 75 დოლარი აზოტმყავაში ამოვლებული პენსისთვის.

კაცს სახიდან ღიმილი უქრება.

– დარწმუნებული ვარ, პოლიციას დააინტერესებს ასეთი თაღლითობა.

– მისმინე...

თრევისი აწყვეტინებს:

– გუშინდელი კი არ ვარ. ჩემთან ეგეთები არ გაგივა, – და იმ მონეტაზე უთითებს, რომელზეც ფართო მოსასხამში გახვეული ქალია გა-

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

მოსახული, უკან კი მზის სხივები ჩანს. ძალიან ლამაზია, – აი, ის 1933 წლის მოსიარულე თავისუფლების ქანდაკების გამოსახულებიანი ნახევარდოლარიანი რა ღირს?

– ეგ მონეტა კარგ მდგომარეობაშია, რეალურად...

– უბრალოდ, ფასი მითხარი, – თრევისი წინ იხრება და ხელისგულებს დახლზე აწყობს.

– 45.

– 33 და მერკურის ატცენტრიანიც დაუმატე ჩემი პატარა დისტვის.

მოულოდნელობისგან ვხტები. ჩემთვის?!

ვხვდები, თრევისი მამას წესს მიჰყვება და იმის ოც პროცენტზე ნაკლებს სთავაზობს, რაც მოსთხოვეს. თავის მხრიდანაც რაღაცას ამატებს.

– ორმოცი, – ამბობს გამყიდველი.

თრევისი თავს უკრავს:

– მოვრიგდით, – ფულს შუშის დახლზე აგდებს.

გარეთ გამოვდივართ და თრევისი ატცენტრიანს მაწვდის.

– ძალიან ლამაზია! ძალიან მომწონს. თრევისი! ყველაზე მაგარი ხარ!

ცოტა სევდიანი სახე აქვს:

– იცი, ბაბუა 1933 წელს დაიბადა. ამიტომ ავარჩიე ეს მონეტები.

ორივე იმ წელსაა მოჭრილი.

მერკურის გამოსახულებიან მონეტას და მისი გამოშვების თარიღს

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

დავყურებ და ვნატრობ, ადამიანებიც იმდენ ხანს ცოცხლობდნენ, რამდენ ხანსაც მონეტები ძლებენ.

მანქანაში რომ ვსხდებით, თრევისი ამბობს:

– ამ კაცს სულელი ვეგონე. ჩემი გაძარცვა მოინდომა. დაიმახსოვრე, ელი, როცა ადამიანები შენგან ბევრს არაფერს ელიან, შეგიძლია ეს შენს სასარგებლოდ გამოიყენო, – მერე თვალებში მიყურებს და თითს ჩემი ცხვირისკენ იშვერს, – უბრალოდ, შენ არ უნდა გეგონოს, რომ ბევრი არაფერი შეგიძლია. გასაგებია?

თავს ვუქნევ, მაგრამ ვფიქრობ, ამ ბოლო დროს რთულია, ასე არ გეგონოს.

თავი 7. აქ ბაბუები არ არიან

ლოგინზე ვზივარ და „ელისის თავგადასავალი საოცრებათა ქვეყანაში“ მიჭირავს. პირველ გვერდზე გაკრული ხელით წერია: „ელის, ჩემს გასაოცარ გოგოს! სიყვარულით, ბაბუა“. წიგნი ძველია, მაგრამ სულ არ არის გახუნებული, ფერები ისევ ნათელი და მკვეთრია. ფურცლები რბილია და ასოებიც უფრო დიდი, ვიდრე ახალ წიგნებში. თუმცა, მაინც ვერ ვკითხულობ. ეს იმას ჰგავს, შუშის ყუთში გამოკეტილი საჩუქარი რომ მოგართვან.

გულზე ლოდი მაწევს. ყოველთვის ასე ვარ კვირა საღამოს. სკოლაში გასატარებელ კიდევ ერთ კვირაზე ვფიქრობ და იმიტომ. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს კლიტის ჭუჭრუტანაში საბურავი უნდა გავაძვ-

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

რინო.

თუმცა, ხვალიდან ახალი მასწავლებელი გვეყოლება – მისტერ დენიელსი. ისეთი სახელი აქვს, ალბათ ბაბუას მსგავსი კაცი იქნება, ტკბილეულით სავსე ჯიბეებით. ამაზე უარს არ ვიტყვდი. იმედი მაქვს, დიდ დროს დაუთმობს თავისი ჰალსტუხის გასწორებას და ძველი ამბების მოყოლას, თან ბევრ საშინაო დავალებასაც არ მოგვცემს.

სკოლაში მისული ვხედავ, რომ მისტერ დენიელსი ბაბუას სულაც არ ჰგავს. მისის ჰოლიზე ახალგაზრდაა. მუქი პიჯაკი აცვია და ჰალსტუხზე ფერადი წრეები ახატია. როცა ახლოს მივდივარ, აღმოვაჩენ, რომ ეს წრეები პლანეტებია.

ბავშვების უმრავლესობა მის გარშემოა შეკრებილი. ჩემს ნივთებს კარადაში ვაწყობ და მათკენ მივდივარ. მასწავლებელი ამბობს:

– ჩემმა არაჩვეულებრივმა დედამ ნაჩოსი მოგვართვა.

მერე აცხადებს, ეს ჰალსტუხი იმიტომ მიკეთია, ასე იოლად ვიხსენებ მზიდან პლანეტების თანმიმდევრობასო.

ალბერტი, რომლის ვარცხნილობაც ჩიტის ბუდეს მაგონებს, ამბობს:

– მეცოდება პლუტონი.

მისკენ ვბრუნდები და დალურჯებული მკლავი მხვდება თვალში.

– პლუტონი დიდხანს მიიჩნეოდა პლანეტად. მერე ვიღაცამ გადაწყვიტა, რომ ის პლანეტა აღარ არის. ძალიან პატარა და შორეული ყოფილა. ორბიტაც კი არ ჰქონია წესიერი.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– არა მგონია, პლუტონს ეგ აღელვებდეს, ალბერტ, – ვბურდღუნებ მე.

თავის მერხთან ჯდება და ამბობს:

– მე მალეღვებს.

მეცოდება და მინდა ჩალურჯებულ ხელზე ვკითხო. ზორბა და მოუქნელია, თუმცა, მსუქანი არ არის. იმხელაა, სხვა ბავშვებმა, წესით, ვერაფერი ვერ უნდა გაუბედონ.

სკამს ვწევ და ვჯდები. ჩემს თავს ვეუბნები, რომ დღეიდან უფრო მოვინდომებ და მთელ ყურადღებას მოვიკრებ. თუმცა, უკვე ბევრჯერ ვცადე და არაფერი გამომივიდა.

ჩემთვის კითხვა იმას ჰგავს, რაიმე ხელიდან რომ გაგივარდება, ჰაერში დაჭერას ცდილობ და როცა გგონია, დაიჭირე, ისევ გისხლტება. მონდომება რომ საკმარისი იყოს, გენიოსი ვიქნებოდი.

მისტერ დენიელსი ჩემ წინ დგას. სუნთქვა მეკვრის და უკან ვიწევ.

ხელს მიწვდის:

– მე მისტერ დენიელსი ვარ. სასიამოვნოა შენი გაცნობა.

შეი ჯესიკასკენ იხრება:

– ეტყობა, არ იცის, ვის ელაპარაკება.

როგორც ყოველთვის, მისი მეგობრები ხითხითებენ.

– ჰეი, – მისტერ დენიელსი შეისკენ ტრიალდება, – რა გაცინებთ?

ჩვენ აქ ასე არ მოვიქცევით, – შეის სახიდან ღიმილი უქრება, მასწავლებელი კი ისევ მე მიბრუნდება: – რა გქვია?

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– ელი ნიკერსონი, – ისე ჩუმად ვპასუხობ, თავად ძლივს მესმის.

– ხელს ჩამომართმევ, ელი ნიკერსონ? ორშაბათობით არ ვიკბინ-
ები.

მაგარია. ესლა მაკლდა, ხუმარა მასწავლებელი. ხელს ვართმევ,
ოღონდ მაშინვე უკან მიმაქვს. თავბრუ მეხვევა, თავში იმდენი კითხვა
მიტრიალებს. ალბათ რა საშინელ რაღაცებს ეტყოდა ჩემზე მისის სი-
ლვერი, რა გეგმებს დასახავდნენ. წარმოვიდგენ, როგორ ვწევარ გა-
კოჭილი ლიანდაგზე, ზუსტად ისე, ბაბუას საყვარელ, შავ-თეთრ, უხმო
ფილმებში რომ მინახავს.

– კარგი, ფანტასტიკურებო! დაიკავეთ ადგილები, – მოგვმართავს
მისტერ დენიელსი, – დროა, სამყაროს ცეცხლი შევუნთოთ. (სამყარ-
ოსთვის ცეცხლის შენთება – ინგლისური იდიომი, რომელიც გულისხ-
მობს დიად საქმეს, მნიშვნელოვან ცვლილებებს.)

ბავშვები ადგილებს იკავებენ, მე კი ისევ წარმოსახვით ლიანდაგზე
ვწევარ გაკოჭილი და ჩემკენ მომავალ მატარებელს გავყურებ.

თავი 8. ნამდვილი უსიამოვნება

პირველი დღე ახალ მასწავლებელთან ერთად კარგად იწყება. დი-
ლით მათემატიკა გვაქვს და მისტერ დენიელსი ერთ თამაშს გვასწავლ-
ის, რომელსაც „ავტობუსის მძღოლი“ ჰქვია. ვითომ ავტობუსის მძღო-
ლები ვართ, გვეუბნება, რამდენი ადამიანი ჩამოვიდა და ავიდა ავტო-
ბუსში. და ჩვენც ზეპირად ვუმატებთ და ვაკლებთ. არც ფურცელი გვაქ-

ვს, არც ფანქარი, უბრალო არითმეტიკაა.

უფრო პატარა რომ ვიყავი, მათემატიკა მიყვარდა. ყველაფერი მომწონდა. მაგრამ სკოლაში მას ასოები ახლავს. მაგალითად, რას უდრის X? ზოგიერთ ამოცანას ამბავი უძღვის, რომელშიც პერსონაჟები არიან და თუმცა, ეს ამბები რიცხვით უნდა მთავრდებოდეს, სიტყვები გზაზე მელობებიან და ფინიშამდე არ მიშვებენ.

დღე ხის ხუთცენტის დღედ ლანჩის დროს იქცევა, როცა მისტერ დენიელსი თავის მაგიდასთან მიხმობს. ხელში ის დავალება უჭირავს, რომელიც მისის ჰოლმა მოგვცა და საკუთარი თავის დახასიათება გვთხოვა, და რომელშიც ერთადერთი სიტყვა „რატომ“ წერია ბევრჯერ. გული მიქანდება.

– მაინტერესებს, ეს რას ნიშნავს. შეგიძლია, ამიხსნა?

მხრებს ვიჩეჩ.

– მხოლოდ ერთი აზრად რომ დამიწერო? რამე შენ შესახებ. სიამოვნებით წავიკითხავდი.

ხმას არ ვიღებ. მასწავლებლები საერთოდ ასეთები არიან: თუ დიდად არ უპასუხებ, შენ მაგივრად იწყებენ ლაპარაკს და თავისსავე კითხვებს პასუხობენ. შენ შეგიძლია, უბრალოდ, თავი უქნო. ასე რომ, ვიცდი.

ისიც იცდის.

ბოლოს ამბობს:

– კარგი, რა, ერთი აზრად დაწერა ნამდვილად შეგიძლია.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

გული მიმძიმდება.

– არა.

ჯობია, არ გამიცნოს. ისე გამოვა, საშობო ფილმებში ადამიანებს რომ აინტერესებთ, რა არის სარდაფში, მაგრამ მერე, როცა გაიგებენ, ძალიან ნანობენ.

– ელი, უარს მეუბნები? – მეკითხება გაბრაზების გარეშე.

ვეკავდები.

ღრმად ჩაისუნთქავს და ჩემკენ იხრება:

– ანუ, წერა არ მოგწონს?

უარის თქმას ვფიქრობ, მაგრამ შეიძლება ამის გამო ისევ შარში გავეხვიო. როგორც ბაბუას საყვარელ წიგნში, „ელისის თავგადასავალია“, ჭადრაკის თამაშისას ბოლომდე დარწმუნებული უნდა იყო შენი სვლის სისწორეში... მაგრამ მერე ვფიქრობ, რომ მისტერ დენიელსმა ალბათ უკვე იცის. ამიტომ თავს ვუქნევ.

– აბა, რა მოგწონს?

– ქათმის ფრთები.

იცინის.

– სკოლაში რა მოგწონს?

– სკოლიდან წასვლა.

ელოდება, რომ კიდევ რამეს ვიტყვი.

– მათემატიკა მიყვარს... და ხელოვნება. ხატვა მიყვარს.

– მშვენიერია. ხშირად ხატავ?

მისამართი: www.sulakauri.ge

სსსპ სტუდენტები: www.StudentBlog.ge

– კი.

– წერა რთულია თუ, უბრალოდ, არ მოგწონს?

– ადვილია, – ვატყუებ, – მაგრამ მოსაწყენია.

– იქნებ რამე ისეთი მოვიფიქროთ, რომ ნაკლებად მოსაწყენი გახდეს შენთვის? წერა აღმოჩენებისთვის მშვენიერი გზაა. შემოქმედებითად მიუდექი. კითხვები დასვი.

ჩემს დავალებაზე ვუთითებ:

– აქ უამრავი შეკითხვა დავსვი.

– დიახ, – იცინის, – ნამდვილად ასეა.

ღრმად ჩაისუნთქავს:

– ელი, არ დაგიმაღავ. მე ვესაუბრე მისის ჰოლისაც და მისის სილვერსაც. ვიცი, რომ დირექტორის კაბინეტში საკმაოდ დრო გაქვს გატარებული. იმ კაბინეტში მოხვედრას იოლად ახერხებ, თუმცა, იცოდე, შესაძლებელია, იოლად მოახერხო არასწორად მოქცევაც.

ახალი ამბავი.

– მინდა იცოდე, რომ ძალიან ვეცდები, იმ კაბინეტში აღარ გაგგზავნო. თუ რამე გვექნება მოსაგვარებელი, მე და შენ ერთად მოვაგვარებთ, – თვალს მიკრავს, – ის, რაც 206-ე ოთახში მოხდება, 206-ე ოთახშივე დარჩება.

რა?

– ჩვენ მისის სილვერს აღარ ჩავრევთ, კარგი? მას ისედაც ბევრი საქმე აქვს.

მისამართი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ნუთუ ჩემს მშველელს – დავალების თავიდან ასარიდებელ საშუალებას – მართმევს?

– და კიდევ, – თვალეზში მიყურებს, – იცოდე, რომ შენს მხარეს ვარ. მინდა, დაგეხმარო.

დამეხმაროს? წარმოდგენა არ აქვს, რა ელის.

თავი 9. არაფრით სავსე ჩანთა

სკოლაში დღეს ისეთი რამ უნდა მივიტანოთ, რაც კლასელების წინაშე თავის წარდგენას გაგვიადვილებს. ვფიქრობდი, მე რა უნდა წამელო, მაგალითად, ტალახით სავსე ქილა ან არაფრით სავსე ჩანთა.

მისტერ დენიელსი მოხალისეებს სთხოვს, პირველები გამოვიდნენ. რასაკვირველია, ხელს შეი იწევს.

ფეხზე დგება. ხელში თავისი ცხენის – დაიმონდის ფოტო უჭირავს. ჰყვება, როგორ უყვარს ცხენი, როგორ აჭენებს კვირაში რამდენჯერმე და რამდენი შრომა სჭირდება მის მოვლას. თავის ჩაფხუტს და ძვირადღირებულ კოსტიუმსაც გვიჩვენებს. როგორც ჩანს, ქვეყანაზე არაფერი მოიძებნება, შეის რომ არ ჰქონდეს.

ჯესიკას შეის ფოტო მოუტანია და გვიყვება, რა კარგი მეგობრები არიან ისინი. ეს ცოტა სასაცილოა, რადგან, წესით, საკუთარ თავზე უნდა ვისაუბროთ.

ოლივერი ხტუნვა-ხტუნვით გამოდის. ის ორივე ტერფით არასდროს დგას იატაკზე. ნათურას გვიჩვენებს:

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– მე სინათლის წყარო ვარ!

– მართლა? – ეკითხება მისტერ დენიელსი.

– უფრო სწორად, მამაჩემი. ის ნათურებს ყიდის. რომ გავიზრდები, მეც გამყიდველი ვიქნები. საკიდებს გავყიდი.

– საკიდებს? – უკვირს მისტერ დენიელსს.

– დიახ! მე ვფიქრობ, ისეთი რამ უნდა გაყიდო, რაც ყველას სჭირდება. რადგან თუ იმას შესთავაზებ, რაც არავის უნდა, მაშინ არ გაგეყიდება, ხომ ასეა? ჰოდა, საკიდი ყველას სჭირდება.

მისტერ დენიელსი ილიმის და ოლივერს ხელს მხარზე ადებს:

– ოლივერ, რა ჭკვიანი ბიჭი ხარ!

არცთუ ისე დიდი ხანია, რაც ამ სკოლაში ვარ, მაგრამ ვხვდები, რომ ოლივერისთვის მსგავსი რამ არავის უთქვამს. სკამზე ეშვება და უკან ყირავდება, მაგრამ ხელით მერხს ებლაუჭება, სწორდება და კმაყოფილი სახით იყურება.

შემდეგი ალბერტია. მას, როგორც ყოველთვის, ის მაისური აცვია, რომელსაც „ფლინტი“ აწერია, ხელები კი დალურჯებული აქვს. ლანჩის ყავისფერი ქაღალდის პარკიდან გამჭვირვალე სითხით სავსე ქილას იღებს.

ჩაახველებს და გვიხსნის:

– ეს არის ორი წილი წყალბადისა და ერთი წილი ჟანგბადის მოლეკულების ნარევი.

– აფეთქდება? – ყვირის ოლივერი.

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ალბერტი არ პასუხობს. თავსახურს ხსნის და სითხეს სვამს. მეც მე-
შინია, მაგრამ ჩუმი ვარ, ოლივერი კი ლამისაა გაგიჟდეს:

– დალია! დაინახეთ? მოლეკულები დალია! რა საზიზღრობაა!

– ეს ჩვეულებრივი წყალია, – გვიხსნის ალბერტი.

შეი ჯესიკას ეჩურჩულება:

– წყალი? მართლა? მეტი არაფერი აქვს?

შეის სულ უფრო უკეთ გამოსდის უხეშად მოქცევა. მას შემდეგ, რაც
ოლივერის დაცინვისათვის მისტერ დენიელსმა შესვენების დროს კლ-
ასში დატოვა, ცდილობს, კომენტარები მაშინ გააკეთოს, როცა მისტერ
დენიელსი დაკავებულია ან ვინმეს ესაუბრება.

– ეს წყალი გიგანტური მიწისქვეშა ტბიდანაა. იგი რამდენიმე კი-
ლომეტრზეა გადაჭიმული, – აცხადებს ალბერტი, – ეს ის წყალია, რო-
მელშიც დინოზავრები დადიოდნენ ასი მილიონი წლის წინ და რომე-
ლსაც გამოქვაბულში მცხოვრები ადამიანები სვამდნენ. ამ წყალში ჯერ
კიდევ გასულ წელს პოლარული დათვები დაცურავდნენ, შუა საუკუნ-
ებში მცხოვრები რაინდები კი მას ბრძოლის შემდეგ ეწაფებოდნენ.
ოლივერი და ბიჭების უმრავლესობა ფეხზე წამომხტარან. ცდილ-
ობენ, უკეთ დაინახონ.

– რა მაგარია, ალბერტ! – აღტაცებულია მაქსი, – სად იშოვე?

ჯესიკა და შეი იღიმებიან და წინ იხრებიან, რომ მაქსს შეხედონ. შეი
ეკითხება:

– ჰო, ალბერტ. სად იშოვე?

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– ჩვენი სამზარეულოს ონკანში.

რა?!

– დედამიწის წარმოშობის დღიდან მოყოლებული, მისი ბინადრები მუდმივად ერთსა და იმავე წყალს ვიყენებთ, ის არ შეცვლილა. ეს ჩემთვის მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც მეცნიერმა და ისტორიკოსმა, ვიცი, რომ დროის დინებაში ჩვენ ერთი გაელვება ვართ, ქვიშის ერთი ნაწილაკი დროის მთელ სანაპიროზე.

ბავშვები ბუზღუნებენ.

– ისევ დაიწყო პროფესორობა, – ამბობს მამა.

– ჰო, სულ თავის გამოჩენას ცდილობს, – ეთანხმება ჯესიკა.

– მორჩით, – აჩუმებთ მისტერ დენიელსი, – ჩემი აზრით, ალბერტის მოსაზრება უაღრესად საინტერესოა, დედამიწაზე წყალი არ იცვლება. შესანიშნავია, ალბერტ!

შემდეგ კეიშას იძახებს. კეიშას ხელში პატარა ყუთი ისე ფრთხილად უჭირავს, თითქოს ეშინია, შიგ რაც დევს, არ გაუტყდეს. მერე ყუთიდან მაფინს იღებს და ბიჭები იმაზე კამათობენ, რომელს შეხვდება ის.

– მაფინი ნაყიდი არ არის, მე გამოვაცხვე.

– და რატომ არის ის შენთვის მნიშვნელოვანი? – ეკითხება მისტერ დენიელსი.

– მიყვარს ცხოვა. დედას ვუთხარი, როცა გავიზრდები, მინდა, ბიზნესი მქონდეს-მეთქი, მან კი მიპასუხა, რომ ახლანდელზე უკეთესი დრო არ არსებობს რამის დასაწყებად. და თქვენ პირველები ხართ, ჩემი ოჯ-

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ახის შემდეგ, ვისაც ჩემს მაფინებს ვაჩვენებ.

– ღმერთო ჩემო, – ჩურჩულებს შეი, – ისე იქცევა, თითქოს მის გარდა არავის გამოუცხვია მაფინი, მორთულიც კი არ არის.

– შეი, თუ შეიძლება, საქმიანი კომენტარები გააკეთე, – უთითებს მისტერ დენიელსი.

– მართალია, გარედან უბრალოა, – ცალყბად უღიმის შეის კეიშა,

– მაგრამ მთავარი შიდა ნაწილია.

კეიშა ყუთიდან დანას იღებს და მაფინს ორად ჭრის.

– როგორც ხედავთ, შიგნით წერია „იფ, იფ!“

– როგორ გააკეთე? – ეკითხება სუკი. მისი ხმის გაგონება მაკვირვებს. ძალიან იშვიათად ამბობს რამეს.

– ექსპერიმენტებს ვატარებ ხოლმე, სხვადასხვანაირი ცომისგან ასოებს ვპერწავ. ასოები მაფინის თხელი ცომით გამომყავს, ფორმაში ვასხამ და ზემოდან ისევ თხელი ცომით ვფარავ.

– კოვზს ლოკავ ხოლმე? – ეკითხება ოლივერი, – მე კოვზის გალოკვა მიყვარს. მაგრამ დედა ამბობს, რომ ბევრი შაქარი ცუდია. ამიტომ ნამცხვრებს იშვიათად აცხობს...

– ოლივერ, – მისტერ დენიელსი ოლივერს უყურებს, ყურზე ხელს იკიდებს და ბიბილოს ქაჩავს. ოლივერი მაშინვე ჩერდება.

რამე მინიშნება აქვთ, თუ რა ხდება?

მისტერ დენიელსი მაფინს უყურებს:

– კეიშა, ეს მართლა შთამბეჭდავია!

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– იცით, ჩემს საცხობს რას დავარქმევ? „ფარული გზავნილები – შეტყობინების გაგზავნის საუკეთესო საშუალება“.

– მშვენიერია, კეიშა, – ამბობს მისტერ დენიელსი, – უსაზღვრო შესაძლებლობები გაქვს.

ალბერტი ხელს იწევს და მისტერ დენიელსი საუბრის ნებას რთავს.

– შესაძლებლობები, სინამდვილეში, არ აქვს უსაზღვრო, რადგან საბოლოოდ კეიშას ასოების კომბინაციები გამოელევა და თითოეულ მაფინში გამოსაყენებელი ასოების რაოდენობაც შემცირდება. თანაც, თქვენ გულისხმობთ, რომ შესაძლებლობა ყოველთვის პოზიტიურია, მაშინ, როცა შესაძლებლობებს თანაბრად აქვს დადებითი და უარყოფითი შედეგი.

– მართალი ხარ, ალბერტ, მაგრამ მე ოპტიმისტი ვარ. რა ვქნა?

– ესე იგი, მეთანხმებით, რომ შესაძლებლობები უსაზღვრო არ არის?

– მათემატიკის გადასახედიდან, გეთანხმები, ალბერტ, მაგრამ ადამიანური გადასახედიდან, არა. მე მჯერა, რომ ის, რასაც რიცხვებით განვსაზღვრავთ, შესაძლოა, სულაც არ იყოს ყველაზე მნიშვნელოვანი. ვერ გაზომავ იმას, რაც ადამიანებს ადამიანებად გვაქცევს. მაგალითად, კეიშას შემოქმედებით მიდგომას ან იმას, თუ რამდენად თავდაუზოგავად იშრომებს, – მისტერ დენიელსი მხრებს იჩქის, – ეს, უბრალოდ, ჩემი შეხედულებაა.

– გამოდის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რის გაზომვაც შეგვ-

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

იძლია, და, ესე იგი, დამტკიცებაც.

– ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, მგონი, უნდა შევთანხმდეთ, რომ ჩვენ ვერ ვთანხმდებით, – მისტერ დენიელსი ალბერტთან მიდის, მხარზე ხელს ადებს და სუკის იხმობს.

სუკი ქალაღდის პატარა შეკვრებს იღებს და ყველას ურიგებს.

– ორი რამ მინდა გაგასინჯოთ. ერთი ჰონე-სენზე, ბაბუაჩემის საყვარელი საჭმელი, მეორე – იაპონური პირშუმხას მარცვალი. შეიძლება ცხარე იყოს. ამერიკაში საჭმელი ცოტა... – მისტერ დენიელსისკენ ტრიალდება, – როგორ უნდა ვთქვა?..

უეცრად მაქსი ადგილიდან ხტება და ხელსაბანისკენ გარბის, კეიშა და ჯესიკაც უკან მიჰყვებიან.

– ძალიან ცხარეა, – ყვირის მაქსი. სამივე ერთდროულად აწყდება წყალს.

– ...აჰ, ჰო, – აგრძელებს სუკი, – უგემური. აქაურ საჭმელს გემო არა აქვს, – ალბათ ჰგონია, რომ ხელსაბანთან მყოფი სამი ბავშვის საქციელი სასაცილო და უცნაურია.

მე კი ამ დროს იმაზე ვფიქრობ, რა ძნელი უნდა იყოს სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლა და უცხო ენის სწავლა. მე ერთ ენასაც კი ვერ ვუმკლავდები.

მისტერ დენიელსი იცინის. ხელში პატარა, ღია მწვანე მარცვალი უჭირავს.

– არადა, თითქოს ცხარე არ უნდა იყოს.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ბავშვების უმრავლესობა გასინჯვაზე უარს ამბობს. სუკი ცოტა ნაწყენი ჩანს.

ალბერტი პირში იღებს, ყლაპავს და ისეთ სახეს იღებს, თითქოს რაღაც სტკივა. უცებ თვალები უცრემლიანდება და სუნთქვაშეკრული ამბობს:

– მომწონს, სუკი, გმადლობ.

ალბერტი ზოგჯერ მართლა კეთილია.

მარცვალს პირში ოლივერიც იღებს, მაგრამ რეაქცია არ აქვს.

– ოლივერ, – ეკითხება მისტერ დენიელსი, – არ არის ცხარე?

– არაა. ჩემს ოჯახში მხოლოდ მე შემიძლია ძალიან ცხარე საჭმლის ჭამა. დედა ამბობს, მგონი გემოს რეცეპტორები საერთოდ არ გაქვსო, მამა კი...

მისტერ დენიელსი ისევ ყურის ბიბილოს იქაჩავს:

– გმადლობ, ოლივერ.

ოლივერს პირი ისევ ღია აქვს, მზადაა, ლაპარაკი განაგრძოს, მაგრამ ამის ნაცვლად ამბობს:

– გმადლობ, მისტერ დენიელს.

სუკი აგრძელებს:

– ეს საკვები ჩემთვის ძვირფასი იმიტომაა, რომ ბაბუასთან ერთად ვჭამდი. ბევრი რამ მენატრება იაპონიიდან, მაგრამ ყველაზე მეტად ბაბუა. მენატრება მასთან ერთად ხეზე მუშაობა. ბაბუამ ეს ხის კუბები გამიკეთა, ხისგან საჩუქრებს მეც ვუკეთებ და ვუგზავნი.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

აი, თურმე რატომ აქვს ეს კუბები.

– მე ამ საჭმელს იმიტომ ვჭამ, რომ იაპონიას და ბაბუას მახსენებს.

გულში სევდა მეღვრება.

– კრეკერები რისგან არის დამზადებული? – ეკითხება ალბერტი.

სუკი მისკენ ბრუნდება:

– კრევეტებისგან და თევზის ფხისგან.

პასუხად მარტო ოლივერი არ იქცევა გიჟივით. თითქმის ყველა იჭყანება. სუკი მისტერ დენიელსს უყურებს:

– კარგი, კარგი. დაწყნარდით.

– კრევეტები და თევზის ფხა? – გაკვირვებულია შეი, – ჩვენს ოჯახში ლანგუსტებს ვამჯობინებთ.

ალბერტი ხელს იწევს:

– მინდა აღვნიშნო, რომ ლანგუსტები დღეს ძვირადღირებული საკვებია, ძველ დროში კი მას მხოლოდ გლეხები და მონები ჭამდნენ, რომლებმაც აჯანყება მოაწყვეს და მოითხოვეს, რომ ლანგუსტები მხოლოდ კვირაში ორჯერ ყოფილიყო მენიუში, და – ნერწყვს ყლაპავს, – ჩემი აზრით, თევზის ფხას შესანიშნავი კვებითი ღირებულება აქვს.

სუკი ილიმის და თავის ადგილს უბრუნდება. მისტერ დენიელსი ალბერტს მოწონების ნიშნად თავს უკრავს.

შემდეგ ჩემი ჯერია. ის, რაც მოვიტანე, ჩემთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ არ ვიცი, კლასი როგორ მიიღებს. ამიტომ თავს ვიზღვევ და ვამბობ, რომ დავალება დამავიწყდა.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

მისტერ დენიელსი იმედგაცრუებულია:

– მაშინ, ცხოველი თუ გყავს, იქნებ მასზე გვიამბო?

– არა, დედა ალერგიულია, – მახსენდება, როგორ დაძვრებოდა მამა მაგიდის ქვეშ, თითქოს ის ლეკვი იყო, რომელსაც ასე ვითხოვდი.

ოლივერი ძაღლივით იწყებს ყეფას.

მისტერ დენიელსი აფრთხილებს:

– ოლივერ, იცოდე, თუ ასე გააგრძელებ, ძაღლის საკვებს მოგცემთ.

მერე მე მიბრუნდება და თვალს მიკრავს:

– დარწმუნებული ხარ, რომ არაფერი გაქვს ჩვენთვის საჩვენებელი? ასე მგონია, არსებობს ასეთი რამ.

ხელს ჯიბეში ვიცურებ და 1943 წლის ფოლადის პენსს ვბლუჯავ. ეს ის ნივთია, რომელიც დღეს საჩვენებლად მოვიტანე.

ის ჩემს ხელს დაჰყურებს და ვხვდები, რომ საკუთარი თავი გავეცი.

სხვა გზა არ მაქვს, ვდგები და მონეტას ჯიბიდან ვიღებ.

– მამაჩემი ჯარისკაცია და ახლა გაწვეულია. იმ დღეს, როცა მიემგზავრებოდა, მე და თრევისს ეს ერთცენტრიანი მონეტები დაგვიტოვა, – მისტერ დენიელსს ვუყურებ, – თრევისი ჩემი უფროსი ძმია.

თავს მიქნევს.

– 1943 წელს პენსი უცნაურად გამოიყურებოდა, ვერცხლისფერი იყო, ისევე, როგორც 25-ცენტრიანი. მათ ფოლადისგან ამზადებდნენ, სპილენძის ნაცვლად, რადგან მთავრობა სპილენძს მეორე მსოფლიო

ზიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ომის დროს სამხედრო აღჭურვილობის გასაკეთებლად იყენებდა. შემდეგ, 1944 წელს, პენსი ისევ წითელი, სპილენძისფერი გახდა. მოკლედ, ჩემი აზრით, ეს ძალიან მაგარია.

– მეც ასე ვფიქრობ, – მისტერ დენიელსი ჩემკენ იხრება, – კიდევ უფრო მაგარი ის არის, შენ რომ გვიამბე ამის შესახებ.

ჩემს მერხთან ვბრუნდები და იმ დროზე ვფიქრობ, მამა რომ წავიდა. მან გვითხრა, როცა ფოლადის პენსებს შეხედავთ, გაგახსენდებათ, რომ თქვენც განსაკუთრებულები ხართო. შეგვპირდა, ყველაფერი ისევ უწინდებურად იქნება და ვერც კი გაიგებთ ჩემს წასვლას, ისე მალე დავბრუნდებიო.

ძალიან მენატრება.

მისტერ დენიელსი ოლივერს მოწონების ნიშნად აწეულ ცერს აჩვენებს. რა მაგარია მათი ყურის მოქაჩვის მინიშნება. მასწავლებელს ყველას თანდასწრებით აღარ მოუწევს ოლივერისათვის შენიშვნის მიცემა. ჩემთვის ეს ნაცნობი მდგომარეობაა და ბედნიერი ვარ, რომ მისტერ დენიელსს ეს ასე აღელვებს. მას, მგონი, ჩვენი განსხვავებულობაც მოსწონს.

თავი 10. დაპირება

– აბა, ფანტასტიკურებო! – მისტერ დენიელსი ხელებს შეშლილი მეცნიერივით იფშვნეტს, – დღეს წიგნებზე ვისაუბრებთ. კითხვა ძალიან მიყვარს და ჩემს საყვარელ რამდენიმე წიგნზე გიამბობთ.

მისტერ დენიელს დიდი სიამოვნებით ვუსმენ, მაგრამ მე რომ მიხვდებოდა წიგნის წაკითხვა, იგივე იქნება, ზღვის კიბოს სთხოვოს ჩოგბურთის თამაში.

მაგრამ მერე უსიამოვნო რამ ხდება.

მისტერ დენიელს ბლოკნოტები უჭირავს:

– პატარა სიურპრიზი მაქვს თქვენთვის! ყველას გადმოგცემთ ბლოკნოტს. ის თქვენი დღიური იქნება, რომელშიც ყოველდღე დაწერთ.

ო, არა. ოღონდ ეს არა...

– ხანდახან თემას მოგცემთ, მაგრამ არცთუ ისე ხშირად; თქვენს ნაწერებს კი არ გავასწორებ, არასდროს!

რაო?

– ასე რომ, ნიშნებს არ დაგიწერთ, ხშირად არც კი გეტყვით, რაზე უნდა წეროთ. შეგიძლიათ, თქვენს თავზე დაწეროთ, სპორტზე, რომელიმე ქვეყანაზე, მაგალითად, ბულგარეთზე, თქვენი საყვარელი საპნის არომატზე, წიგნებზე, რომლებიც მოგწონთ, ან წიგნებზე, რომლებიც არ მოგწონთ. ნებისმიერ რამეზე.

რას ამბობს? არ გაგვისწორებს? ნებისმიერ თემაზე? დაუჯერებლად მეჩვენება. დარწმუნებული ვარ, აქ რაღაც სხვა ამბავია.

– მხოლოდ ორიოდე წესია.

აჰ, რა თქმა უნდა, წესები.

– აუცილებლად უნდა დაწეროთ რამე. მე ხშირად დაგიწერთ ერთ-ორ წინადადებას პასუხად.

მისამართი: www.sulakauri.ge

სსსპ სტუდენტები: www.StudentBlog.ge

– თქვენ დაგვიწერთ? – უკვირს ოლივერს, – შეიძლება ნიშანი ჩვენც დაგვიწეროთ?

მისტერ დენიელსი იცინის.

– ჩვენ ნიშნებს საერთოდ არ დავწერთ, ოლივერ. მთავარი ურთიერთობაა, საკუთარი თავის გამოხატვა და არა შეფასება.

– შეიძლება კითხვები დაგისვამთ? – ახლა მაქსი ინტერესდება.

– რა თქმა უნდა, – მისტერ დენიელსი ბლოკნოტებს გვირიგებს. ჩემი ყვითელია. ზედმეტად კარგი ფერია ბლოკნოტისთვის.

– შეიძლება ფეხბურთზე დავწეროთ? – ისევ მაქსი ეკითხება.

– რაზეც გინდა.

– მაგარია, – ყვირის ოლივერი, – მე ტესტების პასუხებს გკითხავთ და უფრო გრძელ შესვენებას მოვითხოვ, კიდევ – კეტჩუპის შეუზღუდავ რაოდენობას კაფეტერიაში.

– კარგი, – იწყებს მისტერ დენიელსი და ოლივერს უღიმის, – როგორც ვთქვი, შეგიძლიათ, ნებისმიერი რამ იკითხოთ, – ახლა გადაშალეთ ბლოკნოტები და პირველი ჩანაწერი გააკეთეთ. შეეცადეთ, თქვენი თავი დაახასიათოთ. ეს თქვენი დღიურია, ამიტომ კარგი იქნება, თუ საკუთარი თავის წარდგენით დაიწყებთ, და არა აქვს მნიშვნელობა, ამას რა ფორმით გააკეთებთ.

კეიშა წერას იწყებს, ალბერტი კი ცარიელ ფურცელს დაჰყურებს.

ყველა მხრიდან ფანქრის ფხაჭუნის ხმა ისმის.

სუკი თავის ერთ-ერთ კუბს ატრიალებს ხელში. ნეტა ისევ ბაბუაზე

ფიქრობს?

მე კი გონებაში ფილმის სცენას ვხედავ, რომელშიც ანბანის კუბების ტყეში დავდივარ, ერთმანეთზე დაწყობილი კუბები კი ხეებივით ირწყევა ქარში და მეშინია, თავზე არ დამეყაროს.

ეს სცენა ხომ არ დავხატო? თუმცა, ამის ნაცვლად, დიდ, სამგანზომილებიან კუბს ვხატავ, რომელსაც შავად ვაფერადებ. მან თქვა, ნებისმიერი რამის გაკეთება შეგიძლიათო. ნეტა სერიოზულად გვითხრა?! მეორე დღეს მისტერ დენიელს ჩემი დღიური იმ გვერდზე აქვს გადაშლილი, რომელზეც შავი კუბი დავხატე.

ვიცოდი, აუცილებლად რამეს მეტყოდა.

– ხომ გახსოვს, გითხარით, არაფერს შევასწორებდი, და არც ვაპირებ. უბრალოდ, მაინტერესებს, თუ წინააღმდეგი არ ხარ, აგვიხსნა, რატომ დავხატე შავი კუბი. შავი ფერი მოგწონს თუ სხვა რამის თქმა გინდოდა? ნებისმიერი პასუხი მისაღებია.

ვფიქრობ, რაზე შეიძლება გაბრაზდეს, და მახსენდება, მითხრა, რომ ადამიანი ზოგჯერ არასწორ რაღაცებსაც აკეთებს კარგად. იქნებ შევძლო უსიამოვნების არიდება?

– ბნელი ოთახია.

– აჰ, და რატომ დავხატე ბნელი ოთახი? – სერიოზული სახე აქვს.

– ჩვენზე უნდა ყოფილიყო რამე.

– ბნელი ოთახი შენთან რა კავშირშია, ელი? – მშვიდი და სასიამოვნო ხმა აქვს.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ძლივს ვყლაპავ ნერწყვს:

– ბნელ ოთახში ვერავინ დამინახავს.

ჩემს შავ კუბს დაჰყურებს. მერე ჩაახველებს და ისევ მე მიყურებს:

– კარგი. გმადლობ გულწრფელობისთვის, ელი.

გულზე მეშვება, გაბრაზებული რომ არ არის.

– ელი, – აგრძელებს უცებ, – შეგიძლია მითხრა, რატომ გინდა, არ დაგინახონ?

– ჩემი აზრით, უფრო ადვილი იქნებოდა, უჩინარი რომ ვყოფილიყავი.

– რატომ?

მხრებს ვიჩეჩ. მინდა, ვუპასუხო, მაგრამ სათქმელი ძალიან ბევრი მაქვს და სიტყვები არ მყოფნის.

ნელა მიქნევს თავს.

– კარგი, მიხარია, რომ უჩინარი არ ხარ, ელი. ეს კლასი უშენოდ სულ სხვანაირი იქნებოდა.

არ მჯერა მისი, მაგრამ ამის გაგონება მაინც მახარებს.

ვუყურებ და ვაცნობიერებ, რომ აქამდე მასწავლებლებისთვის სახეში არ შემიხედავს, მუცელზე ვაშტერდებოდი ხოლმე, სანამ მიხსნიდნენ, რა შემეშალა.

ახლა ჩემს სანუკვარ სურვილებს კიდევ ერთი დაემატა. ყველაზე მეტად მინდა, მისტერ დენიელსზე შთაბეჭდილება მოვახდინო. მთელი არსებით ვნატრობ, მოვწონდე.

თავი 11. ერბოკვერცხი

საკლასო ოთახში შესულეხს მისტერ დენიელსი გვიცხადებს:

– ყურადღება, ფანტასტიკურებო! ახალი, ფანტასტიკური ადგილები გაქვთ. მაშ, ასე, იპოვეთ თქვენი ადგილები და მოეწყვეთ.

ჯესიკა სუკის გვერდით ზის და შეის ისე უყურებს, თითქოს მათი დაშორება დიდი უსამართლობა იყოს.

როგორც ირკვევა, ჩემი ადგილი წინა რიგში, კეიშას გვერდითაა – გოგოსი, რომელსაც ერთდროულად ცხობაც შეუძლია და წერაც, მე კი არც ერთი არ გამომდის.

მთელი დილა ჩუმად ვსხედვართ. ვნერვიულობ, იქნებ კეიშას არ მოვწონვარ?! როცა, ბოლოს და ბოლოს, შემომხედავს, ვროშავ:

– შენთან მეგობრობაზე უარს არ ვიტყოდი.

კეიშა გაღიზიანებული მპასუხობს:

– არ არის საჭირო მოწყალების გაღება.

– არა, – ვცდილობ, ავუხსნა, – იმის თქმა მინდოდა, რომ...

ვჩუმდები, რადგან არ ვიცი, რის თქმა მინდოდა, თანაც გაღიზიანებული და შეცბუნებული ვარ. ასეთ დროს ლაპარაკი საერთოდ არ გამომდის. ყოველი სიტყვა თითქოს მიწით სავსე ნიჩაბია, რომელსაც იმ ორმოდან ვიღებ, საკუთარ თავს რომ ვუთხრი. ასე რომ, ყველაფერს აჯობებს, მოვკეტო.

მაგრამ სიჩუმე თანდათან გაწელილი და აუტანელი ხდება, ამიტომ ვცდილობ, ისევ რამე ვუთხრა. როცა ბაბუას ველაპარაკებოდი, ყოვე-

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ლთვის კარგად ვიცოდი, რა უნდა მეთქვა და მასაც ყოველთვის ჰქონდა ჩემთვის სათქმელი. ნეტა ჩემთან იყოს ახლა და ყურში ჩამჩურჩულოს, როგორ მოვიქცე. მერე ელისი მახსენდება: ალთა-ბალთას სწორი სიტყვების გამოყენებაზე რომ ედავება. კვიმასკენ ვბრუნდები და ვახეთქებ:

– კვერცხი გიყვარს?

– კვერცხი?

გიჟი ვგონივარ, მაგრამ მე მაინც ვაგრძელებ; ხანდახან ენა ჩემდა უნებურად რატრატებს:

– ჰო, მე მიყვარს. ერბოკვერცხიც, უნაჭუჭოდ მოხარშულიც და ჩვეულებრივად მოხარშულიც. ნაჭუჭის გაცლაც მიყვარს. შენ? კვერცხის სალათაც მიყვარს, რომელსაც ჩემს ძმას ძალითაც ვერ შეაჭმევ...

თვალეები გაოცებისგან შუბლზე ასდის, გაბრაზებულ მუხლუხს მაგონებს:

– ძალიან საინტერესოა, – მეუბნება და მერხის უჯრაში რაღაცის ძებნას იწყებს. ვიცი, რასაც აკეთებს. ეს ჩემგან თავის დაღწევის ზრდილობიანი ფორმაა. ადამიანები ასე ხშირად მექცევიან.

ბოლოს თავს მერხზე ვდებ. ბაბუა ამბობდა ხოლმე, რომ ელისის კურდღლის სოროში ჩავარდნა ნამდვილ ცხოვრებას ჰგავდა. ადრე არ მესმოდა, რას გულისხმობდა. ახლა მესმის.

დედამიწის ზურგზე ალბათ არ არსებობს სკოლის კაფეტერიაზე საშიში ადგილი. ჩემი ლანგარი ისე მაგრად მიჭირავს, თითები მტკივა.

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– ეი, ელი!

შეი მეძახის. ჯესიკასთან და რამდენიმე ბავშვთან ერთად დგას.

– რა?

– გინდა, ჩვენს მაგიდასთან დაჯდე?

რა თქმა უნდა, არ მინდა, მაგრამ მარტო ჯდომით დავიღალე, და იმითაც, ყველა რომ მხედავს ასე მარტოს.

თანაც, შეის, ჯესიკასა და რამდენიმე გოგოს მეგობრობის სამაჯურები უკეთიათ. მე კი არასოდეს მყოლია ისეთი მეგობრები, რომლებიც მეგობრობის სამაჯურებს ატარებენ, თუმცა, ყოველთვის მინდოდა მყოლოდა. ასეთი სამაჯური თითქოს გარშემომყოფებს ატყობინებს, რომ ადამიანი, რომელსაც ის უკეთია, ვიღაცას უყვარს. ოჯახის წევრს კი არა, ვიღაცას, ვისაც, უბრალოდ, მოსწონს. ოჯახის წევრები ხომ ისედაც ზრუნავენ ერთმანეთზე.

მინდა, მეც ვგრძნობდე თავს რაღაცის ნაწილად... სულერთია, რის.

შეი მეტისმეტად გახარებული ჩანს, რომ დამითანხმა.

სანამ დავჯდები, სკამს დავცქერი, წებო ხომ არ არის დასხმული.

შეი თავის გვერდით სკამზე მითითებს. ის და ჯესიკა ერთმანეთს ქვემოქვემ უღიმიან. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი კარგადაა, მაგრამ ინტუიცია მკარნახობს, რომ ფრთხილად უნდა ვიყო. მაგიდასთან კიდევ რამდენიმე გოგოა, ასევე, მაქსი და კიდევ ერთი ბიჭი.

ჯესიკა თითს ალბერტისკენ იშვერს და ყველა იცინის. მეც ვუყურებ, მაგრამ სასაცილოს ვერაფერს ვხედავ.

მისამართი: www.sulakauri.ge

სსსპ სტუდენტები: www.StudentBlog.ge

– შეხედეთ, ერთი, რა საცოდაობაა! – ამბობს შეი და ალბერტს ეძახის, – ეი, ალბერტ, ეს ალბათ ბოლო მოდაა, არა?

მაინც ვერ ვხვდები, რა აცინებთ. როგორც ყოველთვის, ისევ ის „ფლინტის“ წარწერიანი მაისური და ჯინსი აცვია. მაინცდამაინც დღეს რატომ მიახტნენ?

შეი მუჯღუფუნს მკრავს და ალბერტის ფეხებისკენ მითითებს.

ბოტასებს უკანა ნაწილი მოჭრილი აქვს.

შეი ეძახის და ალბერტი ახლოს მოდის. არ ვიცი, რატომ ემორჩილება ყველა შეის ბრძანებებს. მეც კი. ყოველ შემთხვევაში, დღეს.

– რა ხდება? ახალი ფეხსაცმლის საყიდელი ფული არ გქონდა?

– ვერ გამოიცანი, – პასუხობს ალბერტი, – უბრალოდ, უნდა ამერჩია: ან ახალი ბოტასები მეყიდა, რომლებიც სამ თვეში დამიპატარავდებოდა, ან ქიმიური ცდის ჩასატარებელი ხელსაწყოების ნაკრები, რომელსაც ძალიან დიდხანს გამოვიყენებ. ჰოდა, არც დავფიქრებულვარ. ბოტასები მშვენიერ ფორმაშია, უბრალოდ, ცოტა მოკლეა.

– გაიგონეთ? – გვეკითხება შეი, – ბოტასებს უკანა ნაწილი მოაჭრა, ჩუსტებივით!

ჯესიკა ამატებს:

– მალე ალბათ ხალათს ჩაიცვამს.

შეი მისკენ ტრიალდება:

– მე მგონი, ხალათით სიარული მაგარი იქნება. ხვალ ყველამ ხალათი ჩავიცვათ.

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– ჰო, მაგარი იქნება, – ეთანხმება ჯესიკა.

შეი იცინის, მაგრამ არა მგონია, ჯესიკა ხვდებოდეს, სიცილის მიზეზი რომ ხალათები არ არის. შეიმ ასეთი სისულელე ალბათ იმიტომ თქვა, აინტერესებდა, ჯესიკა თუ აჰყვებოდა. ზოგჯერ მგონია, ჯესიკა, შეის მიბაძვით, თვითმფრინავიდანაც კი გადმოხტება უპარაშუტოდ.

შეი ახლა მე მომმართავს:

– ელი, შენ რას ფიქრობ ხვალ ხალათით მოსვლაზე?

მინდა ვუთხრა, რომ სისულელეა, მაგრამ ამის ნაცვლად ვამბობ:

– ჩემი სტილი არ არის.

– მართლა? ალბერტზე და მის ჩუსტებზე რას იტყვი?

ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ბაბუას საყვარელ ძველ დეტექტიურ ფილმში ვარ – პატარა, მტვრით სავსე ოთახში, სახეში სინათლეს მანათებენ და შეკითხვას მისვამენ, რომელზეც პასუხი არ მაქვს.

გული მკარნახობს, რომ ალბერტი უნდა დავიცვა, მაგრამ ვიცი, ეს შეის არ მოეწონება, ამიტომ ვამბობ:

– იდიოტობაა. რა არანორმალურია, არა?

შეის უხარია.

თავს საშინლად ვგრძნობ.

ვიცი, რომ უარესად ვიქნები, როცა ალბერტის სევდიან სახეს დავინახავ.

მაგრამ მსგავსი არაფერი ხდება. თავისთვის დგას, დორიტოებს მიირთმევს და ისე გვაკვირდება, თითქოს ლაბორატორიის ვირთხები ვი-

ყოთ.

– საინტერესოა, ჩემი ფეხსაცმელი რატომ გაღელვებთ, მაშინ, როცა სამივეს წითელი მაისურები გაცვიათ. სულაც არაა კარგი ფერი. წითელი შუქნიშნის, მძიმე ჭრილობების, გამაფრთხილებელი ნიშნებისა და დამწვრობის ფერია, ასევე, განგაშისა და მაღალი სიცხის სიმბოლო. ბულატერიაში წითელი ციფრები დანაკარგს აჩვენებს. წითელი საფრთხის ფერია.

წითელი პასტით აჭრელებული ფურცლები მახსენდება, მასწავლებლები რომ მიბრუნებენ ხოლმე. ვერ ვიტან იმ ფურცლებს.

ჯესიკა ყველაზე ხმამაღლა იცინის:

– რა არანორმალური ხარ, ალბერტ!

– და კიდევ, – აგრძელებს ალბერტი, – „ვარსკვლავურ გზაში“ ერთპრაიზის ეკიპაჟის ის წევრები, რომლებსაც წითელი მაისურები აცვიათ, სხვა ეპიზოდებში აღარ ჩნდებიან. გულწრფელად გითხრათ, მიმაჩნია, რომ არასწორი არჩევანი გააკეთეთ.

ბავშვები ხმამაღლა იცინიან.

– ალბერტ, – ამბობს მაქსი, – ეს, უბრალოდ, სერიალია, თანაც არც ისე კარგი.

ალბერტს ხელი დორითოიანად უშეშდება ჰაერში.

– არც ისე კარგი?!

– ალბერტ, – შეი წინ იხრება, – შენ შეიძლება ფეხებზე გკიდია, როგორ გამოიყურები. მაგრამ ჩვენ მაინც დაგვინდე, რა დავაშავეთ, ყო-

მისამართი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ველდლე რატომ უნდა გიყუროთ?!

– სიმართლე გითხრა, ჩემი გარეგნობა სულაც არ მკიდია ფეხებზე.

უბრალოდ, თქვენი შეფასება არ მადარდებს.

მერე ბრუნდება და სანამ შეი კიდევ რამეს ეტყვის უხეშად, გვცილდება. ნეტავ ალბერტს ვგავდე. ვუყურებ, როგორ მიაფრატუნებს ბოტასებს და მინდება, უკეთესი ვიყო. სრულყოფილებამდე ბევრი მიკლია, მაგრამ ისიც კარგია, რომ უკმეხი არ ვარ.

და უცებ გული მეკუმშება: წელან ხომ უკმეხად მოვიქეცი. ალბათ მარტოსულად ვგრძნობდი თავს და იმიტომ. ახლა ვიცი, რომ მარტოსულობაზე უარესი რაღაცებიც არსებობს.

თავი 12. რა გაწუხებს, ალბერტ?

ჩემს ოთახში დერეფნიდან შუქი იჭრება – დედა კარს აღებს:

– საღამო მშვიდობისა, საყვარელო.

– გაუმარჯოს!

– შენს სანახავად მოვედი. სადილობისას ხმა არ ამოგიღია. რამე მოხდა?

– ბავშვები ცუდად იქცევიან სკოლაში.

– ოჰ, ელი, ძალიან ვწუხვარ, რომ ამის ატანა გიწევს. მაინც, რა მოხდა?

– უზრდელ ბავშვებზე მეკითხები?

– ჰო...

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– მეც ერთ-ერთი მათგანივით მოვიქეცი.

– ოჰ, – ოხრავს დედა, – ვერ დავიჯერებ, ელი. რატომ?

– რესტორანში რომ მოვიდნენ, ის გოგოები გახსოვს? დღეს მთხოვეს, ლანჩზე მათთან ერთად დავმჯდარიყავი. ერთ მაგიდასთან ვისხედით, მაგრამ ისინი ერთ ბავშვს, ალბერტს, დასცინოდნენ ჩაცმულობის გამო, – დედას თვალებში ვუყურებ, – და მეც მათსავით მოვიქეცი. ძალიან მაწუხებს ეს ამბავი.

დედა თავზე ხელს მისვამს:

– პატარა აღარ ხარ, ელი. დროა, გადაწყვიტო, როგორი პიროვნება გინდა იყო. მე, რა თქმა უნდა, ვიცი, როგორი ხარ. და ამიტომ მიყვარხარ, – შუბლზე მკოცნის, – შეცდომა დაუშვი. შეცდომას ყველა უშვებს. უბრალოდ, შეეცადე, როგორც შეძლებ, გამოასწორო. დიდი ძალა აქვს სიტყვას „მაპატიე“.

– გასაგებია, დედა. ვეცდები, გამოვასწორო.

– კარგი გოგო ხარ, – მეუბნება და ისევ შუბლზე მკოცნის.

მეორე დილით სკოლაში ვფიქრობ, როგორ მოვუხადო ბოდიში ალბერტს.

რვეულში მტრედების ქორწილს ვხატავ და ვერ ვამჩნევ, რომ ჩემ უკან კეიშა დგას.

– ეს შენ დახატე?

ხელს ვაფარებ.

– რატომ ძალავ? მე რომ ასე ვხატავდე, სატელევიზიო რეკლამებში

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

მოვხვდებოდი.

– გმადლობ, – ჩუმიად ვამბობ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მრცხვენია.

კეიშა თავის სკამზე ზის, მე მის ნაწნავებს ვაკვირდები, ალბათ და-
წვანას სამი დღე მაინც დასჭირდა, ულამაზესია. ძალიან მომწონს. ჩემს
მოსაწყენ ვარცხნილობას კი არ ჰგავს. ხელს ვიწვდი და თმაზე ვეხები.

ჩემკენ ბრუნდება:

– რას აკეთებ?

– მაპატიე... მგონი, კოლო იყო, – ზოგჯერ თავადაც მიკვირს, ისე ვი-
ქცევი. ალბათ ჩემს ხელს თავისი ტვინი აქვს.

– ააა... – ამბობს კეიშა.

ამ დროს ალბერტი შემოდის საკლასო ოთახში. ეტყობა, ცუდ გუნე-
ბაზეა. მინდა, დედას ვუთხრა, რომ ბოდიში მოვუხადე, ამიტომ მასთან
მივდივარ.

– ალბერტ, კარგად ხარ? – ვეკითხები, თან მეშინია, არ მითხრას,
სინათლის სიჩქარით მოშორდი აქედანო.

– პრობლემა მაქვს.

– ბოდიშს ვიხდი იმისთვის, რაც კაფეტერიაში მოხდა, – ვბლუყუნებ
მე.

გაოცებისგან თვალები უფართოვდება:

– ეგ სულ არ მადარდებს. არ არის საჭირო ბოდიშის მოხდა.

– არ გადარდებს, რომ მთელი მაგიდა შენ დაგცინოდა? ხუმრობ?

– რატომ უნდა ვხუმრობდე?

ნუთუ შესაძლებელია, მართლა არ აღელვებდეს, რას ფიქრობენ მასზე სხვები?

ერთმანეთს ვუყურებთ. ამან თუ არ აღელვა, ის, რაც ახლა აწუხებს, ალბათ მართლა სერიოზული პრობლემაა. იქნებ, ეს იმ დაღურჯებებს ეხება, სულ რომ აქვს ხოლმე.

– შემძლია, დაგეხმარო?

– არ გეწყინოს, მაგრამ არა მგონია.

– კარგი, – ვბურღუნებ.

– უბრალოდ, ამ პრობლემაზე ფიქრი თავიდან ვერ მოვიშორე. ვერ მოვისვენებ, სანამ პასუხს არ ვიპოვი.

– გინდა, მომიყვე? ზოგჯერ, როცა რამე მაწუხებს, დედას და ძმას ვუყვები. პასუხი შეიძლება ვერ ვიპოვო, მაგრამ თავს მაინც უკეთ ვგრძნობ ხოლმე.

– კარგი...

მოთმინებით ვიცდი.

– მაინტერესებს, თუ მწერი მოძრავი მატარებლის ვაგონში დაფრინავს... უფრო სწრაფად მოძრაობს, ვიდრე მატარებელი? და თუ მატარებლის მოძრაობის საწინააღმდეგოდ მიფრინავს, უფრო ნელა მოძრაობს, ვიდრე მატარებელი, თუ არა? ცხადია, თუ კედელზე ზის, მაშინ მისი სიჩქარე მატარებლის სიჩქარის ტოლია. ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ამ დროს კედელზე არ დაცოცავს. მოძრაობა მოძრაობაში ჩემთვის გამოცანაა.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ოო!

ალბერტი ჩემკენ ბრუნდება:

– მიხვდი, რა პრობლემა მაქვს? – შეკითხვას კი არ მისვამს, უბრალოდ, ამბობს.

ვიცი, არც უფიქრია, რომ დახმარებას შევძლებ. ისე, იქნებ მომეხერხებინა კიდევ ამ ყველაფრის მეცნიერულად გამოთვლა. მაგრამ გონებაში ახლა მოძრავი მატარებლის ვაგონში მყოფ მწერს ვხედავ. ნემსიყლაპიაა, მომწვანო-ლურჯი ფრთებითა და პაწაწინა სარბოლო სათვალით. ძველებურ ვაგონში ხის კედლები და მუქი მწვანე ფარდებია, როგორც ბაბუას ვესტერნებში. მგზავრებს ძველმოდური ტანსაცმელი აცვიათ. ამ ყველაფერს იმდენად ცხადად ვხედავ, თითქოს მეც იქ ვიყო. ზოგიერთ მგზავრს სძინავს. ერთი ცდილობს, გაზეთით ნემსიყლაპია ააფრინოს, ვერც კი ხედავს, მწერს სათვალე რომ უკეთია. ქალბატონებს ულამაზესი კაბები აცვიათ.

კიდევ გოგონას ვხედავ დედასთან ერთად. დედა წარამარა ეკითხება, მოსწონს თუ არა მგზავრობა, გოგონა ცდილობს, მხიარულად უპასუხოს, რომ მოსწონს.

ამ გოგონაზე ბევრი არაფერი ვიცი, მაგრამ ვხვდები, იმაზე გაცილებით სერიოზული სადარდებელი აქვს, ვიდრე მატარებელში მყოფი მწერია. სხვებს არ ჰგავს. ძვირფას ტანსაცმელშია გამოწყობილი და იძულებულია, თავი სხვა ადამიანად გაასაღოს. სინამდვილეში სურს, ტანსაცმელი დასვაროს, ღობის აშენებაში მიიღოს მონაწილეობა, ცხენზე

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ნამდვილი მხედარივით იჯდეს და არა გვერდულად, ისე, როგორც დედამისს უნდა...

როცა რეალობას ვუბრუნდები, ალბერტი ჩემ გვერდით აღარ დგას.

მაგრამ არა უშავს. ისევ იმ გოგონაზე ვაგრძელებ ფიქრს, მატარებელში რომ ზის.

იმდენი რამ უნდა, მაგრამ თავს იკავებს და ამის გამო

დამძიმებული და გაბრაზებულია. თითქოს სულ ცემენტის ლოდს და-

ათრევს ზურგით. და მინდა, მას გათავისუფლებაში დავეხმარო.

თავი 13. ყვავილები

დღეს საღამოს საშობაო კონცერტი გვაქვს. სანტაზე, დრეიდელებსა

(დრეიდელი – ებრაული ტრადიციული ბზრიალა, რომლითაც ბავშვები

ხანუქას დღესასწაულზე თამაშობენ) და კვანზაზე (კვანზა – აფროამ-

ერიკული ფესტივალი) ვმღერით. კონცერტზე ახალი კაბით გამოვალ

და ეს მიხარია ყველაზე მეტად.

სარკის წინ ვდგავარ და ჩემს ახალ კაბას და პირველ ქუსლიან ფე-

ხსაცმელს ვათვალიერებ. დედასთან ერთად საყიდლებზე რომ ვიყავი,

იმ დღეზე ვფიქრობ. პეტერსენის რესტორანშიც კი შევიარეთ, დედა ჩე-

მთან იჯდა სხვების მომსახურების ნაცვლად და ეს ძალიან მსიამოვნებ-

და.

სიმღერა მიყვარს, მაგრამ ჩვენი მუსიკის მასწავლებელი, მისის მუ-

ლდონი არ მომწონს. მაქსი მას „დანაღმულ მულდონს“ ეძახის, რადგ-

ან მოულოდნელად ფეთქდება ხოლმე. ოლივერიც ასე ეძახის, თან ჰა-

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ერში ხტება და გაჰყვირის: „მულდოლოონ!“, მერე ძირს გორავს, ერთ წამში კი ისევ ფეხზე დგას – მულტფილმის გმირი კატასავით.

შეი ალბერტს დაჰპატარავებული ტანსაცმლის გამო დასცინის:

– შენს შარვალს რა სჭირს, ალბერტ? ეს ტანსაცმელი მესამე კლასში გიყიდეს?

კეიშა სასწრაფოდ ერევა:

– რატომ გიყვარს სხვების დამცირება?

– იმიტომ, რომ იმსახურებენ. აი, რატომ.

– დამცირებას იმსახურებენ? ნუთუ?

ალბერტი ჰალსტუხს ისწორებს, ეს ალბათ ერთადერთია, რაც არ დაჰპატარავებია. ისევ ქუსლებმოჭრილი ბოტასები აცვია.

– იცით, რა, – გვეუბნება ის, – ლოგიკურად, თუ ერთი ადამიანი მეორეს ამცირებს, ეს ნიშნავს, რომ თვითონ იმ ადამიანზე დაბლა დგას.

კეიშა ისე ხარხარებს, მისის მულდონის მკაცრ მზერას იმსახურებს.

ამიტომ პირზე ხელს იფარებს.

– მაგარია, ალბერტ, მართლა ჭკვიანი ბიჭი ხარ, – მერე შეის უბრუნდება, – აი, შენ, მაგალითად, იმდენად შემცირებული ხარ, რომ შეგიძლია, ბორდიურთან ითამაშო ჩოგბურთი.

შეის თვალები უვიწროვდება, მაგრამ სანამ ხმის ამოღებას მოასწრებს, მისის მულდონი გვეუბნება, რომ დროა, ერთ რიგად მოვეწყობთ.

გასულ წელს, სანამ სიმაღლეში მოვიმატებდი, წინა რიგში მიწევდა დგომა. მომწონდა, თრევისი რომ ათცენტეიანს მეძახდა პენსებს შო-

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

რის. მაგრამ წელს რიგის ბოლოსკენ ვდგავარ მაღალ ბავშვებთან ერთად, ზუსტად კეიშას გვერდით. მიხარია, ალბერტი რომ დაიცვა. ჩემგან განსხვავებით, გამბედაობა ეყო. ნეტა უფრო მამაცი ვიყო.

ვდგავართ და დარბაზში შესასვლელად ვემზადებით:

– მისის მულდონ, თქვენი კაბა ძალიან მომწონს! – ამბობს შეი.

მისის მულდონს სახე უნათდება:

– გმადლობ, შეი. შენმა მშობლებმა კარგი ახალგაზრდა ქალბატონი აღზარდეს.

– გმადლობთ, მისის მულდონ, – შეი უღიმის, მერე ჯესიკასკენ ბრუნდება და თვალებს ატრიალებს. კეიშაც თვალებს უბრიალებს.

გადაწყვეტილებას ვიღებ, სულაც არ ვიდარდო იმაზე, როგორ მარაზებს შეი. არ ჯობია, იმ თაიგულებზე ვიფიქრო, რომლებიც ყველა გოგოს გვეჭირება საშობაო კონცერტზე?!. ეს მართლაც კარგი ამბავია, ცუდი კი ის არის, რომ ისინი ჯესიკას მამამ გამოგვიგზავნა და ჯესიკას ტრაბახს საზღვარი არ აქვს.

მისის მულდონი ულამაზეს თაიგულებს გვირიგებს. პატარძლებს რომ უჭირავთ ხოლმე, ზუსტად ისეთებია. მუქი წითელი ლენტიც აქვს შემოვლებული. მასწავლებელი ჩემს თაიგულს მიწვდის. მე ვიღიმი. უკვე წარმომიდგენია, როგორ გაუხარდება დედას, თაიგულით რომ დამინახავს.

კეიშა ყვავილების დასაყნოსად იხრება, მერე თითებს ზემოდან ატარებს. უცებ ერთ-ერთ ყვავილს ყვითელი კოკორი სძვრება და მის შავ,

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

პრიალა ფეხსაცმელზე ეცემა.

მისის მულდონი მაშინვე იქ ჩნდება:

– რას აკეთებ?

– მე უბრალოდ...

მასწავლებელი თაიგულს ხელიდან სტაცებს.

კეიშა თავს ზემოთ სწევს.

– არა, თუ შეიძლება, არ მინდოდა...

– ეს ყვავილები ნაჩუქარია, შენ კი საჩუქარს უპატივცემულოდ და უმადურად ექცევი! სწორედ ამიტომ, კეიშა აღმონდ, ერთადერთი გოგო იქნები თაიგულის გარეშე.

– მაგრამ, მისის მულდონ, მართლა არ ვაპირებდი...

მისის მულდონი ხელს ისე მაღლა სწევს, თითქოს მოძრაობას აჩერებს:

– არაფრის გაგონება არ მინდა. თაიგული არ გექნება, იქნებ სამომავლოდ მაინც ისწავლო, როგორ იქცევა ლედი.

– ხედავ? – უბრუნდება შეი ჯესიკას, – ადამიანები იმას იღებენ, რასაც იმსახურებენ.

მე კეიშას გვერდით ვდგავარ, მაგრამ მის სახეს ვერ ვხედავ. ველოდები, რომ რამეს იტყვის, მაგრამ ხმას არ იღებს. მერე ცხვირის სრუტუნს მესმის და ვხედავ, როგორ იწმენდს ხელით ლოყებს.

გონებაში ასეთ სცენას ვხედავ: მშობლებით სავსე დარბაზში შევდივართ და ჩემ გარდა ყველას თაიგული უჭირავს. დედაჩემის სახესაც

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ვხედავ. ის ერთადერთი სევდიანი მშობელია მოლიმარ მშობლებს შორის. ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ყველაზე უვარგისი და უმნიშვნელო ვარ.

ასეთი რამ არავინ არ უნდა განიცადოს.

მერე თითებით თაიგულში ყვავილების ღეროებს ჩავყვები, რომ სქელ ძირებს მივწვდე. ცოტა ხანში ყვავილების ნახევარი კონიდან ამომაქვს... ღეროები იმტვრევა და ფოთლები და ყვავილის ფურცლები ჩემს ახალ, პრიალა ფეხსაცმელზე ცვივა.

მისის მულდონი ჩემკენ ტრიალდება. პირს გაოცებისგან ისე ადებს, შიგ ჩიტი ბუდეს აიშენებდა.

მისის მულდონს თვალს ვუსწორებ და ყვავილების ნახევარს კეიშას ვუწვდი:

– მაშინ ჩემს ყვავილებს გავუნაწილებ.

საბოლოოდ, დარბაზში ორივენი თაიგულის გარეშე შევდივართ.

სამაგიეროდ, ყველაზე მხიარული სახეები ჩვენ გვაქვს.

თავი 14. ყუთში და ყუთის გარეთ

– მოკლედ, ჩემო ფანტასტიკურებო! როგორც იცით, დღეს ფანტასტიკური პარასკევია და გაკვეთილს ამოცანით დავასრულებთ. ჯგუფებად დაგყოფთ. თითოეულ ჯგუფს ზონრით შეკრული ფეხსაცმლის ყუთი გადაეცემა. თქვენი დავალებაა, გამოიცნოთ, რა დევს ყუთში. შეგიძლიათ, ნებისმიერი მეთოდით შეამოწმოთ, მაგრამ ყუთები არ უნდა გახს-

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ნათ. სულ ოთხი ყუთია. ისინი ჯგუფიდან ჯგუფს გადაეცემა. თითო ყუთის შესასწავლად ჯგუფს ათი წუთი ექნება, ასე რომ, თქვენი ვარაუდები აუცილებლად ჩაიწერეთ. ბოლოს ყველა ყუთს გავხსნით და ვნახავთ, რა დევს შიგნით. კითხვები ხომ არ გაქვთ?

ყველას უხარია. ბავშვების უმრავლესობა აქეთ-იქით იყურება, ალბათ იმედი აქვთ, რომ ალბერტთან ერთად მოხვდებიან ჯგუფში. მას ხომ ყველა კითხვაზე აქვს პასუხი.

მე მაქსთან, სუკისთან, ოლივერთან და ჯესიკასთან ვხვდები. ექთანთან ხომ არ ჩავიდე? ყველაზე მეტად ის მიჭირს, იძულებული რომ ვარ, ჯესიკას მეგობრობის სამაჯურებს ვუყურო. ნეტა ყველა სამაჯური სხვადასხვა მეგობრისგან აქვს? ჩემს შიშველ მაჯებს დავყურებ.

პირველი ყუთი ჩვენს მაგიდაზეა. ოლივერი ხელს ავლებს და მაგრად აჯანჯლარებს. ჯესიკა გულხელს იკრეფს და თვალებს ატრიალებს – შეის გარდა ყველაზე ასეთი რეაქცია აქვს. ოთახს ვათვალიერებ. შეი ალბერტის ჯგუფშია. ყუთი უჭირავს და რასაკვირველია, ლაპარაკობს. – გეყოფა, – მაქსი ოლივერს ყუთს ართმევს, – ჩემი ჯერია.

ჩემდა გასაკვირად, სუკი იწყებს საუბარს...

– ოლივერ, ყუთი ყველას უნდა შეხვდეს, ამიტომ დრო გამოვთვალოთ. ათი წუთი გვაქვს და ხუთნი ვართ. თითოეულს ორი წუთი ერგება.

ისევ ექთანზე ვიწყებ ფიქრს. შემძლია, კომფორტულ საწოლზე წამოვწვე და ვიფიქრო. ჩემი ჩანახატების რვეულისათვის საუკეთესო იდ-

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ეები სწორედ მაშინ დამეზადა, როცა თავს ვიკატუნებდი, რომ ავად ვიყავი.

მაქსი ყუთს აჯანჯლარებს. ჰაერშიც კი აგდებს და იჭერს.

– რაც უნდა იყოს შიგნით, მძიმეა, – გვიზიარებს თავის მოსაზრებას.

ოლივერი ამბობს:

– იქნებ კენგურუა?

ჯესიკა ამრეზით უყურებს.

ოლივერი იბუზება და ბურტყუნებს:

– ვიხუმრე.

ძალიან ვბრაზდები.

მაქსი ყუთს ჯესიკას აწვდის. ჯესიკა მას ოდნავ არხევს.

– მგონი, ხის კუბია. შეიძლება ისეთი, ანბანის ასოები რომ აწერია ხოლმე.

– ისევ ჩემი ჯერი როდის იქნება? – კითხულობს ოლივერი.

სუკი რაღაცას იწერს, საათს უყურებს და ამბობს:

– ოლივერ, შენ მხოლოდ 25 წამი დაგრჩა.

ოლივერი ყუთს ისევ იღებს, ყნოსავს და ცდილობს, ხმა გაიგონოს ზედ ყურის დადებით.

მისტერ დენიელსი ოთახის მეორე ბოლოდან ეძახის:

– ოლივერ, ძალიან მომწონს შენი შემოქმედებითი მიდგომა.

სანამ ჩემს რიგს ველოდები, ვფიქრობ, რატომ ასდის ოლივერს ყო-

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ველთვის კრეკერების სუნი. როგორც იქნა, ყუთს ვიღებ, ყურთან მიმაქვს და ვხრი. რაც უნდა იდოს შიგნით, უფრო დაგორავს, ვიდრე სრიალებს:

– მრგვალი უნდა იყოს და მაქსი მართალია, მძიმეა.

ისევ ვხრი და ხელისგულს მეორე მხარეს ვადებ:

– მგონი, ბეისბოლის ბურთია, – ვამბობ და ჯესიკას გადავცემ.

ის ჩემს მოქმედებას იმეორებს და, ჩემდა გასაოცრად, ამბობს:

– მართალია. ბეისბოლის ბურთს ჰგავს.

– მოიცა, – ყუთს უკან ვიღებ და უფრო სწრაფად ვხრი. ნივთი ყუთის კიდეს ჯერ მაგრად ეჯახება, მერე კი უფრო მსუბუქად.

– დახტუნაობს, ბეისბოლის ბურთი იხტუნავებდა? – ვეკითხები მაქსს.

– არა. იქნებ რეზინისაა. ლაკროსის ბურთივით.

ყუთს სუკიც ამოწმებს და ჩვენს პასუხს იწერს.

შემდეგ მეორე ყუთს ვიღებთ. მეორე ნივთი უფრო სრიალებს, კი არ დაგორავს, რადგან სანამ ყუთს კარგად არ ვხრი, ადგილიდან არ იძვრის. ვგრძნობ, კიდეს როგორ ეხახუნება. უცნაურია, მაგრამ თითქოს ვხედავ. ანბანის კუბზე უფრო მძიმეა, მაგრამ მგონია, რომ ბრტყელი გვერდები აქვს.

ოლივერს უხარია, რა მაგარია, ასე კარგად რომ გამოგდისო. ისე ვარ გაოგნებული, მადლობასაც ვერ ვუხდი. ჩვეული ნერვიულობაც მავიწყდება, ყველას ველაპარაკები და ისეთი შეგრძნება მაქვს... ისეთი

მისამართი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

შეგრძნება მაქვს, თითქოს ყუთში დამალული საგნების გამოცნობა ისევე კარგად შემიძლია, როგორც სხვებს, და ეს საუკეთესო გრძნობაა, რაც კი განმიცდია.

სუკი შემდეგ ყუთს მაწვდის:

– შენი ჯერია: პირველი ხარ.

მესამე ყუთი უფრო რთული ამოსაცნობია. მგონია, რომ ნივთს მარკერის ფორმა აქვს, მაგრამ უფრო დიდია და მძიმე. ყუთის დახრისას, ერთ მხარეს სრიალებს, მეორე მხარეს კი გორავს.

ალბერტისკენ ვიყურები, რომელიც ისევ შეის უსმენს. კეიშა თავის ჯგუფში ყველაზე მეტს ლაპარაკობს და ყველას აცინებს. ნეტავ ვიცოდე, რას ამბობენ.

მისტერ დენიელსს მეოთხე ყუთი მოაქვს და ჩვენთან რჩება.

მაქსი თავის ვარაუდს გამოთქვამს, ჯესიკა მას აღფრთოვანებული შესციცინებს. მაქსის აზრით, ყუთში რაღაც მსუბუქი დევს, რადგან კედლებს მაგრად არ ეხლება.

მერე ოლივერის ჯერი დგება. ის მისტერ დენიელსს უყურებს.

– აბა, რას ფიქრობ, ოლივერ?

ვხედავ, რომ ოლივერს ძალიან უნდა, გამოიცნოს. ატრიალებს, აჯანჯლარებს და ამბობს, რომ 25-ცენტია. მისტერ დენიელსი თავს უქნევს და ზურგზე ხელს უთათუნებს,

– მშვენიერი ვარაუდია, ოლივერ, ყოჩაღ!

– მართალი ვარ? – ეკითხება ოლივერი.

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– მოიცადე და გაიგებ, – მისტერ დენიელსი მხრებს იჩეჩს.

– ახლა ვერ მეტყვი?

– მაპატიე, მეგობარო.

ოლივერი იმედგაცრუებულია. მე მიყურებს. ყუთს მაწვდის და ამბობს:

– ელი, შენ ყველაზე უკეთ გამოგდის.

ჯესიკას ისეთი სახე აქვს, მთელი ენერჯია გარეთ რომ გამოუშვას, ისე აფრინდება ჰაერში, როგორც რაკეტა მთვარეზე.

– შენ რას იტყვი, ელი? – მეკითხება მისტერ დენიელსი.

– მაპატიეთ. ზოგჯერ, როცა ვფიქრობ, ლაპარაკი მავიწყდება.

ეცინება.

ყუთს ჯერ წინ და უკან ვხრი, მერე აქეთ-იქეთ, გვერდულად. რაღაც უცნაური ხდება.

– რას ფიქრობ, ელი? – მეკითხება ისევ.

– მოკლედ, თუ ყუთს ვატრიალებ, ნივთი ყუთის გრძელ მხარეს ეხება. მაგრამ თუ გვერდზე ვხრი, მოკლე მხარეს არ ეხება.

წარმოვიდგენ, რომ ნივთი ჯადოსნური ჯოხის ზომის და მოყვანილობის უნდა იყოს, იმიტომ, რომ კარგად მოძრაობს, როცა ყუთს ერთ მხარეს დახრი, მაგრამ როცა მეორე მხარეს დახრი, უმოძრაოდ რჩება.

– რაა? – კითხულობს ოლივერი.

– უცნაურია, – ყუთს დავყურებ და მაგრად ვარყევ. ნივთი ყუთის გვერდებს არ ეხება. ყუთს კიდევ უფრო ძლიერად ვანჯღრევ და ის ყუთის

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ზედა და ქვედა კედლებს ეხლება. დამაბნეველია.

შევყურებ მისტერ დენიელსის მოლიმარ სახეს და აზიდულ წარბებს და მეც მეღიმება.

– მოიცადეთ ერთი წუთით... რაიმე ოინი მოგვიწყვეთ?

– რას გულისხმობ?

ისევ ვანჯღრევ და გვერდზე ვხრი:

– ნივთი ზოგ მხარეს ეხლება, ზოგს კი არა. სკოჩით ხომ არ მიამაგრეთ, ან რამით ხომ არ მიაბით?

თვალები უფართოვდება და იღიმის, მერე იცინის, ხმამაღლა იცინის. წინ იხრება და ხელებს მუხლებზე იწყობს, შემდეგ თავს გვერდზე ხრის და მაკვირდება. უკვე მთელი კლასი მას უყურებს.

– ელი ნიკერსონ, საოცარია. ას ბავშვთან მაინც ჩამიტარებია ეს ტესტი, მაგრამ ვერავინ გამოიცნო.

მისტერ დენიელსი ყუთს ხსნის და გვაჩვენებს, რა დევს შიგ. ორი მშრალი წებოა, შუაში თოკი გაუყრია და ერთმანეთზე გადაუბამს, თოკის ბოლოები კი ყუთზე სკოჩით მიუმაგრებია.

მიახლოვდება და იმას აკეთებს, რაც ჩვენს არც ერთ მასწავლებელს არასოდეს გაუკეთებია. ხელს სწევს და გაშლილ ხელისგულს ჩემს ხელს ურტყამს.

თავი 15. დაუზეთავი მექანიზმი

მისტერ დენიელსი საშინაო დავალებად გვაძლევს, დავწეროთ ჩვ-

მისამართი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ენი აზრი იმ მოთხრობის შესახებ, რომელიც დღეს წაგვიკითხა. თან გვეუბნება, არ არსებობს სწორი და არასწორი შეხედულება, უბრალოდ, მაინტერესებს, რას ფიქრობთო.

გონების ერთი ნაწილი მეუბნება, რომ აზრის გამოხატვა ძნელი არ უნდა იყოს. ზუსტად ორ წუთში ვეტყოდი, რა ვიგრძენი მოთხრობის მოსმენისას. მაგრამ სანამ ამას ფურცელზე გადავიტან, ჩემი შემდეგი დაბადების დღე მოვა. და თანაც, როცა ბოლოს და ბოლოს, დავწერ, მაინც ვერაფერს გაიგებს.

თრევისი უკანა კარიდან შემოდის, ჩანთას აგდება და ჩექმებს იხდის.

– ჰეი, პატარავ, – გარაჟის სუნი მთელ სამზარეულოში დგება. მაგრამ მე მომწონს.

ვესალმები და თან ვცდილობ, ჩემს თავში მობორიალე აზრები ქალღმერთზე გადავიტანო. არ ვიცი, სად იკარგებიან ისინი, სანამ მკლავის გავლით ფურცლამდე მიაღწევენ.

თრევისი მაცივრიდან წველის კოლოფს იღებს და პირდაპირ სვამს.

– ფუ რა საზიზღრობაა! – ცხვირს ვიბზუებ, – მანდედან ველარავინ დალევს, ხო იცი?

– ძალიან კარგი, – ამბობს სიცლით, – ჩემი გეგმა წარმატებით შესრულდა, – მიდის და კოლოფიც თან მიაქვს.

– თრევის!

დერეფანში ჩერდება და ნახევრად ბრუნდება:

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– რა იყო?

ვიცი, რასაც მიჰასუხებს, მაგრამ სასოწარკვეთილი ვარ:

– შეგიძლია, დამეხმარო?

– დავალების დაწერაში? – წვენის ყუთს ჩემი რვეულისკენ იშვერს.

– ჰო, რაღაც მაქვს დასაწერი.

– ელი, შემეძლია, მანქანაში სანთლები გამოგიცვალო, ზეთი შეგიცვალო, კარბიურატორსაც კი აგიწყო. მაგრამ წერა არ შემეძლია.

როცა საქმე საშინაო დავალებას ეხება, ჩემი გონება შეუზღუდავი მექანიზმივითაა, ყველა ნაწილი ჭრიალებს. დამიჯერე, არ არის სასიამოვნო.

– გთხოვ. ჩემზე კარგად მაინც გამოგივა.

– დედას რომ დაელოდო?

– დღეს რესტორნის დახურვამდე უნდა დავრჩეო, დამიბარა და ასე გვიან ვეღარ ვთხოვ დახმარებას. გადაირევა.

– მისმინე, ხო იცი, სიამოვნებით დაგეხმარებოდი, მაგრამ მთელი ეს სკოლის ამბები... ეს იგივეა, ბრმას რომ ავტობუსის ტარება სთხოვო. მირჩვენია ნეხვის ტორტი ვჭამო.

ვიცი, ცდილობს, გამაცინოს. სასაცილო და თან ამაზრზენი სურათი მიდგება თვალწინ, მაგრამ არ მეცინება, სასოწარკვეთილი ვარ.

ალბათ მეტყობა, რომ დავსევდიანდი, ხმა ურბილდება:

– დამიჯერე, ელი, დაგეხმარებოდი, მაგრამ შენზე უკეთ მართლა არ გამომდის.

მეორე დილით ვცდილობ, გადავწყვიტო, ღირს თუ არა ნაწერის ჩაბარება. მისტერ დენიელსი ალბათ იფიქრებს, რომ დავალება ორ წუთში დავწერე. სინამდვილეში კი მთელი ღამე ვიმუშავე და ახლა თავი ძალიან მტკივა. ის დედოფალი მახსენდება წიგნიდან „ელისის თავგადასავალი საოცრებათა ქვეყანაში“, სულ რომ ყვირის: თავი მოჰკვეთეთო. მგონია, ამით შვებას ვიგრძნობ.

ახლა იმაზე ვდელავ, მისტერ დენიელსი რას იტყვის. დერეფანში ჩემს ერთ-ერთ კლასელს ესაუბრება.

– დილა მშვიდობისა, შენთვის რაღაც მაქვს, – მესალმება კეიშა და მაფინს მაწვდის.

– მაფინი! – ყვირის მაქსი.

– თვალები თავის ადგილას დააბრუნე, მაქს. შენთვის არ არის! – უცხადებს კეიშა.

– მე უნდა მაფინი! – ახლა ოლივერი იწყებს, – მე უკვარს მაფინები!

– რა არანორმალური ხარ, – აჩერებს შეი, – ეგრე ქუქი მონსტრი ლაპარაკობს (ცნობილი საბავშვო სატელევიზიო შოუს „სეზამის ქუჩის“ პერსონაჟი, რომელსაც საოცარი მადა აქვს).

ოლივერი სერიოზულდება. მხოლოდ ტუჩებს ამოდრავებს:

– თუ ასე ვლაპარაკობ, ესე იგი მე ვარ ის, ვინც ასე ლაპარაკობს.

თანაც, შენ გგონია, ქუქი მონსტრი მაფინზე უარს იტყობდა? ბროკოლი, ფეთქებადი კანფეტი ან რამე ეგეთი ხომ არ არის! ვეტყობდი, რომ ნამდვილი ორცხობილაა და წამში მტვერსასრუტით შეისრუტავდა. და-

გენაძლევები. გინდა დამენაძლევო?

ჯესიკა რაღაცას ამბობს, მაგრამ შეი მზერით აწყვეტინებს:

– არა, არ დაგენაძლევები. მე არაფერზე არ ვდებ ნაძლევეს. არასოდეს, არავისთან. შენთან, მით უმეტეს.

შეი ტრიალდება და გადის. ჯესიკაც კუდში მიჰყვება.

ოლივერს ახალი იდეისთვის წამის მეთაური სჭირდება.

– მოიცადეთ, ახლა გამახსენდა: კლასში ჰელოუნის წვეულება რომ გვქონდა, ორცხობილა შევინახე ჩემს მერხში.

– ჰელოუნის წვეულება? ეგ რამდენიმე კვირის წინ არ იყო? – ეკითხება კეიშა.

– ჰო! – უჯრის ქექვას იწყებს. სხვადასხვა ნივთი ცვივა ძირს. რომც იპოვოს, ტყვიასავით მაგარი იქნება.

კეიშა ჩემკენ ბრუნდება:

– რა სჭირს ამ კლასს? საჭმლის გამო ჭკუას კარგავენ.

თავს უკმაყოფილოდ იქნევს და მაფინს ჩემკენ აცურებს.

– ეს შენ მოგიტანე.

– მე? – მიკვირს. ჩემთვის ხომ არავის არაფერი მოაქვს უსიამოვნების გარდა.

– ჰო, რა თქმა უნდა, შენ!

– რატომ?

– იმიტომ, რომ ჯერ კიდევ მეცინება იმაზე, რაც იმ თაიგულებზე გააკეთე. თან მაგარი გოგო ხარ და სასაცილო რაღაცეებს ამბობ, ელი.

ბედნიერი ვარ.

კლასში მისტერ დენიელსი შემოდის:

– მოკლედ, ჩემო ფანტასტიკურებო! კარგი ამბავი მაქვს! ყველამ ჩამაბარა საშინაო დავალება. ეს ნიშნავს, რომ ხუთი წუთით მეტი დრო გექნებათ შესვენებისთვის.

ბიჭები ისეთი გახარებულები არიან, თითქოს პიცის უფასოდ მოტანას დაჰპირდა ვინმე.

კვიშავ ხითხითებს. ბიჭები ასე რომ გადაირივნენ, ალბათ ამაზე ეცინება. მერე ჩემკენ ბრუნდება და ამბობს:

– გამბედავი გოგო ხარ, ელი. მე ამას ვაფასებ.

ეს მეც მომწონს, მაგრამ უფრო მეტად ის მიხარია, მას რომ მოსწონს.

– ჰეი, – მეუბნება უცებ, – გინდა დღეს კაფეტერიაში ერთად დავსხდეთ? ვიღაცებთან ერთად ვზივარ ხოლმე, მაგრამ ისინი მე არ მელაპარაკებიან და მე მათ არ ველაპარაკები. შენც მარტო ზიხარ, ასე რომ...

წარმოვიდგენ, როგორ ვსხედვართ ერთად მაგიდასთან და მეცინება.

– რას იტყვი?

– მაგარი იქნება! დიდი მადლობა.

დიდი ხანია, ასე სასიამოვნოდ არ გამიტარებია სკოლის შესვენება, შემდეგ კი მისტერ დენიელსი თავის მაგიდასთან მიხმობს. წინ ჩემი სა-

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

შინაო დავალება და დღიური უდევს. ცდილობს, მხიარული და უდარ-
დელი იყოს, მაგრამ ვხვდები, სინამდვილეში ძალიან სერიოზულია.

– ელი, მიხარია, დავალება რომ ჩამაბარე. თანაც უფრო გრძელია,
ვიდრე ჩვეულებრივ წერ ხოლმე. ეს ძალიან კარგია.

ხმას არ ვიღებ.

– მაინტერესებს, რამდენი დრო დაგჭირდა დავალების შესასრულ-
ებლად. არ ვაპირებ, რაიმეს შეცვლა მოგთხოვო. უბრალოდ, მაინტე-
რესებს.

მგონი, მახეს მიგებს. ვიცი, რომ ცუდად დავწერე და ვერ გადამიწყ-
ვეტია, რა აჯობებს: ვუთხრა, რომ ავტობუსში დავწერე ნაჩქარევად, თუ
ვთქვა, რომ ბევრი ვიმუშავე?

– ელი?

– რა ვიცი... დიდი დრო დამჭირდა... ყოველ შემთხვევაში, ძალიან
მოვინდომე, – თვალს ვუსწორებ, – არასწორად მიწერია?

– რამდენიმე კარგი აზრია და დავალების მიზანიც ეგ იყო. არ ინერ-
ვიულო, კარგი?

არ ვინერვიულო? სათქმელად ადვილია.

თავი 16. ჩემი გეგმა

მომწონს მისტერ დენიელსი, მაგრამ მას კითხვა უყვარს. ხშირად
ლაპარაკობს წიგნებზე და იმაზე, რა კარგია კითხვა. მე კითხვას მირჩ-
ევნია, გრიპი მქონდეს.

მისტერ დენიელსმა გუშინ გვითხრა, რომ დღეს ამბებს დავწერდით. მისი აზრით, ეს ჩვენი შანსია, წარმოვაჩინოთ საკუთარი შესაძლებლობები.

მე ზუსტად ვიცი, ამ შანსს როგორც გამოვიყენებ: ჩემი გეგმა მაქვს.

მკლავი ქსოვილის დიდი ნაჭრითა და ინგლისური ქინძისთავით გაკეთებული სახვევით ჩამოვიკიდე კისერზე. ახლა ვიღა მომთხოვს რამის დაწერას? უნდა ვაღიარო, საკუთარი თავით ვამაყოფ, უბრალოდ, არ უნდა დამავიწყდეს, რომ ხელი არ ვამოძრაო. ნეტა მართლა მტკიოდეს, უფრო ადვილი იქნებოდა.

მხედავს და ახლოს მოდის, რომ მკითხოს, რა დამემართა. პასუხს

სკოლის გზაზე ვიგონებდი და გულში ვიმეორებდი:

– კიბეზე კატა შემეფეთა, ფეხი წამოვდე და წავიქეცი.

– კატა გყავს?

– კი.

თავს მიქნევს, მერე ჩემს შეხვეულ ხელს დაჰყურებს.

– ახალი მოყვანილი გყავთ?

– არა, დიდი ხანია, ჩვენთანაა. ოჯახის წევრია, – ვამბობ და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ისეთი პროდუქტის რეკლამაში მიღებენ, რომელსაც არასდროს შევჭამ.

უცნაურად მიყურებს.

– რა ჰქვია?

– ვის?

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– შენს კატას.

პანიკა მეწყება.

– კატლეტი, – ვამბობ დაუფიქრებლად.

იციინის.

– კატა, სახელად „კატლეტი“? მეზობელ ძაღლებს ალბათ ძალიან მოსწონთ.

აღელვებული და დარცხვენილი, ვფიქრობ, რატომ ვარ ასეთი უცნაური? რატომ ვხედავ გონებაში სცენას, რომელშიც ბეწვით შემოსილი, კუდიანი კატლეტი კნავის?

თუმცა, როცა დანარჩენი კლასი წერას იწყებს, მისტერ დენიელსი მეუბნება, რომ მე შემძლია წიგნი წავიკითხო. ასოები ნათელ, თეთრ ფურცელზე ცეკვავენ. თვალეზი მტკივა და თავიც.

მისტერ დენიელსი თვალს არ მაშორებს. ამიტომ წიგნს დავცქერი და დროდადრო ვფურცლავ. თვალეზი დახუჭული მაქვს და ფერად სცენებს ვხედავ, სადაც დავფრინავ. ეს სცენები ძალიან მიყვარს. აი, წყლის ზედაპირთან ახლოს დავფრინავ, მუცლით თითქმის ვეხები წყალს. მერე ლურჯად განათებული სასახლისკენ მივქრევი.

თვალეზს ვახელ, რომ დავინახო, სხვები როგორ წერენ. ისევ ფურცელს დავყურებ. წაკითხვასაც კი ვცდილობ. მართლა ვცდილობ. თან იმაზე ვფიქრობ, რატომ მაკვირდება მისტერ დენიელსი.

თავი 17. დეფექტური სათამაშოების ლანჩი

ალბერტი თავის მერხთან ზის და წიგნს ჩაჰყურებს, მაგრამ ვიცი, არ კითხულობს, თვალებს საერთოდ არ ამოდრავებს. ნიკაპზე ახალი და-
ლურჯები აქვს. აუცილებლად უნდა მივიდე და დაველაპარაკო.

– ეი.

თავს სწევს.

ისეთ რამეს ვეუბნები, მე თვითონვე მიკვირს.

– გინდა ჩემთან და კეიშასთან ერთად ისადილო?

– რატომ?

– შენც მარტო ზიხარ და ჩვენც, მაგრამ თან ერთად – ჰოდა, ვიფიქრე, კარგი იქნება, ერთად თუ ვისხდებით, მარტო.

– არალოგიკური დასკვნაა. თუ ყველა ერთად ვიქნებით...

– ვიცი, – ვაწყვეტინებ, – ვიხუმრე. გინდა თუ არა?

– კი, ალბათ... სადმე ხომ უნდა ვჭამო.

ალბერტი სკამს უკან აცურებს და ცარიელი კოლოფიდან რძის ბო-
ლო წვეთს პირში ისხამს.

– მაინტერესებს, ვინ გადაწყვიტა, რომ ნახევარი პინტი რძე საკმ-
არისია?!

– ორს რატომ არ ყიდულობ?

უსიტყვოდ ასწორებს სკამს.

– დედას რომ სთხოვო, ცოტა მეტი ფული გამოგატანოს? – ვეკითხ-
ები და მკლავის ჩამოსაკიდს ვისწორებ.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– არ მჭირდება ფულის თხოვნა, წინასწარაა გადახდილი.

უცებ ყველაფერი ნათელი ხდება. რა თქმა უნდა. რა სულელი ვარ.

ალბერტს ბევრი ტანსაცმელი არ აქვს და მისტერ დენიელსი მას ყოველ დილით ბარათს აძლევს – ალბათ უფასო ლანჩისთვის. იმედი მაქვს, არ ვაწყენინე.

– ვწუხვარ.

– რატომ?

– ... უფასო ლანჩს რომ იღებ.

მხრებს იჩეხს.

– ამაზე უარესი რამეებიც არსებობს.

– ჰო, ალბათ.

– დედა ნერვიულობს, მაგრამ მამა ამბობს, მინდა ჩემი გამოგონებით კაცობრიობის ისტორიაში კვალი დავტოვო. დედა წუხს, ნამდვილი სამუშაო იპოვეო. ხშირად ჩხუბობენ ამის გამო.

გაოცებული ვარ, ალბერტმა ეს რომ მომიყვა და საიდუმლოდ უნდა შევიწინახო.

კეიშა გვესალმება და ჯდება.

– მეც ვესალმები, ალბერტი კი თავს უკრავს.

– ალბერტ, – იწყებს კეიშა, – „ვარსკვლავურ გზას“ ვუყურე, იმიტომ, რომ სკოლაში სულ ამაზე ლაპარაკობ. თოჯინების თეატრი მომაგონა. სპეცეფექტები დიდი ვერაფერი. ცოტა საცოდავადაც კი გამოიყურება ყველაფერი.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ალბერტი თავზარდაცემულია.

კეიშა იცინის და პაკეტიდან თავის სენდვიჩს იღებს:

– ვიცოდი, რომ აღელდებოდი.

ამ დროს ჩვენს მაგიდასთან შეი ჩნდება.

– ჯესიკა, შეხედე, დეფექტური სათამაშოების კუნძული. („წითელცხვირა ირემი რუდოლფი და დეფექტური სათამაშოების კუნძული“ პოპულარული საშობაო ანიმაციური ფილმია)

– ჰო, – ჯესიკა პასუხობს, – ექვსფეხიანი მონსტრითაა.

შეი იცინის, ჯესიკა კი თავს იწონებს თავისი ენამახვილობით.

– ეს გოგოები მოსიარულე კაქტუსებივით არიან, – ამბობს კეიშა და სენდვიჩს კბეჩს, – ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

– მე არ მაწუხებენ, – აცხადებს ალბერტი.

– არ გაწუხებს, დეფექტური სათამაშოების კუნძული რომ გვიწოდებს?

– არც მე მაღელვებს, – ამბობს კეიშა, – მაგ გოგოს შეუძლია, ჩემზე მზის ამოსვლამდე იქაქანოს. სულ ფეხებზე მკიდია.

ნეტავ მეც ფეხებზე მეკიდოს; ნეტავ არ მშურდეს შეისი და იმ ყველაფრის, რაც მას აქვს.

ალბერტი გაოცებულია:

– და რატომ არიან ის სათამაშოები დეფექტურები? მატარებლის ოთხკუთხა ბორბლების გამოცვლა ძალიან ადვილია, – ალბერტი მისთვის დამახასიათებელი სერიოზულობით აგრძელებს, – ან თოჯინას

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

რა სჭირს? რას ნიშნავს „დეფექტური“? ჩემი აზრით, სტანდარტული თოჯინას მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ნამდვილი პროფესორია.

– ან ჩარლიმ რა დააშავა? რადგან ყუთში ზის, აუცილებლად ჯეკი

უნდა ერქვას? მხოლოდ სახელის გამო დაიწუნეს?

– ცდები, – ვაწყვეტინებ მე.

გაოგნებულია. ალბათ შესწორებას არ არის მიჩვეული.

რძის კოლოფს იღებს.

– მე შეიძლება ვამტკიცო, რომ ეს ფორთოხლის წვენია, მაგრამ ამით კოლოფის შიგთავსი არ შეიცვლება.

– ეგ ერთი და იგივე არ არის, – ვეუბნები, თან ვფიქრობ: თუ ხშირად გაუმეორებ, რძე მართლა დაიჯერებს, რომ ფორთოხლის წვენია.

– პრინციპი იგივეა.

თავში ორი სიტყვა მიტრიალებს: სულელი და მიამიტი. ალბერტი ძალიან ცდება.

– კოვბოიზე რას იტყვი? – ეკითხება კეიშა, – ცხენის მაგივრად სირაქლემაზე ზის. არ არის დეფექტური?

– არალოგიკურია ასე მსჯელობა. დეფექტურია მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა ცხოველზე ზის, თანაც ის ხომ პატოსნად ასრულებს კოვბოის მოვალეობას.

– ალბერტ! – ეღიმება კეიშას, – კოვბოის მოვალეობებზე ასეთი სერიოზული სახით როგორ ლაპარაკობ?

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– ვერ გავიგე, – უკვირს ალბერტს.

კეიშა შუბლს მაგიდას ადებს, ალბერტი კი აგრძელებს:

– ისიც არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ სირაქლემა ცხენზე სწრაფად დარბის, ნაკლები წყალი სჭირდება და კიდურების იარაღად გამოყენება შეუძლია. ძალიან ძლიერი დარტყმა და მჭრელი კლანჭები აქვს. მე ცხენის ნაცვლად სირაქლემას ავირჩევდი. ლოგიკურია.

მე კი ვფიქრობ, ვინმემ გულზე დაფა რომ ჩამომკიდოს, რომელზეც ჩემ შესახებ რაღაც ეწერება, მხოლოდ ამ დაფის გამო ნამდვილად ვერ ვიქცევი ისეთად. ხშირად მიწოდებენ „ნელს“, ჩემი თანდასწრებითაც კი, თითქოს იმდენად სულელი ვიყო, ვერ ვხვდებოდე, ჩემზე რომ ამბობენ.

ადამიანებს ჰგონიათ, სიტყვები „ნელი მკითხველი“ ყველაფერს ამბობს ჩემ შესახებ. თითქოს თუნუქის ქილაში ჩასხმული მზა წვნიანი ვიყო, რომელსაც ზედ ინგრედიენტები აწერია. ინგრედიენტებს თუ წაიკითხავ, ყველაფერს გაიგებ. მაგრამ წვნიანში ბევრი ისეთი რამეა, რაც იარლიყზე არ წერია, მაგალითად, როგორი სუნი და გემო აქვს, ან რამდენად გაგათბობს, როცა მიირთმევ. მგონი, ჩემს შემთხვევაშიც ასე უნდა იყოს: მხოლოდ „ნელი მკითხველი“ ვერ გამოხატავს იმას, რაც ჩემშია.

თავი 18. სიმართლე და სიცრუე

კეიშა გაბრაზებული ჯდება თავის ადგილას. მისტერ დენიელსმა

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

დავალების თავიდან დაწერა სთხოვა, უკეთ შეგიძლიათ. ადრე ვერ ვიტანდი, მასწავლებელი ამას რომ ამბობდა. მისტერ დენიელსისგან ეს სიტყვები პირველად მოვისმინე და, ჩემთვის მოულოდნელად, ვღელავ.

საიდუმლო ყუთების გამოცანის შემდეგ იმაზე ვფიქრობ, რა კარგი გრძნობაა, როცა რამეს სწორად აკეთებ; როცა ისეთივე ხარ, როგორც ყველაა.

სწორედ ეს მინდა – ვიგრძნო, რომ ისეთივე ვარ, როგორც ყველაა. მინდა ჩემს ცუდად შესრულებულ დავალებაზე მითხრან, საკმარისად კარგი არ არისო. მინდა მისტერ დენიელსისგან გავიგო, უკეთ შეგიძლიათ, და ვიცოდე, რომ ნამდვილად ასე ფიქრობს.

მერე მახსენდება, მე ხომ უკეთესად არ გამომდის. კლასში არაფერი დამიწერია მას შემდეგ, რაც მკლავის ტკივილი გამოვიგონე. სამი დღის შემდეგ მისტერ დენიელსმა მითხრა, ექთანს დედაშენთან დავარეკინებო, მეც სხვა გზა არ მაქვს, სახვევს უნდა შეველიო.

მაგრამ ახლა ვერ გადამიწყვეტია, ვინ უნდა ვიყო – ვინც აღიარებს, რომ არ შეუძლია, თუ თვალთმაქცი.

ბოლოს გადაწყვეტილებას ვიღებ, დავალება ისე ცუდად დავწერო, მისტერ დენიელსმა თავიდან შესრულება მთხოვოს.

ჰოდა, ასე, არც კი ვცდილობ, სწორად დავწერო, როგორც ჩვეულებრივ ვიქცევი ხოლმე. უბრალოდ, ასოებს ვწერ ერთმანეთის მიყოლებით, ისე, რომ მეც კი ვხვდები, რა უაზრობაა.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

მის მაგიდასთან მივდივარ და კალათაში ჩადების ნაცვლად, პირდაპირ ვაწვდი.

– გმადლობ, ელი, მაგრამ თუ დაასრულე, დავალების კალათაში ჩადე.

უფრო ახლოს მიმაქვს:

– იქნებ ჯერ გადაგეხედათ.

რამდენიმე წამით ჩვენი თვალები ერთმანეთს ხვდება, მერე ხელს მიწვდის და დავალებას მართმევს.

– კარგი, – მეუბნება, მერე დახედავს და თვალები უმრგვალდება.

ისევ მე მიყურებს, მაგრამ ხმას არ იღებს. ვხვდები, რომ ფიქრობს.

უკვე წარმოვიდგენ, როგორ მეუბნება: „ელი, შენ ამის გაკეთება უკეთ შეგიძლია“ და მეც რაღაც ჯადოსნობით უკეთ ვაკეთებ. მერე მისის სილვერს ჩემთვის იმხელა ჯილდო მოაქვს, ზურგით მოათრევს.

– ელი!

– დიახ?

– როგორც გითხარი, შეგიძლია დავალებების კალათაში ჩადო.

ჩემი წარმოსახვითი სცენები საპნის ბუშტივით სკდება. ფურცელს აღარ ვართმევ და მერხთან ვბრუნდები.

როგორც კი კაფეტერიაში მაგიდასთან ვსხდებით, კეიშა ალბერტს უცხადებს:

– მთელი დღეა, ამაზე ვფიქრობ. თავიდან არ ამომდის.

– რაზე? – ვეკითხები.

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– ალბერტ, როგორც იქნა, გავარკვიე, რას ნიშნავს სიტყვა შენს მათისურზე. მე მგონი, ცოტა ზედმეტი მოგდის. „ფლინტი“ დავგუგლე და იცი, რა აღმოვაჩინე?

ალბერტი გაფართოებული თვალებით უყურებს.

– მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ფლინტი არის ქალაქი მიჩიგანის შტატში; ჰქვია ერთ-ერთ ლითონს, რომელსაც კოცონის დასანთებად იყენებენ და რომლითაც ისრის პირებს ამზადებდნენ (გულისხმება კაჟი.); და, ასევე, სპორტულ ფეხსაცმელს.

ალბერტი ხმას არ იღებს.

– ალბერტ, გაიგონე, რა გითხარი? ვერ ვხვდები, გაუხდელად რატომ გაცვია ეს მაისური.

ალბერტი წრიალებს.

– ალბერტ, – ვცდილობ, დავამშვიდო, – ხომ კარგად ხარ? კეიშას შენი წყენინება არ უნდოდა, უბრალოდ...

– ჩემთვის სრულიად ნათელია, რაც უნდოდა.

ვწუხვარ:

– რას გულისხმობ?

– უნდა გაიგოს, რატომ მაცვია ეს მაისური.

სასაცილოა, ჩემი გონება ყოველთვის ართულებს ყველაფერს, მისი კი ყველაზე მარტივ გამოსავალს პოულობს. ყველაზე მარტივს – რთული სიტყვებით და უგრძესი წინადადებებით.

– ჩემს მაისურზე ჩამოთვლილთაგან არც ერთი არ წერია, – თვალ-

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ებს ხუჭავს და ღრმად ჩაისუნთქავს, – ფლინტი უკვდავი გენიოსია „ვარსკვლავური გზის“ მესამე სეზონის მეცხრამეტე სერიაში სახელწოდებით „რექვიემი...“

კეიშა იცინის და აწყვეტინებს:

– ალბერტ, მეხუმრები?

ალბერტი ახველებს და საათს უყურებს.

– ალბერტ, – კეიშას ფეხს ვკრავ, ისიც, ჩემდა გასაკვირად, სიცილს წყვეტს.

– მოგვიყევი, რა, მაინტერესებს, – იმ დღის შემდეგ, ჯესიკას რომ ავყევი, ვცდილობ, ალბერტს განსაკუთებით კარგად მოვექცე, – ფლინტი ჭკვიანია?

ალბერტი წელში იმართება:

– ფლინტი უკაცრიელ პლანეტაზე მიემგზავრება. იქ უხილავ ბარიერებს აგებს, რომ ვერავინ შენიშნოს სიცოცხლის ნიშანწყალი. რობოტებს ქმნის, ასე თავსაც იცავს და მარტოც არ არის. რობოტების... საქციელი პროგნოზირებადია.

– ჩემი აზრით, ძალიან უცნაური ვინმეა, – ამბობს კეიშა, – დედამიწაზე ადამიანებთან ერთად ცხოვრება რატომ არ უნდა?

– ოდესღაც ცხოვრობდა დედამიწაზე. მერე გადასახლდა. მარტო ყოფნა უნდოდა.

კეიშა წინ იწევა და ხელებს მაგიდაზე აწყობს:

– არ მესმის, რატომ უნდა დატოვო დედამიწა, სადაც ყველაფერია,

მისამართი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

და წახვიდე კოსმოსში სრულიად მარტო?

ალბერტი ყოყმანობს:

– აქაურ უსიამოვნებებსა და ადამიანებს რომ გაერიდო... – მე მიყურებს და აგრძელებს, – ჩემთვის ეს გასაგებია. გასაგებია, რატომ შეიძლება არ უნდოდეს ადამიანს სხვებთან ერთად ყოფნა. მათი უმრავლესობა მე კარგად არ მექცევა... და...

– მისმინე, ალბერტ, – კეიშას ტონი ურბილდება, – არ მინდოდა...

ალბერტი აწყვეტინებს:

– შენ არ მიგულისხმობხარ იმ ადამიანებს შორის, რომლებიც კარგად არ მექცევიან.

შვებას ვგრძნობ.

– მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც კეთილები არ არიან.

თავი 19. არცთუ ისე სასიამოვნო საიდუმლო

როგორც ველოდი, დედა იღიმის, როცა მე, ალბერტი და კეიშა პეტერსენის რესტორანში შევდივართ. ზუსტად რესტორნის ცენტრში გვსხამს და ჩვენს შეკვეთას იღებს. კეიშა ჩემ გვერდით ზის, ალბერტი კი

– ჩვენ წინ.

– გმადლობ, ნაყინზე რომ დაგვპატიჟე, – მეუბნება კეიშა.

– არაფრის.

– აქ ყოველდღე მოსვლა ალბათ ძალიან მაგარია.

– ნაყინი უფასოა? – მეკითხება ალბერტი.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– დედა ნაყინის ჭამის უფლებას მხოლოდ კვირაში ერთხელ მაძლევს. უფასო არ არის, მგონი, ნახევარ ფასს ვიხდით.

ალბერტი ცმუკავს:

– რომელიმეს მისის ჰოლი გენატრებათ?

– ჩვენი ძველი მასწავლებელი მისის ჰოლი? არა უშავდა, თუმცა, მისტერ დენიელსი უფრო მომწონს. კეთილია.

– კი, კეთილია, – მეთანხმება კეიშა, – ცოტა გიჟია, მაგრამ კარგი გაგებით.

– ჰო.

– არა მგონია, გულუბრყვილო ადამიანი იყოს, – ამბობს ალბერტი.

– მისტერ დენიელსი? – გაკვირვებული ვეკითხები.

ალბერტი მუხლებს იზეღს:

– ჩემს დალურჯებებზე მკითხა. მაიძულა, სკოლის ფსიქოლოგს დავლაპარაკებოდი. ალბათ იფიქრა, რომ ჩემი მშობლები მცემენ, – სკამზე ვერ ისვენებს, – ჩემი მშობლები მწერებსა და ობობებზეც კი ზრუნავენ, სახლიდან გარეთ გაჰყავთ მოკვლის ნაცვლად. არალოგიკურია, რომ დედაჩემმა ობობა გადაარჩინოს და საკუთარ შვილს ხელი დაარტყას.

კეიშას ვუყურებ, იმედი მაქვს, მან მაინც იცის, რა უნდა თქვას, მაგრამ ისიც ჩუმადაა.

ღრმად ჩავისუნთქავ:

– ალბერტ, მეც მიფიქრია იმაზე, საიდან გაქვს ეგ დალურჯებები.

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– ბიჭების ერთი ჯგუფია, სკოლის მერე ხშირად ვხვდები ხოლმე, – ამბობს ხმადაბლა. ჩვეულებრივი ბიჭივით ამბობს და არა რობოტივით.

– შენ ხვდები? – ეკითხება კეიშა.

– არა, ისინი მხვდებიან.

– ძალიან ვწუხვარ.

თავს მიკრავს და იატაკს აშტერდება.

– ვინმეს რომ უთხრა?

– მე არ მჯერა ძალადობის. თანაც ჩხუბში ბრალი მაინც დიდ ბავშვს დაეკისრება. არავინ დაიჯერებს, რომ ჩემნაირ დიდ ბიჭს ვინმე მოერიცა. ეგონებათ, პირველმა მე დავარტყი.

ვანილის ნაყინს დაჰყურებს და მერე თავს სწევს, თითქოს ოდნავ უფრო მხიარულადაა.

– ეს ელის კუნძულის ნაყინს მაგონებს. თავი ტვინით გაქვს სავსე, ალბერტ, მაგრამ საღი აზრი არ გაგაჩნია, – ამბობს კეიშა.

– როცა ემიგრანტები ამერიკაში ელის კუნძულის გავლით შემოდის ოდნენ, ზოგჯერ ნაყინს მართმევენ ხოლმე. მათ არ იცოდნენ, ნაყინი რა იყო, კარაქი ეგონათ და პურზე უსვამდნენ.

გვეცინება.

– იმ ბიჭებს მოჩუბარი ვგონივარ, ჰოდა, მეჩხუბებიან.

– არა, ალბერტ, – არ ეთანხმება კეიშა, – მათ ჰგონიათ, რომ შენ არ იჩხუბებ და ყოველთვის მათი სავარჯიშო ტომარა იქნები. ამიტომ

გცემენ.

წარბები გაოცებისგან ზემოთ ასდის.

– ალბერტ, ეს არ არის სახუმარო, – აგრძელებს კეიშა, – მათი დარტყმების კვალი გეტყობა ხოლმე. შენი მშობლები არ ბრაზდებიან?

დედაჩემი აუცილებლად იპოვიდა მათ, ვინც ასე მომექცეოდა.

– მამაჩემი გამოგონებებითაა დაკავებული და დედასაც სხვა სადარდებელი აქვს.

– დახმარება უნდა სთხოვო, – მხარს ვუბამ კეიშას, – კეიშა მართალია.

მხრებს იჩეჩს.

– ალბერტ! – კეიშას შავი თვალები ბრაზისგან უფართოვდება, – ვერ ვხვდები, რატომ აბედვინებ იმ ბიჭებს, გირტყან? ხომ თქვი, მათზე დიდი ვარო?

– კი, ჭიანჭველებს ვეძახი. პატარა არსებების ჯგუფია, რომელიც, თუ გაერთიანდა, შეიძლება უძლეველ ძალად იქცეს.

ვიცინი, მაგრამ სინამდვილეში სევდა მეუფლება.

– არა, ალბერტ, სერიოზულად ვამბობ, – კეიშა უკვე ძალიან გაბრაზებულია, – ჭკუა უნდა ასწავლო. შენც დაარტყი!

– არა მგონია, ჩემს ხასიათში იყოს ვინმესთვის ხელის დარტყმა.

ძალადობას ძალადობით არ ვუპასუხებ. თავს არ დავიმდაბლებ.

– თავს არ დაიმდაბლებ?!

– თუ მათნაირად მოვიქცევი, მაშინ მათზე უკეთესი რით ვიქნები?

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– ესე იგი, გგონია, ისევე არ გამოგივა არაფერი, როგორც ჟელეს ვერ ჩაუდგამ ხერხემალს? – ამბობს კეიშა.

ალბერტი თვალებს ჭუტავს. ნეტა გაბრაზებულია?

– უხერხემლო ცხოველები ერთ-ერთი ყველაზე მომაკვდინებელი არსებები არიან დედამიწაზე.

– მეცნიერებაზე ნუ მელაპარაკები, – ცხარობს კეიშა, – თავი უნდა დაიცვა. რადგან უფლებას აძლევ, ასე მოგექცნენ, ესე იგი, ეუბნები, რომ შეიძლება ასე მოქცევა.

ალბერტი დუმს.

– ვერ გავიგე, ალბერტ. რა უნდა მოხდეს, რომ წინააღმდეგობა გაუწიო?

ალბერტი აღელვებული ჩანს. ვიცი, კეიშა ცდილობს, დაეხმაროს, მაგრამ მგონია, ეს იმას ჰგავს, ლუზა რომ ესროლო ადამიანს მაშველი რგოლის ნაცვლად.

– ალბერტ, მეცნიერება ყოველთვის მოგწონდა? – ვცდილობ, საუბარი სხვა თემაზე გადავიტანო, მაგრამ კეიშა ოხრავს და ჭერში იყურება, გაბრაზებულია ალბერტზე.

– დიახ, ელი. მეც მინდა რაღაც გკითხო.

– კი, რა თქმა უნდა.

– შეი ბევრს ექცევა ცუდად, მაგრამ შევამჩნიე, რომ შენ მიმართ განსაკუთრებით დაუნდობელია და ვერ ვხვდები, რატომ.

– ჰო, – ეთანხმება კეიშა, – მართლაც რაღაცას გერჩის.

მისამართი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– ჰო...

– რაღაც მოხდა, არა? – მიბრუნდება კეიშა, – მიყვარს საინტერესო ისტორიების მოსმენა.

– არაფერი მომხდარა. შარშან ხელოვნებაში ჯილდო ავიღე და გაბრაზდა.

– არა, ნამდვილად კიდევ რაღაც მოხდა. მოყევი.

– მოდი, ასე ვთქვათ, ძველი ბოღმა აქვს.

– მოყევი. რადგან სიტყვა „ბოღმა“ გამოიყენე, ესე იგი, მართლა კარგი ისტორიაა.

– შარშან, ამ სკოლაში მოსვლის მეორე დღეს, ლანჩზე ყველის კრეკერები მოვიტანე. მის გვერდით დამსვეს და ეს ამბავი არ მოეწონა.

ჩემი სენდვიჩი თითქმის შეჭმული მქონდა, როცა ჩემს კრეკერების პაკეტს სტაცა ხელი, გახსნა და შეჭამა.

– მართლა? შეგიჭამა?

თავს ვუკრავ. აღარ მინდა ამბის გაგრძელების მოყოლა.

– დაუჯერებელია, – კეიშა თავს იქნევს.

– მოკლედ, მაშინ ასეთი ჩვევა მქონდა... დაუფიქრებლად ვმოქმედებდი... მაშინ უფრო ხშირად ვიქცეოდი ასე, ვიდრე ახლა. ჰოდა, როცა ლანჩის ყუთიდან ნამცხვარი ამოიღო, ფრჩხილებით ნაწილი ამოვგლიჯე და პირში ჩავიტენე.

კეიშა სიცილით კვდება, ალბერტი კი გაოგნებულია:

– მართლა ასე მოიქეცი? – მეკითხება გაფართოებული თვალებით.

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– მერე... – ძალიან არ მინდა მათთვის ამის თქმა, – ნარჩენები თითებიდან ავილოკე და ვკითხე: მოგეწონა?!

ამ მომენტში შეის სახე რომ მახსენდება, შიგნით ყველაფერი მეკუმშება. ჯერ ძალიან გაოცდა, მერე ისე შემომხედა, თითქოს მოსიარულე ავადმყოფობა ვყოფილიყავი. მაშინვე ვიგრძენი, რომ ამ საქციელის გამო მთელი ცხოვრება ვაგებდი პასუხს.

კეიშა ისევ იცინის.

– რა მაგარია. სხვებმაც უნდა მოსვან ეგ გოგო თავის ადგილზე. ყველას ცუდად ექცევა.

ხმამალლა ვფიქრობ.

– ალბათ ეგონა, რომ არანორმალური ვარ.

– დაიმსახურა. როგორ შეიძლებოდა შენი საჭმლის ასე აღება?

– საქმე ის არის... – ვჩერდები, რადგან არ ვიცი, როგორ მოვყვე დანარჩენი, – ...გავბრაზდი, ჩემი კრეკერები რომ შეჭამა. მაგრამ ლანჩი დამთავრდა, ხელი ქურთუკის ჯიბეში ჩავიყავი და ჩემი კრეკერები ვიპოვე.

კეიშა ხმამალლა და დიდხანს იცინის, ალბერტი გაოცებულია.

– მოიცა, – მეკითხება კეიშა, – ანუ შენი არ შეუჭამია?

თავს ვიქნევ.

– ესე იგი, მას ჰგონია, მის ნამცხვარს უმიზეზოდ ეტაკე?

– ჰო, ალბათ.

კეიშა კიდევ უფრო ხმამალლა იცინის. დედა შორიდან გაკვირვებულ-

ლი მიყურებს. კეიშა ჩემკენ იხრება:

– მოკლედ, ეს არის საუკეთესო ამბავი, რომელიც მომისმენია მთელი ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში. ელი ნიკერსონ, ყვავილების გამო უკვე რომ არ მიყვარდე, ამ ამბის გამო შემიყვარდებოდი.

თავი 20. მერე ეს კარგია?

შემოსასვლელი კარი ხმაურით იხურება. თრევისი მეძახის. ხმაზე ეტყობა, რომ რაღაც უხარია. ჩემს ოთახთან ჩერდება.

– აბა, გამოიცანი!

– რა? – ვეკითხები, მაგრამ არ მპასუხობს, დგას და იკრიჭება. მერე ვამჩნევ, რა უჭირავს ხელში და სიხარულით ვხტები:

– იყიდე? მართლა იყიდე?

არ მპასუხობს, უბრალოდ, გასაღებს აჩხარუნებს.

გარეთ გავრბივართ და სიურპრიზი მხვდება, თუმცა, ისეთი არა, როგორსაც ველოდი.

– ჰო, ვიცი, დიდი არაფერია.

ცდება. ეს ყველაფერია. უზარმაზარია, ღია მწვანე, ბორბლებიან კიტრის მწნილს ჰგავს.

– არა, ძალიან მაგარია.

– მე ვერ მომატყუებ, ძალიან კარგად გიცნობ.

– ეს ხაზები რატომ აქვს? – ახლოს მივდივარ და ვაკვირდები.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– ალბათ ძველმა მეპატრონემ ფუნჯით შეღება სპრეის მაგივრად.
გაპრიალება მომიწევს და ყვითელი საღებავიც უნდა მოვაშორო გვერ-
დიდან. თუმცა, კარგი ძრავა აქვს. იფრენს.

მე თუ მკითხავ, ეს მანქანა მხოლოდ იმ შემთხვევაში გაფრინდება,
თუ გიგანტურ ბუშტებს შევაბამთ. დაუჯერებელი რამეების რვეულის
ნახატი უკვე თვალწინ მიდგას.

– თანაც ასეთ ძველ მანქანაში არანაირი კომპიუტერული მოწყობ-
ილობა არ არის, მხოლოდ მე და ჩემი მანქანა ვიქნებით...

მიკვირს:

– მერედა, ეს კარგია?

მუჯღუგუნს მკრავს.

– აი, ნახავ, მოგეწონება, როცა ეს მანქანა საინტერესო ადგილებში
წაგიყვანს. მაგალითად, სანაპიროზე, ან გასართობ პარკში!

თავს სწრაფად ვწევ მაღლა:

– მართლა?

– ყველგან, სადაც მოგინდება, პატარავ.

აზრადაც არ მომსვლია, რომ ეს მანქანა ჩვენი იქნებოდა და სამო-
გზაურად წამიყვანდა.

– გინდა ახლავე გავისეირნოთ?

– როგორ არა! უნდა მოვაწვე თუ დაქოქვაში მოგეხმარო?

– ინანებ, ეს სილამაზე რომ დაიწუნე. მანქანის ერთგული უნდა იყო.

– თრევის, ეს ხომ, უბრალოდ, მანქანაა?

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– უბრალოდ, მანქანა? უბრალოდ? – მეორე მხრიდან შემოუვლის და ჯდება.

ჩემს კარსაც ადებს და მეც ვჯდები. უზარმაზარი სკამებია სალონში. თრევისი გასაღებს ატრიალებს და მანქანა ხმაურით იქოქება... ფარმინგტონ-ავენიუსკენ სენ ტომასის ეკლესიის გავლით მივდივართ. მთელი დილა წვიმდა და ახლა ისევ წვიმას იწყებს. საქარე მინაზე დიდი წვეთები ხმაურით ეცემა. თრევისი ილანძღება, მანქანას აჩერებს და თოკს იღებს.

– რას აკეთებ?

მანქანიდან ხტება, ჩემს მხარეს მდებარე მინის საწმენდს ხელს ჰკიდებს და რესორით რაღაცაზე ამაგრებს. მეორესაც ზედ აბამს, მერე თოკს თავის მხარეს ფანჯარაში აგდებს და ჯდება. სველი და მხიარულია.

– რა ჯანდაბას აკეთებ?

– სამი საათი, – ამბობს თრევისი.

– რას გულისხმობ?

– ამ მანქანის გადმოფორმებიდან სამ საათში მინის საწმენდი გაფუჭდა. ამიტომ სახელოსნოში მივედი და ეს თოკი წამოვიღე. აი, შეხედე, – თრევისი თოკს ქაჩავს და საწმენდები მუშაობას იწყებს, მერე ხელს უშვებს და რესორი მათ ისევ უკან აბრუნებს.

– ეი, შენ არ თქვი, გენიოსი ვარო? – ვეხუმრები.

– ვარ კიდევ. ყველა გენიოსს ხვდება წინააღმდეგობა.

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

- ძნელი არ არის ტარება და თან მაგის კეთება?
- მართალი ხარ. შენ მიხედვე საწმენდებს, – თოკს უკანა სკამზე აგდე, – გადაძვერი და ჩემ უკან დაჯექი, პატარავ.
- კარგი, – უკან ვძვრები, თოკს ვქაჩავ, მერე ვუშვებ, საწმენდები ზემოთ-ქვემოთ მოძრაობს. მომწონს, მინა რომ სუფთავდება – ბუნდოვანი ნათელი ხდება. ვფიქრობ, რა მაგარი ნახატი გამოვა და მიხარია, უცნაური, კიტრის მწნილისფერი მანქანა რომ გვყავს.
- თრევის, ეს სახალისო და თან ძნელია, – ხელი მეღლება. სარკეში მაკვირდება და იცინის. მეც ვიცინი და ამის გამო კიდევ უფრო მიჭირს თოკის მოქაჩვა.
- შუქნიშანთან წითელ შუქზე ვჩერდებით და თრევისი გვერდით მანქანაში მჯდომ ქალზე მანიშნებს. ამ გაოგნებული ქალის გამომეტყველებაზე სასაცილო არასდროს არაფერი მინახავს.
- ოღონდ მანამ, სანამ დავინახავ, რომ მის გვერდით შეი ზის.
- როგორც კი მისტერ დენიელსი დერეფანში ერთ-ერთ მასწავლებელთან სალაპარაკოდ გადის, შეი ყველას გასაგონად ამბობს:
- ჯესიკა, გუშინ დავინახე ელი. საშინელ, მწვანე მანქანაში იჯდა. ვერ ვიჯერებ, რომ მაგ მანქანას საერთოდ გზაზე სიარულის ნებას აძლევენ. წარმოიდგინე, მინის საწმენდებს თოკით ამუშავებდა.
- ალბათ ხუმრობ, – ილიმის ჯესიკა.
- ელი, ეგ ჯართი ნაგავსაყრელზე იპოვე?
- ჯესიკა ისე იცინის, როგორც მისგან ელიან.

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ვცდილობ, არ მივაქციო ყურადღება. დედა მეუბნება ხოლმე, უზრდ-
ელ ადამიანს ყურადღება არ უნდა მიაქციო, ის, უბრალოდ, ცდილობს,
წყობიდან გამოგიყვანოსო.

– მხოლოდ ხელმოცარულ ადამიანს შეიძლება ჰყავდეს ასეთი მანქანა. ეს ალბათ ერთადერთი იყო, რის ყიდვაც დედაშენს შეეძლო.
მოთმინებას ვკარგავ:

– ჩემი ძმის, თრევისის მანქანაა. ხელმოცარული ადამიანის მანქანა არ არის!

– როგორ არა, შენი ძმა თრევისი ხელმოცარულია.
იციან.

– არ მეგონა, შენზე დიდი უიღბლო თუ არსებობდა, ელი, მაგრამ
ეტყობა, ვცდებოდი, – აგრძელებს შეი.

– მოკეტე! – ვეუბნები შეის და ამ დროს ოთახში მისტერ დენიელსი
ბრუნდება, – თქვენ ხართ ხელმოცარულები, თქვენ, თრევისი კი არა!

– ელი, – მისტერ დენიელსი მეძახის, – აქ მოდი, თუ შეიძლება.

– რა მოხდა? – ვცდილობ, უპატივცემულობაში არ ჩამეთვალოს.

– ადრე არ გამიგია, ვინმესთვის შეურაცხყოფა მიგეყენებინოს.

– შეუძლიათ, რაც უნდათ, მე ის დამიძახონ და დამიჯერეთ, ბევრ-
ჯერ დაუძახიათ. მაგრამ ჩემს ძმაზე, თრევისზე, არაფრის თქმის უფლებას
არ მივცემ, არასოდეს!

– მესმის, რომ გაბრაზდი და შენი ძმის დაცვა გინდოდა, მაგრამ შე-
მდეგ ჯერზე, უბრალოდ, არ მიაქციო ყურადღება, კარგი?

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ, მაგრამ უნდა ვაღიარო, დავიღალე ყურადღების არმიქცევით.

თავი 21. პეკლისთვის ჩათქმული ნატვრა

კლასში სოციალური პროექტის შესახებ ვმსჯელობთ.

შეი ხელს იწევს.

– დაბადების დღეს აღვნიშნავ და ყველას გეპატიჟებით. არ მინდა ვინმე გამოვტოვო.

– ეგ სოციალურ პროექტს უკავშირდება? – ეკითხება კეიშა. პასუხს მთელი კლასი ელოდება.

– სოციუმს ეხება. ყველა იქნება ჩართული.

– კი, როგორ არა, – ჩამჩურჩულებს კეიშა.

მისტერ დენიელსი შეის გულისხმიერებისთვის აქებს და მაშინვე სხვა თემაზე გადადის. მოგვიანებით, შესვენებაზე, შეი ჯესიკას ხმამაღლა ეუბნება:

– ძალიან გაბრაზებული ვარ. დედაჩემმა მაიძულა, ყველა დამეპატიჟებინა, – მერე მე და კეიშას გვიყურებს და აგრძელებს: – იმედია, ზოგიერთები მიხვდებიან და არ მოვლენ.

დედა მოითხოვს, შეის წვეულებაზე წავიდე. ვუთხარი, შეი უხეშად მექცევა-მეთქი, მაგრამ აზრს მაინც არ იცვლის.

– სხვა ბავშვებიც ხომ იქნებიან? შეიძლება მართლა გაერთო.

ალბერტმა თავისი მოსაწვევი საფოსტო ყუთიდან მანამ ამოიღო,

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

სანამ დედამისი ნახავდა; კეიშას ოჯახი ბებიას სანახავად მიემგზავრება. ასე რომ, მარტო ვიქნები.

ლანჩის დროს ალბერტსა და კეიშას იმ ავადმყოფობებზე ვეკითხები რჩევას, რომლებიც შეიძლება წაუსვლელიობის მიზეზად გამოვიყენო.

– ბუბონის ჭირი რომ შეგეყაროს? ანუ შავი ჭირი? – მთავაზობს ალბერტი.

კეიშას ლამის რძე გადასცდეს:

– სერიოზულად ამბობ?

– ეგ შეიძლება მეტისმეტი იყოს, – ვპასუხობ მე.

– რა ახასიათებს? ციებ-ცხელება, კრუნჩხვა, უცარი შეტევები. ფეხისა და ხელის თითები, ასევე, ცხვირი და ტუჩები შავდება, რადგან უჯრედები იხოცება. შეიძლება სისხლიც ამოახველო.

– ალბერტ, – აწყვეტინებს კეიშა, – რა სიგიჟეა. იქნებ ნორმალური ადამიანივით გახდეს ავად, დაახველოს, სურდო ჰქონდეს. გსმენია ამის შესახებ?

– ეგეც შეიძლება, – სენდვიჩს კბეჩს ალბერტი, – უბრალოდ, საინტერესო არ არის, მეტი არაფერი.

შეიწვეულებას პეპლების ბაღში მართავს. სხვა კლასის გოგოებიც არიან, ყველას მეგობრობის სამაჯური უკეთია. ჯესიკას უკვე რამდენიმე აქვს. მე ისევ მინდა ასეთი სამაჯური და ვფიქრობ, ნეტა კეიშასაც თუ ენდომება.

მალე ერთ მწკრივად ვეწყობით და მთავარ ბაღში შევდივართ, სა-

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

დაც გამჭვირვალე კარავია გაშლილი. კარავი სავსეა ყვავილებით. ირ-გვლივ უამრავი პეპელა დაფრინავს. პეპლები მხრებსა და მკლავებზე გვასხდებიან. ყველა ბედნიერია. ეს მათ თვალეებზე ეტყობათ.

სანამ კარავში შევალთ, ბაღის თანამშრომელი ქალი პეპლებზე გვესაუბრება. მათ მოხატულობაზე გვიყვება და გვეუბნება, ისეთებს დავაკვირდეთ, რომლებსაც ორივე ფრთაზე უზარმაზარი ლაქა აქვთ. თურმე ეს იმისთვისაა, რომ სხვა ცხოველებს თვალეები ეგონოთ, იფიქრონ, დიდი და საშიში არსებები ყოფილანო, და თავი დაანებონ. ნეტავ, მეც შემეძლოს ასე მოქცევა შეისთან, ალბერტს კი – იმ ბიჭებთან.

მერე თანამშრომელი გვახსენებს, რომ პეპლებს ხელი არ უნდა ვახლოვდეთ, რადგან მათი დაზიანება ძალიან ადვილია. უნდა ვიდგეთ და ველოდეთ, თვითონ როდის მოგვიახლოვდებიან. შემდეგ ქალბატონი ჩემკენ იშვერს ხელს:

– შენი ნარინჯისფერი პერანგი ძალიან მოეწონებათ.

პეპლები ჩემთან მართლა მოდიან. მათ ფერებსა და მოხატულობას რომ ვაკვირდები, მიკვირს, აქამდე რატომ არ ვხატავდი პეპლებს. ჩიტებისგან განსხვავებით, ისინი თითქოს უმიზნოდ დაფრინავენ. ნეტა მეც ცოტათი პეპელა ხომ არ ვარ?

მკლავებს ხესავით ვშლი, ჯერ ერთი მაჯდება, მერე – მეორე. ნამდვილად არ მეგონა, ასე თუ მომეწონებოდა პეპლები.

ალბერტის ნაამბობი მახსენდება. თურმე ინდიელებს სჯეროდათ, რომ პეპლები განსაკუთრებული ქმნილებები იყვნენ. თუ პეპელას და-

იჭერდი, ყველაზე სანუკვარ სურვილს უჩურჩულებდი და მერე გაათავისუფლებდი, ის გაფრინდებოდა და შენს სურვილს იმ სულებს მიუტანდა, რომლებიც აგისრულებდნენ.

პეპლის დაჭერა აზრადაც არ მომივიდოდა, მაგრამ ჩემი ხელი ახლაც უნებურად მოქმედებს. როცა ხელისგულზე კაშკაშა ნარინჯისფერ-შავი პეპელა მაფრინდება, მუშტს ვკრავ.

ამ დროს ჩემი მოაზროვნე ნაწილი იღვიძებს და უცებ ვხვდები, რა ჩავიდინე. მუშტს ვშლი და პეპელა ზიგზაგებით ეშვება ძირს.

ქალბატონი, რომელმაც ინსტრუქციები მოგვცა, წამში ჩნდება ჩემთან.

– რა ქენი?

მინდა სურვილის ჩაფიქრებაზე ვუამბო, მაგრამ ამ დროს შეი და დანარჩენები მოდიან.

– რა თქმა უნდა, ელიმ ჩაიდინა! ალბათ მოკლა კიდეც. ყველამ იცის, რომ პეპლის ფრთებს არ უნდა შეეხო.

– არ მომიკლავს. არასოდეს არაფერს დავუშავებდი. სურვილის ჩაფიქრება მინდოდა და ვიფიქრე, რომ ...

გოგონები იცინიან:

– რა არანორმალურია!

სუკი პეპელასთან მირბის, ალბათ მისი გადარჩენა უნდა, მაგრამ ქალი სთხოვს, უკან დაიხიოს.

– ვისთან ერთად ხარ? – მეკითხება ქალი.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

შეის დედა გვიახლოვდება:

– ჩვენთან ერთად არის, მაგრამ ჩემი ქალიშვილი არ არის. ჩემი ქალიშვილის დაბადების დღის წვეულებაზეა.

ნეტავ დედა იყოს აქ, ის გამიგებდა. თავს საშინლად ვგრძნობ, პეპელას რომ ვუყურებ, რომელიც ძირს გდია, ფრთებს იქნევს, მაგრამ ვერ ფრინდება. ჩემთვის ნაცნობი გრძნობაა.

თეთრხელთათმანებიანი ქალი პეპელას ყუთში სვამს და ამბობს:

– კიდევ კარგი, ფრთები არ დაზიანებია.

მეორე ქალი ისე მიყურებს, თითქოს პეპლებზე მონადირე ვიყო.

მინდა ვთქვა, რომ ვწუხვარ, მაგრამ გონებაში ფილმის სცენას ვუყურებ და მავიწყდება: პეპელა ეცემა და ვეღარ ფრინდება. მერე უამრავი პეპელა ცვივა გარშემო და სევდა მეუფლება, რადგან ჩემი თვალთ ვნახე, როგორ დაეცა ნამდვილი პეპელა.

სუკი მეუბნება:

– ვიცი, რომ შეგნებულად არ გაგიკეთებია.

– გმადლობ, – ვბუტბუტებ, – მაგრამ ის ხომ ჩემს ხელში იყო.

ალბათ ძალიან მინდოდა სურვილის ჩაფიქრება.

ზოგჯერ ყველაფერს იზამ, ოღონდ ნატვრა აგიხდეს.

თავი 22. დედოფალს ასე არ ექცევინ

მოგვიანებით ალბერტთან დარეკვას ვცდილობ, მაგრამ ავტომოპასუხე მეუბნება, ნომერი გაუქმებულიაო. ვღელავ, სხვაგან ხომ არ გა-

დავიდა საცხოვრებლად?

ორშაბათს სკოლაში რომ ვხედავ, გულზე მეშვება.

მისკენ გავრბივარ:

– ალბერტ, მართალია, თუ პეპლის ფრთებს შეეხები, ის ველარასოდეს იფრენს, ანუ მოკვდება?

– საინტერესო შეკითხვაა ასეთი გრილი დღისათვის. ასეთ ტემპერატურაში...

– ალბერტ, უბრალოდ, მითხარი, კი თუ არა?

– არა. მითია, რომ პეპელა ველარ გაფრინდება, თუ მის ფრთებს შეეხები. პეპლის ფრთები დაფარულია ფქვილისებრი საფარით, რომელიც სინამდვილეში ქერცლია. პეპელას ხშირად სცვივა ქერცლი და არაფერი მოსდის. ფრთებზე შეხება შეიძლება. პეპელას სერიოზულ ზიანს მაშინ მივაცენებთ, თუ ფრთებს დავუხევთ.

გამახსენდა, იმ ქალბატონმა რომ თქვა, ფრთები არ დაზიანებიაო.

ალბერტს ვეხვევი, თუმცა, მალევე მოვდივარ გონს, ალბერტის გაოცებული სახე ძალიან სასაცილოდ მეჩვენება. თითქოს თავად აინშტაინმა უთხრა, რომ დედამიწა მრგვალი კი არ არის, კოვზის ფორმა აქვს.

– ლამაზი მაისური გაცვია, ალბერტ, ახალია? – იცინის შეი თავის ახალ ხუმრობაზე. სანამ ალბერტი ხმას ამოიღებს, თითებს თავის მკლავს ჩამოაყოლებს, – მე ახალი სვიტრი მაქვს. მეწამული. სამეფო ფერია, – ამბობს და მე მიყურებს, – ამიტომ მიყვარს ყველაზე მეტად. ვერ ვხვდები, რა უნდა ჩვენგან და ჩემს თავზე ვბრაზდები, რადგან

ასეთ დროს არ ვიცი, რა ვუპასუხო. საკადრისი პასუხების მთელი წყება მეორე დილით, საუზმისას მიტრიალებს თავში.

– მართალია, მეწამული სამეფო ფერია, – არ იბნევა ალბერტი.

– დიახ, დიახ, – ისეთი წვრილი და ნარნარი ხმა აქვს, მინდება, პირი ცომით გამოვუტენო, – თქვენ ორნი ისეთი გაუთლელეები ხართ, – მე მიყურებს, – დაგენაძლევებით, ელიმ არც კი იცის, რას ნიშნავს სიტყვა „გაუთლელი“. იცი, ელი?

– მე ვიცი, გაუთლელი რასაც ნიშნავს, – პასუხობს ალბერტი, – კიდევ ერთი რამ ვიცი: მხოლოდ გაუთლელი ადამიანი ჩაიცვამს ლოკოკინას ლორწოს.

შეი ისე გვიყურებს, თითქოს ჩვენ გვეცვას ასეთი ტანსაცმელი.

– შენ ამბობ, რომ მეწამული სამეფო ფერია, – აგრძელებს ალბერტი, – სამეფო კარზე მეწამულს მხოლოდ იმიტომ იცვამდნენ, რომ ამ ფერის მიღება ყველაზე რთული და ძვირი იყო. შუა საუკუნეებში ერთი მოსასხამის შესაღებად საჭირო იყო სამი ათასი ლოკოკინას შეგროვება, რომელსაც „მღებავი მურეჟი“ ჰქვია. კარგია, რომ მოგწონს მეწამული. მე ჩალისფერს ვამჯობინებ, – მერე ჩემკენ ბრუნდება, – შენ, ელი? ლორწოსფერი გირჩევნია თუ ჩალისფერი?

– ჩალისფერს ავირჩევ, – ვცდილობ, ისე არ გავიღიმო, როგორც მინდა და ხმაც არ მქონდეს ზედმეტად მხიარული. შეის სახე, როცა თავის ახალ სვიტრს დაჰყურებს, დაუვიწყარია – თითქოს მართლაც ლორწოთი იყოს დაფარული.

თავი 23. სიტყვები, რომლებიც სუნთქავენ

ორშაბათი ლექსის დღეა. მისტერ დენიელსი ამ კვირის ახალ სიტყვებს გვიხსნის. კითხვის გაკვეთილის პირობაზე არცთუ ისე ცუდად მიდის საქმე. უბრალოდ, ყურადღებით უნდა ვუსმინო, როცა სიტყვის მნიშვნელობას გვიხსნის. თითოეულ სიტყვაზე გონებაში ფილმის სცენას ვიგონებ და ეს მეხმარება დამახსოვრებაში.

ერთ მნიშვნელოვან წესს ყოველთვის ვიცავ კლასში – ვცდილობ, შეუმჩნეველი ვიყო. თუ გამომიძახებენ, გინდაც ვიცოდე, ვამბობ, რომ არ ვიცი. აღმოვაჩინე, თუ მასწავლებელს კითხვაზე ერთხელ უპასუხებ, უფრო მეტს ელოდება შენგან და მერე ყველა იმედგაცრუებულია. თუ ჩემგან პასუხს ერთხელაც ვერ იღებენ, თავს მანებებენ.

მაგრამ დღეს მისტერ დენიელსი ორ სიტყვას – მარტოსა და მარტოსულს შორის განსხვავების ახსნას გვთხოვს.

ჩემი ხელი ისევ ჩემგან დამოუკიდებლად მოქმედებს. მისტერ დენიელსი შუა წინადადებაზე ჩერდება და მიყურებს.

უცებ ვხვდები, რა ვქენი, და გამოსავლის ძებნას ვიწყებ. იქნებ წყალი მოვითხოვო? მაგრამ ჩემ შიგნით არის რაღაც, რასაც ძალიან უნდა პასუხის გაცემა, იმიტომ, რომ ამ ორი სიტყვის ექსპერტი ვარ. შეგრძნებაც ნაცნობია. განსაკუთრებით პეპლების ამბის შემდეგ.

მისტერი დენიელსი გაფართოებული თვალებით ელოდება, რას ვიტყვი.

– ელი, ნუ ღელავ, არ იჩქარო.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

თითქოს ხედავს, რა ხდება ჩემს გონებაში; იცის, როგორი სევდიანი ვარ და ასე მგონია, ფანარს მაწვდის ბნელ ოთახში.

მისტერ დენიელსის მზერას ვიჭერ და მავიწყდება, რომ კლასში სხვებიც არიან.

– მარტობა მდგომარეობაა. ეს ნიშნავს შენს თავთან მარტო ყოფნას, როცა გარშემო არავინაა, რაც შეიძლება, კარგი იყოს ან ცუდი. შეიძლება, მარტობა თავად გინდოდეს. როცა დედა და ძმა მუშაობენ, მე მარტო ვარ, მაგრამ ეს არ მაწუხებს, – ნერწყვს ძლივს ვყლაპავ და სკამზე ვცმუკავ, – მარტოსულობა კი არჩევანი არ არის. არ აქვს მნიშვნელობა, ვინმე არის შენთან ერთად თუ არა. თავს მარტოსულად გრძნობ, როცა მარტო ხარ, თუმცა, უარესია, როცა ადამიანებით სავსე ოთახში ხარ, მაგრამ მაინც მარტოსული ხარ, ან შეგრძნება გაქვს, რომ მარტოსული ხარ.

მისტერ დენიელსს ვუყურებ. ხელები ჯიბეებში უწყვია და სევდიანი სახე აქვს. ვცდილობ, გავიხსენო, რა ვთქვი, მაგრამ ხმამაღლა ლაპარაკმა ისე ამაღელვა, აღარაფერი მახსოვს. სიტყვებს უკან ველარ წავიდებ. რა ვთქვი? ასეთი სახე რატომ აქვს?

ჯობია, ჩუმი იყო და სხვებმა მიგიჩნიონ სულელად, ვიდრე ხმა ამოიღო და დაუმტკიცო, რომ მართლა სულელი ხარ.

მისტერ დენიელსი ჩემს სახელს წარმოთქვამს.

– დიახ?

არავის ეცინება. შეის და ჯესიკასაც კი.

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– მოკლედ, ჯილდო რომ მქონდეს, წლის საუკეთესო პასუხისთვის შენ გადმოგცემდი! – ხელებს მაღლა სწევს, თითქოს რაღაცას ზეიმობს, – ეს... შესანიშნავი იყო.

ჩემს მერხს დავყურებ და ვცდილობ, მივხვდე, ეს რატომ თქვა.

– ელი!

თავს ვწევ.

– გმადლობ, – ვპასუხობ. ოთახიდან გასვლა მინდა. რატომ იქცევა ისე, თითქოს მოაზროვნეთა ოლიმპიადა მოვიგე, მე ხომ უბრალოდ შეკითხვას ვუპასუხებ?

– შეიძლება საჭირო ოთახში გავიდე?

მისტერ დენიელსი დაბნეული ჩანს.

– რა თქმა უნდა, ელი. შეგიძლია, გახვიდე.

ვდგები, შეი თვალებს ჭუტავს და თავს იქნევს. არც სჭირდება რამის თქმა, ისედაც ვხვდები, რასაც იტყოდა.

მაშინაც კი, როცა რამეს კარგად ვაკეთებ, მგონია, რაღაც შემეშალა. მონეტა რომ ვყოფილიყავი, ხის ხუთცენტისანი ვიქნებოდი.

თავი 24. წარმოსახული გმირი

მისტერ დენიელსი გვთხოვს, საყვარელ პერსონაჟზე დავწეროთ, რომელსაც გმირად მივიჩნევთ, და კლასს ავუხსნათ, რატომაა ის გმირი. სასაცილოა, მაგრამ ალბერტს ძალიან უჭირს ამ დავალების შესრულება. მისტერ დენიელსს ეუბნება, რომ იმ პერსონაჟის გმირად მი-

მისამართი: www.sulakauri.ge

სსსს სტუდენტური: www.StudentBlog.ge

ჩნევა, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს, არალოგიკურია. მისტერ დენიელს კი მაინც სთხოვს, კარგი იქნება, თუ მოიფიქრებ, ვინ არის შენთვის ასეთი გმირიო. ალბერტი ძალიან იბნევა. თავის მერხს ბუტბუტით უბრუნდება. როგორც წესი, ის არასოდეს ბუტბუტებს, ან ამბობს რამეს, ან ხმას არ იღებს.

ოლივერი თავის მერხთან ზის და ყველა სუპერგმირის სახელს ამბობს, ვინც კი ოდესმე გაუგონია:

– სუპერმენი, კაპიტანი ამერიკა, ბეტმენი, – სუკისკენ ბრუნდება შეწუხებული სახით, – რობინი სუპერგმირია? მისი ტანსაცმელი საშიში საერთოდ არ არის. არც განსაკუთრებული უნარები აქვს. თუმცა, ეგ არც ბეტმენს აქვს. მაგრამ ბეტმენს ბეტმობილი მაინც დაჰყავს და თავისი თვითმფრინავით დაფრინავს. რობინი, უბრალოდ, თან დაჰყვება. რობინის ადგილას ყოფნას არ ვისურვებდი. შენ?

სუკი პირს აღებს, მაგრამ პასუხს ვერ ასწრებს, რადგან ოლივერი უკვე სხვა რამეზე ლაპარაკობს:

– სპაიდერმენი! იქნებ მასზე დავწერო? – სუკის სახეზე აფარებს ხელისგულს, – ის ქსელს ისვრის ხელიდან და შენობებიდან ეშვება. ყველაზე მაგარია!

– ეი, არანორმალურო, – ჩურჩულებს შეი და თან მისტერ დენიელს უყურებს, რომელიც სხვა ბავშვს ეხმარება და მათკენ არ იყურება, – სულაც არ გვჭირდება ყველა უცნაური აზრის მოსმენა, რაც შენს პატარა ტვინში გაქაჩანდება. ჩვენ ვცდილობთ, ვიმუშაოთ.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ოლივერს გამომეტყველება არ ეცვლება, ისე ამბობს:

– მე რომ აქუამენი ვიყო, პირანიებს გამოვიძახებდი და ვუბრძანებდი, წაეყვანე. მათი დედოფალი გახდებოდი.

კეიშა იცინის, მისტერ დენიელსი თავს მაღლა სწევს:

– კეიშა, რა ხდება?

კეიშა მკლავს მერხზე დებს და სახეს მაღავს. ცდილობს, აღარ გაეცინოს. ამაზე შეი უფრო ბრაზდება. მისტერ დენიელსი გვიყურებს, ამიტომ ნელ-ნელა ყველა სამუშაოს უბრუნდება. ცოტა ხნის შემდეგ კეიშაც აგრძელებს წერას.

მე ისევ კლასელებს ვაკვირდები. იმაზე ვხალისობ, რომ ალბერტს ერთის არჩევაც კი არ შეუძლია, ოლივერს კი უნდა ყველას შესახებ დაწეროს.

რა ცუდია, ჩემს საყვარელ პერსონაჟზე დაწერა რომ მიჭირს. ნეტა მე ვიყო გამოგონილი პერსონაჟი.

მისტერ დენიელსი თავის მაგიდასთან მეძახის. ხელში ჩემი დავალება უჭირავს. თუ მასწავლებელს ჩემი დავალება უჭირავს, ეს კარგს არაფერს ნიშნავს. მაგრამ მისტერ დენიელსს, სხვა მასწავლებლებისგან განსხვავებით, ჩემი ნაწერი წითლად არ აუჭრელებია. ადრე ჩემს ნაწერებს თითქოს სისხლი სდიოდათ.

მისტერ დენიელსს დავალება მწვანე პასტით გაუსწორებია და ბოდიშს მიხდის, რომ ნაწერს ვერ კითხულობს. მეუბნება, შენი გმირი საინტერესო ვინმე ჩანს და მასზე მეტის მოსმენას ვისურვებდიო.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– შეგიძლია, წაგვიკითხო?

ოჰ, ნერვიულობისგან თვალები მივიწროვდება. საკუთარი ნაწერის წაკითხვა! მეშინია, უფრო დაჟინებით არ მთხოვოს ის, რის გაკეთებაც არ შემეძლია.

ფურცელს მართმევს და ამბობს:

– კარგი, მოდი, უბრალოდ, მოგვიყევი წაკითხვის მაგივრად. ჯერ შენი შერჩეული პერსონაჟის სახელი მითხარი.

ისეთ შვებას ვგრძნობ, თვალის დახამხამების მეშინია. მძულს ძალდატანება. მაგრამ ამჯერად გადავრჩი. ხმადაბლა ვპასუხობ, რომ ვერავინ გაიგონოს:

– როი. ჯ. ბივი (Roy G.Biv - ინგლისურენოვანი აბრევიატურა ცისა-რტყელას სპექტრის ძირითად ფერთა დასამახსოვრებლად. იგი ხშირად გამოიყენება ამერიკულ სკოლებში. (Red)-წითელი, (orange)-ნარინჯისფერი, (yellow)-ყვითელი, (Green)-მწვანე, (Blue)-ცისფერი, (indigo)-ლურჯი, (pink) - ვარდისფერი) .

– მოიცა, სპექტრის ფერებს გულისხმობ?

თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ.

მიყურებს. სანამ მეტყვის, რომ დავალება არასწორად გავიგე, ვასწორებ:

– თქვენ დაგვაძალეთ, გამოგონილ პერსონაჟზე დაგვეწერა. ვიცი, რომ წიგნის პერსონაჟს გულისხმობდით, მაგრამ როი გამოგონილია და არც ერთი პერსონაჟი არ არის ჩემთვის ისე მნიშვნელოვანი, რო-

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

გორც რომ. ფერები მიყვარს, ნახატებში ვიყენებ და ხელოვნება ერთადერთია... – ვჩერდები, სანამ ვაღიარებ, რომ ეს ერთადერთი რამაა, რაც გამომდის.

– ჭკვიანურია, ელი, მომწონს. ისეთი ვინმე აირჩიე, ვინც სულაც არ არის წიგნის პერსონაჟი. არასტანდარტულად აზროვნებ. იცი, რას ნიშნავს არასტანდარტულად აზროვნება?

უარყოფის ნიშნად თავს ვაქნევ.

– ეს ნიშნავს, რომ შემოქმედებითად აზროვნებ. სხვა ადამიანებისაგან განსხვავებულად.

ახალი ამბავი. ერთხელ მაინც მითხრას ვინმემ, რომ ისეთივე ვარ, როგორც ყველა.

– ეს კარგია. ასეთი ადამიანები სამყაროს ცვლიან.

მოიცა. ისეთი გამომეტყველება აქვს, ეს ცუდი სულაც არ უნდა იყოს.

– ეს სამყაროსთვის ცეცხლის შენთებას ჰგავს? – ვეკითხები ღიმილით.

– კი, ზუსტად მაგას, – თავს მიკრავს.

შემდეგ იმდენად დიდხანს მაკვირდება, ვცდილობ, მივხვდე, რას ფიქრობს. მერე უკან, ჩემს მერხთან ვბრუნდები.

მეორე დღეს, როცა კლასს ჩვენი პერსონაჟების შესახებ უნდა მოვუყვებო, ყველას ვეკითხები, რა ფერი უყვარს ყველაზე მეტად. ასეთ დროს მასწავლებლობა სახალისო მეჩვენება. მაგრამ სხვა დანარჩენ

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

შემთხვევებში ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ მასწავლებლების მშურს.

ჩანთიდან მრგვალ მუყაოს ნაჭერს ვიღებ, რომელიც შვიდ ნაწილად გავყავი და გავაფერადე. გადავწყვიტე, თითოეული კუთხე 51-გრადუსიანი ყოფილიყო, რომ თანაბარი ნაწილები მიმეღო. ამისთვის თრევისის ტრანსპორტირი გამოვიყენე. მერე ეს ნაწილები ცისარტყელას შემადგენელ ფერებად გავაფერადე.

– როგორ გგონიათ, რა ფერს მივიღებთ, თუ ყველა ფერს ერთმანეთს შევურევთ? – ვეკითხები კლასს.

ბავშვების უმრავლესობა მუქ ფერებს ასახელებს. მე კი ვამბობ:

– ჩემი საყვარელი ფერი თეთრია, ის ყველა ფერის ნარევია.

ალბერტი ოდნავ მიკრავს თავს.

შეი აცხადებს, რომ ეს უაზრობაა, მაგრამ მე პასუხი მზად მაქვს.

– თუ საღებავის ფერებს შევურევთ, მართალი იქნები, მაგრამ სუფთა, ბუნებრივი ფერების შერევა თეთრს მოგვცემს. ეს ფერადი ბორბალი ამის დასამტკიცებლად მოვიტანე.

თავი ჯადოქარი მგონია. ბორბალს მაღლა ვწევ და ცისარტყელას ფერებს ყველას ვუჩვენებ. შემდეგ ბორბლის შუაგულში ფანქარს ვამაგრებ და ვატრიალებ. როცა სწრაფად ტრიალებს, თეთრი ჩანს, როცა ნელა – ფერები ისევ იკვეთება.

ჯესიკა წინ იხრება:

– რა მაგარია!

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

შეი იხევე თვალეზმოჭუტული იყურება, სანამ მაქსიც იმავეს არ იტყვის. მერე მას ეთანხმება.

– ამის გაჩუქებას აპირებ? – აინტერესებს ოლივერს.

ვეოყმანობ:

– არ ვაპირებდი... მაგრამ ალბათ შემიძლია.

– ოლივერ, მოგეწონა? – ეკითხება მისტერ დენიელსი.

– ჩემს ავტობუსის მძღოლს მივცემდი. უყვარს ცისარტყელასფერებიანი საგნები.

– ძალიან გულისხმიერი საქციელია შენგან, ოლივერ! – ამბობს მისტერ დენიელსი.

ჩემს მერხთან ვჯდები და ვფიქრობ, უნდა ვაჩუქო თუ არა ოლივერს ცისარტყელასფერებიანი ბორბალი.

– შეიძლება, კიდევ ერთი სამაჯური მომცე? – ეკითხება ჯესიკა შეის.

– არა მგონია. ისედაც ძლივს ავუდივარ სამაჯურის მსურველებს.

თანაც, ხომ გაქვს უკვე ხუთი ცალი.

– კიდევ ერთზე უარს არ ვიტყოდი.

მინდა, მათკენ შევტრიალდე. ისე, წესით, არ უნდა ვუსმენდე.

– მისმინე, უკვე ხუთი სამაჯური გაქვს. ჯერ სხვა შეკვეთებს უნდა მივხედო. თანაც, ისედაც გმართებს ჩემი სამი დოლარი ბოლო სამაჯურისთვის. ახალს არ მოგცემ, სანამ არ გადამიხდი იმისთვის, რაც უკვე გიკეთია.

მოიცადეთ.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ვტრიალდები და თავს ვერ ვიკავებ:

– მეგობრებს ფულს ართმევ მეგობრობის სამაჯურებში?

– სხვის საუბარს უსმენ? კი, მერე რა? შენც გინდა?

ჯესიკას უკვირს:

– მოიცა, ამას მისცემ?

– არა, იდიოტო. მიცემას არ ვაპირებ. გადახდას ფიქრობს, მაგრამ, იცი, რა? ელიმ მეტი უნდა გადაიხადოს, – ჩემკენ ტრიალდება, – ათი დოლარი.

ვიცინი:

– არა, გმადლობ. მირჩევნია, ხელბორკილი ვატარო.

ვერ ვიჯერებ, შეი მეგობრებს ფულს ართმევს იმაში, რაც ერთგულებისა და მეგობრობის სიმბოლო უნდა იყოს. ვერ ვიჯერებ, რომ იმ გოგოებმა ფული გადაიხადეს.

– რა შტერი ხარ, ელი ნიკერსონ.

მე კეიშას და ალბერტს ვუყურებ და ვხვდები, მართლა შტერი ვარ.

როგორ გამიმართლა თურმე და მე კი ამდენ ხანს ვერ ვხვდებოდი.

თავი 25. დღესასწაული თუ განადგურება?

მისტერ დენიელსს ჰალსტუხზე ისეთი თასები ახატია, გამარჯვებულებს რომ გადასცემენ; სახეზე სულელური ღიმილი აქვს, იმაზე უფრო სულელური, ვიდრე ჩვეულებრივ.

– მაშ, ასე, ჩემო ფანტასტიკურებო! ჩვენ შორის არის ერთი, რომე-

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ლიც ყველაზე ფანტასტიკურია, ეს კი ადვილი მისაღწევი არ არის. ამ-
იტომაც ჩვენ დღესასწაულს მოვაწყობთ. რამდენიმე დღის წინ ბუნება-
ზე ლექსები რომ დაწერეთ, ყველანი საიდუმლოდ ჩაერთეთ... – ხელს
მაღლა სწევს და უფრო ხმამაღლა განაგრძობს, – პირველ ყოველწ-
ლიურ ფანტასტიკურ პოეტურ შეჯიბრში.

ოჰ, მაგარია, კიდევ ერთი, რითაც შეი დაიკვებნის. ალბერტს ვუყუ-
რებ, ალბათ მან გაიმარჯვა. ვხედავ, მასაც აქვს იმედი. ისე გამოსწია
სკამი, თითქოს მოემზადაო. ისე, შანსი სუკისაც აქვს.

– მოკლედ, – იწყებს მისტერ დენიელსი, – ეს ლექსი საოცარი სი-
ურპრიზია. მშვენიერი ნამუშევარი. მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ პი-
რველი ფანტასტიკური პოეტური შეჯიბრის გამარჯვებულია...
თვალის კუთხიდან შეის ვაკვირდები. თუ გაიმარჯვა, გაუთავებლად
ამაზე ილაპარაკებს.

შეის ჯერ გაოცება ეხატება სახეზე, მერე ზიზღი.

მისტერ დენიელსის ხელი ჩემს მხარს ეხება და მე მოულოდნელო-
ბისგან ვხტები.

– გილოცავ, ელი, – მეუბნება მისტერ დენიელსი.

შეუძლებელია. პირველ აპრილამდე დიდი დროა. ალბერტს და კე-
იშას ვუყურებ, ნეტა მათ ხომ არ ჩააბარეს ლექსი ჩემი სახელით?

მისტერ დენიელსი ნაბიჯს უკან დგამს:

– მოდი, შენი ჯილდო აიღე!

ჯილდო? სუნთქვა მიჭირს.

მისტერ დენიელსი კლასის წინ დგას და ხელს მიქნევს:

– რას ელოდები?

ვდგები და მისკენ ისე მივდივარ, თითქოს, სადაცაა, იატაკი გადამყლაპავს. კლასისკენ ვბრუნდები, მასწავლებელი ხელს მხარზე მადებს.

ხელში ფურცელი უჭირავს, მართლა ჩემი ლექსია. იქნებ, უბრალოდ, კარგი დღე მაქვს? უკვე დროა, ერთი კარგი დღე მაინც მქონდეს.

თავს ბედნიერად ვგრძნობ. მართლა მივიღე ჯილდო? აქამდე ჯილდო მხოლოდ დაუჯერებელი რამეების რვეულში შეიძლება მოხვედრილიყო.

– ელი, ჩვენი პირველი გამარჯვებულია ლექსი „წვიმა“, – ჩემკენ ტრიალდება, – წაიკითხავ, თუ მე წავიკითხო?

– მე ვიტყვი, – მიხარია, რომ მახსოვს.

წვიმს, წვიმს, როგორ წვიმს,

ცა ჩამოდის მიწად,

ყველა ჩიტი იმალება,

სულ არ უყვართ წვიმა.

სწრაფად ვამბობ, თუმცა, დიდხანს ვწერდი. თურმე ნამდვილად ღირდა წვალებად.

სიჩუმეა, სანამ მისტერ დენიელსი ბავშვებს არ ანიშნებს, რომ ტაში დაუკრან. ალბერტი და კეიზა ყველაზე ხმამაღლა უკრავენ ტაშს. მისტერ დენიელსი კიდევ ერთხელ აძლევს ნიშანს და ტაში უფრო ძლიერდება. ოლივერი მერხს ურტყამს ხელს და მას მისტერ დენიელსი ყურის

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

მოქაჩვით ანიშნებს, რომ დაწყნარდეს.

კლასელებს ვუყურებ. ზოგიერთმა მართლა კარგი ლექსი დაწერა.

ვიცი, როგორ მუშაობდნენ.

მერე გონება მინათდება. როგორც იქნა, მივხვდი!

მისტერ დენიელსს ხელში სერტიფიკატი უჭირავს, ლამაზი ასოებით დაწერილი, კუთხეებში ორნამენტებით. კიდევ კუპონი, რომლითაც კაფეტერიაში უფასო ნაყინს მომცემენ. ალბერტს გაუხარდება, მას თუ მივცემ.

მაგრამ ვერ გამოვართმევ. მასწავლებელი მიღიმის და მერე თვალებს მიკრავს. კლასელებმა ტაში შეწყვიტეს. შეის ტუჩები ერთ სწორ ხაზად აქვს შეკრული. ერთმანეთს ისე უყურებენ, თითქოს ყველამ ყველაფერი იცის. მათ იციან, მაგრამ ჰგონიათ, რომ მე არ ვიცი.

ეს არ არის ჯილდო პოეზიისთვის.

ეს სიბრაღის ჯილდოა.

მისტერ დენიელსს ვუყურებ. ის სერიოზული სახით მიკრავს თავს, თითქოს მეუბნება, აიღე, მათ არაფერი იციანო.

ჯილდოს მიღება მაშინ, როცა საკმარისად ჭკვიანი არ ხარ, რომ მას იმსახურებდე, ყველაზე საშინელი გრძნობაა, რაც განმიცდია. თითქოს ამ სერტიფიკატის მიღების მერე საკუთარ თავს ზურგზე ხელს მოვუთათუნებ და სხვა ადამიანად გარდავიქმნები... და მე ვიფიცებ: არ ავიღებ ჯილდოს, რომელიც არ მეკუთვნის.

არასოდეს.

კეიშა მეძახის, მაგრამ უკანმოუხედავად გავრბივარ.

თავი 26. დამალვა

ტუალეტში შევრბივარ და ბოლო კაბინაში ვიმალები. თავი კედელზე მაქვს მიდებული, შერცხვენილი და დამცირებული ვარ და კლასში დაბრუნება არ მინდა.

კარი იღება და ვილაც შემოდის.

– კარგად ხარ? – მეკითხება კეიშა.

– არა, არ ვარ კარგად.

– შენ ჯილდო მიიღე. ჯილდოს ვინ გაურბის? მეგონა, გაგიხარდებოდა.

– არ გამიმარჯვია. სინამდვილეში არ გამიმარჯვია!

– რას ამბობ? შენ ხარ გამარჯვებული. მე ხომ იქ ვიყავი.

– არა, დამიჯერე. ჯილდო არ დამიმსახურებია. ის, უბრალოდ, ცდილობს, კეთილად მომექცეს.

– აქედან რატომ არ გამოდიხარ?

– შენ ვერ ხვდები, წადი.

– მართალი ხარ, ელი. ვერ ხვდები. არ მესმის, რატომ გაბრაზდი ჯილდოს გამო.

არა, ეს გაბრაზებაზე ბევრად უარესი გრძნობაა.

– მისმინე, შენს ველოსიპედზე როცა ჯდები, ხომ გგონია, რომ გაგიძლებს? არ დაიშლება, სანამ პედლებს ატრიალებ?

– კი, მერე?

– წარმოიდგინე, სულ გეშინოდეს, რომ ბორბლები მოსძვრება... და რამდენჯერაც უნდა დაჯდე, ბორბლები მართლა სძვრება, მაგრამ შენ მაინც ყოველდღე უნდა ატარო. თანაც ხედავდე, როგორ გიყურებენ და ყველას ეგონოს, რომ მსოფლიოში ყველაზე ცუდად ატარებ ველოსიპედს.

– რა შუაშია ველოსიპედი და მომძვრალი ბორბლები?

– ჩემი ტვინი, – შუბლს ცივ კედელს ვადებ, – ჩემი ტვინი არასოდეს აკეთებს იმას, რაც მინდა, რომ გააკეთოს.

– კარგი რა. შენი ტვინი დაზიანებული კი არ არის. სიტყვების სწორად დაწერა გიჭირს, მაგრამ მერე რა? ჩემი აზრით, მშვენიერი ტვინი გაქვს.

– შენ არ გესმის, რას ნიშნავს ყველასგან განსხვავებულობა.

– მოიცა. არ შეგიძინებია, სხვებისგან როგორ განსხვავებულად გამოვიყურები?

– ეგ ერთი და იგივე არ არის.

– მისმინე, შენ ჩემი მეგობარი ხარ. ჩემი საუკეთესო მეგობარი სკოლაში. თუ ასეთი რამეების თქმა გინდა და გინდა, რომ შენთან მეგობრობა გამიჭირდეს... მაშინ, მე, უბრალოდ, დავიცდი, როდის მოეგები გონს.

ოჰ.

– სულელივით ამბობ, რომ მე არ მესმის, რას ნიშნავს, იყო განსხვ-

ავებული. მაგრამ საქმე ისაა... მე მხოლოდ იმ ადამიანებისათვის ვარ განსხვავებული, ვინც არასწორად ხედავს. მათი აზრი კი მე არ მაღელვებს.

მეცინება.

– ალბერტი ამბობს, თეთრ ადამიანებს საკმარისი მელანინი არ აქვთო. მელანინის გამოა ზოგიერთი ადამიანის კანი უფრო მუქი.

– ეგ ბიჭი უბერავს, მაგრამ ძალიან ჭკვიანია, – ამბობს მხიარულად, – ახლა გამოდი.

კიდევ ერთი წუთით ვეყრდნობი კედელს, რადგან შემდეგი სიტყვების თქმა გაცილებით ადვილია, როცა არავის უყურებ. ეს სიტყვები სიღრმიდან, თითქოს მიწისქვეშეთიდან ამოდის:

– უბრალოდ, მინდა, ერთხელ მაინც ვიგრძნო ეს. მართლა ძალიან მინდა, ვიყო ისეთი, როგორიც ყველაა.

კეიშა ცოტა ხანს არ მპასუხობს:

– მისმინე, შენ არ ხარ ისეთი, როგორიც ყველა. ალბერტიც არ არის ისეთი, როგორიც ყველა. საერთოდ, ვინ წყვეტს, ვინ როგორია? შეისწავრი ადამიანები? ეგ გოგო უზრდელია. ვის ანაღვლებს მისი აზრი? კაბინის კარი ჯერ ისევ დაკეტილია, მაგრამ მეღიმება, რადგან კეიშას გამომეტყველებას წარმოვიდგენ. გამიმართლა, რომ მყავს.

– კარგი, რა, ელი. ვის სჭირდება, შეი და მისი უსაშინლესი მეგობრები მიიჩნევდნენ, რომ შენ ისეთივე ხარ, როგორიც ყველა? მაღლობა ღმერთს, ასეთ ადამიანებს არასოდეს მოვეწონებით, – კეიშა ისევ იც-

მისამართი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ინის, – ერთი რამ ზუსტად ვიცი. ჩვენ არ ვიქნებით შეუმჩნეველნი, პირიქით, გამორჩეულები ვიქნებით. სამივე. შენ ცნობილი მხატვარი გახდები, ალბერტი კიბოს განკურნავს ან მოლაპარაკე თევზს გამოიგონებს, ან რამე ეგეთს.

– მოლაპარაკე თევზს? და რას გვეტყვის თევზი? თუ შეიძლება ნუ შემბრაწავთო? – კარს ხელის კვრით ვაღებ. კეიშას ზუსტად ისეთი გამომეტყველება აქვს, როგორც წარმოვიდგინე, – და შენ ცხოვის დიდი ბიზნესი გექნება, არა?

– შესაძლებელია, თავისუფალ დროს. მე სამყაროს მართვასაც ვაპირებ.

მეცინება. მერე ნერწყვს გაჭირვებით ვყლაპავ:

– მაღლობა, რომ ჩემი მეგობარი ხარ, კეიშა.

– მაგისტრის არ არის მაღლობა საჭირო. სხვა რამისთვის გადამიხადე მაღლობა: შეის უნდა ვუთხრა, რომ ძვირფას პიჯაკზე უკან ლაქა აქვს და ვუყუროთ, როგორ ეცდება, ეს ლაქა იპოვოს. მერე კი დავსხდეთ და ის ნაყინი ვჭამოთ, შენ რომ მოიგე.

თავი 27. ნახევრად გამომცხვარი შუადღე

კეიშა მე და ალბერტს შინ გვეპატიჟება და „სიურპრიზს“ გვპირდება.

მე რომ მივდივარ, ალბერტი იქ მხვდება, კეიშას კი ქუდი და წინსაფარი ნამდვილი მცხობელივით მოურგია.

– როდის უნდა ვჭამოთ? – კითხულობს ალბერტი.

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

- აქ უშრომლად ვერაფერს მიიღებ, ალბერტ. ჯერ უნდა გამოაცხო,
- კეიშა რეცეპტების წიგნს დებს მაგიდაზე.

ალბერტი იმედგაცრუებულია.

- შეჭამ, ნუ ღელავ. მანამდე კი, წარმოიდგინე, რომ მეცნიერულ ექსპერიმენტს ატარებ. ხომ ხედავ, ორივე შენი უსაყვარლესი საქმეა, ალბერტ.

მე კმაყოფილი ვარ, მაგრამ კეიშა წიგნს შლის და წინ მიდებს:

- შენ პასუხისმგებელი იქნები.

– რაზე?

- რეცეპტზე, შენ რა გეგონა?

რაო? მეხუმრება?

- და ალბერტ, შენ ცომის მოხელა გევალება. დღეს ნამცხვრის ცომს გამოვიყენებთ, რომ ვნახოთ, ასოებიც ისევე ცხვება თუ არა, როგორც ნამცხვარი.

ძალიან მაშინებს წიგნზე პასუხისმგებლობა. მირჩევნია, კატებისთვის ჰოკეის სწავლება დამავალონ.

ჩემი გონება ამ ყველაფერს ფილმის სცენად ხედავს. როცა სიცილს ვიწყებ, კეიშა ინტერესდება, რას ვაკეთებ. იძულებული ვარ, მხრები ავიჩიქო და ციგურებიანი და ალიკაპიანი მეკარე კატის გამოსახულება განვდევნო გონებიდან.

- ელი, – მუჯლუგუნს მკრავს კეიშა.

– ჰო.

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– მე გკითხე, პირველად რა უნდა გაკეთდეს...

ალბერტი ჩემ გვერდით ჩნდება.

– მე მირჩევნია, წიგნს მივხედო. გინდა, ადგილი გაგიცვალო, ელი?

შენ შეგიძლია, ცომი მოზილო.

– რა თქმა უნდა, ალბერტ. თუ ამის გაკეთება გირჩევნია, წინააღმდეგი არ ვარ.

ალბერტი ინგრედიენტების ჩამონათვალს კითხულობს, სანამ მე ცომს ვზელ. წებოვანია და ძნელად იზილება. კეიშა ფქვილის პაკეტზე მანიშნებს:

– ცოტა ფქვილი მოაყარე მანდედან.

ცომის მოზელას ვახერხებ, მაგრამ მთელ ამ ამბავში ცოტა ეჭვი მეპარება – ასოების ამოსაჭრელ ფორმებს დავყურებ.

– რა გინდა, დავწერო?

– ასოები ცოტა დიდია მაფინებისთვის, ამიტომ პატარა სიტყვები შეადგინე. შენ რაც გინდა.

სიტყვა „ძროხას“ ვწერ, პირველს, რაც მაფიქრდება. შემდეგ ასოებს ფორმებში ვათავსებთ და კარაქით ვფარავთ.

როცა კეიშა ღუმელში პირველ პარტიას დებს, ალბერტი კითხულობს:

– შეიძლება, ცოტა რძე დავლიო?

– რა თქმა უნდა, – კეიშა მხრებს იჩეხს და ჭიქას უვსებს.

ალბერტი ერთ ყლუპად სვამს და კითხულობს:

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– შეიძლება, კიდევ დავლიო? სახლში წყალზე გადავედით. მართ-
ლა მენატრება რძე.

კეიშა რძის პაკეტს აწვდის.

– რა თქმა უნდა. მიირთვი.

ალბერტი მაგიდასთან ჯდება და ხელებს რძის პაკეტს ხვევს, თითქ-
ოს მის დაცვას ცდილობს.

მე მეცინება.

– ამ რძისგან აღარაფერი დარჩება, კეიშა, იმედია, ხვდები.

– კითხვა მაქვს, – ალბერტი ტუჩებიდან რძეს ილოკავს, – თუ მაფი-
ნს შიგნით ძროხას დააწერ, შეიძლება, ის ვეგეტარიანელმა შეჭამოს?

– ვაჰ! – უკვირს კეიშას, – რატომ აღიქვამ ყველაფერს ასე სერიოზ-
ულად?

– მოიცათ, – ღუმლისკენ ვბრუნდები, – ასე უნდა ბოლავდეს?

კეიშა სამზარეულოს ხელთათმანს იღებს და ღუმლის კარს აღებს.

სამზარეულო ბოლით ივსება. ცომი ფორმებიდან გადმოსულა და ლუ-
მელი სულ მოთხვრილა.

კეიშა ოხრავს.

– აცადე, გაცივდეს ღუმელი, სანამ გაწმენდ, – ურჩევს ალბერტი.

კეიშა მისკენ ბრუნდება:

– მართალია. გმადლობ, ალბერტ.

– არაფრის.

კეიშა თვალებს ატრიალებს. იმედგაცრუებულია, რომ ჩვენი ცომი

ასოების გამოსაცხობად არ გამოდგა. ის და ალბერტი ასკვნიან, ნამცხვრის ცომი ცხობისას ფუძდება და ამიტომ მოხდა ასეთი გაუგებრობაო.

მე კი სხვა საფიქრალი მაქვს – ყველაფერი, რასაც ვწერ, რატომ იქცევა ხოლმე დიდ გაუგებრობად.

თავი 28. ყველაზე მნიშვნელოვანი შეთანხმება

- ელი! – მეძახის მისტერ დენიელსი შესვენებაზე, როცა საკლასო ოთახიდან ყველა გადის.
 - დიახ, – ახლოს მივდივარ.
 - იმ პასუხებზე ვფიქრობდი, რომლებიც განხილვის დროს გამეცი. ძალიან მომწონს, შენს მოსაზრებებს რომ გვიზიარებ.
 - გმადლობ, – ვცდილობ, გამოვიცნო, სინამდვილეში რატომ დამიძახა.
 - და ძალიან მომეწონა შენი მოსაზრებები როი გ. ბივზე. გავიგონე, სუკის რომ ჰკითხე ბაბუამისის შესახებ და შენს ბაბუას რომ შეაღარე. ელი... ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინე. მხრებს ვიჩეჩ. რა უნდა ვუპასუხო? რომ გიჟია, თუ ვერ ხვდება, რომ ჭკუის მაგივრად თავში კალიებით სავსე ვედრო არ მაქვს?
 - ნამდვილად არაჩვეულებრივი ნიჭი გაქვს. მარტოსა და მარტოსულის მნიშვნელობა ძალიან საინტერესოდ აგვიხსენი.
- პასუხზე ფიქრში ჩემს ფეხსაცმელს დავყურებ:

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– უბრალოდ, ვიცი ეს სიტყვები – მარტო და მარტოსული. უხეირო გამართლება იყო, მეტი არაფერი.

იცინის:

– უხეირო გამართლება? ნუთუ?

თავს ვუქნევ.

– გასაგებია.

დიახაც.

– ელი, შენი ასაკის რომელი ბავშვი იყენებს ფრაზას – „უხეირო გამართლება“?

ტერფებით უნებლიე მოძრაობას ვაკეთებ.

– შეიძლება კაფეტერიაში წავიდე?

– ჯერ არა. უბრალოდ, მაინტერესებს. ხდება ხოლმე, რომ ერთ სიტყვაზე ფიქრობ და მეორეს ამბობ?

– კი, მგონი.

– და კითხვა ზოგჯერ თავს გატკივებს?

თავს ვუკრავ, მოულოდნელად ნერვიულობას ვიწყებ.

– როცა ასობეს უყურებ, გეჩვენება, რომ მოძრაობენ?

ვიბნევი:

– რა თქმა უნდა, მოძრაობენ.

– მოძრაობენ? – თვალები უფართოვდება.

თავს ვუქნევ, თუმცა, არ ვარ დარწმუნებული, რომ სწორად ვიქცევი.

მისამართი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ცოტა ხანს მიყურებს და მახსენდება, კეიშა როგორ უყურებდა თავის მაფინებს ღუმელში.

– კიდევ ერთი შეკითხვა მაქვს.

მოუსვენრად ვინაცვლებ ფეხს.

– გსმენია თამაშზე, რომელსაც ჭადრაკი ჰქვია?

– კი, – ვეუბნები ცოტა უფრო მხიარულად, – წიგნში „ელისის თავგადასავალი საოცრებათა ქვეყანაში“ თამაშობენ ჭადრაკს. ბაბუამ უთვალავჯერ წამიკითხა. ეს ის თამაშია, რომელშიც დაფას და ეტლს იყენებენ, არა?

სახე უნათდება.

– კი, ეგ არის. იცი, როგორ უნდა ითამაშო?

თავს უარყოფის ნიშნად ვიქნევ.

– გინდა, ისწავლო?

– არ ვიცი.

– კარგი, – მისტერ დენიელსი წინ იხრება და იდაყვებს მაგიდაზე აწყობს, – ჩემი აზრით, მოგეწონება ჭადრაკის თამაში. თუ გინდა, გაკვეთილების შემდეგ აგიხსნი თამაშის წესებს.

– გაკვეთილების შემდეგ უნდა დავრჩე?

ცოტა ხანს ფიქრობს:

– ჭადრაკის წრის შექმნას ვაპირებ. შენ შეიძლება წრის პირველი წევრი იყო. თუ გამოგვივა, სხვა ბავშვებიც დავპატიჟოთ. სახალისო და განსხვავებული იქნება.

მისამართი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

მას ჰგონია, ვერაფერს მივხვდები. რაღაც აქვს მიზნად. მასწავლებლები საკუთარი ინიციატივით არ რჩებიან გაკვეთილების შემდეგ სათამაშოდ. არადა, მინდა დავთანხმდე, რადგან მისტერ დენიელსი კარგი ტიპია და თანაც, მგონი, ჭადრაკის თამაშს წაკითხვა არ სჭირდება. ბაბუასაც მოეწონებოდა, თამაში რომ მესწავლა. მაგრამ თან მეშინია.

– მგონი, არ ღირს. მაინც გმადლობ.

იმედგაცრუებული ჩანს. ვბრუნდები, რომ წავიდე.

– თუ საშინაო დავალებებისგან გაგათავისუფლებ, ისწავლი თამაშს?

ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ფეხებზე ათასგირვანქიანი აგურები მაქვს შებმული. ნუთუ მართლა ის თქვა, რაც გავიგონე? ისევ მისკენ ვბრუნდები.

– თუ კვირაში რამდენიმე დღეს გაკვეთილების შემდეგ ჭადრაკის სათამაშოდ დარჩები, იმ დღეებში საშინაო დავალება არ გექნება შესასრულებელი.

– ბოლოს ესეს ან რაიმე მსგავსის დაწერა მომიწევს?

– არანაირი ესე. გპირდები.

– აქ მოვალ ხოლმე სათამაშოდ და დავალება არ მექნება?

– კლასში ამის შესახებ არავის ეტყვი. დედას მე დავურეკავ და შევატყობინებ, – ხელს მიწვდის, – შევთანხმდით?

– კი, კარგი.

ასეთ გარიგებაზე უარს ვერ ვიტყვოდი. საშინაო დავალების დაწერა

სიკვდილზე სულ ცოტათი უკეთესია.

თავი 29. თევზი ხეზე

ალბერტი, კეიშა და მე სკოლის ავტობუსიდან ჩამოვდივართ, კლას-
ელებთან ერთად ნოა უებსტერის სახლში მოვედით ექსკურსიაზე.

ალბერტი მიწიდან რკოებს იღებს და ჯიბეში იწყობს. მინდა, ვკით-
ხო, რატომ აკეთებს ამას, მაგრამ ვიცი, პასუხის გაცემას მთელ საათს
მოანდომებს.

ოლივერიც იღებს რკოებს და ხეებს ესვრის. მას მაქსი უერთდება.

მაქსი ხეს ყოველ ჯერზე ახვედრებს, ოლივერი – არცთუ ისე ხშირად.

მისტერ დენიელსი მათთან მიდის და სთხოვს, რომ გაჩერდნენ.

მეც ვიღებ ერთ რკოს მიწიდან – პატარა ფრანგს ვამსგავსებ, რომე-
ლსაც წვეტიანი ნიკაპი აქვს, ლამაზ თავზე კი ბერეტი ახურავს. პიერს
ვარქმევ და ჯიბეში ვინახავ. მოგვიანებით დავხატავ. შეიძლება ნახა-
ტში ქალბატონთან ერთად ეიფელის კოშკთან იცეკვოს. ბაბუა ხშირად
მპირდებოდა, რომ ეიფელის კოშკის სანახავად წამიყვანდა.

ალბერტს ჯიბეები გამოტენილი აქვს. ამასობაში ერთ რიგად ვეწყ-
ობით, რომ შიგნით შევიდეთ. შეი თვალებს ატრიალებს და იცინის. მი-
სტერ დენიელსი მისკენ იყურება და შეი მაშინვე ჩერდება, თითქოს ჩა-
მრთველით გამორთესო. როცა მასწავლებელი თვალს აშორებს, ისევ
ალბერტს დასცინის.

– ნუ დასცინი, – ვაფრთხილებ მას.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– კარგი, შენ დაგცინებ.

– სულ არ მაღელვებს, დამცინებ თუ არა.

ალბერტი ცოტა დაბნეულია.

– ალბერტ, – ვეჩურჩულები, – არ გინდა უთხრა, რომ წავიდნენ და ტბაში გადახტნენ ან თავი დაგანებონ?

– ალბერტ, – ახლა კეიშა მიმართავს დამრიგებლური ტონით, – მოხუზული და გაჩუმებული არ უნდა ხვდებოდე ცხოვრებას!

ალბერტი იხრება და რკოს იღებს.

– არალოგიკურია. მხოლოდ იმას ვაგრძნობინებ, რომ მათი საქციელი მაწუხებს.

– ჰოდა, გაწუხებს? – ვეკითხები.

სწორდება.

– არავის უყვარს, შეურაცხყოფას რომ აყენებენ. მაგრამ, იცით, შეიზე ნერვიულობა ზღვაში წვეთია იმ საფიქრალთან შედარებით, რომელიც ახლა მაქვს.

– რა საფიქრალი?

– ეს რკოები მაფიქრებს, – ერთ რკოს მაჩვენებს, – გვერდებზე მათი მწვანე შეფერილობა ხავსს ჰგავს, მაგრამ ვშიშობ, რომ შეიძლება სოკო იყოს. თუ ასეა, ყველა ეს ხე საფრთხეშია. მე ნიმუშები შევაგროვე და კვლევას ჩავატარებ.

ვიხრები და რკოს ვაკვირდები. მომწონს, ალბერტი სამყაროს ადამიანების უმრავლესობისგან განსხვავებულად რომ ხედავს. მაგრამ

ნეტა ისევე ანაღვლებდეს საკუთარი თავი, როგორც მეცნიერება აღ-
ელვებს.

მისტერ დენიელსი ჯგუფებად გვყოფს. მე კეიშასთან და ალბერტთან
მოხვედრას ვნატრობ. ნატვრის ნაწილი მისრულდება და ალბერტთან
ვარ. მისტერ დენიელსი ბიჭების ჯგუფთან დგას, იქ არიან ოლივერი და
მაქსი.

მუზეუმში შესვლამდე ლექციას გვიკითხავენ იმის შესახებ, როგორ
უნდა მოვიქცეთ; რომ საგნები ძალიან ძველია და არ უნდა შევებოთ.
ჯგუფებად ვიყოფით და ზემოთ, საძინებელში ავდივართ.

– ამგვარად, – გვეუბნება ჩვენი ექსკურსიამძღოლი და ქუდს ისწო-
რებს, – ვინმემ იცის, საიდან მოდის გამონათქვამი: „ტკბილ ძილს გი-
სურვებ?“ (sleep light, don't let the bed bugs bite - ინგლისური გამოთქ-
მა სრულად ასე ითარგმნება: „ტკბილ ძილს გისურვებ, ბაღლინჯოებმა
არ დაგკბინონ“.)

ალბერტი ხელს იწევს და ექსკურსიამძღოლი ღიმილით ანიშნებს,
რომ უპასუხოს.

ალბერტი მატრასის ქვედა ნაწილზე გვითითებს.

– ადრე მატრასებს თოკებით ამაგრებდნენ, იატაკთან ახლოს რომ
არ ყოფილიყო და ბაღლინჯოები არ აცოცებულიყვნენ. თუ მატრასი ჩა-
იზნიქებოდა, თოკებს დაჭიმავდნენ და ასე საწოლი უფრო კომფორტუ-
ლი ხდებოდა. აი, აქედან მოდის ეს გამონათქვამი.

– ბაღლინჯოების ამბავი მხოლოდ ალბერტს თუ ეცოდინებოდა, რა-

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ლა თქმა უნდა, – ქირქილებს შვი.

ქვევით, სამზარეულოში, იმხელა ბუხარია, შიგნით გამართულად დგომა შეიძლება. ექსკურსიამძლოლი გვეუბნება, რომ ადრე გოგონები, ბიჭებთან შედარებით, იშვიათად დადიოდნენ სკოლაში, ისინი უფრო დიასახლისობას სწავლობდნენ. უცებ ვიჭერ ამ ფრაზას და მასზე ფიქრს ვეღარ ვწყვეტ.

სკოლაში არ ვივლიდი.

არასოდეს.

წინ ვიხრები:

– ალბერტ, როგორ ფიქრობ, შეიძლება დროში მოგზაურობა?

ჩურჩულით მპასუხობს:

– ალბერტ აინშტაინს ამის თაობაზე სერიოზული თეორიები ჰქონდა. მე მას ნამდვილად არ შევეწინააღმდეგებოდი.

– არც მე. როგორ გგონია, ასეთი კაბა და ქუდი მომიხდებოდა?

გაკვირვებულია.

ბოლოს კოლონიების დროინდელ საკლასო ოთახში შევდივართ და დანარჩენებს ვუერთდებით.

ექსკურსიამძლოლი გვიყვება, თუ როგორი წარმოსახვის უნარით დაჯილდოებული ადამიანი იყო ნოა უებსტერი, პირველი ორთოგრაფიული ლექსიკონების შემქმნელი. მანამდე ხალხი, უბრალოდ, იგონებდა სიტყვის ორთოგრაფიას – არ არსებობდა სწორი ან არასწორი ფორმა.

წარმოსახვის უნარი. სიტყვების დაწერის რაღაც წესები მას მოუგონია, მას მოუფიქრებია, რომ საჭიროა, ყველა ერთნაირად წერდეს. ჩემი აზრით, ნოა ვებსტერი ნაძირალა იყო და ციხეში ჩასმას იმსახურებდა.

ექსკურსიამძლოლი გვეუბნება, რომ მან ოცი წელი მოანდომა ლექსიკონის შედგენას. მანვე დაწერა სკოლის პირველი სახელმძღვანელოები და გრამატიკის წიგნები. როგორც ბაბუაჩემი იტყოდა, ვერ ყოფილა დალაგებული.

– მოსწავლეები კოლონიურ პერიოდში თქვენსავით ქაღალდსა და ფანქრებს არ იყენებდნენ, – ექსკურსიამძლოლს ხელში ხისჩარჩოიანი პატარა დაფა უჭირავს, – ასეთ დაფები ჰქონდათ. ზედ წერდნენ პასუხებს და მასწავლებლებს აჩვენებდნენ.

ექსკურსიამძლოლი დაფებს გვირიგებს და მე მეჩვენება, რომ მათზე წერა სახალისო უნდა ყოფილიყო. პიერს ვხატავ ბერეტით და მწვანე ცარცს ვნატრობ, რომ ალბერტის პატივსაცემად მწვანე ლაქაც მივამატო.

ქალი წვეტიან ქუდს გვაჩვენებს:

– ამ ქუდის გამოყენება მასწავლებლებმა ნოა უებსტერის სიცოცხლის ბოლო პერიოდში დაიწყეს. „უტვინოს ქუდი“ ჰქვია. დასასჯელად გამოიყენებოდა. ცუდად ვინც მოიქცეოდა, იმ მოსწავლეს უნდა დაეხურა და კუთხეში დამდგარიყო კედლისკენ პირით.

ხითხითი მესმის. შეი თავის დაფას ბავშვების ჯგუფს აჩვენებს.

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

დაფაზე თავია დახატული, რომელსაც უტვინოს ქუდი ახურავს და ქვემოთ „ელი“ აწერია.

– რა ხმაურია? – კითხულობს ექსკურსიამძღოლი და ახლოს მიდის,
– არ არის კარგი საქციელი, თუ შეიძლება, წაშალეთ.

ვნატრობ, ცრემლები შეჩერდნენ. ასე ატირებულს ხომ უფრო დამცინებენ.

– ხომ კარგად ხარ? – მეკითხება ექსკურსიამძღოლი.

ყველა ჩუმადაა. მე მიყურებენ. ეს დაცინვაზე უარესია. ამიტომ გარეთ გავრბივარ.

ოთახიდან და მუზეუმიდანაც. ექსკურსიამძღოლი მეძახის, მაგრამ არ ვჩერდები. კარიდან გავდივარ და ვუხვევ. პატარა, მწვანე მინდვრის იქით ღია მწვანე, ლამაზი სახლია. საქანელას ვხედავ და ვჯდები. საქანელები ყოველთვის მიყვარდა. მე და ბაბუა საათობით ვქანაობდით ხოლმე პარკში. ვცდილობ, გამოვიცნო, ახლა რას მეტყოდა და ვსევდიანდები, რადგან მისი ხმის გახსენება მიჭირს.

ლოყას ცივ ჯაჭვს ვადებ. ცრემლები ისევ მომდის.

მოულოდნელად ჩემ წინ ფეხებს ვხედავ. ფეხებიცა და ფეხსაცმელებიც მისტერ დენიელისაა.

ცოტა ხანს ჩუმად დგას. მერე ჩემს სახელს წარმოთქვამს. მხოლოდ ცხვირის სრუტუნით ვპასუხობ.

– შეგიძლია, მითხრა, რა მოხდა?

არ ვიცი, რა ვუთხრა. ერთი ბეწო კითხვაა, პასუხს კი უგრძობს მო-

ითხოვს.

– თუ შეიძლება, მარტო დამტოვეთ.

რამდენიმე ნაბიჯს უკან დგამს და ცოტა ხანს ხმას არ იღებს. მერე მეუბნება:

– მე და ჩემს ძმას გვიყვარდა ქვიშაზე წერა, როცა ჩემი ოჯახი მეინ-ში ჩადიოდა.

არ ვპასუხობ.

ჯოხს იღებს და რაღაცას წერს ტალახში ჩემ გვერდით, საქანელას ქვეშ. ისევ სიტყვები. რატომ ვერ ვაღწევ ამ სიტყვებს თავს?

ჩემკენ ბრუნდება და მე მის მუხლებს ვაშტერდები.

– ელი, გინდა, რამე დაწერო?

თავს უარყოფის ნიშნად ვაქნევ. ჩემი საქანელათი შორს, ცისკენ გაფრენაზე ვფიქრობ, რომ როგორმე გავექცე სიტყვებს: სულელი, არანორმალური და უიღბლო.

მისტერ დენიელსი ჩემ წინ ჩაცუცქული მეუბნება:

– ვწუხვარ, რომ რაღაც ისეთი მოხდა, რამაც გაგანერვიულა. ნება მომეცი, დაგეხმარო.

ღრმად ჩავისუნთქავ და თითქოს ამოსუნთქვას მოჰყვებიან სიტყვები:

– ვერავინ ვერასდროს დამეხმარება. ვერასოდეს. მათ თქვეს, რომ უტვინოს ქუდი უნდა მეხუროს და მართლები არიან. აი, ეს არის, მართლები არიან!

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– ოჰ... ელი, ამის ნამდვილად გჯერა? – ვგრძნობ, რომ მართლა გავიგნებულა.

როგორც იქნა, თავს ვწევ და ვუყურებ:

– რატომ არ უნდა მჯეროდეს?

– იმიტომ, რომ შენ უტვინო ნამდვილად არ ხარ, ელი.

– თქვენ მაგას უბრალოდ ამბობთ.

– არა, უბრალოდ არ ვამბობ. ჯერ ერთი, ძალიან კარგად ამოხსენი ავტობუსის მძღოლის ამოცანა მათემატიკაში. მხოლოდ რამდენიმე ბავშვი ახერხებს რთული ამოცანების ამოხსნას და შენ ერთ-ერთი მათგანი ხარ.

მის სახეს შევყურებ, რომლის უკანაც დიდი ნათელი მზეა, და წამომცდება:

– მაშინ რატომ არ შემიძლია წაკითხვა? – პირველად ვსვამ ამ შეკითხვას ხმამაღლა. ალბათ იმიტომ, რომ სასოწარკვეთილებამდე მივინდა პასუხის მიღება.

– ოჰ, ელი, ის, რაც შენთვის სკოლაში ყოფნას ართულებს... ჩემი აზრით, შენ შეიძლება გქონდეს ის, რასაც დისლექსია ჰქვია. ეს კი ნიშნავს, რომ მართალია, შენთვის კითხვა რთულია, მაგრამ უტვინო სულაც არ ხარ, – მილიმის, – სინამდვილეში, ელი ნიკერსონ, ძალიან შორს ხარ მაგისგან. უბრალოდ, შენი გონება საგნებს სხვა ადამიანებისგან განსხვავებულად აღიქვამს.

განსხვავებული ვარ, ამას სწორად მიხვდა, მაგრამ არც ისეთი ჭკვი-

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ანი ვარ, როგორც ამბობს.

– თქვენ არ გესმით.

– კი, ელი, მგონია, რომ მესმის, – ჩემკენ იხრება, – და იცი, რას გეტყვი? შენ მამაცი ხარ.

მე ძალიან მიწინაა, მამაცი ვიყო, მაგრამ არ ვარ.

– მამაცი ხარ, სკოლაში რომ მოდიხარ ყოველდღე, როცა იცი, რა შეიძლება მოხდეს. იცი, რთული დღე გექნება; იცი, სხვა ბავშვები შეეცდებიან, გაგანადგურონ, მაგრამ შენ მაინც ყოველდღე მოდიხარ და ფარ-ხმალს არ ყრი.

ჩუმად ვარ, მის სიტყვებზე ვფიქრობ. იმედი მაქვს, იცის, რაზე ლაპარაკობს.

– და კიდევ, გარკვეულწილად შენ სხვა ბავშვებზე ბევრად ჭკვიანი ხარ. შენ ისეთი რალაცების გაკეთება შეგიძლია, რაც სხვებს არ შეუძლიათ. ჯერ ერთი, შესანიშნავი მხატვარი ხარ. შენი ნახატები არაჩვეულებრივია! ელი, შენ ტალანტი გაქვს. ამაზე რას ფიქრობ?

– ეს ყველაფერი იმას ჰგავს, ადამიანს უთხრა, ვწუხვარ, რომ კვდები, მაგრამ, სამაგიეროდ, ყვავილებს მოგიტანენო.

ხმამაღლა იცინის:

– ხედავ? ელი, სერიოზულად გეუბნები. მხოლოდ ძალიან გონიერად ადამიანებს შეუძლიათ ასეთი რალაცების მოფიქრება, – მერე ჩუმად ამბობს, – ყველაფერი კარგად იქნება.

მე მჯერა მისი, ასე ძლიერად არაფრის იმედი არ მქონია.

მისამართი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– მე და შენ ერთად გავერკვევით ამაში. მე უკვე ვესაუბრე მისის სილვერს და მის კესლერს, კითხვის კონსულტანტს სკოლაში. უკვე გადაწყვეტილი მქონდა, დედაშენთან დარეკვა და ხვალ შენთან დალაპარაკება. ტესტებს გაგაკეთებინებთ.

მაშინვე უკან ვიხევ:

– არა, გთხოვთ, ოღონდ ტესტები არა.

– ეს ის ტესტები არ არის, რომლებსაც აქამდე ავსებდი. აი, ნახავ.

ეს უფრო თავსატეხები და თამაშია, ვიდრე ტესტი, და მათი შედეგი შენს დახმარებას გაგვიადვილებს.

ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს პირველად ვიხედები ზემოთ.

– შენ გონიერი ხარ, ელი. კითხვას აუცილებლად ისწავლი.

მთელ სხეულში სიცივე მივლის. სხვა გზა არ მაქვს, უნდა დავუჯერო. უბრალოდ, ვეღარ გავუძლებ იმაზე ფიქრს, რომ არაფერი შეიცვლება.

სახიდან ცრემლებს ხელით ვიწმენდ. ის დგება და მუზეუმში ვბრუნდებით.

მისტერ დენიელსი ცას აჰყურებს:

– ნუ იქნები ასეთი მკაცრი საკუთარი თავის მიმართ, კარგი? იცი, ერთმა ბრძენმა კაცმა თქვა: ყველა ჭკვიანია, მაგრამ თუ თევზის შესაძლებლობებს იმის მიხედვით განსჯი, ხეზე ასვლა შეუძლია თუ არა, ის დაიჯერებს, რომ სულელია.

ჩემი გონება გამალებით მუშაობს. ნუთუ შესაძლებელია, ეს ასეთი

მისამართი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

მარტივი იყოს?

თვალწინ მიდგება ხის ძირას მდგარი გაბრაზებული თევზი, რომელიც ხეს გამეტებით ურტყამს ფარფლებს და წუწუნებს, რომ ზედ აძრომა არ შეუძლია.

მერე კუს ვხედავ, რომელიც სენდვიჩს ამზადებს.

გველი ვიოლინოზე უკრავს.

სპილო ქსოვს.

პინგვინები კალათბურთს თამაშობენ.

არწივი აკვალანგით ყვინთავს.

და მე მთელი არსებით ვნატრობ, მისტერ დენიელსი არ ცდებოდეს.

თავი 30. საბრალო მეფე

ორი დღის შემდეგ მის კესლერს კლასიდან გამოვყავარ გაკვეთილის დამთავრებამდე და ტესტებს მაძლევს. მისტერ დენიელსი მართალი აღმოჩნდა. ეს დავალება სახალისოა და იმ საშინელ ტესტებს არ ჰგავს, ჩვენ რომ ვწერთ ხოლმე. იმ ტესტებში, უბრალოდ, ვხაზავდი ხოლმე რომელიმე პასუხს, შეკითხვის წაკითხვის გარეშე. სასიამოვნო ქალია, მისტერ დენიელსივით.

სკოლის შემდეგ მისტერ დენიელსი მაგიდაზე დებს ჭადრაკის დაფას და ზედ ფიგურებს ალაგებს.

მასთან მივდივარ.

– გითხრა დედამ, რომ დავურეკე?

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– კი, თუმცა, ბევრი არაფერი უთქვამს. ზოგადად, ყველაფერზე დიდხანს მელაპარაკება ხოლმე.

იცინის:

– დედები ასე იქცევიან, – მერე სკამზე მანიშნებს, – დაჯექი.

ვჯდები და ვცდილობ, გამოვიცნო, რა აქვს ჩაფიქრებული.

– კარგი, – ჰალსტუხს უშვებს, თითქოს რამე სერიოზული საქმის გაკეთებას ვაპირებდეთ, – ჭადრაკში მთავარი დაგეგმვაა. სხვა თამაშებს არ ჰგავს, რომლებშიც, უბრალოდ, ყველაზე ძლიერი ფიგურა უნდა ჩაიგდო ხელში, – თითოთ მაჩვენებს გვირგვინიან ფიგურაზე, – ეს მეფეა. თამაშის მიზანი შენი მოწინააღმდეგის მეფის მახეში გაბმვაა. როცა შენი რომელიმე ფიგურა ისეთ პოზიციაზეა, საიდანაც მეფის ხელში ჩაგდებას შეძლებს, უნდა თქვა: ქიში! როცა მეფეს ერთ ადგილსაც კი არ დაუტოვებ, სადაც წასვლას შეძლებს, ამას შამათი ეწოდება და ასე იმარჯვებ.

ჩვეულებრივად, ავლელდებოდი და ვერაფერს მოვიფიქრებდი, მაგრამ მისტერ დენიელსის დამოკიდებულება დამაბულობისგან მათავისუფლებს. მისი ხმა მამშვიდებს. შეიძლება, იმიტომ, რომ ვიცი, უხეშად არაფერს მეტყვის, არასოდეს მიწოდებს ზარმაცს ან უტვინოს.

– გასაგებია, რაც ვთქვი?

თავს ვუქნევ.

– მაშინ მითხარი, აპირებ ჩემი მეფის შეპყრობას?

ვყოყმანობ. ნუთუ უკვე ავურიე?

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– ახლა არ მითხარით, რომ მისი შეპყრობა არ შეიძლება? უბრა-
ლოდ, უნდა შეავიწროვო?

იცინის:

– კი, გითხარი. კარგია, ელი. ყურადღებიანი მსმენელი ხარ.

დანარჩენ ფიგურებსაც მაცნობს. ლაზიერი ყველაზე ძლევამოსილ-
ია და შეუძლია სწორ ხაზზე ნებისმიერი მიმართულებით იმოძრაოს.
რვა პაიკია და როცა მათ ერთად შეკრავ, ძლიერები იქნებიან. მოთამა-
შეების უმრავლესობა მათ დიდ ყურადღებას არ აქცევს, რაც შეცდომ-
აა.

ეტლი ციხესიმაგრეს ჰგავს და ის მთელ დაფაზე წინ და გვერდულად
გადაადგილდება. კუ დიაგონალურად დადის, მხედარი ლათინური ლ-
ის ტრაექტორიას ქმნის, მეფეს კი მხოლოდ თითო უჯრით შეუძლია გა-
დაადგილება ნებისმიერი მიმართულებით. უსამართლობაა, როცა მთ-
ავარი სამიზნე ხარ და თან წასვლის საშუალება არ გაქვს.

მისტერ დენიელსი ფურცელს მაჩვენებს, რომელზეც ფიგურები ხა-
ტია და ისრებით მითითებულია, როგორ მოძრაობენ ისინი. მეუბნება,
რომ, თუ შეხსნება დამჭირდება, შემიძლია, ჩავიხედო. თვალეში ვუ-
ყურებ.

– ეგ არ დამჭირდება.

ილიმის, მაგრამ თვალს არ მაშორებს და ერთ-ერთ პაიკს ხელს ჰკ-
იდებს.

– მაშ, კარგი.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

როცა არასწორი სვლის გაკეთებას ვიწყებ, მეკითხება:

– დარწმუნებული ხარ, რომ ამის გაკეთება გინდა?

პირველი პარტია მალე მთავრდება, მაგრამ მეორის დროს მის ლა-
ზიერს ვიგდებ ხელში – ყველაზე გავლენიან ფიგურას დაფაზე. ისე სწ-
რაფად ვდგები, რომ სკამი მიყირავდება. მინდა ვკითხო, ხომ არ დამი-
თმო, მაგრამ მისი პასუხის მეშინია.

ხელისგულს სწევს და ჩემს ხელისგულს ურტყამს.

– ყოჩაღ!

რა უცნაურია. სულაც არ მიჭირს ჭადრაკის თამაში. მომწონს იმის
დაგეგმვა, რას გავაკეთებ მისი ფიგურის ხელში ჩასაგდებად. მასწავ-
ლის, როგორ უნდა მოიქცე, რომ შენი ფიგურით მოწინააღმდეგის ორ
ფიგურას ერთდროულად დაემუქრო და ის იძულებული გახდეს, გადა-
წყვიტოს, რომლის დათმობა ურჩევნია. მახარებს მისტერ დენიელის
გამომეტყველება, როცა მე ამას ვახერხებ და ის კუს კარგავს. ცოტა გა-
ნიცდის, მაგრამ მასაც მოსწონს ეს.

რაც უფრო დიდხანს ვთამაშობთ, მით კარგად ვხედავ სვლებს. წი-
ნასწარ ვთვლი ხოლმე რამდენიმე სვლას. ვსწავლობ, გამოვიცნო, რა
შეიძლება მოიმოქმედოს მოწინააღმდეგემ.

ეს კარგი გრძნობაა, რომელიც არცთუ ისე ხშირად მეუფლება.

თავი 31. სახლისკენ ბევრი გზა მიდის

– დედამ გითხრა, რომ ვისაუბრეთ? – მეკითხება მისტერ დენიელ-

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

სი.

– კი, – ღრმად ვსუნთქავ და საკუთარი გულისცემა მესმის.

– რაღაცაზე მინდა დაგელაპარაკო.

არ მომწონს ეს ყველაფერი.

– შენი დახმარება მჭირდება.

– ჩემი დახმარება გჭირდებათ?

– კი, მჭირდება. ხომ გახსოვს, მის კესლერმა ტესტები რომ გაწერი-
ნა?

– კი.

– მოკლედ, გაირკვა, შენ დისლექსია გაქვს. ამის გამო გიჭირს კი-
თხვა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჭკვიანი არ ხარ. სინამდვილეში, –
თრევისივით მილიმის, – შენ ძალიან ჭკვიანი ხარ, ელი. ტესტებმა ესეც
აჩვენა.

სკამზე პოზას ვიცვლი.

– მაგრამ დახმარება გჭირდება, რომ უკეთ კითხვა ისწავლო, და ჩვ-
ენ დაგეხმარებით. ოღონდ ამას ალბათ დრო დასჭირდება. ზოგჯერ სა-
ბუთების მოგროვებას და შეხვედრებს დიდი დრო მიაქვს.

– კარგი...

– გახსოვს, გითხარი, რომ სამშაბათსა და ხუთშაბათს ჭადრაკს ვერ
ვითამაშებთ? ამ დღეებში ლექციებზე დავდივარ. მინდა ხარისხი მოვი-
პოვო ინკლუზიური განათლების კუთხით. ამის მერე შევძლებ, უკეთ
დავეხმარო ბავშვებს, რომლებიც ძალიან ჭკვიანები არიან, მაგრამ

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

დიფერენცირებულად სწავლება ესაჭიროებათ.

ჭკვიანი? დიფერენცირებული სწავლება?

– მისის სილვერს და მის კესლერს ველაპარაკე, – ჩემკენ იხრება,
– დედასაც, რა თქმა უნდა, და გადავწყვიტეთ, რომ მე შემიძლია დაგე-
ხმარო კვირაში ორჯერ სკოლის შემდეგ. სანამ აქ, სკოლაში ოფიცია-
ლური სერვისი იარსებებს.

პირს ვაღებ, მაგრამ ხელის აწევით მაჩერებს:

– ვიცი, სკოლის მერე დარჩენა ჩემთან ერთად ტანჯვას. მაგრამ მე
ეს ძალიან დამეხმარება ჩემს პროექტში, რომელსაც ხარისხის მოსა-
პოვებლად ვაკეთებ. ძალიან დამავალე, ელი. რას იტყვი?

სუნთქვა მიჭირს. სულელი არ ვარ, ვიცი, რომ ჩემი დახმარება ისე
არ სჭირდება, როგორც მე მჭირდება მისი. ვერ ვხვდები, რით დავიმს-
ახურე ასეთი მხარდაჭერა. სკოლის მერე დარჩენა? საერთოდ სკოლ-
აში დავიძინებ, თუ ეს მიშველის.

თავს ვუკრავ.

და ერთმანეთს ხელს ვართმევთ.

კმაყოფილი და ბედნიერი ჩანს.

მაინც ვერ ვისვენებ:

– შეიძლება, რაღაც გკითხოთ?

– რა თქმა უნდა.

– „დიფერენცირებული სწავლება“ რას ნიშნავს?

– კარგი... სახლში ველოსიპედით რომ მიდიხარ, მხოლოდ ერთი

გზით შეგიძლია წასვლა თუ სხვა გზებიც არსებობს?

– კი, სხვაც არსებობს.

– ასეც ვიფიქრე. ზუსტად ისე, როგორც შენს სახლამდე მისასვლელად რამდენიმე გზა არსებობს, ელი, ასევე არსებობს სხვადასხვა გზა, რომ ინფორმაციამ გონებამდე მიაღწიოს. შენ ხომ ხუთი გრძნობა გაქვს: გემო, ყნოსვა, მხედველობა, სმენა და შეხება.

თავს ვუქნევ.

– ჰოდა, წარმოიდგინე, უცხოპლანეტელი კოსმოსური ხომალდით ეშვება და გთხოვს, აუხსნა, რას ნიშნავს სიტყვა „გაყინული“ შეხების გარეშე, მხოლოდ სიტყვების გამოყენებით. ჩემი აზრით, ეს საკმაოდ ძნელი იქნება, შენ როგორ გგონია?

– კი, ძნელი იქნება.

– ვფიქრობ, შენთვის რთული იყო სიტყვების სწავლა მხოლოდ თვალებით, ამიტომ სხვა შეგრძნებებსაც გამოვიყენებთ ასოებისა და ბგერების დასამახსოვრებლად. მინდა, მშვიდად და აუღელვებლად გააკეთო ყველაფერი, ეს სახალისოც კი იქნება. საშინაო დავალებას არ მოგცემ. არც ტესტები გექნება შესავსები და არც რაიმე სასწავლი. კარგი?

თავს ვუქნევ.

– მოგეწონა ჭადრაკის თამაში?

ისევ თავს ვუქნევ. იმედი მაქვს, დღესაც ვითამაშებთ.

– იცი, მე ვგრძნობდი, რომ კარგად გამოგივიდოდა. ვფიქრობ, შენი

გონება სურათებად იმახსოვრებს და ეს გეხმარება, ჭადრაკი კარგად ითამაშო. უკვე რამდენჯერმე ვითამაშეთ. შენ ძალიან სწრაფად ისწავლე და მოკლე დროში გააუმჯობესე თამაში. სწორედ სურათებით ფიქრია ერთ-ერთი მიზეზი, ასე კარგად რომ ხატავ.

– კარგი, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ მაინც მეშინია. ჩემი აზრით, ამას შედეგი არ ექნება და მაინც ვერ შევძლებ კითხვას.

– ჩვენ ასოების წერაში ვივარჯიშებით, მაგრამ არ გამოვიყენებთ ქალაქებს და ფანქარს, – უჯრიდან უზარმაზარ ლითონის ფირფიტას იღებს და საპარს ქაფს მაწვდის, – აი, ეს გამოგვადგება. საპარსი ქაფით დაწერ სიტყვებს, ანუ მხედველობისა და შეხების გამოყენებით, თანაც იმხელა ასოებს დაწერ, რომ მთელი მკლავის ხმარება მოგიხდეს. ამგვარად, შენს არაჩვეულებრივ გონებას რამდენიმე გზით ერთდროულად მიეწოდება სიგნალი.

მედიმება.

– ახლა ეს ფირფიტა ქაფით დაფარე და დავიწყოთ.

ხელს წებოვან ქაფში ვურევ და ვფიქრობ სიტყვებზე „დიფერენცირებული სწავლება“. შიშით, ბედნიერებითა და კითხვებით ვარ სავსე, ყველაზე მეტად კი – იმედით.

თავი 32. ეკრანიდან

საკმაოდ კარგი დღეა და თანდათან უკეთესი ხდება. სახლიდან გავდივარ. დედა და თრევისი უკვე მანქანაში მუშაობენ.

მისამართი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– მეგობართან მივდივართ. მათი კომპიუტერიდან „სკაიპით“ მამას დავურეკავთ, – მეუბნება დედა, – ყველას ისე გვენატრება, გადავწყვიტე, კარგი იქნება, თუ დაველაპარაკებით.

თავიდან ეკრანი ციმციმებს, მაგრამ შემდეგ კარგად ჩანს მისი მზემოკიდებული სახე.

– მამა! – თავს ვერ ვიკავებ და პატარა ბავშვივით ვიქცევი.

– ელი, ჭიამაია! რამხელა გამხდარხარ! როგორ ხარ, საყვარელო?

– კარგად ვარ, მამა. შენ როგორ ხარ?

– კარგად ვარ, მაგრამ სახლი მენატრება. თქვენ მენატრებით.

ჩემს ნახატებს მაჩვენებს:

– ძალიან მომწონს შენი გამოგზავნილი ნახატები. საწოლთან მიკიდია. სხვებს შურთ, – თვალს მიკრავს.

დედას ეტირება, მაგრამ არ ტირის. ამბობს ხოლმე, რომ ჯარისკაცის ცოლი ძლიერი უნდა იყოს. არ უნდა, მამამ გაიგოს, მის გარეშე ყოფნა როგორ უჭირს. ისედაც საკმარისი სანერვიულო აქვს, სადაც არისო. ზოგჯერ მინდება ხოლმე, ყველაფერი უთხრას. ნეტა მამამ რომ იცოდეს, სახლში დაბრუნდებოდა?

– კარგად, მამა, ძალიან მენატრები.

– მეც მენატრები, საყვარელო. როგორ არის საქმე? ვერცხლის დოლარის დღეები უფრო ხშირია თუ ხის ხუთცენტის?

– ცოტ-ცოტა ორივე. თუმცა, ამ ბოლოს ვერცხლის დოლარის უფრო ხშირია. ახალი მასწავლებელი მომწონს. ისეთია... – ახსნა მიჭირს,

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– ძალიან მაგარია.

– მშვენიერია, საყვარელო.

– ორი ახალი მეგობარი მყავს – კეიშა და ალბერტი. კეიშას ცხოვა უყვარს და მამაცია. მოგეწონებოდა, მა! ალბერტი კომპიუტერივითაა, ისეთი ჭკვიანია. ისე, ცოტა გიჟიცაა. ერთხელ მითხრა, სტანდარტული ტესტების ჩაბარება მიყვარსო. მართლა ჰგონია, რომ ეს სახალისოა.

– სახალისო? ტესტები? მართლა განსხვავებული ბიჭი ჩანს.

– ჰო, განსხვავებულია. კიდევ ერთი გოგოა სკოლაში, შეი, ცუდად მექცევა, – ყველაფრის ერთბაშად მოყოლა მინდება.

– ასეთი ადამიანები ყოველთვის შეგხვდება. დარწმუნებული ვარ, თავის დაცვა შეგიძლია.

დედა ზურგზე მადებს ხელს:

– თრევისსაც აცაღე, საყვარელო.

– კარგი, – სცენას ვხედავ, რომელშიც ძლიერი ვარ და მამას ისე ვემშვიდობები, არ ვტირი. სინამდვილეში მინდა, ეკრანში გავძვრე და მამას ხელები მოვხვიო. მგონია, ჩვენ ყველას რაღაც გვაკლია, და სანამ მამა სახლში არ დაბრუნდება, ეს სიცარიელე არ შეივსება.

– დაიმახსოვრე, ელი, ჩემო ჭიამაია, დედამიწის ზურგზე ყველაზე ძალიან შენ, შენი ძმა და დედა მიყვარხართ.

თავს ვუქნევ.

თრევისი ჩემ გვერდით ჯდება.

– შვილო, როგორ მიდის შენი დიდი გეგმები?

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– არც ისე კარგად.

– რა მოხდა?

– არაფერი.

– კარგი, რა, იქნებ დახმარება შემიძლია.

თრევისი მე და დედას გვიყურებს:

– გარაჟში ახალი მენეჯერი გვყავს. ძველი მაძლევდა უფლებას, ჩემს ჭკუაზე მემუშავა. მაგრამ ეს არ მაცლის. მთხოვს, ინსტრუქციების მიხედვით მოვიქცე. რამეს რომ გავაკეთებ, უნდა ვუთხრა, ინსტრუქციაში რომელ გვერდზე ვნახე. მე ვიცი, როგორ უნდა შევაკეთო მანქანა, არ მჭირდება ინსტრუქციების წაკითხვა.

მამა მძიმედ ოხრავს:

– მართლა არ არის კარგი ამბავი. სცადე ამ კაცთან დალაპარაკება? ან იქნებ ძველი უფროსი დალაპარაკო?

– ძველმა უფროსმა ხერხემლის ოპერაცია გაიკეთა და კარგა ხანს არ იქნება, – თრევისი თავს იქნევს და ხმა უკანკალებს, – ამ ახალ უფროსს ჩემი, უბრალოდ, არ ესმის.

მამა წინ იხრება, იდაყვებს მუხლებზე იწყობს. თითქოს კომპიუტერის ეკრანიდან გამოსვლას აპირებსო.

– მოგვარდება. ხომ იცი, რომ მოგვარდება. ეს დროებითია. უბრალოდ, ბევრი იმუშავე და ისწავლე ყველაფერი, რის სწავლასაც შეძლებ.

თრევისი თავს უკრავს, იატაკს დაჰყურებს და ჩუმად ამბობს:

მისამართი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– არის რაღაც, რასაც ვერ ვსწავლობ.

– ვამაყოფ შენით, თრევ, ხომ იცი? ვწუხვარ, რომ შენთან არ ვარ.

– ჰო, – თრევისი თავს სწევს და ეკრანს უყურებს, – მიყვარხარ, მა-
მა.

– მეც მიყვარხარ, შვილო. გაუძელი, ყველაფერი გამოსწორდება.

თრევისი თავს უკრავს, მაგრამ მე ვიცი, რომ ამის არ სჯერა. მერე
ფეხზე დგება და მეუბნება:

– წამო, პატარა, დედას და მამას ვაცალოთ.

– რატომ?

ხელს მკიდებს და მექაჩება.

– მარტო რომ ილაპარაკონ, აი, ამიტომ.

სამზარეულოში მაგიდასთან ვსხდებით და დედას მეგობარი გაზიან
სასმელს გვთავაზობს.

თრევისი თუნუქის ქილას ხსნის და ოხრავს.

– რა მოხდა?

– იმედგაცრუებული ვარ, ელი. იმდენი რამის გაკეთება მინდა, მა-
გრამ...

მინდა, დავეხმარო.

– იქნებ, მანქანის ძველ ნაწილებს რომ ყრიან, იმ ადგილას წავი-
დეთ და რამე ისეთი ვიპოვოთ, რასაც შეაკეთებდი?

– შეიძლება. კარგი იქნება ძველ კოკა-კოლის აპარატს თუ ვიპოვი
ვინმეს ფარდულში. იაფად ვიყიდი და შევაკეთებ, ხომ იცი, ყველაფრის

შეგიძლია: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

შეკეთება შემოიძლია, ფულს თუ მოიტანს.

იმავე სიტყვებს ამბობს, რასაც ადრე, მაგრამ მძიმედ. ხელეებს არ იქნევს და გენიოსობაზეც აღარ ლაპარაკობს. ჩემი ძმა ძალიან დასერიოზულებულია.

– თრევის, ზუსტად ვიცი, რომ ერთ დღეს აუცილებლად გექნება „ნიკერსონის სახელოსნო“. და ის ნაწილობრივ ჩემიც იქნება, სახელის გამო, ხომ ასეა?

ბრუნდება და იცინის, მაგრამ ვგრძნობ, რომ არ ეცინება. მთელი დანარჩენი დრო ფანჯარაში იყურება და მე თავს ვიმტვრევ, რით შემოიძლია მისი დახმარება.

დედა გვეძახის, რომ მამას დავემშვიდობოთ.

მამა ეკრანს ადებს ხელს.

ჩვენც ვადებთ ხელს ეკრანს. გამოსახულება ნელ-ნელა ქრება, დედა წინ იხრება და ეკრანზე პომადის კვალს ტოვებს. მერე შუბლით ებჯინება და დიდხანს არ ინძრევა.

თავი 33. შესაძლებლობები

მისტერ დენიელსთან ერთად მუშაობა თანდათან მიაღწილდება, რადგან ბედნიერი ვარ. თუმცა, ეს სამუშაო იოლი ნამდვილად არ არის.

დაფაზე სიტყვა „კატა“ დაწერა და ჩვენ ბგერებზე ვსაუბრობთ. მე მხოლოდ ერთი ბგერა მესმის – კატა. ის კი მეუბნება, ამ სიტყვაში ოთხი

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ბგერააო. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მიმტკიცებს, რომ ცა ყვითელია. თითოეულ ბგერას წარმოვთქვამ და მგონი, ეს მშველის კიდეც, ბგერები განცალკევებულად აღვიქვა. მაგრამ ეს ერთი პატარა სიტყვაა და მე მთელი წიგნის წაკითხვას როდის შევძლებ?

როცა მუშაობას ვამთავრებთ, მისტერ დენიელსი თრევისივით სკამის საზურგეს ეყრდნობა და მეუბნება:

– წინ მიდიხარ, ელი. ნამდვილად. შენ რას ფიქრობ ამ ყველაფერზე?

– მართლა მიხარია დამატებითი სამუშაოს კეთება, არ მეგონა, ამას თუ ოდესმე ვიტყოდი.

მისტერ დენიელსი მიღიმის.

– კარგია, მიხარია.

– მაგრამ...

– მაგრამ რა?

– მაინც არ ვარ დარწმუნებული, ოდესმე... ნორმალური... თუ ვიქნები და ისე კითხვას შევძლებ, როგორც სხვა ბავშვები... ისე, რომ არ დამჭირდეს ვინმეს დახმარება. შეუძლებლად მეჩვენება.

სერიოზულდება. შემდეგ ერთ სუფთა ფურცელს იღებს, მარკერს კბილებით ხდის თავსახურს და წერს:

შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი

– იცი, აქ რა წერია? არ დაგავიწყდეს, ნაწილებად უნდა დაყო. გრძელი სიტყვაა.

თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ და ვცდილობ, ბგერებად წარმოვ-
თქვა:

– მნიშვნელოვანი?

– არა, მაგრამ ახლოს ხარ. აქ წერია შეუძლებელი. შენ თქვი, რომ
შეუძლებლად გეჩვენება ისე კარგად კითხვა, როგორც სხვები კითხ-
ულობენ.

– კი, – ნეტა რატომ დამაწერინა ეს სიტყვა? შეხსენება სულაც არ
მჭირდება.

უ-ს წითელი პასტით ხაზავს და თავზე სა-ს აწერს. მერე ფურცელს
მაწვდის.

– ახლა ეს სიტყვა ცალკე დაწერე.

ასეც ვიქცევი.

შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი

– ხედავ, ელი? ახლა მაგ ფურცელზე შესაძლებელი წერია. შეუძლე-
ბელი აღარაფერია. გასაგებია?

ნერწყვს ვყლაპავ და ფურცელს დავყურებ. თითქოს თავბრუ მეხვ-
ევა. ისე ამბობს, ეს ყველაფერი სიმართლეს ჰგავს.

თავს ვწევ და მასწავლებელს ვუყურებ. ვნატრობ, შემეძლოს ვუთხ-
რა, როგორი მადლობელი ვარ დახმარებისთვის. სიტყვებით სავსეა ეს
სამყარო, მაგრამ ისინი ზოგჯერ ვერაფერს გამოხატავენ.

– კარგი, – თავს მიკრავს, – ახლა შინ წადი. სამუშაო მაქვს. მინდა
შესვენება გამოვიყენო.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– კარგი, – ვიცინი და ისევ ფურცელზე დაწერილ სიტყვაზე ვფიქრობ, – გმადლობ.

– არაფრის, – მპასუხობს და ჩანთიდან საქალაქდეს იღებს.

დერეფანს სანამ გავივლი, დავყურებ ფურცელს, რომელზეც შ-ე-ს-ა-ძ-ლ-ე-ბ-ე-ლ-ი წერია. თითებით ასოებს ვსინჯავ. ფურცელს ვყნოსავ კიდევ, რომ როგორმე გავითავისო.

ძალიან მინდა, მჯეროდეს.

თავი 34. ვარსკვლავის დაბადება

მე, კეიშა და ალბერტი სკოლის შემდეგ ალბერტთან მივდივართ. მე და კეიშამ ვკითხეთ, შეიძლებოდა თუ არა მასთან სახლის სანახავად შეგვევლო. მხრები აიჩეჩა და გვითხრა:

– კარგი.

ხელი ჯიბეში მიდევს და ქალაქის ნაგლეჯს არ ვუშვებ. შესაძლებელი.

ალბერტის სახლი დიდია, მაგრამ ბნელი და მტვრიანი. ნივთები გორებად აწყვია ყველგან. იმ ფურცლებივით არა, ჩვენს სახლში ყველგან რომ ნახავ. ამ ნივთების გროვებს მიღები და მავთულები აქვს. ვერაფერს ვცნობ.

დედამისი გვეგებება:

– ალბერტ, სტუმრები გყავს? – მისი ტონით ვხვდები, რომ ეს არასდროს მომხდარა.

შიპანა: www.sulakauri.ge

სსგა წიგნები: www.StudentBlog.ge

– დიახ, მყავს. ჩემი მეგობრები არიან – კეიშა ალმონდი და ელი ნიკერსონი. ელი და კეიშა, დედაჩემი – ოდრი დუბუა, – ალბერტის დედა ორივეს ხელს გვართმევს.

– რამე საჭმელს მოგიტანთ, – ნერვიულობას ვიჭერ მის ხმაში.

ალბერტი ჩერდება.

– არა, გმადლობ. უბრალოდ, ზემოთ ავალთ.

დედამისი ეთანხმება და მალე ალბერტს უკან მივყვებით წვრილ, ხვეულ კიბეზე.

– რა კარგი მასპინძელი ხარ! უფლებას არ აძლევ სტუმრებს, საჭმელი მიირთვან! კარგი, რა, ალბერტ, მე უარს არ ვიტყვოდი, – უკვირს კეიშას.

– არ იქნებოდა ლოგიკური იმის შემოთავაზება, რაც არ არსებობს.

– ხომ შემოგვთავაზა?

ჩანთას ხსნის, წიგნების ამოლაგებას იწყებს და მაგიდაზე პირამიდისებურად აწყობს:

– დამიჯერეთ, მაცივარი ცარიელია. მთელი კვირაა, არც კი ჩართულა.

– ოჰ, – კეიშა ხმადაბლა ამბობს, – მაპატიე, ალბერტ. მართლა ვწუხვარ.

ახლა ვხვდები, რატომ ჰქონდა დედამისს უცნაური ხმა, როცა საჭმელი შემოგვთავაზა, და რატომ ჭამს ალბერტი ამდენს სკოლაში.

– მეც, – ვამატებ მე...

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ალბერტი გაოცებული გვეკითხება:

– რატომ?

კეიშა იჭყანება. ყოველთვის ასე იქცევა, როცა ალბერტის საქციელს ვერ იგებს.

– იმიტომ, რომ საჭმელი არ გაქვს. საშინელება უნდა იყოს, როცა გშია და ვერ ჭამ. ალბათ გრცხვენია კიდეც. მე ალბათ...

– მაცივრის შევსებაზე მე არ ვარ პასუხისმგებელი, – ალბერტი თავს გვერდზე ხრის, – შესაბამისად, მასში საჭმლის სიმწირე ჩემზე არანაირად არ მოქმედებს.

ჩვენ ხმას არ ვიღებთ. კეიშასი არ ვიცი და, მე პასუხს ვერ გავცემ, მილიონიც რომ მომცენ. ისე, კეიშას გამომეტყველებით ვხვდები, პასუხი არც მას აქვს...

ოთახს ვათვალიერებ. მხოლოდ საწოლი, საწერი მაგიდა და ნაგვის ურნა დგას. ხალიჩა და საწოლის გადასაფარებელი მუქი მწვანეა. სამაგიეროდ, კედლები აქვს ფერადი პოსტერებით აჭრელებული. ყველა მეცნიერებას შეეხება. ერთი ყველაზე მეტად მომწონს. კოსმოსია, სადაც უამრავი ფერია ერთმანეთში არეული. ერთ მხარეს ნარინჯისფერი ნათებაა. ძალიან ლამაზია.

– ალბერტ, ეს რა არის? – თითს ვიშვერ.

– ეს ვარსკვლავის დაბადებაა. ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც კოსმოსში ხდება. ყოველ შემთხვევაში, ყველაზე დადებითი.

– ძალიან ლამაზია.

მისამართი: www.sulakauri.ge

სსსპა წიგნები: www.StudentBlog.ge

- მართლა ლამაზია, – მეთანხმება და თავის მაგიდასთან ჯდება. კეიშა იცინის.
- ერთ დღესაც ვარსკვლავი გახდები, ალბერტ. რამე საოცარს გააკეთებ.
- სულაც არ მინდა... – ალბერტი სკამზე წრიალებს, – ...რამპის შუქზე ყოფნა.
- რამპის შუქზე?
- ყურადღების ცენტრში ყოფნა არ მიყვარს.
- ჯობია, შეეჩვიო, ალბერტ, იმიტომ, რომ გამორიცხულია, ყურადღების ცენტრში არ მოხვდე, როცა კიბოს მოარჩენ ან ახალ პლანეტას აღმოაჩენ.
- იმედი მაქვს. სამყაროს შეცვლა მინდა. რამე კარგის გაკეთება. კეიშა აგრძელებს ლაპარაკს, როგორი ცნობილი გახდება ალბერტი, რომ მასზე ისტორიის წიგნში დაწერენ და ა.შ.
- ელი, – მიბრუნდება მერე მე, – რატომ ვართ ასეთი სერიოზულები?
- იმაზე ვფიქრობ, რასაც ალბერტი და კეიშა გააკეთებენ, მე კი კითხვაც არ შემიძლია. თუმცა, ამას ვერ ვეტყვი. ასე რომ, ვცდილობ, მხიარული ხმა მქონდეს:
- სულაც არ ვარ სერიოზული.
- კი, ძალიან სერიოზული ხარ. გაიღიმე!
- ვიღიმი.

მისამართი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– მაშინ ჯობია, ვინმემ შენს სახეს ამის შესახებ აცნობოს.

ვეოცმანობ:

– შეიძლება, საიდუმლო გაგანდოთ? – ხელით ჯიბეში იმ ფურცელს ვეხები, რომელზეც წერია სიტყვა შესაძლებელი და რომელიც იმ დღიდან სულ თან დამაქვს.

– რა თქმა უნდა.

– არავის ეტყვი?

– არა. საიდუმლო ხომ ისაა, არავის რომ არ უნდა უთხრა?

ალბერტი ჩუმადაა. თავი გვერდზე აქვს გადახრილი.

– მე ეს ადრე არავისთვის მითქვამს, მაგრამ... სწავლა ძალიან მიჭირს. წერა, კითხვა და ა.შ. ყველაფერი მიჭირს, გარდა მათემატიკისა და ხელოვნებისა.

კეიშა იცინის:

– ეგ არ არის საიდუმლო.

თავს საშინლად ვგრძნობ. თვალები მეწვის. წასვლა მინდა, მაგრამ კეიშა ხელს სახელოზე მკიდებს და მაჩერებს. ალბერტი შეწუხებული ჩანს.

– არა, მაგას არ ვგულისხმობდი. იმას ვამბობდი, რომ ვიცით, მაგრამ მაგას ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს.

– თუმცა, – აგრძელებს ალბერტი, – ვინატრებდი, რომ შენთვის უფრო ადვილი იყოს. ჩვენ არ გავთქვამთ შენს საიდუმლოს.

– მისტერ დენიელსი ამბობს, რომ დისლექსია მაქვს, რის გამოც ას-

ოების წაკითხვა მიძნელებს, ამიტომ, ვრჩები ხოლმე გაკვეთილების შემდეგ და მეხმარება.

კვიშას თვალები უფართოვდება:

– დამატებით გაკვეთილებზე რჩები? რა საშინელებაა, ნამდვილი საშინელება.

მინდა ვუთხრა, რომ ღამესაც სკოლაში გავატარებდი, თანაც გასახდელში ფეხებით ჩამოკიდებული, ოღონდ კითხვა შემემძლოს.

– არ ვარ წინააღმდეგი. კარგია, რომ მეხმარება.

– ჩვენც დაგეხმარებით, – მთავაზობს ალბერტი.

– მაგრამ მეშინია, რომ არაფერი გამოვა, – ვამბობ და ენა მებმება,

– არავინ ვიქნები, რომ გავიზრდები.

– მაგას რატომ ამბობ? – მეკითხება კვიშა.

– შენ ალბათ წარმატებული საკონდიტრო კომპანია გექნება და ალბერტი გააკეთებს... რასაც ალბერტი გააკეთებს. მე კი იმედია, რესტორანში მენიუს წაკითხვას მაინც შევძლებ.

კვიშა დგება და მკლავს მხარზე მხვევს:

– მისტერ დენიელსი ხომ შეგპირდა დახმარებას?

– შენ ამბობ, რომ... – ამატებს ალბერტი და მერე ჩაფიქრდება, – რომ არავინ გამოხვალ, როცა გაიზრდები. მაგრამ ლოგიკურად... თუ არავინაა სრულყოფილი... მაშინ, შენ სრულყოფილი გამოდიხარ.

– სრულყოფილი? მე?

– შენ სწორედაც სრულყოფილი ხარ, ელი, – იცინის კვიშა, – რო-

გორც მისტერ დენიელსი ამბობს: იყავი ის, ვინც ხარ.

– იცით, – ამბობს ალბერტი, – მიფიქრია მაგ გამონათქვამზე და ინტერნეტშიც კი ვერ ვიპოვე პასუხი.

– რას გულისხმობ?

– იყავი ის, ვინც ხარ. ამას ხომ ხშირად გეუბნებიან.

– მერე?

– მოკლედ, თუ არ იცი, ვინ ხარ?

მგონი, ვხვდები, რასაც გულისხმობს.

– ხშირად კითხულობენ ხოლმე, რა უნდა გამოხვიდე, როცა გაიზრდები. მე ვიცი, როგორი ადამიანი მინდა ვიყო, მაგრამ არ ვიცი, ვინ ვარ ახლა. ყოველთვის გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც გეტყვიან, ვინ ხარ – წიგნის ჭია, იდიოტი თუ ქალაქუნა.

რა ძნელია, არ დაიჯერო ეს უსიამოვნო ფაქტი.

– წარმოიდგინეთ, – გვეუბნება ალბერტი, – წყლით სავსე აუზში მკვლელ ვეშაპთან ან მეჭეჭიანასთან ერთად რომ მოგიწიოთ ყოფნა.

რომელს აირჩევდით?

– ვინ აირჩევს მკვლელ ვეშაპს?!

– ჰოდა, საქმე ის არის, რომ მკვლელი ვეშაპი არასოდეს ესხმის ადამიანს თავს. არასოდეს! მეჭეჭიანა კი გაცილებით საშიშია თავისი ცამეტი შხამიანი ფარფლით. ჩვენ მისი სახელი გვაშინებს, მხოლოდ სიტყვა. მკვლელ ვეშაპს კეთილი ვეშაპი რომ ერქვას, არავის შეეშინებოდა მისი.

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

და მე სიტყვებზე ვფიქრობ. ძალაზე, რომელიც მათ გააჩნია. როგორ შეიძლება სიტყვები ჯადოსნური ჯობივით გამოიყენო სიკეთისთვის, როგორც ამას მისტერ დენიელს აკეთებს. ახერხებს, რომ ჩემნაირი და ოლივერისნაირი ბავშვები თავს უკეთ გრძნობდნენ იმის გამო, როგორებიც არიან. მაგრამ სიტყვების ბოროტად გამოყენებაც შეიძლება; ვინმესთვის ტკივილის მისაყენებლად.

ბაბუა გვეუბნებოდა, ფრთხილად მოვექცეოდით კვერცხებსა და სიტყვებს, რადგან ვერც ერთს ვეღარ გაამთელებ. რაც წლები მემატება, მით მეტად ვრწმუნდები, რა ჭკვიანი იყო ბაბუა.

თავი 35. გამოსახულება უთვალავ სიტყვას უდრის

დღეს მისტერ დენიელსის შემცვლელი მასწავლებელი შემოდის კლასში. არ მომწონს ეს ამბავი.

მერე უარესი ხდება. დავალებად გვაძლევს, დავწეროთ ჩვენს ნაცნობ მამაც ადამიანზე.

მინდა დავალება თავიდან ავიცილო და მიზეზების გამოგონებას ვიწყებ. ექთანთან ხომ არ წავიდე? მასთან გაშვებაზე უარი არც ერთ შემცვლელ მასწავლებელს არ უთქვამს, აბა, ვის მოუნდებოდა, კლასში ამრეოდა გული.

ცუდად მყოფი ადამიანის სახეს ვიღებ, ის-ისაა, ხელი უნდა ავიწიო, რომ მასწავლებელი კლასისკენ ბრუნდება და კითხულობს:

– სად არის ელი ნიკერსონი?

მისამართი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

რაო? უცნაურია.

ხელს ვიწევ.

– ჩანაწერი დამხვდა, რომელშიც წერია, რომ შეგიძლია არ დაწერო, უბრალოდ, დახატე შენი ადამიანი.

სახე მიხურს.

– ყველაფერი გასაგებია, – აცხადებს შეი, – ახლა გაფერადებაში შეუძლია ივარჯიშოს, მერე თოჯინებით თამაშის დროც მოვა და შუადღის ძილისაც.

ვგრძნობ, რომ ფეხის თითებიც კი მეკეცება და სკამიდან ქვევით ვცურდები. მასწავლებელი შეის უყურებს და უკმაყოფილოდ იქნევს თავს, მაგრამ გვიანაა, ბავშვები უკვე იცინიან.

მერე მასწავლებელი ყველას ცალხაზიან ფურცელს აძლევს, მე კი ცარიელს.

თავზარდაცემული ვარ. ვერ ვხვდები, რატომ მომექცა მისტერ დენიელსი ასე. რატომ მიღალატა? ლამის გული ამერიოს.

ფეხზე ვდგები და მობილიზებას ვცდილობ, რომ კარებამდე მივიდე.

– სად მიდიხარ? – მეკითხება მასწავლებელი.

– გარეთ.

– დაბრუნდი და დაასრულე ნახატი. ახლავე. სერიოზულად გეუბნები.

– დავასრულე.

– ნუთუ? ფურცელი ცარიელია.

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– არა, არ არის ცარიელი. მოჩვენება დავხატე ქარბუქში.

ჩემ უკან კარი ხმაურით იხურება, ბავშვები ჩემს პასუხზე იცინიან.

მალე ისევ მისის სილვერის კაბინეტში ვარ.

– ამგვარად, მის ნიკერსონ, უნდა ვალიარო, მსიამოვნებდა ამ ბოლო დროს ჩემთან რომ ვეღარ გხედავდით. მისტერ დენიელსის მასწავლებლობის პერიოდში თითქოს ყველაფერი უკეთ იყო.

ხმა მიკანკალებს.

– დედას დაურეკავთ?

– ალბათ არა.

– მე მინდა მასთან დალაპარაკება. თუ შეიძლება, დაურეკეთ.

– რატომ?

– თუ შეიძლება, – ვთხოვ, თუმცა, ზუსტად არც ვიცი, რატომ.

გაოცებული ჩანს, მაგრამ უსიტყვოდ რეკავს და ცოტა ხანს ლაპარაკობს. დედას ეუბნება, რომ მძიმე დღე მქონდა. შემდეგ ყურმილს მაწვდის:

– შენთან უნდა ლაპარაკი.

ტელეფონს ვართმევ.

– ელი, რა ხდება?

ვცდილობ, არ ვიტყვო. მართლა ვცდილობ, მაგრამ ცრემლებს ვერ ვიკავებ. შიგნით ყველაფერი დაჭიმული მაქვს და ძალიან დავიღალე ასე ყოფნით, მე კი სულ არ მინდა. მეგონა, როგორც იქნა, ვიპოვე ვიღაც, ვინც დამეხმარებოდა, მისტერ დენიელსმა კი ისეთი რამ ჩაიდ-

მისი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ინა...

– ელი? გაიგონე, რა გითხარი?

– დედა! – ეს ერთადერთი სიტყვაა, რის თქმასაც ვახერხებ. მთელი არსებით ვნატრობ, ჩემ გვერდით იყოს ახლა.

მისი ხმა მესმის, ჩემსავით აღელვებულია.

– მისის სილვერი დამალაპარაკე.

მისის სილვერი ცოტა ხანს უსმენს და ბოლოს ამბობს:

– კარგი, მისის ნიკერსონ, დაგიკავშირდებით.

ტელეფონში შევდივარ და იმდენ ხანს ვრჩები, რომ ტირილის შედეგი სახეზე აღარ მეტყობოდეს.

მერე კლასში ვბრუნდები და კეიშას ვთხოვ, ბარათის დაწერაში დამეხმაროს. წერილს მისტერ დენიელსის მაგიდაზე ვტოვებ: „თქვენთან ერთად სკოლის მერე აღარ წავიკითხავ და აღარც ჭადრაკს ვითამაშებ. აღარასოდეს“.

შუადღისას პეტერსენის რესტორანში ჩემს ჩვეულ ადგილზე ვჯდები. მაინტერესებს, რას მეტყვის დედა სკოლიდან დარეკვაზე.

ახლოს მოდის, ჩემკენ იხრება და თავზე მკოცნის. ამით ყველაფერი ნათქვამია.

– მოჩვენება ქარბუქში? – მიღიმის.

მეც მეღიმება:

– ჰო.

– ჩემი აზრით, საკმაოდ სასაცილოა, – იხრება და ხელს ლოყაზე

მადებს. ძალიან ვცდილობ, ყველას თანდასწრებით არ ვიტყვო.

– მე მას ვენდობოდი, პირველი მასწავლებელი, რომელიც... – ვჩერდები, იმიტომ, რომ სიტყვებს ვერ ვპოულობ.

– იცი, საყვარელო, ნამდვილად რაღაც მიზეზი არსებობს. დარწმუნებული ვარ, მისტერ დენიელს არ სურდა, ასე მომხდარიყო. ერთი შანსი მიეცი, კარგი?

თავს ვუქნევ. იმედი მაქვს, არ ცდება. მინდა ვიფიქრო, მისტერ დენიელსი ვინმეს ცუდად რომ მოექცეს, იგივე იქნება, თევზი ქვემოდან ზემოთ და უკუსვლით დაცურავდეს.

თავი 36. ცხოვრება თამაშს ჰგავს

მისტერ დენიელსი დერეფანშივე მეუბნება:

– გავიგე, გუშინ მცირე უსიამოვნება შეგემთხვა.

ხელებს გულზე ვიკრეფ.

– მასწავლებლები ხშირად უტოვებენ შემცვლელ პედაგოგს ინსტრუქციებს, მაგრამ მას ეს კლასის წინ არ უნდა გაემჟღავნებინა. ვიფიქრე, კარგი იქნებოდა, ჩანაწერი დამეტოვებინა, რომ შენთვის დახატვის უფლება მოეცა და წერა არ დაეძალებინა. ვიცი, შენთვის ძნელია და მეგონა, გეხმარებოდი. მაგრამ ახლა ვხვდები, ეს შენი სხვებისგან გამორჩევის გზით არ უნდა გამეკეთებინა. ელი, იმედი მაქვს, იცი, შეგნებულად არ გაწყენინებდი.

ვიცი და ძალიან მიხარია. მისი სიტყვები შვებაა ჩემთვის.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– მაპატიე, ელი. მართლა ვწუხვარ. იმედი მაქვს, რომ შეძლებ, მაპატიო, – ხელს მიწვდის ჩამოსართმევად და მეც ჩემს ხელს ვაგებებ. იმავე დღეს, გაკვეთილების მერე, მისტერ დენიელსი თავის მეფეს შავ უჯრაზე ათავსებს, თავის კუსა და ჩემს მხედარს შორის. ამაზე ჩვენი სამეული მახსენდება – ალბერტი, კეიშა და ჩემი თავი.

კეიშა კუს ჰგავს. ის მაღალი და ძლიერია და შეუძლია, ერთი მოძრაობით დაფის მეორე ბოლოში გადაინაცვლოს.

ალბერტი მეფე იქნებოდა – ფიგურა, რომელსაც უდიდესი ღირებულება აქვს, მაგრამ მხოლოდ ერთი უჯრაზე შეუძლია გადაადგილება. ყოველთვის ძალიან პატარა ნაბიჯებს დგამს, მუდმივად ვილაცას გაურბის და სხვების უკან იმალება.

მესამე კი მხედარია. ის მისტერ დენიელსის თქმით, ჭკვიანი ფიგურაა. ერთადერთი, ვისაც შეუძლია სხვა ფიგურებს გადაახტეს. თავი მხედარი მგონია, რადგან სულ რაღაცებს ვახტები.

შეი ლაზიერია. ის ყველაზე თავისუფლად მოძრაობს და ყველას აშინებს. ფიგურა, რომელიც ყველაზე დაცულია და რომელსაც ყველაზე მეტ მსხვერპლს სწირავენ.

შეისთან ყოველდღიური ურთიერთობა ჭადრაკის თამაშს ჰგავს. მუდმივად შენს სისუსტეს ეძებს, ყოველთვის ცდილობს, აგაფორიანოს და შეცდომა ჩაგადენინოს. მასთან ყოფნისას სულ უნდა გახსოვდეს, რომ დაფაზე მუდმივი ცვლილება და გადაადგილება ხდება. ყველაფერს უნდა დააკვირდე. ფრთხილად უნდა იყო, გეგმა გქონდეს, გახსოვ-

შეძენა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

დეს, რომ თავდაცვის პოზიციაში მუდმივად ვერ იქნები, საბოლოოდ, შეტევაზე გადასვლა მოგიწევს. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, არ უნდა დანებდე, რადგან ხანდახან პაიკიც ხდება ლაზიერი.

– ელი, – მისტერ დენიელსის ხმა მაფხიზლებს, – დიდხანს აკვირდები. სვლაზე ფიქრობ?

ისევ დაფას დავყურებ.

ვაკვირდები. ბოლო დროს მისთვის აღარ მომიგია და მინდა მოვუგო.

აი, ვხედავ.

მხედარი გამამარჯვებინებს.

ხელში ვიღებ და რამდენიმე წამს მიჭირავს, ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში ვრწმუნდები.

დიახ, მის მეფეს ვემუქრები და წასასვლელს არ ვუტოვებ.

– ქიში და შამათი!

ხელებს მაღლა სწევს, თუმცა, ბედნიერი ჩანს.

– ხომ არ გამამარჯვებინეთ?

– ელი, მე სამი ძმა მყავს. უბრალოდ, არ შემიძლია, ვინმეს გამარჯვება დავუთმო, – იღიმის, – ჩემი აზრით, შენ დაუმარცხებელი ხარ, – თვალს მიკრავს და დაფიდან ფიგურების აღებას იწყებს, ყუთში რომ ჩააწყოს. გულს მწყვეტს თამაშის დასრულება, მაგრამ შვებას ვგრძნობ, რომ შემიძლია, ისევ ვენდო.

და განა წარმოუდგენელი არ არის? შეუმჩნეველი ვიყავი და დაუმ-

არცხებელი გავხდი.

თავი 37. წიწილა, მგელი და თავსატეხი

დღეს ფანტასტიკური პარასკევია, ამიტომ მისტერ დენიელსი თავსატეხის ამოხსნას გვავალებს.

მიხვეულ-მოხვეულ ხაზებს ავლებს დაფის ერთი კიდიდან მეორემდე და გვეუბნება, რომ ეს მდინარეა. შემდეგ წიწილას, მგელს და ხორბლით სავსე ტომარას ხატავს მდინარის ერთ ნაპირზე, თან ამტკიცებს, ძალიან ცუდი მხატვარი ვარო.

– მისტერ დენიელს, დახუჭული თვალებით ხატავდით? – ყვირის ოლივერი, – არ გეწყინოთ, მაგრამ საშინელია!

იცინის:

– არ მეწყინება, ოლივერ. მეც ვხედავ, – და მე მიყურებს, – ყველა ნიჭიერ მხატვრად როდი იბადება.

მერე მდინარის ნაპირას პატარა ნავს ხატავს, რომელიც ბანანს უფრო ჰგავს.

– მაშ, ასე, – ეს თქვენი თავსატეხია. თქვენი ამოცანაა, სამივე მდინარის მეორე ნაპირზე მოახვედროთ, მაგრამ ნავში მხოლოდ ერთი შეგიძლიათ მოათავსოთ. მგელს წიწილასთან მარტოს ვერ დატოვებთ, რადგან წიწილას შეჭამს. წიწილას ხორბალთან მარტო ვერ დატოვებთ, თორემ წიწილა შეჭამს. ამგვარად, როგორ უნდა მოახვედროთ სამივე მდინარის მეორე ნაპირას? გახსოვდეთ, მხოლოდ ერთის მოთა-

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ვსება შეგიძლიათ ნავში.

– ადვილია, – ყვირის ოლივერი, – უბრალოდ, ჯერ წიწილას გადაიყვან.

– მერე რა მოხდება?

– მერე ხორბალს გადავიტან.

– კი, მაგრამ ხორბალს რა ბედი ეწევა, როცა მგლის გადმოსაყვანად წახვალ?

რამდენიმე წამის შემდეგ ოლივერი თავს მერხზე დებს. მისტერ დენიელსი ზურგზე მსუბუქად კრავს ხელს:

– არა უშავს, ყმაწვილო. რთული ამოსახსნელია.

მისტერ დენიელსი სუკისკენ ბრუნდება:

– გაქვს იდეა?

სუკი თითს ნიკაპზე იღებს:

– თუ ჯერ ხორბალს გადაიტან... მოიცა... თუ ჯერ მგელს გადაიყვან...

– ოხრავს და მხრებს იჩეჩს, – არ ვიცი.

ალბერტს წარბები ისე აქვს შეკრული, მალე თვალებს დაუფარავს.

– რამდენიმე წუთს გაძლევთ. ეცადეთ, დამოუკიდებლად ამოხსნათ.

შემდეგ ვისაუბროთ.

ვერ ვხსნი. ვერავინ ვერ ხსნის. ბავშვების უმრავლესობა, უბრა-

ლოდ, მდინარეს და ცხოველებს ხატავს. ცოტა ხნის შემდეგ ერთმან-

ეთს ელაპარაკებიან. მიკვირს, მასწავლებელი არ გვეუბნება, რომ გა-

ვჩუმდეთ და თავსატეხზე ვიფიქროთ.

მე ფურცელს სამ პატარა ნაწილად ვხევ და ცალ-ცალკე ვხატავ წი-
წილას, ხორბალს და მგელს. მერე წინ და უკან ვამოდრავებ მდინარ-
ეზე. კლასში უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ. მე ჩემს ფურცლებს ვიღებ
და მისტერ დენიელს ვეკითხები, შეიძლება თუ არა, რომ დერეფანში
ვიმუშაო, რადგან კლასში ხმაურია.

– რა თქმა უნდა, გადი.

დერეფანში მხოლოდ რამდენიმე წუთს ვატარებ, ჩემს ნახატებს ვა-
მოდრავებ. ამ დროს შეი და ჯესიკა გამოდიან გარეთ და ჩემ პირდაპირ
სხდებიან. ალბათ ისინიც სამუშაოდ გამოვიდნენ.

– რა დებილობაა, – ამბობს ჯესიკა.

– მართლაც, – პასუხობს შეი, – ვის აინტერესებს წიწილები და მგ-
ლები?

– ელი, იცი პასუხი? – მეკითხება ჯესიკა.

– რატომ ეკითხები? რა თქმა უნდა, არ იცის, – შეი ჯესიკას ყურში
რადაცას ეუბნება და ფურცელს მაჩვენებს, რომელზეც ასოები წერია, –
შეგიძლია ამის წაკითხვა, ელი?

ვცდილობ, ყურადღება არ მივაქციო. უფლებას არ მივცემ, დაძაბუ-
ლობა შემატყონ. მახენდება, რომ შეისთან ურთიერთობა ჭადრაკის
თამაშითაა, არ უნდა აღელდე და შეცდომებს არ დაუშვებ.

– აჰ, ველ კითხულობ, ალა? – ბავშვივით მიჩლექს ენას, რაც ისე არ
მაწუხებს, როგორც მისი სიტყვები. ვცდილობ, ამოცანის ამოხსნაზე ვი-
ყო კონცენტრირებული.

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

შეი ახლოს მოდის:

– შენ ხარ ისეთი სულელი, სულელი, ელი. ხომ იცი, მისტერ დენი-ელსი კარგად იმიტომ გექცევა, რომ ეცოდები.

– კარგი, რა, შეი, მოდი, შევიდეთ, – წრიპინებს ჯესიკა.

– „კარგი რას“ ნუ მეუბნები, ვის მხარეს ხარ?

– შენს მხარეს, – ეს ერთგულების ხმა არ არის, შიშის ხმაა.

ვდგები და საკლასო ოთახში შევდივარ, მისტერ დენიელსის მაგი-დის უკან, კუთხეში ვდგები.

მიჭირს შეის სიტყვების დავიწყება. ჩემს თავს ვახსენებ – მხოლოდ იმიტომ, რომ ვინმე რამეს ამბობს, სულაც არ არის ეს სიმართლე. ფურცლის ნაგლეჯებზე გადამაქვს ყურადღება – წიწილა, მგელი და ხორბალი.

მათ წინ და უკან ვაადგილებ იატაკზე. ბოლოს ვხვდები, რომ სამზე მეტი მგზავრობაა საჭირო. ჯერ წიწილა და ხორბალი უნდა გადაიტანო, მაგრამ მერე წიწილა უკან წაიყვანო და იმავე ნაპირზე დატოვო, სანამ მგელს გადაიყვან. შემდეგ მგელი ხორბალთან უნდა დატოვო და წიწი-ლას წამოსაყვანად დაბრუნდე.

ფეხზე ვხტები.

– ამოვხსენი, – კეიშა და ალბერტი გაოცებულები არიან. მეც მიკვი-რის.

მისტერ დენიელსი ჩემთან მოდის და პასუხს ყურში ვეუბნები.

– მშვენიერია, ელი!

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

მეუბნება და სხვებთან მიდის, რომ დარჩენილ რამდენიმე წუთში დაეხმაროს.

– ელი, – მაქსი ხმამაღლა ჩურჩულებს, – პასუხი რა არის? მოდი და გვითხარი, როგორ ამოხსენი.

ამ დროს შეი და ჯესიკა ბრუნდებიან და ხედავენ, რომ მაქსს ვებმ-არები. როცა შეის ჩავუვლი, ხმადაბლა მეუბნება:

– მაინც ხელმოცარული ხარ, ელი. ხელმოცარულად ხარ დაბადებული.

ჯესიკა ოდნავ შესამჩნევად მიღიმის.

მისტერ დენიელსი გვთხოვს, ადგილები დავიკავოთ.

– კარგი, ეს ორნაწილიანი დავალება იყო. პირველი ნაწილი თავს-ატეხის ამოხსნას ეხებოდა. და მეორე, მაინტერესებდა, ვინ გაძლებდა ბოლომდე. ვინ იმუშავებდა მანამ, სანამ არ ამოხსნიდა. ვულოცავ მათ, ვინც საქმე ბოლომდე მიიყვანა... შენ თუ ერთ-ერთი მათგანი ხარ, ვინც ხელი ჩაიქნია და მეგობრებთან ფეხბურთზე დაიწყო ლაპარაკი, მინდა იცოდე, რომ როგორი ჭკვიანიც უნდა იყო, წარმატების მისაღწევად ბევრი შრომაცაა საჭირო.

მიჭირს დაჯერება. ხანგრძლივმა იმედგაცრუებამ და რამის მისაღწევად დახარჯულმა დრომ, როგორც იქნა, შედეგი გამოიღო.

როგორც ჩანს, ჩემთვის „ძნელია ამის გაკეთება“ იგივე არ არის, რაც „არ შემიძლია“.

თავი 38. ხელმოცარული – პრეზიდენტად

– მაშ, ასე, ფანტასტიკურებო, – მოგვმართავს მისტერ დენიელსი, – როგორც უკვე გითხარით, უნდა ავირჩიოთ კლასის წარმომადგენელი სკოლაში მოსწავლეთა მთავრობისთვის. გვყავს პირველი კანდიდატურა?

ჯესიკა ხელს იწევს:

– მე შეის ვასახელებ.

შეი გახედავს და ისევ წინ ბრუნდება. ისეთი სახე აქვს, თითქოს გვირგვინი უკვე დაადგეს.

– კარგი. კიდევ?

ხმას არავინ იღებს.

– მოიფიქრეთ, ერთი სახელით არჩევნებს ვერ ჩავატარებთ.

ველოდები, აქეთ-იქით ვიყურები. ვიცი, სხვას არავის დაასახელებენ, რადგან მას შემდეგ, რაც მისტერ დენიელსმა პირველად გვითხრა არჩევნების შესახებ, შეიმ ყველას გააგებინა, რომ ნებისმიერი, ვინც მის წინააღმდეგ გადაწყვეტდა კენჭისყრას, მწარედ ინანებდა. მათი შვილები და შვილიშვილებიც კი ინანებდნენ. მართლა შეუძლია ასეთი რამის გაკეთება.

არა, მეტი არავინ დასახელებდა.

ალბერტი ხელს იწევს. ვა, ალბერტი. რა მამაცია. შეის გავხედე, თვალები მოჭუტული აქვს.

მაგრამ ალბერტი, უბრალოდ, ტუალეტში გასვლის ნებართვას ით-

ხოვს.

მისტერ დენიელსი ცოტა ხნის ლოდინისა და წახალისების შემდეგ, ამბობს:

– მაშინ შემთხვევით სახელს შევარჩევ ან ვეტყვი საბჭოს, რომ წარმომადგენელი არ გვყავს.

ისევ ვიცდით. ბოლოს შეი იწევს ხელს.

– შეი, ეს ნამდვილი სპორტსმენისათვის შესაფერისი საქციელია.

ვის ასახელებ?

ილიმის:

– მე ელ-ი ნი-კერ-სონს ვასახელებ.

მოიცადეთ.

ნუთუ ჩემი სახელი თქვა?! ვუყურებ და ისიც მე შემომყურებს, მისტერ დენიელსი კი ისევ აქებს.

შემდეგ გონება მინათდება. რა თქმა უნდა, გამარჯვება უნდა. ჰოდა,

მე დამასახელა, მე ხომ წარუმატებლობისთვის ვარ განწირული

– ეთანხმები? – მეკითხება მისტერ დენიელსი.

– შემძლია, უარი ვთქვა?

– შეგიძლია, მაგრამ, ჩემი აზრით, მონაწილეობა უნდა მიიღო.

ძალიან, ძალიან მინდა უარის თქმა. მაგრამ მას ვერ ვეტყვი.

– კარგი. მივიღებ მონაწილეობას... ალბათ.

– ძალიან კარგი, ხვალ ორივე მოკლე სიტყვით გამოხვალთ და მერე ხმის მიცემას დავიწყებთ.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– სიტყვა უნდა დავწერო, – ეუბნება შეი ჯესიკას და ჩურჩულს აგრძელებს.

თავზარდაცემული ვარ, მე არ შემძლია სიტყვის დაწერა.

გაკვეთილების შემდეგ მისტერ დენიელსი ბოდიშს მიხდის, რომ დღეს ვერ დამეხმარება, რადგან ლექცია აქვს კოლეჯში. სამაგიეროდ, მთავაზობს, გულწრფელად ვთქვა, რატომ მინდა კლასის პრეზიდენტობა. იქნებ დედა დამეხმაროს სალამოს? ვეუბნები, რომ დამეხმარება. დამეხმარებოდა, მაგრამ მე არ ვთხოვ. არ მინდა, ტყუილად მიეცეს იმედი.

რახან შეი სიტყვის მომზადებას აპირებს, მეც უნდა დავწერო რამე. ამ სიტყვის გარეშე პატარა ბავშვივით მოუმზადებელი ვიქნები. ასე რომ, ჩვენს სასადილო ოთახში ვჯდები ცარიელი ფურცლით – ფურცელი თეთრი და ნათელია და მისი ყურება თავს მატკივებს.

მინდა, დედას ვთხოვო დახმარება, მაგრამ თუ გაიგებს, რომ კლასის პრეზიდენტობის კანდიდატად ვარ დასახელებული, აღელდება. ჩემზე მეტად ენდომება, გავიმარჯვო.

მე მეშინია, გამარჯვება მინდოდეს.

გონებაში ვხედავ, როგორ ვდგავარ მთელი კლასის წინ და მისტერ დენიელსი მილოცავს. ფანქარს ვიღებ და მობილიზებას მთელი ძალით ვცდილობ. მთელი ძალით.

ვცდილობ, დავწერო და ფურცელზე ფანქარს ძლიერად ვაჭერ, მაგრამ არაფერი გამომდის. თავი მტკივდება. ვცდილობ, რაც შეიძლება

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

გამართულად დავწერო. საათ-ნახევარს ვანდომებ ორი აბზაცის დაწერას.

როგორც იქნა, ვწვები. ვლოცულობ, რომ ხვალ მაღალი სიცხით გამეღვიძოს, რაიმე ისეთი დამემართოს, მთელმა ქალაქმა ილაპარაკოს. ისეთი დაავადება, ალბერტს რომ ძალიან დააინტერესებს. კარგი მიზეზი იქნებოდა სკოლის გასაცდენად.

თავი 39. შეის

სკოლისკენ მიმავალი გრძელ გზაზე ვფიქრობ, თითქოს მექსიკის გავლით მივდივარ.

სკოლაში პირველი ალბერტი მხვდება, რომელსაც თვალი აქვს ჩაღურჯებული.

– ალბერტ, – ეუბნება კეიშა, – როდის უნდა ასწავლო მაგ ბიჭებს ჭკუა?

– არა უშავს, – ღრმანაზროვნად პასუხობს, მერე უცებ მხიარულდება და დიდ პოსტერს მაჩვენებს, – შეხედე!

შენ გამარჯვებას ელი?

მაშ, აირჩიე ელი!

– პოსტერი გამიკეთე არჩევნებისთვის? – ვეკითხები გაღიმებული.

ვიცი, რომ წავაგებ, მაგრამ მაინც მიხარია, – გმადლობ, ალბერტ.

ამაყად მიღიმის.

– ოღონდ... ჩემი სახელი ორჯერ რატომ წერია?

მისამართი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– შენი სახელი ომონიძია.

ალბერტის საქციელში ეჭვი არ უნდა შემეპაროს ხოლმე.

– ეს ის სიტყვებია, რომლებიც ერთნაირად იწერება, მაგრამ სხვადასხვანაირად გამოითქმის და სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ელი შენი სახელია, მაგრამ ასევე იწერება სიტყვა მოლოდინი. არჩევნების დროს ამომრჩეველს სურს, თავისი მოლოდინი გამართლდეს.

ამ დროს შეი გვიახლოვდება ჯესიკასთან ერთად. ჯერ პოსტერს უყურებენ, მერე კი ჩვენ სამს.

– წარმატებას გისურვებ, ექვსფეხიანო ანომალიავ. ელი სამ ხმას მაინც მიიღებს. ალბათ.

მიდიან, მე ჩემს მეგობრებს შევცქერი და ვფიქრობ, რომ სამი მთავარი ფერი არსებობს – ყვითელი, ლურჯი და წითელი. ეს სამი ფერი წარმოქმნის ნებისმიერ სხვა ფერს.

კეიშა სუკისთან მიდის, მე კი ალბერტს ვეუბნები:

– ვიცი, რომ წავაგებ და შეი ამის დავიწყების უფლებას არასდროს მომცემს, – უცებ მერხზე ალბერტის პოსტერს ვამჩნევ და ვიღიმი, – სამაგიეროდ, პოსტერი მაინც მექნება. შეიძლება, შინ წავიღო?

– შეგიძლია, მაგრამ არ უნდა დანებდე!

– მართალი ხარ, ალბერტ. მაგრამ არც შენ უნდა დანებდე.

– მე არ ვარ კლასის პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებული.

მე მის ჩამავებულ თვალზე ვანიშნებ.

– ისევ გცემეს, ხომ?

თვალს მარილებს.

– ეს სულაც არ არის ერთი და იგივე, – მე ვსევდიანდები, რადგან ვერ ხედავს, რომ ეს ორი რამ დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან.

კეიშა ჩემკენ ბრუნდება.

– მზად ხარ დღევანდელი დღისთვის?

– არა, – თავს ვიქნევ უარყოფის ნიშნად, – მზად საჯარო დამცირებისთვის? არ ვიცი, როგორ ვახერხებ ხოლმე ასეთ ისტორიებში მოხვედრას.

ჩემკენ იხრება და ჩურჩულებს:

– ყველაფერი კარგად იქნება. მე და ალბერტი შენ გაძლევთ ხმას იმის მიუხედავად, რას იტყვი შენს გამოსვლაში.

ცალკეად ვილიმი.

– თუ ვიტყვი, რომ კაფეტერიის მაგიდები უნდა ალოკოთ?

– არ დაგიჯერებ.

– გააჩნია, იმ დღეს რა გვექნება ლანჩზე.

ვიცინით. არ სწყინს, ეჭვქვეშ რომ დავაყენე მისი საქციელი.

მისტერ დენიელსს ჯორჯ ვაშინგტონის გამოსახულებიანი ჰალსტუხი უკეთია. ჯერ შეის უხმობს პრეზენტაციის გასაკეთებლად. ვამჩნევ, რომ წითელ, თეთრ და ლურჯ ფერებში აცვია. მე კი აზრადაც არ მომსვლია, რამე განსაკუთრებული ჩამეცვა.

შეი ლაპარაკობს, თუ რა დიდებული კანდიდატია და რას გააკეთ-

ებს, თუ აირჩევენ. ბავშვები ტაშს უკრავენ. ისე, გაუგებარია, როგორ აპირებს რამდენიმე დაპირების შესრულებას. მაგალითად, უფრო გრძელ შესვენებას და ჭამისთვისაც მეტ დროს გვპირდება. ასევე, გვთავაზობს დერეფნებში მდებარე კარადების უფრო დიდებით ჩანაცვლებას. მე ვხვდები, რომ ვერ შეძლებს, მაგრამ ყოველ ახალ წინადადებას ბავშვები სულ უფრო მეტი აღტაცებით ხვდებიან, მე კი თითქოს ვპატარავდები და ვპატარავდები.

ჩემი ჯერი დგება. წინ გავდივარ. ხელში სიტყვა მიჭირავს. ბგერები, რომლებიც ჩემი პირიდან გამოდის, ნამდვილ სიტყვას არ ჰგავს. ისევ ვცდილობ და იგივე მეორდება. კიდევ ოთხჯერ. ჩემ გარშემო უკვე ჩუმად იცინიან. ძალიან მცხელა. შემდეგ სრულ სიცარიელეს ვგრძნობ. ფურცელს უაზროდ დავყურებ.

ეს მე დავწერე.

მაგრამ წაკითხვა არ შემიძლია.

შეის თვითკმაყოფილება ეტყობა და ამის გამო კიდევ უფრო რთულდება ყველაფერი.

მისტერ დენიელსი ხელებს მუხლებზე იწყოფს, ჩემკენ იხრება და ჩურჩულებს:

– მისმინე, შენ შეგიძლია ამის გაკეთება. თანაც ძალიან კარგად.

ოდნავ ვიქნევ თავს.

– მე მჯერა შენი, ელი. დაივიწყე მომზადებული სიტყვა. ფურცელი დადე და ღრმად ჩაისუნთქე. თვალები დახუჭე, თუ სხვების დანახვა გა-

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ნერვიულებს და, უბრალოდ, გულწრფელი იყავი. იყავი ისეთი... როგორიც ხარ.

ფურცელს მართმევს და დიდხანს დგას ჩუმად. თვალეებს მართლა ვხუჭავ, ვნატრობ, რომ სხვებიც ვერ მხედავდნენ.

მისტერ დენიელსის ალერსიანი ხმა მესმის, თითქმის ჩურჩულებს:

– მე მინდა კლასის პრეზიდენტი გავხდე, რადგან...

– მგონია, რომ სახალისო იქნება... და მგონია, რომ მომეწონება, – ჯერ ისევ თვალდახუჭული ვამბობ.

– ძალიან კარგი. გააგრძელე, – მამხნევეს.

– პირობას ვდებ, გულწრფელად მოვიქცევი... გპირდებით, ბევრს ვიშრომებ. ყველას მოვუსმენ, არა მხოლოდ ჩემს მეგობრებს, იმიტომ, რომ მთელ კლასზე ვარ პასუხისმგებელი... მინდა, ყველას ჰქონდეს შანსი, წამოაყენოს იდეა. შეხვედრებსაც დავესწრები და შევეცდები, დამატებით მოვიპოვო გრძელი შესვენებები და მსგავსი რაღაცები, მაგრამ ვერ დაგპირდებით, რომ ნამდვილად შევძლებ ამის გაკეთებას, – თვალეებს ვახელ და მისტერ დენიელსს ვუყურებ, – შემიძლია, ამის გაკეთება?

– არა. ხომ არ გინდა, სამსახურიდან გამაგდონ?

უარყოფის ნიშნად თავს ვიქნევ. გაოცებული ვარ.

– კიდევ რამის თქმა გინდა?

– მგონი, არა.

– მაშ, კარგი, – ხელით ჩემს სკამზე მანიშნებს და მეც ვჯდები. მიკვ-

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ირს, რომ ყველაფერი უკვე დამთავრდა.

– ახლა ხმის მიცემა დაიწყება, – გვეუბნება მისტერ დენიელსი.

ფურცლების დარიგებას იწყებს.

– მოიცადეთ! – აპროტესტებს შეი, – ყველა სხვა მასწავლებელი

გვეუბნებოდა, რომ ხელი უნდა აგვეწია.

– ჩემი აზრით, ეს პროცესი ნამდვილ არჩევნებს უნდა ჰგავდეს, ან-
ონიმური ხმის მიცემით. ყველა დაწერს ფურცელზე იმ კანდიდატის სა-
ხელს, რომელსაც კლასის პრეზიდენტად ირჩევს, და დაკეცავს ფურც-
ელს. მე ყველასთან მივალ და ფურცლებს შევაგროვებ.

– რა უსამართლობაა!

– არა მგონია, – მხრებს იჩეჩს, – თუ ეს ამერიკის შეერთებული შტ-
ატების მთავრობისთვის მისაღებია, ჩვენთვისაც მისაღები უნდა იყოს.

ჩემს ფურცელს ვშლი და ვცდილობ, ფაქიზად დავწერო.

ყელში თითქოს რაღაც მაქვს გაჩხერილი. ფურცელზე ჩემს სახელს
ვწერ, მაგრამ არ ვიცი, რატომ.

აღბათ იმიტომ, რომ გაკვეთილების დატოვების ფურცელს არ ვა-
წერ ხელს ან რამის გამო ბოდიშს არ ვიხდი.

სამჯერ ვკეცავ და ყუთში ვდებ, როცა მისტერ დენიელსი ჩემამდე
მოდის.

გვეუბნება, რომ შედეგს მოგვიანებით შეგვატყობინებს, მაგრამ ყ-
ველა სთხოვს, ახლავე დაითვალოს. ამიტომ ითვლის.

პირველს ხსნის:

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– შეი.

შემდეგ მეორეს ხსნის:

– შეი.

მესამეს:

– შეი.

მაგრამ შემდეგ ოთხს ხსნის და ამ ფურცლებზე ჩემი სახელი წერია.

გაოცებული ვარ.

კიდევ რამდენიმე ხმა შეიმ მიიღო და კიდევ ოთხი მე, კიდევ ოთხი?

ვერ ვხვდები, ვის უნდა მიეცა ჩემს სასარგებლოდ ხმა. მეგონა, ყვ-

ელას შეი უყვარდა, მაგრამ ოთახს ვათვალიერებ და ზოგი ბავშვი მე

მიყურებს. ზოგი კი მართლა ბედნიერია – ოლივერი და სუკი და კიდევ

რამდენიმე კლასელი.

ხმების დათვლის ბოლოს ირკვევა, რომ გავიმარჯვე. შეი ხელეხს

გულზე იკრეფს და სკამის საზურგეს ეყუდება.

მისტერ დენიელსი ჩემკენ ბრუნდება და ამბობს:

– გილოცავ, მაღამ პრეზიდენტო ნიკერსონ, – შემდეგ მხედრულად

მესალმება და იცინის. კლასი ტაშს უკრავს. კეიშა ფეხზეა და ცეკვავს,

ალბერტი თავს მიკრავს.

– მისტერ დენიელს, – მაქსი ხელს იწევს, – მე მგონი, ეს უნდა აღინ-

იშნოს!

– რატომ მაქს? იმიტომ, რომ ოთხშაბათია?

– ნებისმიერი დღე გამოდგება წვეულებისთვის, მისტერ დ! – შეის

ეტყობა, რომ გაღიზიანებულია მისი სიტყვებით.

თუმცა, განმგმირავი მზერა ჩემთვის აქვს შემონახული. მაგრამ ჯერ ჩუმადაა და ჩემთვის ეს სრულიად მისაღებია.

თავი 40. სხვადასხვანაირი ცრემლები

კეიშა და ალბერტი მთელ დღეს „მადამ პრეზიდენტს“ მეძახიან. დღის ბოლოს სკოლის მთავარი გასასვლელიდან გავდივართ და მე ისეთი ბედნიერი ვარ, მგონია, რომ ფრენა შემძლია.

მაღალი, მკვეთრი ხმა მავიწყებს ამ ბედნიერებას:

– რას ნიშნავს, დამარცხდი?

შეი და დედამისი არიან.

– იმის მერე, რაც ამდენი დრო დავხარჯეთ ამ სიტყვის დაწერაზე?

უყურებდი აუდიტორიას? ხმამაღლა ლაპარაკობდი? იღიმოდი?

– ვიღიმოდი, ყველაფერი გავაკეთე. იმ გოგომ, უბრალოდ, მეტი ხმა მიიღო.

ეს სხვა შეი. შეი, რომელსაც მე ვიცნობ, ყოველთვის მზად არის,

ჩხუბი დაიწყოს. ახლა კი საბავშვო ბაღის აღსაზრდელს ჰგავს.

– მაპატიე, დედა, – ლოყიდან ცრემლს იწმენდს.

კეიშა შეცბუნებულია:

– რა მკაცრი ქალია.

– დაუჯერებელია, მაგრამ მეცოდება შეი.

– აჰ, არაა, ნუ გეცოდება. ეს არ აძლევს უფლებას, სხვებს საშინელი

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

რაცაც უთხრას.

– ჰო, ალბათ მართალი ხარ.

– ვერაფერი ისწავლე? რა თქმა უნდა, მართალი ვარ, – ვიცინით და ავტობუსში ავდივართ.

ძალიან მინდა, მაღე მივიდე პეტერსენის რესტორანში.

პეტერსენის რესტორნის შუშის კარში შევრბივარ. მაგიწყდება, რომ დედასთვის ისე, თითქოს სხვათა შორის, მინდოდა მეთქვა ახალი ამბავი. ადგილზე ვბტუნაობ და ისე ხმამაღლა ვეუბნები, რესტორნის რამდენიმე მუდმივი კლიენტი მასზე ადრე მილოცავს.

ვხედავ, ცდილობს, მიხვდეს, სწორად გაიგო თუ არა ჩემი ნათქვამი.

– დიახ! – თავის მკვეთრი დაქნევით ვუდასტურებ, – დედა, კლასის პრეზიდენტად ამირჩიეს! ჩემმა კლასელებმა! მასწავლებელმა კი არა, ბავშვებმა ამირჩიეს!

ხელებს შლის და მიხუტებს.

– ვამაყოფ შენით! – მეუბნება აკანკალებული ხმით.

ვიცი, რატომ ტირის. მეც მიჭირს დაჯერება.

თავი 41. არც თუ ისე საიდუმლო წერილი

მეორე დილით, სანამ თვალს გავახელ, მახსენდება, რომ კლასის პრეზიდენტი გავხდი. საკუთარ თავს ვეკითხები, ხომ არ დამესიზმრა, თუმცა, ვიცი, არ დამსიზმრებია. თითქოს შობის დილას გავიღვიძე და გამახსენდა, რა დღეა.

ვწევარ და მიხარია, მისტერ დენიელსმა ხმები ყველას თვალწინ რომ დაითვალა. მოგვიანებით გამოცხადებულ გამარჯვებას ძნელად დავიჯერებდი.

სკოლაში ყველა ჩვეულებრივად იქცევა, მაგრამ ჩემთვის ყველაფერი სხვაგვარადაა. ჩემს ნივთებს ვინახავ და მერხისკენ მივდივარ, რომელზეც კონვერტს ვპოულობ. მას ჩემი სახელი აწერია. უცნაურია.

ვჯდები, გარშემო ვიყურები და კონვერტიდან წერილს ვიღებ. ალბათ მისტერ დენიელსი მილოცავს. მაგრამ არა, ეს რაღაც სხვაა.

მთელი ფურცელი ნაწერთაა აჭრელებული. ზოგიერთ სიტყვას ვცნობ, მაგალითად, სიყვარულს. მაგრამ ვერ ვხვდები წერილის შინაარსს. ბოლოს მაქსის სახელია მიწერილი. მისკენ ვიყურები. თავს მიკრავს. თვალს ვარიდებ, რუდოლფის ცხვირით ვარ აჭარხლებული.

წერილს ვკეცავ და ჯიბეში ვიღებ. ვნატრობ, წაკითხვა შემემძლოს.

როცა სახლში მივალ და შევისწავლი, იქნებ მივხვდე, რა წერია. ახლა ვერ დავაშტერდები. ამ დროს კეიშას ვხედავ, რომელიც თავის ნივთებს აწყობს კარადაში. მერე მესაღმება და გვერდით მიჯდება.

საღმითვე ვპასუხობ და პირს ვაღებ, რომ წერილზე ვუთხრა, მაგრამ მახსენდება – ის ხომ ემოციებს ვერ მალავს და ასე შეიძლება გარშემო ყველას გააგებინოს.

ღრმად ჩავისუნთქავ. მოგვიანებით უნდა ვნახო, სხვა გზა არ მაქვს.

მიხარია და თან საკუთარ თავზე ვბრაზობ. მიხარია, წერილი რომ მივიღე და ვბრაზობ, წაკითხვა რომ არ შემეძლია.

მაქსი საყვარელია. მომწონს მისი წითელი და თეთრი საფეხბურთო მაისურები, სულ რომ აცვია. თურმე მოვწონვარ და შეიძლება, მეც მომწონდეს.

– როგორი გრძნობაა პრეზიდენტობა? – მილიმის კეიშა.

ეს ალბათ საუკეთესო კვირაა ჩემს ცხოვრებაში.

– განსაკუთრებულს ვერაფერს ვგრძნობ.

– რაო? უკვე თავში აგივარდა?

– ნუ ღელავ, შენთან ისევ ძველებურად ვიქნები.

– გირჩევნია, ეგრე მოიქცე.

– მოკლედ, ჩემო ფანტასტიკურებო! – გვესალმება მისტერ დენიელსი და გვახსენებს, რომ საშინაო დავალება კალათაში უნდა ჩავდოთ. მერე კლასის დამხმარეებს საორგანიზაციო საქმეებს ავალებს. მე გამართული ვზივარ. ვგრძნობ, რომ კლასში მეც მაქვს ჩემი ადგილი. დილის მოსაწყენ საქმეებზე საუბრის შემდეგ მისტერ დენიელსი ამბობს:

– და კიდევ, თუ შეიძლება, ჩვენი კლასის პრეზიდენტს, ელი ნიკერსონს უთხარით, თუ რამის შეცვლა გინდათ. მას შეუძლია გადაწყვეტილების მიღება.

ვიცი, რომ არ უნდა გავიღიმო, მაგრამ პირი არ მემორჩილება, ეს იგივეა, თრევისს მოსთხოვო, მანქანები აღარ უყვარდეს.

პირველ შეთავაზებას ოლივერისგან ვიღებ. დავალებაზე კონცენტრირებას ვცდილობ, ის კი ჩემი მერხის წინ დგას.

– წინადადება მაქვს.

– კარგი, გისმენ.

– ჩემი აზრით, უფლება უნდა მოგვცენ, კანფეტები მოვიტანოთ სკოლაში, ბევრი ტკბილეული. აი, სატვირთო მანქანებით რომ მოჰქონდეთ სკოლასთან და ასიგნალებდნენ, მერე გადმოყრიდნენ დიდ გროვებად და ბავშვები ნიჩბით იღებდნენ. ჯანსაღი საკვების წესი, წელს რომ შემოიღეს, სისულელეა. ეს ერთადერთი იყო, რაც სკოლაში მომწონდა, და...

– ოლივერ! – აწყვეტინებს მისტერ დენიელსი, – შეკითხვა გაქვს?

– რჩევას ვაძლევ პრეზიდენტს. იღეა მაქვს.

ცალკეად იღიმის.

– კარგი, დაასრულე და შენს ადგილზე დაბრუნდი.

ოლივერი ისევ მე მიყურებს:

– კარგი? შეგიძლია ამის გაკეთება?

– შევეცდები.

იმედგაცრუებული ჩანს.

სუკი აწყვეტინებს:

– მე არ გეთანხმები. ჯანსაღი საკვების წესი კარგი წესია. შენი სხეულისთვის მავნეა კანფეტების ჭამა.

ოლივერი ცოტა ხანს უყურებს:

– ზრდასრულივით ნუ იქცევი.

სხვა ბავშვებიც მთავაზობენ რაღაცებს.

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ლანჩის წინ მესმის, როგორ წუწუნებს შეი, მე რომ გამემარჯვა, სკოლაში ცხენოსნობის კლუბს გავხსნიდიო. უცებ დანაშაულის გრძნობა მიჩნდება, მაგრამ მერე ვხვდები, ეს ხომ შეუძლებელი იქნებოდა. რომელი ცხენები? სად უნდა გვეშოვა ცხენები?

მე ჩემი იდეა მაქვს. ხუთშაბათობით მთვარეზე გაფრენის კლუბის შექმნაზე ვფიქრობ. გონებაში სცენას ვხედავ. ლურჯზოლიან ვერცხლის კოსმოსურ ხომალდში ვსხედვართ მე, კეიშა და ალბერტი. ალბერტი, როგორც ყოველთვის, მშვიდაა. კეიშა ბედნიერებისაგან კივის. მე ვიცი. მიხარია, რომ ბედნიერები არიან.

შეის ხმა მაფხიზლებს, რომელიც ჩემ წინ დგას:

– ყველა მეთანხმება. სადმე სოროში უნდა შეძვრე და აღარასდროს გამოხვიდე.

– რაკი არჩევნები მოვიგე, მე მგონია, ყველა ასე არ ფიქრობს.

ჩემდა გასაკვირად, უსიტყვოდ ბრუნდება და მიდის.

დღის ბოლოს, როცა ავტობუსში ჩასასხდომად ვემზადებით, შეი მიახლოვდება, რომელსაც ჯესიკა მოჰყვება აჩრდილივით, და მეკითხება:

– მიიღე წერილი?

რატომ მეკითხება წერილზე?

– რა წერილი?

შეი უკან იხედება და ისევ ჩემკენ ბრუნდება:

– შენ იცი, რა წერილზეც გეკითხები.

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– ვერ ვხვდები.

მოთმინებას კარგავს:

– წერილი... – ჩურჩულით აგრძელებს, – მაქსის წერილი, ლანჩხე
შეხვედრას რომ გთხოვდა და შენ არ მიხვედი. მართლა იმედგაცრუებ-
ულია.

– იმედგაცრუებულია?

შეი ისევ უკან იყურება:

– მოგწონს?

– რატომ უნდოდა ლანჩხე ჩემი ნახვა?

– ელი, წერილის ასე იგნორირება არ შეიძლება. უზრდელობაა.

ვხედავ, მაქსი მოდის ჩვენკენ, მაგრამ არაფერს ვამბობ.

შეი აგრძელებს:

– მართლა ძალიან მოსწონხარ, ამიტომ მის წერილს უნდა უპასუხო
და იგივე მისწერო, რასაც წერილში გეუბნება, კარგი? ხვალ მისწერ?

– რა წერილი? – კითხულობს მაქსი.

– მაქს... – შეის ენა ებმის.

– რა წერილი? გავიგონე, ჩემი სახელი რომ ახსენე.

არ მეგონა, ოდესმე თუ ვნახავდი ენაჩავარდნილ შეის.

– წერილი, რომელიც შეის თქმით, შენ გამომიგზავნე, – წერილს

ვაწვდი, – დიდი მადლობა, მაგრამ დაკავებული ვარ.

– ჰმ... მოიცა, სინამდვილეში არანაირი წერილი არ დამიწერია... –

ცდილობს, თავაზიანი იყოს. ჯერ წერილს უყურებს, მერე შეის და ჯესი-

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

კას.

ჯესიკა ფერს კარგავს, შეიც ფითრდება.

რაც უნდა მომხდარიყო ლანჩის მაგიდასთან, გამიმართლა, რომ არ მივედი. ცხოვრებაში პირველად მახარებს ეს ამბავი – კიდევ კარგი, კითხვა არ შემიძლია.

თავი 42. ბოდიშის მოხდის ნიჭი, სკოჩი და ანტიბიოტიკები

მისტერ დენიელსი თავის მაგიდასთან მიხმობს:

– ნახე, შენთვის რაღაც მაქვს.

მიხარია, მაგრამ მერე ვხედავ, რომ წიგნია. ისე აღარ მძულს წიგნები, როგორც ადრე. მაგრამ მაინც მეშინია.

ვუყურებ. იმედი მაქვს, უბრალოდ, უნდა, წიგნზე მესაუბროს, კი არ წავიკითხო.

– მინდა, რომ წაიკითხო.

პირს ვაღებ, თავში რამდენიმე გასამართლებელი მიზეზი მიტრიალებს.

– მისმინე, ელი. ვიცი, არ იქნება ადვილი. ვიცი, დრო დასჭირდება.

მაგრამ საქმე ის არის...

მიჭირს უარის თქმა.

– შენ შეძლებ ამის წაკითხვას. მინდა, რომ სცადო.

წიგნს ვართმევ. ყდაზე ბავშვია გამოსახული, რომელსაც ხელში აკვარიუმი უჭირავს ოქროს თევზით.

ვფურცლავ. არ არის გრძელი ამბავი და გულზე მეშვება.

თავს ვწევ და მის მზერას ვაწყდები. სხვა შემთხვევაში უამრავ მიზეზს მოვიფიქრებდი უარის სათქმელად, მაგრამ ახლა არ შემძლია. მისტერ დენიელსმა ლოდევით მძიმე წიგნი რომ მომცეს და წაკითხვა მთხოვოს, შევეცდები, წავიკითხო.

– მაშ, ასე, ახლა დასაბუთებული ესეც წერას დავიწყებთ, – გვეუბნება მისტერ დენიელსი, – დაწერეთ საგანზე, რომლის ქონას ისურვებდით შეუზღუდავი რაოდენობით. ეს ნივთი ჯადოსნური არ უნდა იყოს, არც განსაკუთრებული შესაძლებლობების. ჩვეულებრივი, ყოველდღიური საგანი აირჩიეთ.

– მე მგონი, გასაგებია, – შეი ისე ნელა ამბობს, თითქოს ბავშვს მიმართავს, – ყველა ხომ ფულს აირჩევს?

ალბერტი დაბნეულია, რაც იშვიათად ხდება.

– პირველი, რაზეც ვიფიქრე, ანტიბიოტიკია.

– მართლა? – მისტერ დენიელსი მისკენ ბრუნდება და ხელებს ჯიბეებში იწყობს.

– ბევრი ისეთი ადამიანია, რომელსაც ხელი არ მიუწვდება წამალზე. მათ დავურიგებდი. მთელ მსოფლიოში, – თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო, ამატებს: – საინტერესოა, ანტიბიოტიკი ავნებდა თუ სასარგებლო იქნებოდა უცხოპლანეტელი არსებებისათვის?

– როგორ ფიქრობ, – პასუხობს შეი, – უთვალავი ფული რომ გქონდეს, წამლის ყიდვასაც შეძლებდი თუ არა? – და ჯესიკას დასანახად

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

თვალეებს ატრიალებს.

ალბერტი მხრებს იჩეჩს:

– მირჩევნია, წამალი მქონდეს.

– სკოჩი, – ყვირის ოლივერი, – სკოჩი მენდომებოდა!

ჩვენც მასთან ერთად ვიცინით.

– რისთვის, ოლივერ? – ინტერესდება მისტერ დენიელსი.

– იმიტომ, რომ ძალიან მაგარია. ადამიანები არ ფიქრობენ იმაზე,

რა რთული იქნებოდა ცხოვრება სკოჩის გარეშე.

მისტერ დენიელსი თავს უკრავს:

– შეიძლება მართალი ხარ, ოლივერ!

– ან წებო. მიყვარს წებო. გარაჟში რამდენიმე ბარელი რომ მქონ-

დეს, ყოველდღე დავიკრავდი ხელზე და მერე ავიხევდი. დედაჩემის აზ-

რით, ეს საზიზღრობაა. ვეუბნები ხოლმე, რომ კანი ამძვრა.

შეი უცნაურ ხმას გამოსცემს.

– რა იყო? – ეკითხება ოლივერი.

– რა სისულელეა!

– რა არის სისულელე?

– სხვების აზრს პატივი უნდა ვცეთ, – ამბობს მისტერ დენიელსი, მა-

გრამ შეი და ოლივერი კამათს აგრძელებენ.

– სკოჩი და წებო რომ გინდა, – პასუხობს შეი.

– არა, არ არის სისულელე, იმიტომ, რომ ჩემს პატარა დას ბარათე-

ბს გავუკეთებდი. ბევრად უკეთ იგრძნობდა თავს.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– თავს უკეთ იგრძნობდა? – მისტერ დენიელსი შეწუხებულია, – ავად არის?

– უკვე აღარ. მაგრამ რაღაც სჭირდა... გრძელი სახელი აქვს... ხუთმარცვლიანი სიტყვაა. ხშირად ტოვებდნენ ხოლმე საავადმყოფოში ღამითაც. მე მივდიოდი სანახავად და ბარათები მიმქონდა. ძალიან უხაროდა. დედა ამბობს, შენ დაეხმარე გამოჯანმრთელებაში.

– გასაგებია, ოლივერ, შენ დღეს შემოქმედებითი მიდგომისთვის მიიღებ ქულებს, – მისტერ დენიელსი თმას უჩეჩს, – შენ გამორჩეული ხარ, ოლივერ. იცი ეს?

სუკი ხელს იწევს:

– ბაბუა ამბობს, რომ ყველა განსხვავებულია. გამორჩეული. არავის მსგავსი. ამიტომ თითოეული ჩვენგანი განსაკუთრებულია.

– ყოჩაღ, სუკი! – პასუხობს მისტერ დენიელსი, – შენ მართლა განსაკუთრებული ხარ.

სუკი სკამიდან არ დგება, ადგილიდან უკრავს თავს:

– გმადლობთ, სერ!

მისტერ დენიელსიც უკრავს თავს და ყველას მოგვმართავს:

– სინამდვილეში, ყველანი განსაკუთრებულები ხართ, ჩემო ფანტასტიკურებო!

ხელს ალბერტი იწევს. მისტერ დენიელსი პასუხის ნებას აძლევს.

– მაპატიეთ, მაგრამ მხოლოდ უნიკალურობა აუცილებლად კარგს არ ნიშნავს. მაგალითად, ეშერიხია კოლი – საშიში ბაქტერია, ყველა

სხვა ბაქტერიისგან განსხვავებულია.

– გასაგებია, ალბერტ, მაგრამ მე მომწონს, ადამიანები განსხვავებულიები რომ არიან. წარმოიდგინე, ყველა ერთნაირად გამოვიყურებოდეთ, ერთნაირად ვფიქრობდეთ, ერთნაირად გვჯეროდეს?

– ძალიან მოსაწყენი იქნებოდა, – ამბობს კეიშა.

– ნამდვილად, – ეთანხმება მისტერ დენიელსი.

მე კი არ ვიქნებოდი წინააღმდეგი, უფრო მეტად რომ ვგავდე სხვებს. მაგრამ მერე ვხვდები, სულაც არ მინდა, ისე ვხატავდე, როგორც ყველა, ან ისე ვიქცეოდე, როგორც შეი ან ჯესიკა.

მოულოდნელად ოლივერი ყვირის:

– ჭიანჭველას მკვლელი! ჭიანჭველას მკვლელი!

– რა მოხდა, ოლივერ?

შეისკენ იშვერს ხელს:

– ჭიანჭველას მკვლელი!

– ერთ დებილ ჭიანჭველას დავაბიჯე, რა ამბავი ატეხე?

– შენ არ გქონდა მისი მოკვლის უფლება, თავისთვის მიდიოდა.

– მისი? ერთი სულელი ჭიანჭველა იყო. ვის ენაღვლება?

– მე მენაღვლება! – ოლივერი ოთხზე დგება, რომ ნახოს ჭიანჭველა მკვდარია თუ არა. მერე ხელსახოცით იღებს და ჯიბეში იღებს.

– შენახვას აპირებ? – ზიზღით ეკითხება შეი.

– ნაგავში არ გადავაგდებ. დავმარხავ, როცა შინ მივალ.

შეი სიცილს იწყებს.

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– შეი, რა გაცინებს? – ეკითხება მისტერ დენიელსი. შეი ჩუმდება, მისტერ დენიელსი კი აგრძელებს: – ჩვენ ყველანი სხვადასხვანაირები ვართ. შენ ერთი რამე გაღელვებს, ოლივერს – მეორე. უნდა შევეცადოთ და ერთმანეთი მივიღოთ. მაშინაც კი, თუ არ ვეთანხმებით ერთმანეთს.

– დიახ! – ყვირის ოლივერი.

– და, ოლივერ, – ახლა ოლივერს მიმართავს მისტერ დენიელსი: – ალბათ უნდა აღიარო, რომ შეის ისეთი არაფერი გაუკეთებია. ადამიანები ხშირად აბიჯებენ ჭიანჭველებს.

– მერე?

– ოლივერ? – მისტერ დენიელსი იცდის.

ოლივერი შეისკვნ ბრუნდება და ბუტბუტებს:

– ბოდიში, – მერე ისევ ჯდება.

– გმადლობ, ოლივერ, – მისტერ დენიელსი ოლივერის მერხთან მიდის, – მიხარია, რომ ბოდიში მოიხადე, – წინ იხრება და ხელებს მუხლებზე იწყობს, – შენ საოცრად კეთილი გული გაქვს. ყველაფერი გაღელვებს, სხვებზე ფიქრობ და სწორედ ეს გაქცევს, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, დიდ ადამიანად.

თავი 43. სამყაროს ცეცხლი შევუნთეთ

მას შემდეგ, რაც ალბერტს მაისურის გამო დასცინეს, მე და კეიშა გადაწყვეტილებას ვიღებთ, რამე ვიღონოთ. დაცინვა მას დიდად არ

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

აღელვებს, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენ გვაბრაზებს.

ამიტომ ჩვენც ალბერტისნაირი მაისურებით მივდივართ სკოლაში.

ალბერტი ფურცლების დალაგებით არის გართული. ჩვენ ზურგიდან ვუახლოვდებით.

– ალბერტ, მოგწონს ჩვენი მაისურები? – ვეკითხები მე.

ბრუნდება და გვაკვირდება. ჩემს მაისურს ფოლადი აწერია, კეიშას

– მაგნიუმი.

ასეთი გაოცებული ალბერტი არასდროს მინახავს.

– მიხვდი? – ილიმის კეიშა, – შენს მაისურს მივუსადაგეთ. ოღონდ იმ გენიოსს არ ვგულისხმობთ, მარტო რომ არის კოსმოსში თავის რობოტებთან ერთად. ადრეც ხომ გითხარი, მისი საქციელი არ მომწონს...

ალბერტი მაინც დაბნეულია, მე ვუხსნი:

– მაისურები ერთმანეთს ეხამება, იმიტომ, რომ როგორც მისტერ დენიელსი ამბობს, ჩვენ სამნი სამყაროს ცეცხლს შევუნთებთ.

– დიახ, – მეთანხმება ალბერტი, – კაჟი, ფოლადი და მაგნიუმი ცეცხლის ასანთებად გამოიყენება. გასაგებია.

პირის კუთხე უთამაშებს, მისგან ეს იგივეა, დერეფანში ყირაზე რომ გადავიდეს.

დაფიქრების გარეშე ვეძახი შეის ოთახის მეორე ბოლოში:

– რომელიმეს თუ დაგვცინებ, ნიშნავს, რომ ყველას დაგვცინი!

შეის ისეთი სახე აქვს, გეგონება, დამპალ ხორცს უყნოსა, რაზეც კეიშა ხმამაღლა იცინის.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

მე ალბერტს ხელს მხარზე ვადებ და ვეუბნები:

– მინდა, იცოდე, რომ ყოველთვის შეგიძლია ჩვენი იმედი გქონდეს.

კეიშა წინ იხრება:

– ჩვენი აზრით, ძალიან მაგარი ბიჭი ხარ!

– ჩვენ მოკავშირეები ვართ, – ვუღიმი მე.

ალბერტი ფურცლების დალაგებას აგრძელებს.

– ვიცი, – ამბობს რბილად, – ძალიან მადლობელი ვარ.

თავი 44. არაჩვეულებრივი მეექვსეკლასელის ამბავი

თრევისს სკოლაში მანქანით მივყავარ, რადგან პროექტი, რომელიც წიგნის შესახებ მოვამზადე, მძიმეა და ავტობუსით გამიჭირდებოდა წაღება. ჩემს ნახატებს ხშირად ვიყენებ ხოლმე სკოლის პროექტებისათვის, მაგრამ ეს სამგანზომილებიანი სცენაა წიგნიდან „ჩვეულებრივი მეოთხეკლასელის ამბავი“, რომელიც მისტერ დენიელსმა მომცა წასაკითხად.

– რა მოგივიდა? – მეკითხება თრევისი, – როდიდან იღიმი ასე ორშაბათ დილას?

პირველად მივდივარ სკოლაში ამაყი. ასე რომ, უბრალოდ, ვზივარ და ვიღიმი.

– ჰეი, – ხელს ფეხზე მკრავს და იცინის, – მიხარია, რომ ასეთი ბედნიერი მიდიხარ სკოლაში. ნეტავ მეც შენნაირად ვიყო.

კლასში ბავშვები გარშემო მეხვევიან. ალბათ იმიტომ, რომ ჩემი

მისამართი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

პროექტი დიდია.

სხვებზე ადრე შეი მოდის. ის სამზარეულოს ათვალეირებს, რომელიც ძირითადად ქალაქისგან გავაკეთე, ხელსაბანის თავზე ანთებულ ნათურაც ქალაქისაა. მის გაკეთებაში თრევისი დამეხმარა.

– ეს როგორ გააკეთე? – მეკითხება შეი ნათურაზე.

– შიგნით ელემენტია.

– შენ გააკეთე? – ზიზღით მიყურებს.

ოლივერი ნათურას სტაცებს ხელს.

– მაგარია! – სანამ განძრევას მოვასწრებ, მავთულს აძრობს და სინათლე ქრება.

შეი იწყებს:

– ოლივერ, შენ ისეთი...

– დაანებე თავი, – ვაწყვეტინებ, – მე თუ არ ვღელავ, შენც არ უნდა განაღვლებდეს.

შეიცა და ოლივერიც გაფართოებული თვალებით მიყურებენ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით. ოლივერი იღიმის.

– არა უშავს, შევაკეთებ.

შეი თვალებს ჭუტავს, მერე ჩვეულებრივზე ხმამაღლა იცინის და თითს ჩემი პროექტისკენ იშვერს.

– ეგ წიგნი ოთხი წლის წინ წავიკითხე და ჯარისკაცებზე არაფერია ნათქვამი, – იმ სურათზე მითითებს, რომელიც ჩემი გაკეთებული ოთახის კედელზე კიდია.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

მაქსი გვიახლოვდება:

– რა ხდება?

– აქ სურათია, რომელიც წიგნში არ არის. ელი, პროექტი წიგნის შესახებ არ უნდა იყოს?

– მოკლედ, – მოულოდნელად სიტბოს ვგრძნობ, – სახლებში ხშირად კიდია ნახატები. ჰოდა, გადავწყვიტე, ოთახი მომერთო და მამაჩემი დავხატე სამხედრო ფორმით.

– მოიცა! – უხარია მაქსს, – მამაშენი ჯარშია?

– ჰო.

– მაგარია. რას აკეთებს?

– კაპიტანია სატანკო დივიზიაში.

– ტანკს ატარებს? მართლა? რა მაგარია!

თვალეებს ზემოთ ვწევ.

– გმადლობ.

მუშტს მუშტზე მადებს, მერე მიდის და სხვა ბავშვებს ეუბნება მამაჩემის შესახებ.

შეის სახეზე ვატყობ, მიხვდა, რომ შეურაცხყოფა უკან დაუბრუნდა.

მერე მისტერ დენიელსიც შემოდის. წიგნებიანი ჰალსტუხი უკეთია:

– ელი! შესანიშნავია! – წინ იხრება და ჩუმად მეუბნება, – ვამაყობ შენით.

პასუხი ყელში მეჭედება. თავში ფილმის სცენას ვუყურებ და ვცდილობ, გავიხსენო, ოდესმე ასეთი რამ რომელიმე მასწავლებელს თუ

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

უთქვამს ჩემთვის. არ უთქვამს.

– ელი, – ისევ მისტერ დენიელსია.

მაინც ვერ ვიღებ ხმას. ჩვეულებრივ, მაშინ ვერ ვამბობ ვერაფერს, როცა შეურაცხყოფას მაყენებენ. მაგრამ ეს სულ სხვა გრძნობაა.

თავი 45. ჩემი ძმის შეკითხვა

მოლაპარაკე მაფინებს ვხატავ კეიშას ბიზნესის რეკლამისთვის.

მთხოვა, დავხმარებოდი. სასიამოვნოა, როცა ვინმე დახმარებას გთხოვს.

ვხატავ და თან ჩემს ჩანახატების რვეულზე ვფიქრობ. ძალიან მიყვარს, მაგრამ შიგ ისე ხშირად აღარ ვხატავ. ადრე ეს ერთადერთი იყო, რაც სიხარულს მანიჭებდა. ახლა სხვა რამეებიც მიხარია.

მესმის, თრევისი როგორ მოდის დერეფანში კევის ლეჭვით. თავა-

უწევლად ვეუბნები:

– დედამ ხომ გითხრა, თხასავით ნუ იღეჭებიო, ყველას კი არ უნდა ესმოდეს!

უცნაურია, მაგრამ არ მპასუხობს.

ხაზის წაშლას ვამთავრებ და თრევისს ვუყურებ. დაჭიმულია. ხელე-
ბი ჯიბეებში უწყვია. მერე ერთ ხელს იღებს და მუშტით ნიკაპს ისრესს.

– თრევის, რა მოხდა?

– კითხვა მაქვს.

– ფულის სესხება ხომ არ გინდა?

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ილიმის და თავს იქნევს, მაგრამ ვამჩნევ, რომ რაღაც აფიქრებს.

– შეგიძლია ნებისმიერი რამ მკითხო, თრევის. რა მოხდა?

ახლოს მოდის და ლოგინის კიდეზე ჯდება:

– შენი მასწავლებელი როა, მისტერ დენიელსი... სკოლის შემდეგ

ერთად რას აკეთებთ ხოლმე?

– ჭადრაკს გულისხმობ?

თავს უარყოფის ნიშნად იქნევს:

– არა, კითხვას ვგულისხმობ. რას აკეთებს? უბრალოდ, სიტყვებს

ახმოვანებს და რამე?

ფანქარს ვღებ.

– სიტყვებზე ვლაპარაკობთ, მაგრამ ისე არა, როგორც სხვა მასწავ-
ლებლები მიხსნიან. მაგალითად, ჩვენ ფურცელს არ ვიყენებთ, არას-
ოდეს. ასობს ცისფერ ან ვარდისფერ ქვიშაში მაწერინებს, ან ზოგჯერ
საპარსი კრემით.

– მართლა? და ახლა კითხვა შეგიძლია?

– ჯერ არა. მაგრამ ნელ-ნელა მიადვილდება. ზოგჯერ მგონია, რომ
შენობის კედელზე ავრბივარ. საშინლად ვიღლები. მაგრამ ნელ-ნელა
უკეთესად გამოძის.

– ანუ მართლა გეხმარება?

– კი, და ეს უფრო სახალისოა, ვიდრე ძველებურად სწავლა. ხანდ-
ახან მოსაწყენიცაა, იმიტომ, რომ სიტყვების სიას ჩამოწერს ხოლმე. ამ
სიტყვებში რამდენიმე ერთნაირი ასოა. მაგალითად, სინათლე, სიძნ-

ელე და სიბნელე. ასოებს, რომლებიც მეორდება, წითლად წერს, და-
ნარჩენს შავად. მერე სიტყვებს სურათებად აქცევს, რომ უკეთ დავიმა-
ხსოვრო.

ფურცელს ვაბრუნებ.

– აი, გაჩვენებ, – მზეს ვწერ და მის გარშემო პატარა ხაზებს ვხატავ,
რომ მზეს დაემსგავსოს.

– და ეს მართლა გეხმარება დამახსოვრებაში?

– კი, და კიდევ ფერადი და გამჭვირვალე პლასტმასის ფირფიტები
აქვს, რომლებსაც წიგნის ფურცელს ადებს ხოლმე და თავი ნაკლებად
მტკივა წაკითხვისას. კომპიუტერის ეკრანის ნათება რომ შეამცირო,
ისე. ცოტა უცნაურია.

– კითხვისგან თავი აღარ გტკივა? მართლა?

– მაინც მტკივდება, მაგრამ ისე ძალიან აღარ. ბეისბოლის კეტის
მაგივრად პატარა ჯოხი რომ მოგხვდეს თავში, ისე.

თრევისი ილიმის, მერე ფეხზე დგება:

– მიხარია, რომ გეხმარება. ისიც მიხარია, რომ კეიშა და ალბერტი
გყავს, პატარავ. მაგარია!

– შენც ყველაფერი კარგად გაქვს, თრევის? მალე ნიკერსონის სა-
ხელოსნოს გახსნი, ხომ?

თავს მიკრავს და წასასვლელად ბრუნდება. დიდ ნეონის აბრას არ
ახსენებს. ის დრო მენატრება, თავის გეგმებზე გაუთავებლად რომ ლა-
პარაკობდა.

მისამართი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– თრევის!

ჩემკენ ბრუნდება:

– ჰო.

– მე რომ ვცადო და დაგეხმარო?

– არაა, – ნიკაპს მუშტით ისრესს, – არ არის საჭირო. უბრალოდ, მაინტერესებდა.

თავი 46. მფრინავი ვეფხვები და პატარა სპილოები

– ელი, – მეუბნება ალბერტი ლანჩის დროს, – სანამ კარგად გაგიცნობდი, „მფრინავ ვეფხვს“ გეძახდი.

– ოჰ, ალბერტ! რა მაგარი სახელია, – აღტაცებულია კეიშა, – იმიტომ, რომ უშიშარია და მას ვერავინ ვერაფერს უბედავს, ხომ ასეა?

ძალიან მინდა, მართლა ასეთი ვიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ვარ.

რატომ დამარქვა „მფრინავი ვეფხვი“? მე მეგონა, ალბერტი უფრო გამჭრიახი იყო.

– არ გაინტერესებს, რატომ დაგარქვი?

მხრებს ვიჩეჩ.

– ეს შეურაცხყოფა არ არის, უბრალოდ, დაკვირვებაა.

ისევ ვიჩეჩ მხრებს:

– კარგი, მაშინ, მითხარი.

– სანამ ამერიკის შეერთებული შტატები მეორე მსოფლიო ომში ჩართვებოდა, ჩინეთში ამერიკელი მფრინავების ჯგუფი იყო. „მფრინავი

ვეფხვები“ ერქვათ. მათ თვითმფრინავებს ცხვირზე ზვიგენის კბილები ეხატა.

– მოიცა! ჩემს მამას და ძმას უყვართ ეგ თვითმფრინავები.

თავს მიკრავს, მე კი გონებაში ვხედავ ფილმს, რომელშიც თვითმფრინავი ვარ.

– ბევრი თვითმფრინავი არ ჰყავდათ, ამიტომ რამდენიმე მისიის შესრულების შემდეგ თვითმფრინავებს გადაღებავდნენ ხოლმე. დიზაინსა და ნომრებს ცვლიდნენ, რათა იაპონელებს ჰგონებოდათ, რომ თვითმფრინავების რაოდენობა უფრო მეტი იყო.

მგონი, ვიცი, რასაც გულისხმობს.

– გაკვირდებოდით. ცდილობდით, სხვადასხვა შეფერილობა მიგელო სხვადასხვა ადამიანთან ურთიერთობისას. ცდილობდით, შენზე იმის საწინააღმდეგო ეფიქრათ, რაც სინამდვილეში იყო. მაგალითად, მასწავლებელი თუ რამეს დაგავალებდა, ცდილობდით, დირექტორის კაბინეტში გაეგზავნე.

ვერ ვიჯერებ, რომ ალბერტი ამ ყველაფერს ამჩნევდა.

– კარგი, – ეკითხება კეიშა, – ყველას არქმევ სახელს?

– ანალოგიები მომწონს. ასე უფრო საინტერესოა და უკეთ ვიგებ.

– ჩემზე რას იტყვი? ჩემთვისაც გაქვს მეტსახელი?

ალბერტი ყოყმანობს.

– კარგი, პროფესორო, ამოღერდე, – არ ეშვება კეიშა.

ტუჩს იკვნეტს.

მისამართი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– ჯობია მითხრა და თანაც ახლავე.

– „ჩვილი“.

– რაა? ჩვილი? დამცინი? ელის ასეთი მაგარი სახელი დაარქვი – „მფრინავი ვეფხვი“ და მე „ჩვილს“ მეძახდი? ეგ რა ჯანდაბას ნიშნავს?

ალბერტი წითლდება:

– არ მინდოდა შენი წყენინება.

– გვიანაა უკვე. კოსმოსში გაგიშვებ, იქ, სადაც ადამიანს ჯერ ფეხი არ დაუდგამს. არ ვხუმრობ.

ნუთუ კეიშამ „ვარსკვლავური გზიდან“ მოიყვანა ციტატა? ეს გოგო, ეტყობა, გაგიჟდა.

– „ჩვილს“ იმიტომ გეძახდი, რომ როცა ჩუმი ხარ, ყველაფერს შესანიშნავად იგებ, მაგრამ, თუ რამე გინდა, ხმამაღლა აცხადებ ამის შესახებ და, როგორც წესი, ძალიან მალე იღებ, რაც გინდა.

სიცილით ვკვდები:

– კეიშა, ძალიან ზუსტია.

კეიშა ჯერ ხელებს გულზე იკრეფს იმის ნიშნად, რომ გაბრაზებულია, მერე ისიც იცინის.

– ალბერტ, შენი თავისთვისაც გაქვს მეტსახელი? – მაინტერესებს მე.

ჩუმიდაა. ვიცი, რომ როცა „არას“ არ ამბობს, „კის“ გულისხმობს.

– გვითხარი! – მოითხოვს კეიშა.

– მე „სპილო“ ვარ.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

- იმიტომ, რომ დიდი ხარ? – ვეკითხები მე.
- არა, – მიხსნის კეიშა, – იმიტომ, რომ კარგი მეხსიერება აქვს.
- მართალია, სპილოებს კარგი მეხსიერება აქვთ, მაგრამ ამიტომ არ ამირჩევია სიმბოლურ სახელად.
- აბა, რატომ?
- პაქიდერმია მაქვს.
- რა გაქვს?

ალბერტს სახე ოდნავ ებრიცება:

- ეს სქელკანიანობას ნიშნავს. სპილო სქელკანიანი ცხოველია. მე მგონი, ყველანი სქელკანიანები ვართ. ან თავს ვიკატუნებთ, რომ ვართ.
- სპილოს მრავალფეროვანი ემოციები აქვს, მაგრამ მისი ქცევა უცვლელია. ერთნაირად გამოიყურება ბედნიერიცა და სევდიანიც. ვერაფერს ვამბობ. სულ მეგონა, რომ ალბერტი მეცნიერების მოყვარული ბიჭი იყო, რომელსაც ისეთივე გრძნობები ჰქონდა, როგორც ფიჭვის გირჩას. მაგრამ ვცდებოდი. ყველაფერს აკვირდება. ყველაფერზე ფიქრობს. მართლა ესმის ბევრი რამე. ჩემი ნამდვილად ესმის.

თავი 47. დიადი გონების ადამიანები ერთნაირად არ ფიქრობენ

მისტერ დენიელსი ბედნიერი ჩანს, როცა ერთ დილას გვიცხადებს:

- დღეს, ჩემო ფანტასტიკურებო, სამოქალაქო განათლების გაკვეთილიდან ცოტას გადავუხვევთ და ცნობილ ადამიანებზე ვისაუბრებთ.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ადამიანებზე, რომლებსაც, დარწმუნებული ვარ, იცნობთ.

ყუთიდან პორტრეტებს იღებს და დაფის კიდეზე აწყობს. ვლელავ, ალბათ ტესტის ჩატარებას აპირებს ან ჩვენს რჩეულ ადამიანზე მოგვიჩვენებს დაწერა.

მისტერ დენიელსი ენთუზიაზმითაა სავსე.

– მე სახელს გეტყვით და თქვენ, თუ იცით, მოგვიყვებით, რითაა ეს ადამიანი ცნობილი. ხელის აწევა საჭირო არ არის. ადგილიდან დაიძახეთ.

საოცარია. მასწავლებლების მთავარ წესს არღვევს.

პირველ სურათზე გვითითებს:

– თომას ედისონი.

მე ვიცი, ვინც არის:

– ნათურა რომ გამოიგონა?

– მაგარია, ელი. მაგრამ თუ პასუხი იცი, შეკითხვით ნუ მიპასუხებ.

პირდაპირ თქვი შენი პასუხი.

წარმოვიდგენ, რომ ათასობით ადამიანის წინ პოდიუმზე ვდგავარ,

ხელს ვიშვერ და ჩემს პასუხს ხმამაღლა ვაცხადებ.

– ეს იცით, ვინ არის? – კითხულობს ისევ.

მაქსი ამბობს:

– ალექსანდრე გრეჰემ ბელი, რომელმაც ტელეფონი გამოიგონა.

მასზე ანგარიში დავწერე.

– შესანიშნავია.

შეძენა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

შემდეგი ჯორჯ ვაშინგტონია, მას ყველა ცნობს.

– ჰენრი ფორდი?

– მანქანა გამოიგონა! – ვაცხადებ მე.

– მან კომპანია „ფორდი“ დააარსა, თუმცა, მანქანა არ გამოუგონია. კონვეიერი გამოიგონა, რომელიც კარგი საშუალებაა ბევრი მანქანის ერთად ასაწყობად – მისწორებს მისტერ დენიელსი.

– აჰ.

– ელი, საიდან იცი ამდენი რამ გამომგონებლებზე?

– დედამ დი-ვი-დი მიყიდა, რომელსაც სქულჰაუზ როკი ჰქვია. მულტფილმია გამომგონებლებზე.

– კარგი პროგრამაა... შემდეგი, ალბერტ აინშტაინი! – ისე აცხადებს მისტერ დენიელსი, თითქოს სატელევიზიო შოუში წარადგენდეს ვინმეს.

ალბერტი ხელს იწევს.

– დიახ, ალბერტ?

– ალბერტ აინშტაინი გერმანიაში დაიბადა 1879 წლის 14 მარტს.

ის მიიჩნევა უდიდეს მოაზროვნედ ფიზიკაში, მათემატიკასა და ფილოსოფიაში. მან თავისი იდეებით მთელი სამეცნიერო სფერო შეცვალა.

მამაჩემი ამბობს, რომ მეცნიერება მანამდე პინოკიოს – ხის თოჯინას

– ჰგავდა, აინშტაინმა კი ის ნამდვილ ბიჭად აქცია.

– მართლა ასე ამბობს? – იცინის მისტერ დენიელსი, – შესანიშნავია, მამა მეცნიერია, ალბერტ?

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– დიახ, სერ. ალბერტი მის პატივსაცემად დამარქვა. მასზე ბევრი რამ ვიცი.

კეიმა ჩურჩულებს:

– თმასაც მასავით იმიტომ იყენებ? – მერე ჩემკენ ტრიალდება, – ამ ბიჭს, მგონი, სავარცხელი არასოდეს უნახავს.

– თმას ვიყენებ? – იბნევა ალბერტი.

– ჩემი აზრით, ალბერტის მამა სერიოზული მეცნიერია, – ამბობს მისტერ დენიელსი და სურათებს უბრუნდება.

ვაგრძელებთ.

ლეონარდო და ვინჩი, ცნობილი მხატვარი, რომელმაც მონა ლიზა დახატა. ის ასევე ნიჭიერი გამომგონებელი იყო.

პაბლო პიკასო, კიდევ ერთი ცნობილი მხატვარი, რომელმაც თანამედროვე სტილი შექმნა.

პატრიცია პოლაკო – ნიჭიერი ილუსტრატორი და მწერალი.

ვუპი გოლდბერგი – კომიკოსი მსახიობი.

ჰენრი უინკლერი – ცნობილი მსახიობი და მწერალი.

მუჰამედ ალი – მსოფლიოს მძიმეწონიანი ჩემპიონი კრივში.

ჯონ კენედი – ამერიკის შეერთებული შტატების ოცდამეთხუთმეტე პრეზიდენტი.

უინსტონ ჩერჩილი – ინგლისის პრემიერ-მინისტრი მეორე მსოფლიო ომის დროს. მისმა საზრიანობამ და გამბედაობამ გადაარჩინა ბრიტანეთი ნაცისტებისგან.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ყველა ამ ადამიანს გაბედულება გამოარჩევდა.

გაბედულება. მომწონს ეს სიტყვა.

ჯონ ლენონი – „ბიტლზიდან“.

უოლტ დისნეი – მიკი მაუსის „მამა“.

მერე მისტერ დენიელსი მოგვმართავს:

– ხომ მეთანხმებით, რომ ეს ნიჭიერ ადამიანთა შთამბეჭდავი ჯგუფია? ვინმეს სურს, ადგეს და მითხრას, რომ რომელიმე მათგანი სულელი იყო?

ყველა თავს აქნევს.

– ალბერტმა ძალიან საინტერესო რაღაცები გვიამბო აინშტაინის შესახებ, მაგრამ იცოდით, რომ აინშტაინი სკოლიდან გამოაგდეს, როცა ის თქვენხელა იყო? სკოლის ჟურნალში მასზე ეწერა, ზედმეტად ნელია და ვერაფერს მიაღწევსო. თვეების სახელებს ვერ იმახსოვრებდა, ფეხსაცმლის თასმების შეკვრასაც კი ვერ ახერხებდა. მაგრამ... ის იყო და რჩება კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს მოაზროვნედ. მახსენდება, როგორ ვერ ვახერხებდი მეც თასმების შეკვრას. თრევისი დიდხანს მეჯდა ხოლმე გვერდით და ბავშვივით მასწავლიდა თასმების კურდღლის ყურებად შეკვრას.

პორტრეტს თვალს არ ვაშორებ. თეთრი თმა ისე აქვს გაჩეჩილი,

თითქოს რამე აუფეთქდა. როგორ შეძლო ამ ადამიანმა, დროში მოგზაურობის ამბავს მიმხვდარიყო და თვეების სახელები ვერ დაემახსოვრებინა?

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

მისტერ დენიელსი აგრძელებს:

– ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ჯონ ლენონი ყველაზე შთაგონებული მუსიკოსი იყო.

შემდეგ უოლტ დისნეის პორტრეტზე გვითითებს:

– ამ კაცზე რას იტყვით? იცით, რომ მას მასწავლებლები ეუბნებოდნენ, საკმარისად კრეატიული არ ხარო? და ჰენრი ფორდი? მან თითქოს დაბადებიდან იცოდა, როგორ მუშაობს ძრავა. ეს არ უსწავლია. თრევისივით ყოფილა.

– ზუსტად იცოდა, როგორ უნდა აეწყო. სკოლაში ეს ცოდნა არ მიუღია, მაგრამ როცა საქმე მანქანებს ეხებოდა, გენიოსი იყო. ცოტა ხნით თომას ედისონთან ინჟინრად მუშაობდა. თავისი პირველი მანქანა ასე შექმნა: ძრავა ააწყო და ორ ველოსიპედს შორის მოათავსა. კონვეიერის გამოგონებით კი სამყარო შეცვალა.

მისტერ დენიელსი დაფასთან მიდის და გვეკითხება:

– იცით, რა საერთო ჰქონდათ ამ ადამიანებს? – მერე ჩემი მერხის წინ ჩერდება და თვალეში მიყურებს, – მათ ყველას დისლექსია ჰქონდა.

სუნთქვა მეკვრის.

გვიღიმის:

– ნამდვილად ასეა. ბავშვობაში უმარტივესი სიტყვების წაკითხვა უჭირდათ, თუმცა, იმიტომ არა, რომ სულელები იყვნენ. უბრალოდ, ისინი განსხვავებულად აზროვნებდნენ. და მადლობა ღმერთს, რომ ასე

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

იყო, სხვა შემთხვევაში, ალბათ არ გვექნებოდა ტელეფონი, ნათურა და ხელოვნების შთამბეჭდავი ნიმუშები. არც მიკი მაუსიც გვეყოლებოდა.

მერე ცოტა ხანს ჩუმდება, მგონი, გვაცლის, მისი ნათქვამი გავაცნობიეროთ.

– ჰოდა, ამიტომ დამატებითი კრედიტის მისაღებად დავალება გექნებათ, – დაფისკენ ბრუნდება და წერს:

გვზს ფქს სიფმკვ ჭბლკჯზბ ნბჩკმ სპძბ ბს კმკ ლპეკ

სანამ მე თავს ავწევ, კლასი წუწუნებს, რომ ვერ კითხულობენ, რა უაზრობა წერიაო.

– ეს კოდია, თითოეული ასო სხვა ასოზე მიანიშნებს. დამატებით კრედიტს მიიღებს ის, ვინც ამას ამოხსნის. ეს ზუსტად იგივე არ არის, რაც დისლექსიით კითხვა, მაგრამ დაახლოებით მიხვდებით, რა ძნელია ამის კეთება და რამდენი დრო სჭირდება, – მერე მე მიყურებს და აგრძელებს: – და რა ჭკვიანი უნდა იყო, რომ გაუძლო.

გაკვეთილი მთავრდება და ყველა შინ წასასვლელად ემზადება. მე ისევ იმ ცნობილი ადამიანების სურათებს ვუყურებ და მაინტერესებს, ჩემსავით თუ გრძნობდნენ თავს, როცა ჩემხელები იყვნენ. მათაც ოდესმე თავი სულელი ეგონათ? აინტერესებდათ, მათგან რა გამოვიდოდა?

მისტერ დენიელსი ჩემკენ იხრება.

ოთახში ხმაურია, მაგრამ ხმები თითქოს შორიდან მესმის.

მისამართი: www.sulakauri.ge

სსსს სსსსსსსს: www.StudentBlog.ge

– კარგად ხარ, ელი?

მისკენ ვტრიალდები და ჩახველება მიწევს, სანამ ხმას ამოვიღებ:

– მართალია? ყველა ამ ადამიანს... – ისევ სურათებს ვუყურებ, – ამ ადამიანებს ჩემსავით არ შეეძლოთ კითხვა?

– კი, ეგრეა, – მეუბნება გაღიმებული, – საბოლოოდ, შეეძლოთ, მაგრამ განსხვავებულად მოუწიათ მისი სწავლა, – ჩემ წინ ოვალური ფორმის ლითონის ნივთს დებს, – ეს პრესპაპიე შენთვისაა.

– ჩემთვის?

– დიახ. მისმინე, – ყველა სიტყვას სათითაოდ მაჩვენებს და მიკითხავს, – არასოდეს, არასოდეს, არასდროს დანებდე. უინსტონ ჩერჩილი.

ხელში ვიღებ, მძიმეა.

– ამ ნივთს რაიმეს შესახსენებლად არ გაძლევ საჩუქრად. ვიცი, რომ ეს არ დაგჭირდება. ამ ბოლოს დროს უკეთ ვხვდები, რამდენი გიმუშავია, ის ყველაფერი რომ გესწავლა, რაც იცი, – მეუბნება და იცინის, – ბევრი ჭკვიანი ადამიანი გააცურე, ელი. თურმე რა საზრიანი ხარ. სუნთქვა მიჭირს.

– შენ გაძლევ. მინდა იცოდე, რომ ყურადღებით გაკვირდებოდი და, რომ შენ კარგად იქნები, ელი, – ჩემკენ იხრება, – კარგად ყოფნაზე უკეთესად.

თავბრუ მეხვევა, როცა ვფიქრობ, რამდენი რამ შეიცვალა.

სკოლაში.

ჩემში.

თავი 48. ოლივერი მიიჩნევს, რომ გამიმართლა

– მითხარი, რა, როგორია? – ოლივერის ხმა მესმის, სანამ დავინახავ, – ის რაღაც, შენ რომ გაქვს? დისტოპია თუ რაღაც.

– დისლექსია?

– ჰო, როგორია?

– მოკლედ... – ვიწყებ და ვჩერდები. არ მაქვს პასუხი.

– ყველაფერს უკულმა ხედავ, ჰო? ასე მითხრეს, – თვალებს ჭუტავს,

– მოიცა, მე ახლა უკულმა მხედავ?

თავს უარყოფის ნიშნად ვაქნევ.

– არა, არა მგონია, – მერე მუზეუმში პეპლების სცენა მახსენდება და ვაგრძელებ, – ასოები ფურცელზე პეპლებივით ფარფატებენ.

სახე ებრიცება.

– მოიცა, ანუ მოძრაობენ? ასოები მოძრაობენ?

თავს ვუქნევ.

გაოცებისგან თვალები უფართოვდება.

– რა მაგარია! შენ გაგიმართლა. მე როცა ვკითხულობ, ასოები ერთ ადგილას არიან და ეს ძალიან მოსაწყენია. მძულს კითხვა, ნები-სმიერ რამეს გავაკეთებ, ოღონდ არ წავიკითხო.

– მართლა? – ვეკითხები და ვნატრობ, ასოები ჩემთვისაც უმოძრაოდ იყვნენ და მელოდებოდნენ, როდის წავიკითხავ.

გაოცებულია, ვერ იჯერებს, რომ არ ვეთანხმები:

– ჰო, რა, არ გჯერა? შარშან, ზაფხულში დედამ მითხრა, ან კითხვა აირჩიე, ან ჩემი მანქანის რეცხვაო. მთელი ზაფხული მისი მანქანა ყველაზე სუფთა იყო უბანში.

ვიღიმი. მომწონს ოლივერი. ჩემს თავზე იმდენს ვფიქრობდი, რომ არც კი შემიმჩნევია, რა სასაცილო რაღაცებს ამბობს.

ოთახს ვათვალიერებ. მახსოვს, კითხვის სირთულეს ბეტონის ბლოკს ვადარებდი, რომელსაც ყოველდღე თან დავათრევდი და საკუთარი თავი მეცოდებოდა. ახლა ვხვდები, თურმე ყველას აქვს საკუთარი ბლოკი. ყველა გრძნობს სიმძიმეს.

იმ სიტყვაზე ვფიქრობ, მისტერ დენიელსმა რომ გამოიყენა იმ ცნობილ ადამიანებზე საუბრისას, რომელთაც დისლექსია ჰქონდათ. გაბედულება. გვითხრა, გაბედულებაა, როცა იცი, შეიძლება შენი მცდელობა წარუმატებლად დამთავრდეს, მაგრამ მაინც ცდი, ცდი ისევ და ისევ. თურმე იმ ცნობილ ადამიანებს არ ეშინოდათ შეცდომების დაშვების, რამდენჯერაც უნდა დაეშვათო. მე ალბათ შეცდომებზე გაცილებით ნაკლებს ვიდარდებ ახლა, ვიდრე ადრე.

მე, კეიშა და ალბერტი სათამაშო მოედანზე ვართ. შეი და მისი რამდენიმე კლონი გვიახლოვდება.

– მართლა გაქვს ის რაღაც, მისტერ დენიელსმა რომ გვითხრა?

– კი, – მისტერ დენიელსის სიტყვების მერე ამაყად ვპასუხობ.

– ანუ, დისლექსია. ასოებს უკუღმა ხედავ?

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– მგონი. არ ვარ დარწმუნებული. მე ხომ არასდროს დამინახავს ასოები ისე, როგორც სხვები ხედავენ.

– გასაგებია, ჩემი ძმა საბავშვო ბაღშია და ის ხედავს ასოებს სწორად, – ისე მიყურებს, როგორც ყოველთვის, მაგრამ მე ეს ახლა ნაკლებად მაღელვებს.

ალბერტი ერევა:

– შეი, შენ ოდესმე დაგინახავს ასოები უკულმა?

– არა, დამცინი?

– ოჰ, ცუდია.

– რატომაა ცუდი?

– უკულმა დანახვა ინტელექტის ნიშანია, – ლაღად უხსნის ალბერტი, რომელსაც ვერ ვცნობ. თითქოს სადღაც გაქრა მისი მოუქნელობა, – ვიცი, მეცნიერებაზე ჩაციკლული ადამიანი გგონივარ, რას აღარ მეძახი ხოლმე. მაგრამ არსებობს რაღაც, რაც ჩემთვის არასოდეს გიწოდებია.

– რას გულისხმობ?

– სიტყვას „უტვინო“.

– რის თქმა გინდა, ალბერტ? – ოხრავს შეი.

– არსებობს ასოები, რომლებსაც მე შებრუნებულად ვხედავ, ელი ჩემზე მეტ ასოს ხედავს ასე. ჰოდა, წარმოიდგინე, რა ჭკვიანია.

მოიცადეთ.

ალბერტი ასოებს შებრუნებულად ხედავს?!

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

შეის ისეთი სახე აქვს, თითქოს ახლახან გაიგო, რომ მხოლოდ ის არ დაპატიჟეს წვეულებაზე:

– რომელ ასობს ხედავ უკუღმა?

– ი, ო... და კიდევ რამდენიმეს.

რაო?

შეი სიტყვებს ვერ პოულობს, დაუჯერებელია. არ მეგონა, ამას თუ ოდესმე ვნახავდი.

– წავედით, – აცხადებს ბოლოს, – უფრო საინტერესო საქმეები მაქვს.

– მე ტუალეტში მივდივარ, – ამბობს ჯესიკა, – ორ წუთში მოვალ.

– რა თქმა უნდა, – პასუხობს შეი, – ვერც გაბედავ, რომ არ მოხვიდე.

შეი მიდის და ჯგუფი უკან მიჰყვება, მაგრამ ნაკლები ხალისით. ნელა მიდიან და მათი ნაწილი უკან იყურება.

ჯესიკა ტრიალდება და თითქმის სირბილით გვიახლოვდება. მაშინვე ვხვდები, რაღაც შეიცვალა.

– მისმინე, მე მგონია, რომ მაგარია დისლექსია, და შენ მართლა კარგი მხატვარი ხარ, – მეუბნება და ისევ ბრუნდება წასასვლელად.

მერე ჩერდება და აგრძელებს: – ელი, ძალიან ვწუხვარ ყველაფრის გამო, – ტრიალდება და სწრაფად გარბის.

დედა მართალი იყო: სიტყვა „ვწუხვარ“ ბევრ რამეს ცვლის.

– ბატონო მეცნიერო, – კეიშა ალბერტისკენ ბრუნდება, – დედამიწა

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

თავის ღერძს ხომ არ მოსწყდა? ნუთუ მართლა ის გააკეთე, რაც მე მგონია?

ყველა ვხედავთ, როგორ არბის ჯესიკა აღმართზე.

– კარგი, – არსებობს ახსნა, ელი კატალიზატორია.

არ ვიცი, რას გულისხმობს, მაგრამ რახან ეს ალბერტია, ალბათ რაღაც კარგია.

კეიშა ისე იცინის, მეშინია, არ წაიქცეს.

– ალბერტ, რა საოცარია, რომ დაიჯერა.

ალბერტს ელიმება.

კეიშა ხელს მხვევს:

– ალბერტმა შეის ის ასოები ჩამოუთვალა, რომელიც წაღმა და შებრუნებით ერთნაირად იკითხება. გაცოფებული რომ არ ყოფილიყო და მხოლოდ სხვების ლანძღვაზე არ ფიქრობდეს, ალბათ მიხვდებოდა.

მეც ვიცინი:

– ალბერტ, შეის მალე ჩემზე მეტად შესძულდები.

– ნუ ღელავთ, – გვამშვიდებს კეიშა, – მაგ გოგოს იმდენი სიძულვილი აქვს, ყველას ეყოფა.

ვხვდები, ყველაფერი უფრო ადვილი გახდა ახლა, როცა შეიმ და სხვებმაც იციან, რატომ მაქვს ამდენი უსიამოვნება. მისტერ დენიელსმა მირჩია, ყურადღება იმაზე გავამახვილო, რაც კარგად გამომდის... ვეცდები, ასე მოვიქცე.

როცა ჩემს მერხს ვუბრუნდები, ზედ ხისგან გაკეთებული ასო A მხ-

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ვდება.

ხელში ვატრიალებ და ვფიქრობ, საიდან მოვიდა.

– ელი, ჩემს ბაბუას მოეწონებოდი, – მიხსნის სუკი, – ეს ასო მისი ერთ-ერთი კუბიდან გამოვთალე შენთვის... არაჩვეულებრივი ხარ და მე აღტაცებული ვარ შენით. მინდა ეს იცოდე.

ყელში გაჩხერილ ბურთს ვყლაპავ:

– დიდი მადლობა, სუკი. ახლა შემიძლია ყველას ვუთხრა, რომ როგორც იქნა, A (A უმაღლესი შეფასებაა ამერიკულ სკოლებში.) მივიღე სკოლაში, – ორივენი ვიცინით.

შეის ხმა მესმის საკლასო ოთახის მეორე ბოლოდან, მაგრამ ის ბედნიერი არ ჩანს.

მასაც ხვდება მერხზე რაღაც.

მეგობრობის სამაჯურების გორაა.

თავი 49. სინათლეს ვხედავ

შესვენებაზე ალბერტი და კეიშა კეიშას ახალ რეცეპტებს არჩევენ.

ჯესიკა, მაქსი და სხვები რაღაცაზე იცინიან, შეი კი თავის მერხთან ზის და სხვებს უყურებს. ისეთი სახე აქვს, თითქოს არ იცის, როგორ მოიქცეს, რაც ძალიან უცნაურია. ბოლოს დგება და ბავშვებთან მიდის, მაგრამ ისინი არც კი აქცევენ ყურადღებას, განსაკუთრებით – ჯესიკა.

მახსენდება, ნაყინის საჭმელად რომ მოვიდნენ, რა ცუდად ვგრძნობდი თავს იმის გამო, როგორც ვიყავი. ახლა უკვე მიჭირს იმ გრძნობის გა-

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ხსენება.

ოლივერი ყველა მერხთან სათითაოდ მიდის. ვისაც გამოელაპარაკება, თავს ზემოთ წრეს კრავს, ოლივერი რაღაცას ამბობს, ის იმეორებს, ოლივერი ხტება და იცინის.

ბოლოს შეის ეუბნება:

– ხელები თავს ზემოთ წრედ შეკარი.

შიე ცოტას ყოყმანობს, მაგრამ მერე აკეთებს.

– ახლა, თქვი...: წ-ა-რ-მ-ო-ი-დ-გ-ი-ნ-ე ნათურა.

– წარმოიდგინე ნათურა.

ოლივერი ხტება და იცინის.

– რა გიჟი ხარ, ოლივერ. წადი, რა, გაიარე!

ოლივერი სუკისაც იმავეს სთხოვს, მერე ხტება და ორივე იცინის.

მიხარია, ასეთ ოლივერს რომ ვხედავ. ადრე, შეის სიტყვების გამო, დაჯდებოდა და მოიწყენდა.

შიე ოთახს ათვალიერებს და ცდილობს, მიხვდეს, სად იგრძნობს თავს კარგად. ალბათ უკვირს, როგორ შეიცვალა ყველაფერი. მე კარგად ვიცი ეს გრძნობა, როცა ადამიანებით სავსე ოთახში მარტო ხარ.

ასე რომ, ღრმად ჩავისუნთქავ და მისკენ მივდივარ.

– შეი, – ვუახლოვდები. ვხედავ, რომ შეწუხებულია.

– რა გინდა?

– უბრალოდ, მოსალმება მინდოდა.

მიყურებს, მე კი ყველაფერი ცუდი მახსენდება, რაც ჩემთვის უთქვ-

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ამს, და არ ვიცი, სწორად მოვიქეცი თუ არა, რომ მივედი.

– ჩემი აზრით, დღეიდან ყველამ ელი-კატა უნდა დაგიძახოთ. წადი, ვინმე სხვა შეაწუხე.

გაოცებული ვარ. მერე ვხვდები, კარგი ვქენი, რომ გამოველაპარაკე, სწორად მოვიქეცი. შეი მეუბნება, მაგრამ ეს მისი გადაწყვეტილება იყო, მე ვცადე მაინც. ისე, უნდა ვალიარო: მეცოდება.

თავი 50. გმირობა

მე, კეიშა და ალბერტი შინისკენ მივსერიანობთ.

უკნიდან ხმა გვესმის:

– ჰეი, ტვინიკოსო, დაიცადე!

ვტრიალდებით. ალბერტი ჩუმად ამბობს:

– ოჰ, არა.

პირველად ვხედავ მის ასეთ გაფითრებულ სახეს. სამი ბიჭი სირბილით მოგვდევს უკან. ალბერტი ადგილზე ცქმუტავს, თითქოს გაქცევას აპირებს. ვხვდები, ეს ის ბავშვები არიან, რომლებმაც ბევრჯერ სცემეს.

ვნატრობ, თრევისი იყოს ჩვენთან ერთად.

– ვინ არიან? – ეკითხება კეიშა.

ალბერტი მძიმედ სუნთქავს.

– ჰეი, ტვინიკოსო! – ყველაზე ახლოს მდგომი ამბობს, – ესენი შენი მეგობარი გოგონები არიან?

მისამართი: www.sulakauri.ge

სსსს სტუდენტები: www.StudentBlog.ge

დანარჩენები იცინიან. მეორე, რომელიც უკან დგას, კითხულობს:

– ჰო, შეიძლება ასეთ წიგნის ჭიას მეგობარი გოგო ჰყავდეს? მაგას შინაური ფრინველი თუ ეყოლება, – სამივე ხარხარებს.

კეიშა წინ დგამს ნაბიჯს:

– დაიკარგეთ აქედან!

– რატომ? ზუსტად იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო, – მერე ალბერტისკენ ბრუნდება და ხელს ჰკრავს, – აბა, ტვინიკოსო, მოგენატრე?

– როგორც ძაღლს ბუზი, – ალბერტი მიწას დაჰყურებს და ისე ბურტყუნებს. ვნატრობ, რომ შეხედოს მაინც ამ ბიჭს.

კეიშა ხმას უწევს:

– ჰო, როგორც პატარა ბუზი. წადი, სანამ სიფათში მიიღებ.

განერვიულებასაც ვერ ვასწრებ, ისე ავლებს ხელს ბიჭი კეიშას მკლავში და ძირს აგდება.

– დამარტყამს? რაღაც არა მგონია.

– ეი! – ერთვება ალბერტი, – თავი დაანებე!

ბიჭი ალბერტისკენ ბრუნდება.

– მოკეტე! შემდეგი შენ იქნები!

მეორე ბიჭი კეიშას ჩანთას იღებს.

– აქ რა გაქვს? – ჩანთას აპირქვავენ და ყველაფერი ძირს ცვივა.

– შეხედეთ! მაფინებიანი წიგნი.

– დამიბრუნე წიგნი! – მოითხოვს კეიშა.

ალბერტი კანკალებს. მართლა კანკალებს.

მისამართი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

– თავი დაგვანებეთ! – ვამბობ მე.

ბიჭი ჩემკენ ტრიალდება და თვალებში მიყურებს. ისე მეშინია, მგონია, გული ამერევა.

კეიშა ცდილობს, ადგეს, მაგრამ მეორე ბიჭი ისევ ხელს ჰკრავს. მერე ფეხს ჰაერში სწევს, რომ დააბიჯოს, მაგრამ ვეღარ ახერხებს...

მშვიდობის მოყვარული ალბერტი, რომელიც გვეუბნებოდა, რომ მათ ღონეზე არასოდეს დაეცემოდა, ბიჭს ხელს ჰკიდებს და კეიშასგან შორს მიათრევს. მერე საყელოთი იყვანს ჰაერში. ბიჭის ფეხები ძლივს სწვდება მიწას.

– ხელი აღარ ახლო, – ისეთი ხმით ამბობს, როგორც მანამდე არასდროს გამიგონია მისგან.

– მიდი, ალბერტ! – ყვირის კეიშა, მაგრამ ალბერტს, მგონი, არც ესმის.

– დავიღალე უკვე თქვენით. არ გაქვთ უფლება, ასე მომექცეთ, თან ერთი ერთზეც კი არ ჩხუბობთ. მხდალებივით ჯგუფურად ესხმით ადამიანს თავს, – ალბერტი ბიჭს ისე მსუბუქად აგდება ძირს, თითქოს წონა არც ჰქონდეს. ის ორი ბიჭიც მორბის საჩხუბრად, მაგრამ ალბერტი მეორესაც ძირს აგდება, მესამე კი გარბის.

პირველი ბიჭი ფეხზე დგება:

– ჩხუბი გინდა, ტვინიკოსო? მეჩხუბე, – იწვევს ალბერტს. ალბერტი მას მუცელში ურტყამს.

პირველად ვხედავ გაბრაზებულ ალბერტს. ერთი დარტყმით წააქ-

ცია ბიჭი, რომელიც მეგობარს სთხოვს, ადგეს და ალბერტს ეჩხუბოს, მაგრამ ვხედავ, რომ ეს ველარ მოხდება.

ალბერტი კეიშას ადგომაში ეხმარება. მერე ბიჭთან მიდის, რომელიც ჯერ კიდევ ძირს აგდია და კვნესის.

– ჩემს მეგობრებს ხელი არასოდეს ახლოთ! არასოდეს!

მე და კეიშა მის ნივთებს ვაგროვებთ და უკან, ჩანთაში ვაწყობთ.

– წამოდით, – გვეუბნება ალბერტი, ტრიალდება და მიდის. ჩვენც მივყვებით.

მიკვირს, რატომ არ იღებს ხმას კეიშა. მე კი ალბათ ავტირდები.

ალბერტზე ვფიქრობ. ყოველდღე დალურჯებული მოდიოდა სკოლაში და ჩვენ სულ ვეკითხებოდით, რა უნდა მომხდარიყო, რომ ხელი შეებრუნებინა, თურმე მხოლოდ ჩვენი დაცვა თუ აიძულებდა ამას.

– ალბერტ, – ამბობს კეიშა, – საოცარი იყო. შენ ჩხუბი შეგიძლია!

– ძლიერი მკლავები რომ მაქვს, ჩემი დამსახურება არ არის.

– მაგრამ, – ვერთვები მე, – საქმე მხოლოდ შენი მკლავები არ არის, ალბერტ, ძალიან მამაცი ხარ.

– მართალია, – იცინის კეიშა, – და მაინც რა მოხდა ასეთი, ალბერტ?

– მამა ხშირად ამბობს, რომ ძალადობა ნებისმიერ ფასად უნდა ავირიდოთ თავიდან, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ გოგონას არ უნდა დაარტყა, ჰოდა, მე ეს ავწონ-დავწონე და...

მერე ჩერდება და გაფართოებული თვალებით მიყურებს. მაშრია-

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ლებს, მის მზერას რომ ვხედავ.

– შიგნით საშინელი ტკივილი ვიგრძენი, როცა თქვენ გაწყენინათ.

ყველაფერს გავაკეთებდი მის გასაჩერებლად.

პეტერსენის რესტორანში მისვლამდე კეიშა ისევ ჩხუბს იხსენებს.

ალბერტი ხმას არ იღებს, მაგრამ ჩვეულებრივზე ოდნავ უფრო ბედნიერი ჩანს. ოდნავ მაღალიც.

ვსხდებით და სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოს ვშლი.

– ასეთი ამბის მერე მეცადინეობას აპირებ? – უკვირს კეიშას.

– ბევრი სამუშაო მაქვს.

– მისტერ დენიელსმა ხომ თქვა, რომ კითხვების ნახევარს უნდა უპასუხო?

– მითხრა, მაგრამ მინდა, ვცადო და ყველა გავაკეთო... სიტყვის პირველ ორ და ბოლო ორ ასოს შევხედავ და ვეცდები, დანარჩენი გამოვიცნო. ეს ხრიკი მე მოვიგონე და მისტერ დენიელსმა მითხრა, რომ გენიოსი ვარ.

– გვეხუმრები?!

– ჰო, ვიცი, ადრე საერთოდ არ მინდოდა დავალების დაწერა. ახლა დამატებით სამუშაოს ვასრულებ.

– ნამდვილი გამოცანა ხარ.

– ჰმ, – თავს იქნევს ალბერტი, – ამ ამბავმა პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი გამახსენა, რომელიც ერთხელ სანადიროდ წავიდა. მან აღმოაჩინა, რომ მისმა თანმხლებმა პირებმა დათვი დაიჭირეს და ხეზე

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

მიაბეს, ასე ადვილად მოკლავსო. რუზველტმა დათვი გაუშვა. ამიტომ ჰქვია სათამაშო დათუნისა „ტედი“. პრეზიდენტისა და იმ დღის სამახსოვროდ.

კეიშა ილიმის:

- ყველაფერზე ამბავი გაქვს, ალბერტ.
- მე არ ვიგონებ ამ ამბებს, ისტორია გვინახავს.
- იცი, ალბერტ, იმ კაცებივით ლაპარაკობ, ისტორიულ ფილმებს რომ ახმოვანებენ სკოლაში, ისტორიის არხზე და ა.შ.
- დიდი მადლობა, კეიშა.

კეიშას გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებთ, არა მგონია, ეს კომპლიმენტი ყოფილიყო.

მე წინ ვიხრები და ალბერტს ვუყურებ:

- იცი, რა არის კიდევ უზარმაზარი მიღწევა?
- რა?
- მეგობრების დაცვა იმ ბიჭებისგან, რომლებიც თვეების განმავლობაში სავარჯიშო ტომარად გიყენებდნენ. სწრაფად გაუსწორდი, ალბერტ, არა? მედალი გეკუთვნის.

ალბერტი სწორდება:

- ეს ერთი რამეა, რომელიც ერთ დღეს გავაკეთე, – ჩემკენ ბრუნდება, – ელისგან განსხვავებით.

რაო?

- როცა მისტერ დენიელსმა დისლექსიის მქონე ადამიანების, ანუ

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

კაცობრიობის გამორჩეული მოაზროვნეების, შესახებ გვიამბო... ვინა-
ტრე, რომ მეც მქონოდა დისლექსია.

მომეყურა?

კეიშა იცინის:

– ალბერტ, ზოგჯერ მგონია ხოლმე, რომ თავში ფაქტების გარდა
არაფერი გაქვს. მერე კი ისეთ რამეს აკეთებ, რაც დღეს გააკეთე და ამ-
ბოზ ისეთ რამეს, რაც დღეს თქვი. იცი, შენ რა ხარ?

ალბერტს წარბები შუბლზე ასდის.

კეიშა წინ იხრება:

– შენ კარგი მეგობარი ხარ.

თავი 51. გამბედავი გენიოსი

მისტერ დენიელს ვეკითხები, შეიძლება თუ არა, წიგნების გამოწე-
რა გავაგრძელო ბიბლიოთეკიდან. ის ისე მიღიმის, თითქოს ტორტის
ნაჭერი მივართვი.

– რა თქმა უნდა, და რახან იქით მიდიხარ, შეგიძლია, ეს მისის სი-
ლვერს მიუტანო?

– რა თქმა უნდა.

– ოღონდ შენი ხელით გადაეცი და დაიცადე, სანამ წაიკითხავს და
პასუხს დაწერს. მერე პასუხი მე მომიტანე, კარგი?

მე თავს ვუქნევ და იმ დღეებზე ვფიქრობ, როცა დირექტორის კაბი-
ნეტში მოხვედრა უსიამოვნებებთან იყო დაკავშირებული.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

მისის სილვერი თავის ოთახში მხვდება და მილიმის:

– გამარჯობა, ელი.

კონვერტს ვაჩვენებ. სანამ ხმას ამოვიღებ, ალბათ მინდა, იცოდეს, რომ უსიამოვნება არ შემთხვევია:

– მისტერ დენიელსმა გამოგიგზავნათ.

თითის აწევით მანიშნებს, რომ დაველოდო, სანამ თავის ქალიშვილს დაელაპარაკება და ტელეფონის ყურმილს იღებს.

მინდა, მათ საუბარს მოვუსმინო, მაგრამ სხვა რამე იპყრობს ჩემს ყურადღებას – პოსტერი, რომელზეც ორი ერთმანეთისკენ გაწვდილი ხელია დახატული და რომლის წაკითხვაც ადრე მთხოვეს. მე კი ვერ შევძელი.

ახლოს მივდივარ და პოსტერის წინ ვდგები. გაწვდილ თითებს ვუყურებ. მერე ღრმად ჩავისუნთქავ და ასოებს ვაკვირდები. კიდევ უფრო ახლოს მივდივარ, როგორც მისტერ დენიელსმა მასწავლა, კონვერტს მოსანიშნად ვიყენებ და მთელი ყურადღება პირველი ხაზისკენ გადამაქვს.

ვჩურჩულებ:

- ზოგ?..

მისის სილვერი ახლოს მოდის, ჩემ უკან ჩერდება და ხელს მხარზე მადებს. კითხვას თავს ვანებებ.

– არა, ელი, განაგრძე.

– შეიძლება, წამიკითხოთ, რომ ერთიანად გავიგონო?

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

მისის სილვერი კითხულობს:

ზოგჯერ ყველაზე დიდი გამბედაობა დახმარების თხოვნაა.

ს. ქონორსი

– ელი.

მისკენ ვტრიალდები.

ხმა ეცვლება:

– მინდა იცოდე. ძალიან ვწუხვარ აქამდე ჩვენი რთული ურთიერთობის გამო. ვამაყობ იმით, რასაც თავდაუზოგავი შრომით მიაღწიე. უფრო ადრე უნდა მივმხვდარიყავით, რომ განსხვავებულად სწავლობ. მაგრამ შენ ისეთი საზრიანი ხარ, იმდენად კარგად შეგიძლია საკუთარი მოსაზრების გამოხატვა... იმედი მაქვს, კიდევ მომცემ შანსს, დაგეხმარო.

თავს ვუქნევ. უნდა მეთხოვა დახმარება, მაგრამ იმ დროს ამისთვის იმაზე მეტი გამბედაობა იყო საჭირო, ვიდრე მე მქონდა.

– უი, ჩემთვის წერილი გაქვს, ხომ?

– დიახ, მისტერ დენიელსმა მითხრა, რომ ჩემს აქ ყოფნაში უნდა წაიკითხოთ.

კონვერტს ხსნის და კითხულობს, სანამ მაგიდასთან მივა. მერე იცინის და ჩემკენ ბრუნდება:

– იცი, აქ რა წერია?

უარყოფის ნიშნად თავს ვიქნევ.

– აქ წერია, რომ მოსწავლე, რომელმაც ეს წერილი მოიტანა, თვის

მისი სახელი: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

მოსწავლედ არის დასახელებული თავდაუზოგავი შრომისა და კარგი ქცევის გამო.

– მე? დარწმუნებული ხართ, რომ შეცდომა არ არის? იცინის.

– ჩემი ძმა, თრევისი, ამას არ დაიჯერებს! – ვამბობ, მაგრამ, გულის სიღრმეში ვიცი, რომ დაიჯერებს. გაუხარდება, თმებს ამიჩქის და მეტყვის: მაგარია, ელი!

მისი სიღვერი საპასუხო წერილს მატანს.

კაბინეტიდან გამოვდივარ. იქვე მყოფი მასწავლებელი მაფრთხილებს, რომ არ ვირბინო. ამიტომ ნელა მივდივარ, თუმცა, მიჭირს თავის შეკავება, მინდა, ვირბინო და ვიყვირო.

მისტერ დენიელსი მიღიმის. ნახევრად ხტუნვით, ნახევრად სირბილით მივდივარ მის მაგიდასთან.

– მიიღე შეტყობინება?

თავს ვუქნევ.

მხარზე ხელს მადებს და ამბობს:

– ყურადღება, ფანტასტიკურებო! მინდა შეგატყობინოთ, რომ თვის მოსწავლე თქვენი კლასელი ელი ნიკერსონი გახდა!

ოლივერი მერხს ურტყამს ხელებს, სხვები ტაშს უკრავენ. ჯესიკაც კი. შეი რაღაცას ამბობს, მის სიტყვებს ვერ ვარჩევ, თუმცა, მესმის ჯესიკას პასუხი:

– გაჩუმდი, შეი.

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ალბერტი და კეიშა ჩემთან მოდიან. ალბერტი ხელს მართმევს, კეიშა კი მეხვევა.

– შემდეგ ჯილდოს რომ მოიგებ, მერეც დაგველაპარაკები ჩვენ, პატარა ადამიანებს?

– თუ რამეს გამომიცხობ, კი, – ვეხუმრები.

– მოიცა, – ამბობს ალბერტი, – ჩემთვისაც გამოაცხობ რამეს, თუ მოვიგებ?

მე და კეიშა ვიცინით, ალბერტი კი გვარწმუნებს:

– სერიოზულად ვამბობ.

კეიშა მხარზე ხელს უთათუნებს:

– დიახ, ალბერტ, შენთვისაც გამოვაცხობ.

შინ წასვლამდე ჩვენი ნივთების შეგროვებას ვიწყებთ. თრევისმა უნდა მომაკითხოს და ჩემი პროექტი სახლში წამალეზინოს. მას სპორტულ დარბაზში ველოდები.

მალე თრევისი შემოდის, სამუშაო ტანსაცმელი აცვია.

მის უკან მზის დისკო ჩანს, თითქოს კაშკაშა ბურთში მოდის, და უცებ, მგონია, ავტირდები.

გასაგებია. უცებ ყველაფერი გასაგები ხდება.

თრევისი ჭკვიანია, ისევე როგორც მე.

მისკენ მივრბივარ, პროექტს ძირს ვდებ და ვეხვევი.

– გიხარია, რომ სკოლის ავტობუსს ასცდი? – იცინის.

– უბრალოდ, მიხარია, რომ გხედავ, – კიდევ ერთხელ უფრო მაგრ-

შეიქმნა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

ად ვეხუტები.

გაკვირვებული მიყურებს.

– დაიცადე, ახლავე დავბრუნდები.

გავრბივარ, სანამ პასუხის გაცემას მოასწრებს. გავრბივარ, იმიტ-

ომ, რომ ასეა საჭირო. ეს ამბავი ხვალამდე ვერ მოიცდის.

დერეფანში მივქრივარ, ყურადღებას არ ვაქცევ, ვიღაცა რომ მეუბ-
ნება, ნელა იარეო.

საკლასო ოთახთან ვჩერდები, კარს ვაღებ და ოთახში შევრბივარ.

მისტერ დენიელსი მაგიდიდან თავს სწევს. გაოცებულია.

– ელი?

მის მაგიდასთან ვდგები. ხელს ჯიბეში ვიყოფ და დაჭმუჭნილ ქაღა-
ლდის ნაგლეჯს ვიღებ, რომელზეც წერია შესაძლებელი.

– ისევ თან დაგაქვს? – სახეზე ღიმილი ეფინება.

– თუ შეიძლება, მისტერ დენიელს, უნდა დამეხმაროთ. ყველაფერს
გავაკეთებ...

ფეხზე დგება:

– რა მოხდა, ელი?

– თუ შეიძლება, ჩემს ძმასაც დაეხმარეთ, – კიდევ უფრო ახლოს მი-
ვდივარ, – მასაც სჭირდება კითხვის სწავლა.

მისის სილვერის კაბინეტში გაკრული პოსტერი მახსენდება – მისტ-
ერ დენიელსმა მე გამომიწოდა ხელი, მე კი თრევისს ვუწვდი.

– რა თქმა უნდა, ელი. მოხარული ვიქნები, თუ დაგეხმარები. დღეს

შენმა ძმამ უნდა მოგაკითხოს, არა?

თავს ვუქნევ. ძალიან მადლობელი ვარ მისი. ნეტა თუ იცის, მეექვსე კლასში გადმოსულს რომ მეგონა, ჩემგან არაფერი გამოვიდოდა. ახლა ერთი ოცნება მაქვს, რომელიც აუცილებლად ამისრულდება.

ოდესმე აუცილებლად შევუწებ სამყაროს ცეცხლს.

მერე დავბრუნდები და მას ამის შესახებ მოვუყვები.

– კარგი, წადი და მეც რამდენიმე წუთში ჩამოვალ. დაველაპარაკები, რის გაკეთება შეგვიძლია.

ოთახიდან გამოვრბივარ, მაგრამ მერე ნაბიჯს ვანელებ. ჩემს თითოეულ მოძრაობას ვიმახსოვრებ. ბოლოს სპორტულ დარბაზში ვბრუნდები – ჩემს უფროს ძმასთან, რომელიც ყოველთვის ჩემ გვერდით იყო და ჩემი ყოველთვის სჯეროდა, რაც უნდა მეთქვა.

თრევის ხელები ჯიბეებში ჩაუწყვია და შუშის ჭერიდან შემომავალ სინათლეს აჰყურებს. ცოტა ხანს ვაკვირდები. ბოლოს მამჩნევს და მიღიმის.

მე ფურცლის ნაგლეჯს ვუწვდი, რომელზეც წერია შესაძლებელი.

– აიღე. ეს ახლა შენ გეკუთვნის.

დაბნეული მიყურებს:

– მე?

მისტერ დენიელსიც მალე მოდის და თრევის ხელს ართმევს:

– გამარჯობა, თრევს. შენ შესახებ ბევრი მსმენია, ძალიან მაგარი უმცროსი და გყავს.

შიპანა: www.sulakauri.ge

სხვა წიგნები: www.StudentBlog.ge

თრევისს ელიმება:

– კი, მაგარი ვინმეა.

– ამგვარად, ელი ფიქრობს, რომ უნდა ვილაპარაკოთ.

– კარგი, – ეთანხმება თრევისი და ნიკაპს მუშტით ისრესს.

მისტერ დენიელსი უხსნის, რას ვაკეთებთ ხოლმე გაკვეთილების შემდეგ და სთავაზობს, შემოგვიერთდეს.

თავს მალლა ვწევ. თრევისი ნერწყვს მძიმედ ყლაპავს და თავს უკრავს. ვიცოდი, თრევისს ეყოფოდა გამბედაობა, დათანხმებულიყო. გონებაში სცენას ვხედავ – ჩემი გვარი ნეონით განათებულ ფირნიშზე წერია, თრევისის ახალ სახელოსნოში.

მერე მეორე სცენას ვხედავ – ბედნიერი ვარ, ვკითხულობ, ვხატავ და ჩემს ადგილს ვპოულობ სამყაროში.

ეს სცენები დაუჯერებელი რამეების რვეულში არ გადაინაცვლებს, რადგან ვიცი, ყველაფერი მართლა მოხდება.

ჩემს უფროს ძმასთან ვდგავარ და მხარზე მის ხელებს ვგრძნობ.

თრევისისა და მისტერ დენიელსის საუბრის ხმა ნელ-ნელა, თანდათანობით ქრება და მე ფანჯრიდან შემომავალი სინათლის ნაკადს ვუყურებ.

ყველაფერი სხვანაირად იქნება.

თითქოს ჩიტებს ცურვა, თევზებს კი ფრენა შეუძლიათ.

შეუძლებელი შესაძლებელი გახდა.

ლინდა მალალი ჰანთი